ზოგადი ბიოთმეცნიერება

პროფესორი ნ. ჯანელიძე

84'4'(075.8)



გამომშვები: გ. იაშვილი
ხელმოწერილია დასაბეჭ. 15/X—1935
მთავლიტის რწმ. გ—56
კორექტორი: პ. გოჩიტაშვილი
შეკვეთა № 414
გადაეცა წარმოებას 26/VII—35 წ.
ტირაჟი 3000

სახ. უნივერსიტეტის გამომცემლობის სტამბა. უნივერსიტეტის ქ. № 1.

ს ა რ ჩ ე ვ ი

გამომცემლობის წინასიტყვაობა

ავტორის წინასიტყვაობა

თავი I. ენათმეცნიერება და ენა . . . . . (გვ. 1—34)

§ 1. მეცნიერული გრამატიკა და ზოგადი ენათმეცნიერება 1
§ 2. რა არის ენა? 2
§ 3. ცნება ენობრივი კოლექტივისა 3
§ 4. ცოცხალი და მკვდარი ენა 4
§ 5. ცოცხალი ენის დიალექტები 5
§ 6. ენა და გვარ-ტომობა 6
§ 7. არსებობს თუ არა „წმინდა" ენა? 7
§ 8. ენა შემაკავშირებელი და ენა გამთიშველი 8
§ 9. ერთიანი ენის საკითხი მომავალ უკლასო საზოგადოებაში . . 10
§ 10. ენა სხვადასხვა განზომილებით 12
§ 11. ენა და ადამიანი 13
§ 12. ენა, როგორც აზროვნების იარაღი და გაგებინების საშუალება . 18
§ 13. ენა, როგორც იდეოლოგიური მონაცემი 22
§ 14. ენა, როგორც სისტემა 26
§ 15. ენა, როგორც ისტორიულად ცვალებადი კატეგორია 28

თავი II. მეცნიერული გრამატიკის დარგები . . . . . (გვ. 35—59).

§ 16. საკითხის დასმისათვის 35
§ 17. მეცნიერული გრამატიკის ობიექტი 36
§ 18. საგნობრივი მნიშვნელობის მატარებელი ნაწილი სიტყვაში . 36
§ 19. დამოკიდებულების აღმნიშვნელი ნაწილი სიტყვაში 39
§ 20. მნიშვნელობის მცველი ნაწილი სიტყვაში 40
§ 21. ფუძე და აფიქსები; აფიქსთა და ფუძეთა სახეობანი 43
§ 22. ფუძეში ჩაქსოვილი ცოცხალი სახე (საგნის დამახასიათებელი) . 45
§ 23. სიტყვის მნიშვნელობა იცვლება ისტორიულად, კუთხურ მეტყველებაში, კონტექსტში 49
§ 24. ემოციური იერი სიტყვისა 50
§ 25. სიტყვის ბგერითი მხარე და ძასში მომხდარი ცვლილებების მნიშვნელობა სიტყვის სწორი ანალიზისათვის 50
§ 26. მეცნიერული გრამატიკის დარგები 52
§ 27. მეცნიერული გრამატიკა და სასკოლო ტექნიკური გრამატიკა . 55

თავი III. აფიქსთა კლასიფიკაციისა კვალიფიკაციისა, და წარმოშობის საკითხი . . . . . (გვ. 60—80)

§ 28. აფიქსთა კლასიფიკაციის საკითხი 60
§ 29. აფიქსთა კლასიფიკაცია ადგილმდებარეობის მიხედვით . . 62
§ 30. აფიქსის ადგილმდებარეობა და ფუნქცია 65

§ 31. სიტყვის დაშლა 65
§ 32. ფორმის ბგერითი სახე და ფუნქცია 68
§ 33. ხოჭვადი და ცვლი ფორმები 69
§ 34. ფორმების სესხება 71
§ 35. ფორმების წარმოშობა 71
§ 36. ფორმებიანი და უფორმო სიტყვები 74
§ 37. ფორმები და ნაწილაკები 76
§ 38. რას შეუძლია გასწიოს ფორმების მცოდნეობამ? 78
თავი IV. ენათა მორფოლოგიური კლასიფიკაცია . . . . . (§§ 81—88)
§ 39. ენათა მორფოლოგიური ტიპები 81
§ 40. მორფოლოგიური კლასიფიკაციის ისტორიიდან 83
§ 41. მორფოლოგიური კლასიფიკაციის ზოგადი შეფასება 86
თავი V. ენათა გენეალოგიური კლასიფიკაცია . . . . . (§§ 89—110)
§ 42. რაში მდგომარეობს ენათა ნათესაობა? 89
§ 43. ენათა ოჯახები 92
§ 44. ცნება „ენათა სისტემისა" 100
§ 45. კავკასიური ენები 103
§ 46. კავკასიური ენების ურთიერთობა სხვა ოჯახის ენებთან . . 108
თავი VI. მეტყველების ნაწილები . . . . . (§§ 111—121)
§ 47. მეტყველების ნაწილთა ტრადიციული კლასიფიკაცია 111
§ 48. ტრადიციული კლასიფიკაციის ნაკლოვანებანი 114
§ 49. მორფოლოგიური და სემასიოლოგიური მიხედვების ურთიერთობა სიტყვაში 116
თავი VII. ძირითადი მორფოლოგიური კატეგორიები . . . . . (§§ 122—131)
§ 50. სახელისა და ზმნის კატეგორიები 122
§ 51. მრიცხვა 122
§ 52. რიცხვი 125
§ 53. პირი 127
§ 54. დრო 128
§ 55. კილო 130
§ 56. გვარი 131
§ 57. ქცევა 131
§ 58. სქესი 132
თავი VIII. სინტაქსის მოკლედი ბაკითხვები . . . . . (§§ 135—152)
§ 59. დამოკიდებულების აღმნიშვნელი ფორმები და დამოუკიდებლება 135
§ 60. სინტაქსური დამოკიდებულების საფუძვლები 138
§ 61. შესიტყვების აგებულება 140
§ 62. რას გამოხატავს წესიტყვება? 142
§ 63. სინტაქსი და სტილისტიკა 144
§ 64. შესიტყვების აგებულება და წესიტყვების წარმოქმნა . . . 150
§ 65. სინტაქსის სხვაგვარი გაგება 152

თავი IX. სემასიოლოგიისა და ეტიმოლოგიის ძირითადი საკითხები (გვ. 158—181)

§ 66. რა არის სიტყვის მნიშვნელობა? 158
§ 67. რეალური კონტექსტი და სიტყვის მნიშვნელობა 162
§ 68. სიტყვის პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობა . . . 164
§ 69. სიტყვის მნიშვნელობის გაფართოება და დავიწროება . . 165
§ 70. ისტორიული სემასიოლოგია და სტატისტიკური სემასიოლოგია 166
§ 71. სემასიოლოგია და სტილისტიკა 168
§ 72. არსებობს თუ არა ნამდვილი სინონიმები? 170
§ 73. ნაწარმოები ფუძე 171
§ 74. ფუძეთა საწარმოებელი აფიქსები და კლასობრივი თვალსაზრისი 172
§ 75. რთული ფუძე (კომპოზიტი) 174
§ 76. საბჭოური კომპოზიტები 177
§ 77. ეტიმოლოგია და სიტყვის ისტორია 178
§ 78. „ხალხური ეტიმოლოგია“ 180

თავი X. სტილისტიკა, როგორც ენათმეცნიერების დარგი (გვ. 182—180)

§ 79. სტილის რაობისათვის 182
§ 80. ე. წ. ობიექტური სტილი 184
§ 81. ე. წ. სუბიექტური სტილი 187

თავი XI. ენათმეცნიერების ადგილი სხვა მეცნიერებათა შორის (გვ. 190—196)

§ 82. ენათმეცნიერება, როგორც სოციოლოგიური დისციპლინა . 190
§ 83. ენათმეცნიერება და მოსაზღვრე მეცნიერებანი 192

თავი XII. ენათმეცნიერების გამოყენებითი მნიშვნელობა (გვ. 194—196)

§ 84. ენათმეცნიერება და სოციალისტური მშენებლობის პრაქტიკა 194
სახელთა საძიებელი 197
შემჩნეულ შეცთომათა გასწორება 199

შ ე ნ ი შ ვ ნ ა. პირთა სახელების საძიებელში ნაჩვენებია გვერდები წერილისა „მარქსიზმი და ენათმეცნიერება“, რომელიც უნდა დართოდა წიგნს. ეს წერილი ცალკე გამოდის და სათანადო გვერდებზე (გვ. გვ. 197—232) მითითება შეცდომითაა შესული საძიებელში.

წ ი ნ ა ს ი ტ ყ ვ ა ო ბ ა

ზოგადი ენათმეცნიერების კურსის გამოცემის საჭიროება ჩვენში დიდია. დღემდის ქართულ ენაზე არ მოგვეპოვება არც ერთი სახელმძღვანელო, რომელშიაც სისტემატიური სახით დალაგებული და გადმოცემული იყოს ენათმეცნიერების ძირითადი პრობლემები. ქართველი მოსწავლე ახალგაზრდობა და მათი აღმზრდელი პედაგოგიური პერსონალი პირდაპირ სიმშილს განიცდის ამ მხრით. არც ორიგინალური ნაშრომი და არც ნათარგმნი ჩვენ არ გვაქვს; ეს იმ დროს, როცა სხვა ენებზე ასეთი წიგნები არსებობს.

ენათმეცნიერება ჩვენში ჩამორჩება იმ გაზრდილ მოთხოვნებს, რომელსაც სოციალისტური მშენებლობის თანამედროვე ეტაპი აყენებს. დღეს საბჭოთა მკითხველი და მოსწავლე ახალგაზრდობა არა მარტო სახელმძღვანელოებს მოითხოვს, არამედ მას მეტიც სჭირდება; ის მოითხოვს ცალკეულ პრობლემათა მონოგრაფიულ დამუშავებას საბჭოთა მეცნიერების განვითარების უკანასკნელი დონის მიხედვით.

ახალი ენათმეცნიერების გადაუდებელი ამოცანაა, კიდევ უფრო საფუძვლიანად დაეუფლოს მარქსისტულ-ლენინურ თეორიას, ბოლშევიკურად ამხილოს ყველა ის იდეალისტური და მექანისტური შეცდომები, რომელსაც ადგილი ექნება ენათმეცნიერულ მუშაობაში; გაადრმაოს ბოლშევიკური თვითკრიტიკა საკუთარ რიგებში და ამით წინ წასწიოს საბჭოთა ლინგვისტიკა.

საბჭოთა ენათმეცნიერების წინაშე უაღრესად საპასუხისმგებლო ამოცანები დგას. აქედან გამომდინარე, ბუნებრივად კითხვა ისმება: როგორია წინამდებარე ზოგადი ენათმეცნიერების კურსი? არის თუ არა დაწერილი მატერიალისტური დიალექტიკის საფუძველზე? იძლევა თუ არა ძველი, ბურჟუაზიული ენათმეცნიერების (ინდოევროპეისტიკის) კრიტიკას? ითვალისწინებს თუ არა ყველა იმ მიღწევებს, რომელიც ენის შესახებ ახალ მოძღვრებას (იაფეტიდოლოგიას) გაუჩნია ენათმეცნიერების გვერდაუვლელ პრობლემების შესახებ?

საშუხაროდ, აქ ჩამოთვლილ საკითხებზე უარყოფითი პასუხი უნდა გავცეთ პროფ. ა. ჩიქობავა ჯერ კიდევ ვერ განთავისუფლებულა იდეალისტური შეხედულებებისაგან. მაგრამ, მიუხედავად ამ უდიდესი ნაკლისა, ჩვენ მაინც საჭიროდ ვცნობთ ამ წიგნის გამოცემას; ცხადია, იმ პირობით, რომ მკითხველი მას აითვისებს კრიტიკულად და გაითვალისწინებს იმ თეორიულ შეცდომებს, რომლებსაც ჩვენ აქვე მიუთითებთ.

საერთოდ, სახელმძღვანელოს დადებითი მხარე ისაა, რომ აქ ავტორი ზოგადი ენათმეცნიერების პრინციპულ საკითხებს შლის ქართულ ენის მასალაზე, რაც სტუდენტობას შესამჩნევად გაუადვილებს ლინგვისტიკის ძირითად საკითხების შესწავლას. მაგალითად: ავტორი მართებულად განსაზღვრავს ენობრივი კოლექტივის საკითხს (§ 3), ცოცხალი და მკვდარი ენების ურთიერთობას (§ 4), დიალექტების პრობლემას (§ 5), წმინდა ენის არ არსებობის ფაქტს (§ 7); სწორად აქვს აგრეთვე განსაზღვრული ენა, როგორც ისტორიული ცვალებადი კატეგორია (§ 15), ამახვილებს ყურადღებას სტილისტიკის მიმართ (§§ 63,79) და სხვა.

რა უმთავრესი ნაკლი და შეცდომები ახასიათებს პროფ. ა. ჩიქობავას წიგნს?

1. ავტორს, პირველყოვლისა ზოგადი ენათმეცნიერება, წარმოდგენილი აქვს ტრადიციულად, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ჩვეულებრივ, ინდოევროპეისტები ენის წარმოშობის საკითხს უარყოფენ, ან გვერდს უვლიან; ის კი ამ საკითხს ენათმეცნიერების საგნად აცხადებს. ჩვენში, საბჭოთა კავშირში, ზოგადი ენათმეცნიერება, როგორც მეცნიერულ-ფილოსოფიური მოძღვრება ენისა და საზოგადოდ ადამიანის მეტყველების შესახებ, არ შეიძლება არსებობდეს ენის შესახებ ახალი მოძღვრების (იაფეტიდოლოგიის) გარეშე. „ზოგადი ენათმეცნიერების“ ავტორი კი თავისი კურსის მშენებლობის დროს, გამოდის იმ საერთო ტრადიციიდან, რომელიც ბურჟუაზიულ ენათმეცნიერებაში არსებობს. ენის შესახებ ახალმა მოძღვრებამ, რომლის მამამთავარი კომუნისტი აკადემიკოსი ნიკო მარრია, სამართლიანად დაანგრია ძველი ფილოლოგიურ-ენათმეცნიერული შენობა და მის ნაცვლად ახალი ააგო. უარყოფილი იქნა ე. წ. კომპარატიული მეთოდი და მისი ცრუ ისტორიზმი, რომლის ადგილი დაიჭირა მატერიალისტურმა დიალექტიკამ, მისმა სპეციფიკურმა კონკრეტიზაციამ ენობრივ მასალებზე მატერიალისტურმა პალეონტოლოგიამ და ნამდვილმა ისტორიზმმა; ეს

უკანასკნელი კი ძირითადში განსხვავდება დასავლეთის ე. წ. სოციოლოგ-ენათმეცნიერთა ისტორიზმისაგან. მაშასადამე, ავტორი სათანადოთ ვერ აფასებს საბჭოთა ლინგვისტიკას და მის მიღწევებს, იგი დღესაც სავსებით ვერ გამიჯნულა ინდოევროპეისტიკის პრინციპებისაგან.

2. ავტორი უმართებულოდ განმარტავს ენათმეცნიერების საგანს. ის წერს: „ენათმეცნიერება, როგორც მეცნიერება ენის შესახებ, შეისწავლის ბგერითს ენას" (გვ. 3). ეს განმარტება სწორი არ არის. მეცნიერება ენის შესახებ გვერდს ვერ აუვლის ადამიანის მეტყველების იმ სტადიას, რომელიც ბგერით ენას წინ უსწრებდა. ენათმეცნიერება არამარტო ბგერით ენას და მის განვითარებას შეისწავლის, არამედ ხელის ენასაც, კინეტიკურ მეტყველებასაც, რომელიც გადანაშთების სახით დღემდისაც შემონახულია ჩრდილოეთ ამერიკის სხვადასხვა ტომებსა და იაფეტურ კავკასიაში.

ენათმეცნიერების საგნის ზემოთ აღნიშნული გაგება არსებითად ინდოევროპეისტულია. თუ ავტორი ერთი მხრით ცნობს ენობრივი მოვლენებისადმი ისტორიულ მიდგომას (§ 15), ხოლო მეორე მხრით, ენათმეცნიერების კომპენტენციაში შეაქვს ენის წარმოშობის საკითხი (§ 15, გვ. 43; ამაში კი იმეორებს აკადემიკოს ნ. მარრის აზრს), მაშინ გაუგებარია ენათმეცნიერების საგნიდან ხელის ენის ამოშლა. ახალი ენათმეცნიერების ფუძემდებელმა აკად. ნ. მარრმა კი ამ მეცნიერების საგანი უფრო ფართოდ განსაზღვრა; მან კვლევის ობიექტად გამოაცხადა ენა მისი განვითარების მთელ მანძილზე, ჩასახვიდან დღემდის. საკითხის ამგვარი დასმა დიალექტიკურია. მარქსისტულ-ლენინური დიალექტიკა გვასწავლის მოვლენის განხილვას მისი განვითარების პროცესის ჩვენებით, ამიტომ ნ. მარრმა ხელის ენა შემთხვევით როდი გამოაცხადა ლინგვისტური კვლევა-ძიების ობიექტად.

მეტყველების შემოქმედება მონისტური პროცესია. ენათშემოქმედების ამ მონისტური პროცესის შესწავლისათვის არ კმარა მარტო ხმიერი მეტყველება; ეს იქნებოდა ისტორიის გაყალბება და დამახინჯება. საჭიროა შევისწავლოთ „არა მარტო ხმიერი მეტყველების სხვადასხვა სისტემა, არამედ წარმოების იარაღის მიხედვით სხვადასხვა ენა: ხელის ენა, ხმიერი ენა, [რომლებიც] მთლიად ცალკეული რგოლებია მეტყველების შემოქმედების ამ გრანდიოზული მონისტური პროცესისა" (ნ. მარრი, ენა და აზროვნება; ქართ. თარგმ. გვ. 46).

3. პროფ. ა. ჩიქობავა ვერ იძლევა ენის სწორ მარქსის-

ავტორი შემცდარია როდესაც წერს: „სასკოლო გრამატიკა სალიტერატურო ენის ფაქტების აღწერით კმაყოფილდება, ამ ფაქტების წარსულის ძიება, ფაქტების ახსნა მის მიზანს არ შეადგენს, ერთი სიტყვით, ისტორიული თვალსაზრისი მისთვის უცხოა" (§ 7, გვ. 58). ამ პრინციპის მიხედვით შედგენილი სახელმძღვანელო გრამატიკის კარიკატურა იქნება, ყოველგვარ ღირებულებასა და მნიშვნელობას მოკლებული. ძალაუნებურად ასეთი „სასკოლო ტექნიკური გრამატიკის" შეფასებაში ისევე ჩიქობავას სიტყვები უნდა გავიმეოროთ: მისი „თვალსაზრისი ვიწროა, მეთოდი—პრიმიტიული, შინაარსი (შედგენილობა დარგების მიხედვით)-ღარიბი" (გვ. 58).

ამგვარი მკვლე და უსუსური გრამატიკის პროპაგანდა ჩვენი საბჭოთა სკოლებისათვის უცხოა. განა ასეთ გრამატიკას მოითხოვს მთავრობისა და პარტიის დადგენილებები მშობლიური ენის სწავლების დარგში? ალწერითი გრამატიკა, საერთოდ კი ენობრივი მოვლენებისადმი პასიური მიდგომა ბურჟუაზიული ინდოევროპეისტიკის უმთავრესი დამახასიათებელი ნიშანთაგანია. ამიტომ ის ვერ გახდება საბჭოთა სასკოლო გრამატიკის დასაყრდენი. ფრიდიხ ენგელსი წერდა: „დედაენის მასალა და ფორმა" მხოლოდ იმ შემთხვევაშია გასაგები, თუ მათი წარმოშობა და თანადათანობითი განვითარება გავითვალისწინეთ, ეს კი შეუძლებელია, ერთი მხრივ, დედაენის საკუთარი გარდაცვლილი ფორმების შეუსწავლელად. ხოლო მეორე მხრივ. მონათესავე ცოცხალი და მკვდარი ენების გაუცნობლად. მაგრამ ამ ასპარეზზე გადასვლაც გადაჭრით აკრძალულია დიურინგის მიერ. იგი თავისი სკოლის გეგმიდან შლის მთელ თანამედროვე ისტორიულ გრამატიკას და ამგვარად ენის სწავლების დარგში ალარაფერი რჩება გარდა ძველი ფრანკული, სავსებითი ძველი კლასიკური ფილოლოგიის სტილზე შეკოწიწებული ტექნიკური გრამატიკისა მთელი მისი ჯაზუისტიკითა და თვითნებობით, რომელიც ისტორიული საფუძვლის უქონლობიდან გამომდინარეობს" (ენგელსი, ანტი-დიურინგი; ქართ. გამოც. გვ. 373—74). როგორც ვხედავთ ენგელსი კატეგორიული წინააღმდეგია ისეთი სასკოლო გრამატიკისა, რომელიც არ ითვალისწინებს დედაენის ისტორიას, მის განვითარების დიალექტიკურ პროცესს. მაშასადამე, შემცდარი და მიუღებელია პრაქტიკული სასკოლო გრამატიკის ჩიქობავასებური ინტერპრეტაცია.

ყველა გრამატიკა მეცნიერული უნდა იყოს, სპეციალური გამოკვლევაა ის თუ სახელმძღვანელო; მათ-

ტულ-ლენინურ განსაზღვრას. მისი აზრით: „ენა არის აზროვნების იარაღი და გაგებინების საშუალება; სხვანაირად რომ ვთქვათ, ენას ორი ძირითადი ფუნქცია აქვს: ექსპრესიული და საკომუნიკაციო... ენა ეწოდება გაგებინების ყოველგვარ საშუალებას“ (§§ 2, 12). ენის ამგვარი განსაზღვრა არ არის ზუსტი და ამდენად უმართებულოა.

ეს განმარტება ვერ გადმოგვცემს ენის ყველაზე არსებით მხარეს. ენის ცნება ფართოა. ახალი ენათმეცნიერება მარქს-ენგელს-ლენინთან ერთად მას სხვანაირად განსაზღვრავს. მატერიალისტური დიალექტიკის ფუძემდებლები „გერმანულ იდეოლოგიაში“ წერდენ: „ენა ისევე ძველია,როგორც ცნობიერება; ენა არის პრაქტიკული, სხვა ადამიანებისათვისაც არსებული, და მხოლოდ მით თვითონ ჩემთვისაც არსებული რეალური ცნობიერება, და, ცნობიერების მსგავსად, ენა წარმოიშობა სხვა ადამიანებთან ურთიერთობის მოთხოვნილებების, გადაუდებელი საჭიროების გამო“.

მაშასადამე, მარქს-ენგელსის განსაზღვრით ენა პრაქტიკული რეალური ცნობიერება არის; ესაა ენის პირველი ნიშანდობილი მხარე. მაგრამ მარტო ამით არ ამოიწურება მისი ბუნება, ენას სხვა ნიშანდობლიობაც გააჩნია. ლენინი შესანიშნავად ახასიათებს ამას: „ენა ადამიანთა ურთიერთობის უმნიშვნელოვანესი საშუალება არის“ (Язык есть важнейшее средство человеческого общения; ლენინი, თხზ. მე-17 ტ. მე-2 რუს. გამოც., გვ. 428). ლენინმა განავითარა მარქს-ენგელსისეული განმარტება: „აზრის ისტორია = ენის ისტორია“ (История Мысли = История Языка). ნ. მარრის მოძღვრება ბრწყინვალე დადასტურებაა მარქს-ენგელს-ლენინის ამ დებულებათა სრული ჭეშმარიტებისა.

4. აეტორი ერთმანეთისაგან არ ანსხვავებს მეცნიერულ გრამატიკასა და ენათმეცნიერებას (§ 2ა). სიტყვის ფორმალისტური ანალიზიდან გამომდინარე მეცნიერული გრამატიკის დარგებათ ასახელებს: ფონეტიკას, მორფოლოგიას, სემასიოლოგიას, ეტიმოლოგიას და სტილისტიკას (გვ. 54). თითოეული მათგანი სიტყვის რომელიმე მხარეს შეისწავლის; მაგ. მორფოლოგია ეხება მხოლოდ სიტყვის ფორმალ ნაწილებს, სემასიოლოგია კი მნიშვნელობის შემცველ აფიქსებს; საერთოდ ორთავე ერთმანეთისაგან მოწყვეტილი და დაშორებულია.

ერთი შეხედვით პროფ. ა. ჩიქობავა წინააღმდეგია ასეთი გათიშულობისა, თითქო მათ ერთმანეთთან დაკავშირებასაც მოითხოვს, მაგრამ როდესაც ჯერი მიდგება კონკრეტულ საქმეზე, აფიქსთა კვლევაზე, მაშინ იგი კლავე ფორმალისტურ გზას ადგება.

შორის განსხვავება შეიძლება მოცულობასა და გადმოცემის ფორმაში იყოს და არა თვალსაზრისსა და მეთოდში.

5. შემდეგი ერთი უმნიშვნელოვანესი პრობლემათაგანი, რომელიც არასწორად აქვს გაშუქებული ავტორს—ენის წარმოშობის საკითხია. ამ საკითხს დიდი ხნის ისტორია აქვს. მისი წარსულის შესწავლა საენათმეცნიერო აზროვნების განვითარების შესწავლასაც ნიშნავს. ენის წარმოშობის საკითხი ინდოევროპეისტიკაში მოხსნილია. ბურეუაზიული ლინგვისტიკის მესვეურები მას ენათმეცნიერების პრობლემად არ თვლიან.

იყო დრო, როცა ამ სახელმძღვანელოს ავტორიც უარყოფდა ენის წარმოშობის საკითხის ენათმეცნიერების საგნათ მიჩნევას; აქ კი ის ძველ დებულებას ემიჯნება. ეს წინ გადადგმული ნაბიჯი არის და უნდა მივესალმოთ.

მაგრამ ავტორისათვის ჯერ კიდევ არ არის ცხადი მატერიალისტური ლინგვისტიკის მონაპოვარი. მართალია, ენის წარმოშობის საკითხი მიჩნეულია ენათმეცნიერების ერთ-ერთ ძირითად საკვლევ პრობლემად (§ § 1,15), მაგრამ რა სახითა და მოცულობით? საკითხის დეტალური განხილვა გვიჩვენებს, რომ ავტორი ენის წარმოშობაში მხოლოდ ბგერით მეტყველებას გულისხმობს (§ 2), ხოლო მის წინა სტადიას უარყოფს და საკვლევ ობიექტთა სიიდან რიცხავს (§ 15). საერთოდ ავტორი ჯერ კიდევ ვერ დარწმუნებულა, რომ ამ საკითხის გადაჭრას მეცნიერება ოდესმე შესძლებს. „ენის წარმოშობის საკითხი დოკუმენტალური სიზუსტით ალბათ არასოდეს გაირკვევა“ (§ 15, გვ. 33), წერს ის. დღეს ძირითადად ეს საკითხი მეცნიერების მიერ გადაჭრილია. მაშასადამე, ამის საბუთებიც ყოფილა. მაგრამ რა დოკუმენტებია ეს? ესაა მატერიალური კულტურის ნაშთები, ანთროპოლოგიის, ეთნოლოგიის, ფსიქოლოგიის, ლოგოგონიისა და ენობრივი მოვლენების ბრწყინვალე მოწმობები. რატომ უნდა ავტორი ყველა ამას გვერდს?!

სახელმძღვანელოს ავტორის აზრით: „პირველი მეტყველება იყო ბგერითი მეტყველება“ (§ 15, გვ. 34). ეს დებულება სწორი არ არის. უფრო მეტიც, ის ისტორიულ სინამდვილეს ეწინააღმდეგება. ადამიანს მეტყველება დანაწევრებული ბგერებით არ დაუწყია. დიდი შრომა დასჭირდა ადამიანს, სანამ ის ხმიერ მეტყველებას შეიძლებდა და დანაწევრებულ ბგერებს დაეუფლებოდა. ენა მან შექმნა შრომით პროცესში და თავდაპირველად იგი არ იყო ხმიერი. მეტყველების პირველი სტადია—

კინეტიკური მეტყველება, ანუ როგორც მარრი უწოდებს ხელის ენა იყო.

მართალია, ფრიდრიხ ენგელსი არ ლაპარაკობს სპეციალურად ხელის ენის შესახებ, მაგრამ მას აქვს შესანიშნავი მითითება, რომლიდანაც უთუოდ ისეთი დასკვნა გამომდინარეობს, როგორიც ახალმა ენათმეცნიერებამ გამოიტანა. ფრიდრიხ ენგელსი წერს: „ის ცოტაოდენი რამ, რაც გადასაცემი აქვს ერთი-მეორისათვის ყველაზე უფრო განვითარებულ ცხოველებს, შეუძლიათ გადასცენ დანაწევრებული მეტყველების გარეშე“ (შრომის როლი...). რის საშუალებით გადასცემენ ეს ცხოველები და ფრინველები თავიანთ შეგრძნებებს ერთიმეორეს? პირველყოვლისა სხეულის მოძრაობით, ჟესტ-მიმიკით, და მასთან ერთად დიფუზური ამოძახილებით. გაიარა თუ არა ადამიანმა ასეთი ცხოველური მდგომარეობა? დიახ, უეჭველად გაიარა. „სცხოვრობდა ადამიანის მსგავსი მაიმუნთა ჯიში, რომელსაც მიეღწია განვითარების მეტად მაღალი საფეხურისათვის...“ (ენგელსი, იქვე). ადამიანის მსგავს მაიმუნს, როგორც ენგელსი თავის შესანიშნავ მსჯელობით გვიჩვენებს, მეტყველება შრომის ხანგრძლივ პროცესში გამოუმუშავდა. შრომამ შექმნა ხმიერი მეტყველება. მაგრამ საკითხი ისმის, სანამ გაადამიანურების გზაზე მდგომი მაიმუნი დანაწევრებულ მეტყველებას შეიმუშავებდა, ექნებოდა თუ არა მას რაიმე სათქმელი თავისი ჯგუფის წევრებისათვის? აშკარაა, რომ ექნებოდა. და ამას ის ჟესტ-მიმიკის დახმარებით ასრულებდა. ადამიანის მსგავსი მაიმუნები გაადამიანურების პროცესში „მივიდნენ იქამდის, რომ იგრძნეს საჭიროება ეთქვათ რაიმე ერთიმეორისათვის“ (იქვე). ამ ნიადაგზე „მაიმუნის განუვითარებელი ყელი ნელა, მაგრამ სისწორით გადამუშავდა... და მეტყველების ორგანოები თანდათან შეეჩვიენ დანაწევრებულ ბგერათა გამოთქმას“ (ენგელსი, იქვე). მაშასადამე, ენგელსის მიხედვით გაადამიანურების გზაზე მდგომი მაიმუნი ვერ ლაპარაკობს; მას არ აქვს დანაწევრებულ ბგერათა წარმოთქმის უნარი. მიუხედავად ამისა ის მეტყველებს თავის საზოგადოებაში, მაგრამ არა ბგერითი ენით, არამედ ჟესტ-მიმიკით.

პირველყოფილ ადამიანის ცხოვრებაში უდიდეს როლს სხვა ორგანოებთან შედარებით ხელი ასრულებს. ხელი არის ადამიანის პირველი საწარმოო იარაღი. ამიტომ სრულიად ბუნებრივია, რომ კინეტიკურ მეტყველებაში მთავარ როლს ხელი ასრულებს. რამდენად ხანგრძლივი იყო გაადამიანურებისა და პირველყოფილობის პერიოდი? ენგელსი პირდაპირ ამბობს, რომ ეს უნდა მომხდარიყო „ასათასი წლების განმავლობაში“, რომ ამ ხნის პერიოდში „უნდა გა-

ველო იმდენ დროს, რომელთან შედარებით უმნიშვნელოა მთელი ისტორიული ხანა, რომელსაც ჩვენ ვიცნობთ" (ენგელსი იქვე). აქედან ძნელი მისახვედრი არ არის, თუ რა დიდი ხნის განმავლობაში მეტყველებდა ადამიანი ხელის ენით.

ხელის ენიდან გამორიცხული არ არის ბგერითი ამოძახილების თანაარსებობა, მაგრამ მეტყველების მთავარ ორგანოს ხელი შეადგენს და არა სახმო ორგანოები.

აკად. ნ. მარრმა გაარღმავა მარქს-ენგელსის მითითებები და კონკრეტული ენობრივი მასალებით დაადასტურა ხმიერი მეტყველების წინა პერიოდის—კინეტიკური მეტყველების არსებობა. „ხელი კაცობრიობის ენობრივი ცხოვრების ცენტრშია, ისე, როგორც წარმოების ცენტრში—მის შრომით ცხოვრებაში" (მარრი, Яфетическая теория, გვ. 94—95). „ხაზობრივი მეტყველება, ხმიერზე წინ არსებული, აფექტების ენა კი არაა, არამედ გამოხატვის, სიმბოლოური..." (მარრი, К вопросу о перв. мышлении... გვ. 135).

როგორც ვხედავთ მარრის მითითება სავსებით გამომდინარეობს ენგელსის დებულებებიდან და არავითარ შემთხვევაში მას არ ეწინააღმდეგება. ჩვენი ავტორი საქმის შინაარსს კი სხვანაირად წარმოადგენს: ის ცდილობს მარრი დაუპირდაპიროს ენგელსს სწორედ იმ საკითხებში, სადაც მარრის შეხედულებები მთლიანად ემთხვევიან მას. ავტორი დაუსაბუთებლად წერს: „რაც შეეხება ხელის ენის პირველობის საკითხს, უნდა აღინიშნოს, რომ ამ ჟამადაც მის საწინააღმდეგოთ მეტი საბუთები არსებობს, ვინემ მის სასარგებლოთ" (§ 15, გვ. 34). როგორია ეს საბუთები? რათ არ ძიგვითითებს ავტორი? ხელის ენით სასარგებლოდ, როგორც ვნახეთ საქმაოდ ავტორიტეტული არგუმენტები გაგვაჩნია, მაგრამ ავტორს მათ საწინააღმდეგოთ დამარწმუნებელი საბუთები კი არ მოყავს.

ხელის ენა ბურჟუაზიულმა მეცნიერებმაც შენიშნეს (ვუნდტი, ლევიბრული...), მაგრამ მათთვის გაუგებარი დარჩა მისი არსი. მარრმა მატერიალისტური დიალექტიკის დაუფლებით ბრწყინვალედ ახსნა ადრე შენიშნული ენობრივი მოვლენები და ამით მარქსიზმის კონკრეტიზაცია მოგვცა ენათმეცნიერებაში.

ნ. წიგნის ავტორისათვის გაუგებარი არის ენათა შემოქმედების გლოტოგონიური პროცესი. მისი აზრით: „მონათესავე ენები ერთი ენიდან მომდინარეობენ, ერთი ენის დიფერენციაციას წარმოადგენენ" (§ 13, გვ. 98; ხაზი ავტორისაა). აქედან აშკარაა, რომ თითოეულ ოჯახს თავისი პრაენა აქვს, რომელსაც ავტორი „ფუძე-ენას" უწოდებს (გვ. 98). ასე მაგალითად: „ინდოევ-

როპული ენები – ინდოევროპულ წინარე ენიდან მომდინარეობენ, სემიტური ენები – სემიტური წინარე ენიდან, ურალტურ-ალტაური ენები – სათანადო წინარე ენიდან" (გვ. 97). აქ მთელი ინდოევროპეისტული, იაფეტური ენათმეცნიერებისაგან მრავალ გზით განადგურებული, პირამიდაა მოცემული. ერთი ენა არის მრავალ ენათა დასაბამი. ენათა განვითარება მცირე რიცხოვნობიდან მრავალ რიცხოვნობისაკენ მიდის—ასეთია წმინდა წყლის იდეალისტური კონცეპცია. ჩვენი ავტორი ამითაც არ კმაყოფილდება, მისი აზრით ენათშემოქმედების ეს კანონი თურმე დღესაც მოქმედობს, „ენათა რიცხვი კი არ კლებულობს, მატულობს" (გვ. 100).

ახალი მოძღვრება ენის შესახებ აცამტვერებს ტრადიციული ენათმეცნიერების იდეალისტურ თეორიას. ენათშემოქმედება არა ერთი ენით იწყება, არამედ მრავალით, პირამიდა წვერით კი არ დგას, არამედ ფუძით. მრავალი ენიდან ერთი საკაცობრიო ენისაკენ—ასეთია განვითარების დიალექტიკა. ასეთია ენის დიალექტიკა მარქსიზმ-ლენინიზმის გენიალური გამგრძელებლის ამხ. სტალინის აზრით, და ასეთივეა ნ. მარრის ახსნა.

ამის დასამტკიცებლად მრავალი ამონაწერის მოყვანა შეგვეძლო მარქსიზმის კლასიკოსებიდან, მაგრამ ეფიქრობთ, საკითხი იმდენად ცნობილია, რომ ეს არ არის საჭირო.

წიგნის ავტორი თავის თავს ეწინააღმდეგება ენათა განვითარების პროცესის ახსნაში. ერთი მხრით, ის გამოსავალ წერტილად ერთ ენას ღებს, მისი დიფერენციაციით მრავალი ენები იქმნება და რომელთა რიცხვი დღესაც მატულობს; ხოლო მეორე მხრით, მოყავს, რა ამბ. სტალინის ცნობილი შეხედულება, ეთანხმება მარრს მომავალი ერთი საკაცობრიო ენის შექმნის აუცილებლობაში (§ 11). როგორც ვხედავთ ახსნა წინააღმდეგობრივია, ან მრავალი ენიდან ერთი ენისაკენ (ფუძეზე მდგომი პირამიდა), ანდა, ერთი ენიდან მრავალი ენებისაკენ (წვერით მდგომი პირამიდა)! ორში ერთია მართალი. განვითარების მესამე ხაზი შეუძლებელია არსებულიყო, ე. ი. არ არსებობდა გზა ერთი ენიდან მრავალის გაგლით, ისევ ერთი ენისაკენ. მატერიალისტური დიალექტიკა გვიმტკიცებს, რომ მსოფლიო ენებმა განვითარების პირველი გზა გაიარეს, მაშასადამე, სხვაგვარი ახსნა ახალი ენათმეცნიერებისათვის მიუღებელია.

7. ამ უკანასკნელ საკითხთან მჭიდროდ დაკავშირებულია მსოფლიოს ენების ოჯახებათ დაყოფა, რომელიც ნათესაობის პრინციპს ემყარება (§ 44). რა არის ნათესაობა? „ორი ენათა ძირებისა და აგებულობის ისეთ მსგავსებაზე მიუთითებს, რომ-

ლიც საერთო წარმომავლობას მოწმობს“ (გვ. 99). აქედან აშკარად გამომდინარეობს, რომ პრაენიდან გამოსული ენები ერთმანეთთან ნათესაობაში იმყოფებიან; რადგანაც ამ პრაენაზე პრაერი ლაპარაკობდა რომელიღაც პრასამშობლოში!.. ავტორი ერთი მხრით, უარყოფს ანთროპოლოგიურ და ბიოლოგიურ ნათესაობას, ხოლო მეორე მხრით, ობიექტურად მას იცავს და ამტკიცებს.

პროფ. ჩიქობავა გვაცნობს, რომ თითქო იაფეტიდოლოგია უარუყოფს ენათა ნათესაობას (გვ. 1000). ეს სწორი არ არის. მართალია, ნ. მარრი უარყოფს ენათა სისხლით ნათესაობას, რომელიც ინდოევროპეისტიკამ შეიმუშავა, ე. ი. ერთი ენიდან ჩამომავლობით ნათესაობასა და მსგავსებას; მაგრამ საერთოდ ნ. მარრს არსად არ უარყვია ენათა ნათესაობა, პირიქით, ის ენათა ნათესაობას ღებულობს, მაგრამ არა მეიე-სოსიურისებური გაგებით. როგორ ხსნის მარრი ამას? „ნათესაობა—სოციალური მსგავსებაა, უნათესაობა—სოციალური განსხვავება“ (родство—социальное схождение, неродство—социальное разсхождение; ნ. მარრი, Почему так трудно стать лингвистом—теоретиком, გვ. 2).

ენის ახალი მოძღვრება მარქსიზმის მომარჯვებით ანადგურებს ბურჟუაზიული ინდოევროპეისტიკის ბიოლოგიურ და ანთროპოლოგიურ ახსნას ენათა ნათესაობის შესახებ „ენათა ნათესაობა გამომდინარეობს არა სისხლით ნათესაობიდან და არა წარმოშობით ერთი წყაროდან, არამედ საზოგადოებრივ და სამეურნეო ცხოვრების გაერთიანებიდან“ (მარრი, Значение изуч. нацменшинства, გვ. 15). იაფეტურმა პალეონტოლოგიამ არა ერთი გზით დაამტკიცა, რომ ნათესაობა არ არის თავდაპირველი მოვლენა, არამედ ის საზოგადოებრივი განვითარების განსაზღვრულ საფეხურზე წარმოიშობა.

8. ავტორი შემცდარ შეხედულებას ანვითარებს აგრეთვე ენათა კლასიფიკაციის საკითხში. ჩამოთვლის და ახასიათებს რა, აქამდე არსებულ კლასიფიკაციებს (მე-4 და მე-5 ე თავები, გვერდი 91—110). არა მართებულად აფასებს, როგორც მორფოლოგიურ, ისე გერიალოგიურ კლასიფიკაციებს. მისი აზრით: „... ენათა მორფოლოგიური კლასიფიკაცია შესაძლებელიცაა და საჭიროც“ (§ 41). მარქსისტული ენათმეცნიერება არ ღებულობს არც მორფოლოგიურ (რომელიც მხოლოდ ენაის ფორმებს ემყარება) და არც გენეალოგიურ (რომელიც პრაენიდან გამომდინარე ნათესაობას ემყარება) კლასიფიკაციებს.

ახალი ენათმეცნიერებისათვის მიუღებელია ისეთი კლასიფიკაცია, რომელიც არითვალისწინებს გლო-

ტოგონიურ პროცესს და არ იძლევა ენის სტადიალური განვითარების დახასიათებას. აკად. ნ. მარრმა დაანგრია ძველი ენათმეცნიერება, უარყო ტრადიციული კლასიფიკაცია და მის ნაცვლად შემოიღო ახალი სტადიალური კლასიფიკაცია და ენების სისტემებად დაყოფა ოჯახების ნაცვლად.

აქ არ გამოუდგებით ინდოევროპეისტიკულ კლასიფიკაციების კრიტიკას. ავტორის დებულებათა პარალელურად შეიძლება მოვიყვანოთ მეიეს, ვანდრიესისა და იესპერსენის აზრებიც, მაგრამ იგი ამ შემთხვევაში საჭირო არ არის. მრავალ ფაქტებთან ერთად ინდოევროპეისტულ კლასიფიკაციათა საწინააღმდეგოთ ისიც ლაპარაკობს, რომ ერთსა და იმავე ენაში შესაძლებელია ვიპოვოთ, როგორც ფლექსიურობა, ისე აგლუტინაციურობა, ანდა პოლისინთეტიურობა და ფლექსიურობა.

9. ზოგიერთ კერძო საკითხების ახსნაშიც ვერ დაეთანხმებით ავტორს. მაგალითად, ავიღოთ ჰანური ენის შეფასება. ის წერს: „ხშირად ჰანური და მეგრული ცალკე ენებათ მიაჩნიათ, შეცდომაა; ჰანური და მეგრული ისე ახლო დგას ერთმანეთთან, როგორც მაგალითად, ხევსურული და გურული, როგორც ეს ორი უკანასკნელი ვერ ჩაითვლება ცალკე ენებად, ისე ჰანური და მეგრული, ჰანური და მეგრული ორი კილოა ერთი ენისა, როგორც ხევსურული და გურული ქართული ენის კილო“ (§ 45, გვ. 104). ჰანურისა და მეგრულის ერთი ენის დიალექტებად გამოცხადება არ არის ჩვენი ავტორის ორიგინალური აზრი. ასეთივე მოსაზრება გამოსთქვა პროფ. ა. შანიძემაც: „საკუთრივ მეგრული და ჰანური ერთურთის მიმართ კილოებია და არა დამოუკიდებელი ენები“ (კრებ., წელიწდეული. გვ. 2; შენიშვ. დაყოფა ავტორისაა).

პროფ. ა. ჩიქობავა ამ საკითხში მართალი არ არის. ჰანური და მეგრული დამოუკიდებელი ენები არიან, ისე, როგორც სვანური და ქართული. მეგრულის დიალექტად მიჩნევა ძველი ამბავია და მეცნიერულმა კვლევამ საწინააღმდეგო დაამტკიცა (იხ. ნ. მარრი, მეგრული ენა; ი. ყიფშიძე, (Грамм. Минг. Языка). ასევე უსაფუძვლოა ჰანურის დიალექტად მიჩნევა. ენობრივი სინამდვილე სულ სხვას გვეუბნება, აკად. ხ. მარრის შესანიშნავი შრომის „ჰანური ენის გრამატიკის“ (რუს.) შემდეგ მაინც ცხადი უნდა ყოფილიყო, რომ ჰანური ცალკე ენაა და არა დიალექტი.

მიუხედავად ზემოდ აღნიშნულ მთავარ შეცდომებისა და იმ მცდარ და ბუნდოვან ადგილებისა, რომლებიც აქ არ გაგვიხილავს, ეს შრომა კრიტიკული მიდგომით დაეხმარება ჩვენ სტუდენტობას ზოგადი ენათმეცნიერების კურსის შეთვისებაში.

სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა

12/X 1935 წ. ტფილისი.

ავტორის წინასიტყვაობა

„ზოგადი ენათმეცნიერების“ პროპედევტიკული ნაწილი მიზნად ისახავს წარმოგვიდგინოს ენათმეცნიერების **ძირითად** ცნებათა **სის-ტემატური ანალიზი,** რაც შეიძლება **მარტივი** სახით.

„ენათმეცნიერების შესავლის“ გავრცელებულ რუსულ და გერმანულ სახელმძღვანელოთაგან (როგორიცაა, მაგ., უშაკოვის, პორეზინსკის, ტომსონის, კნაუერის და სხვ. ნაშრომები) იგი განსხვავდება ფუძემდებელი თეორიული პრინციპების მიხედვითაც და სპეციალურ პრობლემათა გაგებაშიაც; მთავარია აქ შემდეგი:

1. მეცნიერული გრამატიკა მოიცავს ყველაფერს, რაც ამა თუ იმ კონკრეტული ენის მეცნიერული ანალიზის შედეგად მიიღება, და ამიტომ მეცნიერული გრამატიკის ნაწილებად არის დასახული ფონეტიკა-მორფოლოგია-სინტაქსის გარდა სემასიოლოგია (ლექსიკოლოგიითურთ!), ეტიმოლოგია, სტილისტიკა; მეცნიერული გრამატიკა კონკრეტული ანუ კერძო ენათმეცნიერებაა და ზოგად ენათმეცნიერებას უპირისპირდება. მეცნიერული გრამატიკის ასეთი გაგება უარყოფაა ფორმალისტური კონცეფციისა, რომლის თანახმადაც მეცნიერული გრამატიკა მხოლოდ ფორმას შეისწავლის და ამისდა კვალად მორფოლოგიისა და სინტაქსისაგან შედგება.

2. სემასიოლოგიის ძირითადი საკითხის გარკვევისას („რა არის სიტყვის მნიშვნელობა?“) ავტორი შეეცადა სემასიოლოგიური ფაქტების ანალიზის საფუძველზე ცხადეყო, რომ სიტყვის მნიშვნელობას განსაზღვრავს ობიექტური ვითარება, რეალური კონტექსტი და არა „წარმოდგენები;“ „წარმოდგენათა თეორიის“ კრიტიკისას გამოყენებულია თანამედროვე აზროვნების-ფსიქოლოგიის ჩვენება ამ მხრივ.

3. ლექსიკოლოგია წარმოდგენილია შინაგან კავშირში სემასიოლოგიასთან, რამდენადაც ამა თუ იმ ენის არაისტორიული ლექსიკონი ამ ენის სტატიკურ სემასიოლოგიას უდრის.

4. ფუძეთა წარმოება მიჩნეულია სემასიოლოგიის (და არა მორფოლოგიის) საგნად.

5. სიტყვის ანალიზისას ამოსავლად მნიშვნელობა გვაქვს გამოყენებული.

ყველა ამ შემთხვევაში მეტ-ნაკლებად ვშორდებით გაბატონებულ ტრადიციას, მაგრამ ამას მოითხოვს **სანათმეცნიერო კვლევის პრაქტიკა**, და ეს კი ჩვენთვის გადამწყვეტი მნიშვნელობისაა.

ავტორი ცდილობდა ყველა არსებითი მომენტის შესახებ მკითხველისთვის მიეწოდებინა არა მარტო მიუცილებელი **ფაქტური მასალა**, არამედ წინ წამოეწია **პრინციპული მხარე**, თეორიული საფუძვლები. ამის ნიმუშია § 49 („მორფოლოგიური და სემასიოლოგიური მომენტების ურთიერთობა სიტყვაში"), § 64 („შესიტყვების აგებულება და შესიტყვების მნიშვნელობა")... შეიძლება პროპედევტიკის სახელმძღვანელოსათვის ეს მძიმედ გვეჩვენოს, მაგრამ ავტორი ფიქრობდა, რომ, ჯერ-ერთი, უმაღლესმა სასწავლებელმა მსმენელს უნდა მიაწოდოს არა მხოლოდ გარკვეული ოდენობის მზა-მზარეული მასალა, არამედ, რაც მთავარია, უნდა ასწავლოს მ ე ც ნ ი ე რ უ ლ ი ა ზ რ ო ვ ნ ე ბ ა და, მეორეცაა და, პედაგოგიური თვალსაზრისითაც უფრო ადვილია სისტემატურად დალაგებული რთული საკითხის დაძლევა, ვინემ უფრო მარტივ მსჯელობაში გარკვევა, როცა ეს მსჯელობა სისტემატურობას მოკლებულია. ავტორი მაინც ცდილობდა მაქსიმალური სიმარტივე დაეცვა თვით ამგვარი რთული საკითხების განხილვისას.

„ზოგადი ენათმეცნიერების" სახელმძღვანელოებში ფონეტიკას საპატიო ადგილი ეთმობა (ტომსონის „ზოგად ენათმეცნიერებაში" ფონეტიკა ცენტრალური მნიშვნელობისაა!); წინამდებარე სახელმძღვანელოს აკლია ფონეტიკური ნაწილი: ფონეტიკის სახელმძღვანელო (სხვა ავტორისა) ცალკე გამოვა.

რაც შეეხება ძირითად ფუძემდებელ საკითხებს, ავტორი შეგნებულად ემყარებოდა დიალექტიკური მატერიალიზმის პრინციპებს და ცდილობდა მეცნიერული კეთილსინდისიერებითა და პასუხისმგებლობის სრული შეგნებით ცხადეყო ამ პრინციპების შემეცნებითი ძალა ძირითად თეორიულ საკითხთა გაშუქებისას (იხ. §§ 11, 12, 13, 14, 15).

ფაქტური მასალის შერჩევისას გამოყენებული გვაქვს უმთავრესად „დედამიწის ენები" (ფრანგ.), ვ. შმიდტის „ერათა ოჯახები და წრეები" (გერმ.)... და ო. იესპერსენის „ენა, მისი ბუნება, განვითარება"... (გერმ.).

კავკასია ენათა ლაბორატორიაა; მატერიალისტური დიალექტიკის პრინციპებზე დაფუძნებულ ენათმეცნიერებას აქ დიდი მომავალი აქვს, შესაფერისად დიდია ის პასუხისმგებლობაც, რომელიც ენათმეცნიერებას აწევს. საბჭოთა ახალგაზრდობა ძლიერ ინტერესს იჩენს ენათმეცნიერული აზროვნებისადმი. უმოკლეს ხანში შეიძლება და უნდა შეიქმნეს

ჩვენში ახალგაზრდა მკვლევართა, საბჭოთა ენათმეცნიერთა, მრავალრიცხოვანი კადრები. ვფიქრობ, ზოგადი ენათმეცნიერების ეს ელემენტარული ნაწილი ერთგვარ დახმარებას გაუწევს ამ ახალგაზრდობას მით უფრო, რომ არც ქართულად და არც რუსულად არ მოიპოება სათანადო სახელმძღვანელო.

ზოგადი ენათმეცნიერების მეორე, ძირითადი, ნაწილი განეკუთვნება თანამედროვე ენათმეცნიერების აქტუალურ პრობლემებს: იგულისხმება შემდეგი საკითხები: 1. ენის სოციალური და ინდივიდუალისტული კონცეფციები; 2. სოციალურისა და კლასობრივი მომენტების ურთიერთობა ენაში; 3. ენის სპეციფიკის საკითხი; 4. მეტყველება და აზროვნება; 5. ენის წარმოშობა და ხელის ენის საკითხი; 6. შინაგანი ფორმის პრობლემა; 7. ნარევი ენის საკითხი; 8. იაფეტიდოლოგია მის მიმართებაში ინდოევროპეისტიკასთან და მარქსიზმთან; 9. მარქსიზმის კლასიკოსები ენათმეცნიერებისა და ენის შესახებ; 10. ენათმეცნიერების თეორიული საკითხები თანამედროვე ფსიქოლოგიასა და ფილოსოფიაში.

I. ენათმეცნიერება და ენა

§ 1. მეცნიერული გრამატიკა და ზოგადი ენათმეცნიერება. საენათმეცნიერო ნაკვლევი შეიძლება ეხებოდეს ან ცალკე ენას (მთელს ენას თუ მის კერძოობითს მოვლენას) ანდა ისეთს საკითხებს, რომელთაც მნიშვნელობა აქვს ყოველი ენის შესწავლისათვის.

პირველ შემთხვევაში შესწავლის შედეგად მივიღებთ სათანადო ენის **მეცნიერულს გრამატიკას**[1]: მთელს გრამატიკას ან ერთ-ერთ ნაწილს ანდა მონოგრაფიულ გამოკვლევას ცალკე საკითხის შესახებ; მეორე შემთხვევაში საენათმეცნიერო კვლევის შედეგად **ზოგად ენათმეცნიერებას** ვიღებთ.

მეცნიერული გრამატიკა შეიძლება იყოს იმდენი, რამდენიც არის ენა, ზოგადი ენათმეცნიერება კი შეიძლება იყოს ერთი. ზოგადი ენათმეცნიერების საგანია **ენისა** და **ენათმეცნიერების ძირითადი პრინციპული საკითხები**; სახელდობრ: რა არის ენა (ენის დანიშნულება, ენა და აზროვნება, ენა და საზოგადოება, ენა და კლასი); როგორ ვითარდება ენა; როგორ წარმოიშვა ენა... რა დარგებია ენათმეცნიერებაში და რა კავშირია ამ დარგებს შორის (ენათმეცნიერების აგებულების საკითხი); რა სპეციალურ ხერხებს იყენებს ენათმეცნიერება ენობრივი მოვლენის ანალიზისათვის; რა კავშირია ენათმეცნიერებასა და მოსაზღვრე მეცნიერებებს შორის...

აქ წარმოდგენილია ზოგადი ენათმეცნიერების პროპედევტიკული[2] კურსი. მისი დანიშნულებაა მოგვცეს ზოგადი ენათმეცნიერების ძირითად ცნებათა სისტემატური ანალიზი და მით, ერთის მხრით, უფრო ღრმად ჩაგვახედოს იმ მოვლენათა ბუნებაში, რომელთაც ცალკე ენის შესწავლისას ვეცნობით და, მეორე მხრით, შეგვაძლებინოს ზოგადი ენათმეცნიერების სისტემებში გარკვევა. ენა და ენათმეცნიერება—ამ ორი ცნების გარშემო გაიშლება მსჯელობა, და ეს ცნებები მისცემენ ამ მსჯელობას სისტემატურ ხასიათს.

---

[1] შედარებითი გრამატიკაც ცალკეულ ენათა შესწავლის ნაადგზე მიიღება

[2] „პროპედევტიკა" ბერძნული სიტყვაა და ნიშნავს „წინასწარს, შესამზადებელს სწავლას".

ზოგადი ენათმეცნიერება და მეცნიერული გრამატიკები— ესაა ენათმეცნიერება, როგორც მეცნიერება ენის შესახებ. ერთი შენიშვნა: ენათმეცნიერება არ არის სხვადასხვა ენის პრაქტიკული ცოდნა: მრავალ ენაზე მოლაპარაკე ადამიანი მ ხ ო ლ ო დ ა მ ი ტ ო მ ისევე არ იქნება ენათმეცნიერი, როგორც მშვენიერად მომღერალი ადამიანი მ ხ ო ლ ო დ ა მ ი ს გ ა მ ო მუსიკოსად ვერ მიიჩნევა.

§ 2. **რა არის ენა?** ზოგადი ენათმეცნიერების პირველი საკითხია: რა არის ენა? ამ კითხვით უნდა დავიწყოთ ჩვენც. **ზ ო გ ა დ ი პ ა ს უ ხ ი** ამ კითხვაზე იქნებოდა: ენა არის აზროვნების იარაღი და გაგებინების საშუალება; სხვანაირად რომ ვთქვათ, ენას ორი ძირითადი ფუნქცია აქვს: **ე ქ ს პ რ ე ს ი უ ლ ი** და **ს ა კ ო მ უ ნ ი კ ა ც ი ო.** „აზროვნების იარაღად“, რომ ვამბობთ, ამას დაზუსტება ესაჭიროება: ენა მხოლოდ აზრებს კი არ გადმოგვცემს, ისაა აგრეთვე გრძნობებისა და საერთოდ, მთელი ფსიქიკური განწყობის ჩამომსახავი საშუალება და მაინც: მოლაპარაკე ადამიანის აზრებისა და გრძნობების გამოხატვა კი არაა გადამწყვეტი შნიშვნელობისა ენისათვის, არამედ ის, რომ **ენა გაგებინების საშუალებას წარმოადგენს**; ამიტომაა, რომ ენა ეწოდება **გაგებინების** ყოველგვარ საშუალებას (და არა ყოველგვარ გამომხატველობით საშუალებას).

გაგებინების **პროცესი** გულისხმობს იმას, ვინც აგებინებს და იმას (იმათ), ვისაც აგებინებენ.

გაგებინების **საშუალებად** შეიძლება იქნას ნახმარი ბგერითი მეტყველება და **ჟესტ-მიმიკის** ენა (ხელისა და სახის მოძრაობა). ბგერითს მეტყველებას **სმენით** შევიგრძნობთ, ჟესტებსა და მიმიკას **თვალით** დავინახავთ; სხვანაირად რომ ვთქვათ: ბგერითი მეტყველება **აკუსტიკურად** შესაგრძნობია, ჟესტ-მიმიკის ენა—**ოპტიკურად** შესაგრძნობი. ამისდა მიხედვით: ჟესტ-მიმიკის ენა გაგებინების საშუალებად არ გამოდგება იქ, სადაც „მსმენელი“ „მოლაპარაკეს“ ვერ ხედავს: სიბნელეში ან მეორე ოთახში მყოფი, ანდა ზურგით მდგომი „მსმენელი“ ხელებით ნათქვამს ვერ გაიგებს; მეორე მხრივ, ყრუ მსმენელს ბგერითი ენის საშუალებით ვერაფერს გავაგებინებთ.

ამჟამად კაცობრიობას გაგებინების ძირითად საშუალებად ბგერითი ენა აქვს, მაგრამ ჟესტ-მიმიკის ენასაც მიმართავენ იმ შემთხვევაში, როცა ბგერითი ენის გამოყენება ან **ფიზიკურად შეუძლებელია** ანდა **ფიზიკურად შესაძლებელია, მაგრამ** მისი გამოყენება **მიზანშეწონილი არ არის.** ყრუ-მუნჯები მოკლებული არიან შესაძლებლობას ბგერითი ენა გამოიყენონ. შორს მანძილზე, ხლვაში თუ

ხმელეთზე, ბგერითი ენა ვერ მიწვდება იქ, სადაც თვალი წვდება: ხელის მოძრაობა, ხელში დაჭერილ საგნით ნიშნება აქ უდაო უპირატესობით სარგებლობს. დიდი ქალაქების მთავარ ქუჩებზე მოძრაობის მოწესრიგებისას მილიციელი ხელის მოძრაობას მიმართავს. რკინის გზის დარაჯები მომავალ მატარებელს ან მწვანე ან წითელი ალმით (ღამე—ფარნით) აგებინებენ, რა მდგომარეობაშია გზა. ალამი და ფარანი ასეთ შემთხვევაში ისეთივე ნიშანია, როგორც სიტყვა; გზის დარაჯს შეეძლო დაეყვირა მემანქანისათვის „გზა რიგზეა“ ანდა „გზა გაფუჭებულიაო“; მაგრამ ეს ყვირილი გაგებინების მიზანშეწონილი საშუალება არ იქნებოდა: მემანქანეს მისი გაგონება გაუჭირდებოდა მატარებლის ხმაურში. ასეთ პირობებში ოპტიკურად შესაგრძნობ ნიშანს აშკარა უპირატესობა ეკუთვნის: თვალი ჯობნის სმენას. ხელით ნიშნებას ადამიანი მიმართავს ზოგჯერ იქაც, სადაც ხმის მიწვდენა დაუბრკოლებლივ შეიძლება, მაგრამ საჭიროა ნათქვამი ყველამ არ გაიგონოს.

ხსენებულ შემთხვევათა გარდა ხელის მოძრაობას გაგებინების საშუალებად ამჟამად ფართოდ იყენებენ ავსტრალიისა და ამერიკის სხვადასხვა ენაზე მოლაპარაკე ტომები, როცა ერთმანეთს ხვდებიან; სხვაგანაც. ადძთ-წესების კარნახით შესაძლოა ბგერითი ენის ადგილი დროებით ჟესტ-მიმიკის ენამ დაიჭიროს; ჩვეულებრივად ეს დაკავშირებულია ქალის მდგომარეობასთან ქმრის ოჯახში.

ენათმეცნიერება, როგორც მეცნიერება ენის შესახებ, შეისწავლის ბგერითს ენას: ბგერითი ენაა ამჟამად კაცობრიობის ძირითადი ენა და იმიტომ ყოველი სხვაგვარი ენა, მათ შორის ჟესტ-მიმიკის ენა, მხოლოდ იმდენად არის ენათმეცნიერების შესწავლის საგანი, რამდენადაც უპირისპირდება ბგერით მეტყველებას და მნიშვნელოვანია ზოგადი „ენა“-ცნების დახასიათებისათვის.

§ 3. ცნება ენობრივი კოლექტივისა. ენა გაგებინების საშუალებაა. ვისთვის? სათანადო ენობრივი კოლექტივისათვის. ასე იწოდება ადამიანთა ის წრე, რომელიც ამა თუ იმ ენას ხმარობს გაგებინების საშუალებად.

ყველასათვის ცნობილია, რომ ქართულ ენას პირველ ყოვლისა ქართველები ხმარობენ, ესაა მათი მშობლიური ენა, საერთო ენა, ნაციონალური ენა; ასევე სომხური გაგებინების საშუალებაა—სომეხთათვის, არაბული—არაბებისათვის და სხვა. მაგრამ მეცნიერულ სიზუსტეს მოკლებული იქნება—ვთქვათ: ესა თუ ის ენა გაგებინების

საშუალებაა ამა თუ იმ ეროვნებისათვის ან ამა თუ იმ ხალხისათვის. „ხალხ“-ცნებას აკლია გარკვეულობა. რაც შეეხება ეროვნებას, ენის განსასაზღვრავად ეს ცნება არ გამოგვადგება ისტორიული გარკვევის წინა საფეხურებისათვის, როცა **ენები იყო,** მაგრამ **ეროვნებები არ არსებობდა;** თანამედროვე ვითარების მიხედვითაც „**ეროვნება**“ და „**ენა-ცნება**“ **არ ფარავენ ერთმანეთს:** ყველა ქართველმა ქართული არ იცის, გაგებინების საშუალებად ქართულს არ ან ვერ ხმარობს. მეორე მხრივ: ქართულ ენას გაგებინების საშუალებად არაქართველებიც შეიძლება ხმარობდენ. იგივე ითქმის მეტ-ნაკლებად ყოველი ენის შესახებ. დასასრულ: **ადამიანი ეკუთვნის იმდენ ენობრივ კოლექტივს, რამდენი ენაც მან იცის,** რამდენ ენასაც ის იყენებს გაგებინების საშუალებად, **ეროვნებას კი ის შეიძლება ეკუთვნოდეს მხოლოდ ერთს.**

რამდენიმე ენაზე მოლაპარაკე ადამიანი ჩვეულებრივად მხოლოდ ერთს „ენაზე აზროვნებს“: საკომუნიკაციო ფუნქცია მისთვის ყველა ენას შეიძლება თანაბარი ქონდეს, ექსპრესიული ფუნქციის მხრივ უპირატესობა ეძლევა ერთს (როგორც წესი, დედა-ენას!), მაგრამ რამდენიმე ენაზე ლაპარაკი უთუო გავლენას ახდენს დედა-ენაზე; მეორე მხრივ, გარკვეული მნიშვნელობა აქვს იმას, რამდენად გავრცელებულია ამა თუ იმ ენის ხმარება სხვა ენობრივ კოლექტივშიაც: ლათინური ენის გავრცელებამ იტალიის ფარგლებს იქით მთელს რომის იმპერიაში თავისებურად წარმართა ლათინური ენის განვითარება.

ერთი სიტყვით, რამდენიმე ენაზე მოლაპარაკე ადამიანი გავლენას ახდენს სხვის ენაზე, რომელსაც ის ლაპარაკობს, და სხვა ენები გავლენას ახდენენ მის დედა-ენაზე. ამიტომ რამდენიმე ენაზე ლაპარაკი რთული და მრავალ მხრივ საგულისხმო მოვლენაა.

§ 4. ცოცხალი და მკვდარი ენა. ენა გაგებინების საშუალებაა ამა თუ იმ ენობრივი კოლექტივისათვის; აქედან ცხადია, რომ თავის სოციალურ დანიშნულებას ენა მაშინ ასრულებს, თუ ის ხმარებაშია, თუ რომელიმე ენობრივი კოლექტივი მას იყენებს, როგორც ურთიერთობის იარაღს. ხმარებულობაში მდგომარეობს ენის სიცოცხლე: ცოცხალია ენა, თუ იხმარება; მკვდარია, თუ ხმარებიდან გამოვიდა, თუ არავითარი ენობრივი კოლექტივი არ ხმარობს მას, როგორც გაგებინების საშუალებას. ცოცხალია, მაგალ., ქართული, სომხური, რუსული, თურქული და მრავალი სხვა ამჟამად ხმარებული ენა. მკვდარია, მაგალ., ლათინური (ძველი რომის იმპერიის ენა), ძველი

აღმოსავლეთის ენები: ჭეტური (მც. აზიაში), ბაბილონური, სუმერული (ძველს შუამდინარეში)...

მკვდარი ენა შეიძლება ხელოვნურად ცოცხლობდეს რომელსამე წრეში: ამის ნიმუშია იგივე ლათინური, რომელსაც ამჟამად სმარობენ ექიმები (წამლის გამოწერისას) და აფთიაქის მუშაკები (წამლის შემზადებისას).

განვითარების პროცესში ყოველი ენა იცვლება მეტ-ნაკლებად (ამის შესახებ იხ. ქვემოთ); განვითარების წინა საფეხური „მკვდარ-ენად" მაშინღა მიიჩნევა, თუ ის **სრულებით გაუგებარია** განვითარების ახალ პერიოდში: ასეთ შემთხვევაში **ახალი** ენა უპირისპირდება იმ **ძველ** მკვდარ ენას, რომლისაგანაც იგი წარმოიშვა. ამისდა კვალად, ძველი ქართული ნაწილობრივადაა მკვდარი ახალი ქართულისათვის, მკვდარ ენად ის არ ჩაითვლება.

§ 5. ცოცხალი ენის დიალექტები. ცოცხალი ენა ყველგან ერთნაირი არ არის; ასე, მაგალ., თელავშიაც ქართულს ლაპარაკობენ, დუშეთშიაც, სამტრედიაშიაც და ოზურგეთშიაც; მაგრამ თელავის ქართული თვალსაჩინოდ განსხვავდება სამტრედიის ქართულისაგან და კიდევ უფრო ოზურგეთისასაგან. არაენათმეცნიერიც მშვენივრად ამჩნევს ამ განსხვავებას; უბრალო გამოთქმა: „მანდ არის" ასეთ ნაირსახეობებს მოგვცემს: მანდ არის (|| მანდაა), მად არის (|| მადაა), მაქ არის (|| მაქაა), მადანა არის (|| მადანაა), მაქანა არის (|| მაქანაა) მაქანე არის (|| მაქანია)...

კუთხური მეტყველების თავისებურებათა ჯამს **დიალექტი** ანუ **კილო** ეწოდება. კილოები გამოიყოფა ენაში; ქართულის კილოებია: ქართლური, კახური, იმერული, აჭარულ-გურული, რაჭული, ხევსურული, თუშური, ფშაური, მოხეური, მთიულური და სხვ.

ერთი და იმავე კილოს ფარგლებშიც ვხვდებით სხვადასხვაობას; ამის მიხედვით კილოში გამოიყოფა **კილოკავები**: იმერული კილოს კილოკავი იქნებოდა: ზემო-იმერული და ქვემო-იმერული, კახურის კილოკავებად შეიძლებოდა მიგვეჩნია შიგნი-კახური და გარე-კახური...[1]

კილოკავის ფარგლებში მეტყველების განსხვავებას შეუძლია მოგვცეს **თქმები**. ქვემო იმერული კილოკავის თქმა იქნებოდა ხონური, ვანური... შიგნი-კახეთის თქმები იქნებოდა ყვარლური და გურჯაანული. თქმაზე უფრო წვრილი ერთეული **ქცევაა** (მაგალ. ვანის

---

[1]) ქართული დიალექტები სათანადოდ შესწავლილი არაა; ამიტომ აქ მოყვანილი მაგალითები საილუსტრაციოდ აღებული ვარაუდებია.

თქმის უხუთური ქცევა ანდა ყვარლის თქმის შილდური ქცევა). ერთი სოფლის ფარგლებშიც მეტყველების **სრული** ერთფეროვნობა არაა მოსალოდნელი, მეტი კიდევ: შეუძლებელია ორი ადამიანიც კი **სავსებით ერთნაირად** ლაპარაკობდეს: გამოთქმა და სტილი მაინც განსხვავებული იქნება...

კილო, კილოკავი, თქმა და ქცევა—აი მეტ ნაკლები განსხვავებულობის მაჩვენებელი ერთეულები ერთი და იმავე ენის ფარგლებში.

მეტყველების თავისებურებამ შეიძლება მკვეთრად იჩინოს თავი ამა თუ იმ მოსაქმეობასთან დაკავშირებით: მჭედელს ისეთი სიტყვები და გამოთქმები გააჩნია, რომლებსაც ხარაზი ან დურგალი არ სთხვევაში სრულიად გაუგებარია ენათმეცნიერისა ან ასტრონომისათვის; ასევე მევენახე კახელს ან მეცხოველეობის რაიონის მკვიდრს თავის ყოველდღიურ სიტყვახმარებაში ბევრი რამ აქვს ისეთი, რაც ფორთოხლისა და მანდარინის ბაღის მუშაკ აჭარელს არასოდეს არ დასჭირდება. მოსაქმეობასთან დაკავშირებული თავისებურება მეტყველებისა ქმნის **სოციალურ დიალექტს**.

ცოცხალი მეტყველება შეიძლება იყოს წიგნისაც და ზეპირიც. წიგნის ენა ანუ სამწერლო ენა იქმნება ჩვეულებრივად ერთი რომელიმე კილოს საფუძველზე; მაგრამ ის საერთო ენად იქცევა ხოლმე იმავე ენის სხვა კილოთა წარმომადგენელთათვის; საერთო ენად ქცევის პროცესში სამწერლო ენა სხვადასხვა კილოს მასალას ისრუტავს და მით უახლოვდება ამ კილოებს და იახლოებს მათ. მხოლოდ ამ გზით შეუძლია სამწერლო ენას იქცეს კულტურული წინსვლის ძლიერ იარაღად ყველა კილოს წარმომადგენელთათვის.

ახალი სალიტერატურო ქართული ყველაზე ახლოს ქართლურთან დგას.

დიალექტები მხოლოდ ცოცხალ ენაში ჩნდება. მკვდარი ენა მხოლოდ სამწერლო ძეგლებში ინახება მთლიანად. ესა თუ ის კერძო მოვლენაღა შეიძლება სხვა ცოცხალ ენას შეეხიზნოს.

§ 6. **ენა და გვარ-ტომობა.** ადამიანს შეუძლია ახალი ენა ისწავლოს გარდა იმ ენისა, რომელსაც იგი ბავშობიდან ხმარობს, რომელიც მისი მშობლიური ენაა. თუ ის ისეთ წრეში ჩავარდა, სადაც მისი წინანდელი ენა სრულებით არ იხმარება, მას შეიძლება იგი დაავიწყდეს კიდეც: ადამიანმა დაივიწყა თავისი ენობრივი კოლექტივის ენა და შეითვისა სხვისი ენა. ერთი ენის მცოდნე ზრდადამთავრებული ადამიანისთვის მეორე ენის შესწავლა მეტ-ნაკლებ სიძნელეს

წარმოადგენს იმისდა მიხედვით, რამდენად უახლოვდება ან შორდება ამა თუ იმ ენა მის ენასთან. ბავშვისათვის კი, სანამ ის ენას ამოიდგამდეს, ამგვარი საქმე არ არსებობს; ბავშვი სრულიად დაუბრკოლებლივ სწავლობს იმ ენას, რომელიც მას ესმის იმისდა მიუხედავად, თუ რა ენაზე ლაპარაკობდენ მისი მშობლები. ის, რაც ცალკე ინდივიდის შესახებ ითქვა, ძალაში რჩება მთელი ენობრივი კოლექტივის მიმართაც: გარკვეული გვარ-ტომობის ხალხი, რომელიც ერთ დროს გარკვეულს, ვთქვათ A ენაზე ლაპარაკობდა, შეიძლება დროთა ვითარებაში გარკვეულს საზოგადოებრივ-პოლიტიკურს პირობებში B ენაზე ალაპარაკდეს. თურქული მოდგმის ბულღარელები ამჟამად ერთ-ერთ სლავურ ენაზე ლაპარაკობენ. აფრიკიდან შონებად წამოყვანილი ხანგების შთამომავლობა ამერიკაში ინგლისურად ლაპარაკობს; აქედან კი ასეთი ზოგადი დასკვნა გამომდინარეობს: ენის მიხედვით ვერ ვიმსჯელებთ გვარ-ტომობის შესახებ და პირუკუ: გვარ-ტომობა ენის საკითხს არ არკვევს[1]...

§ 7. **არსებობს თუ არა „წმინდა“ ენა?** ერთი ენობრივი კოლექტივი როდია ჩინური კედლებით დაშორებული მეორეს. არა თუ ამჟამად, როდესაც მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეები მჭიდრო ეკონომიურ და კულტურულ კავშირში იმყოფებიან ერთმანეთთან, არამედ ძველადაც წარმოუდგენელი იყო ისეთი ენობრივი კოლექტივი, რომელსაც საკუთარი ენით კარჩაკეტილად ცხოვრება შეძლებოდა. კულტურულ-ეკონომიური კავშირი ენობრივ კოლექტივთა შორის არ შეიძლება არ აისახოს სათანადო ენებშიაც. პირველ ყოვლისა ეს თავს იჩენს სიტყვების სესხებაში. ეს სესხება შეიძლება იყოს უშუალო და შუალობითი, სხვა ენის საშუალებით.

არ არსებობს დედამიწის ზურგზე არც ერთი ენა, რომელსაც მეტ-ნაკლები ოდენობით სხვა ენის სიტყვები არ ჰქონდეს შეთვისებული. არც ფორმების სესხებაა შეუძლებელი, თუმცა ამისათვის ენათა უფრო ახლო ურთიერთობაა საჭირო. წმინდა ენა, ენა მხოლოდ „თავისი“ მარაგით, სხვა ენის მასალისაგან თავისუფალი, არ არსებობს.

ნასესხებ მასალას ენა შეიგუებს და იმდენად შეისისხლხორცებს, რომ დროთა ვითარებაში **საგანგებო ძიებაა საჭირო,** რომ **მისი ნა-**

---

[1] ერთი ენათმეცნიერი ამბობდა: „არიული ენების მიხედვით არიული რასის შესახებ ლაპარაკი იმდენადვეა შესაძლებელი, რამდენადაც დასაშვებია ლაპარაკი დოლიქოცეფალურ (გრძელთავიან) გრამატიკაზეო“.

სესხებობა დამტკიცდეს. სალიტერატურო ქართულით მოუბარი გაურბის უცხო სიტყვას „ულიცა“ და ხმარობს სიტყვას „ქუჩა“; ასევე: არ იხმარს „გოროდ“-ს, არამედ „ქალაქ“-ს, ღრმად დარწმუნებული, რომ ქართულით შეცვალა უცხო სიტყვები. **თანამედროვე გაგებისათვის** ეს მართლაც ასეა, მაგრამ სადაურობის ძიებას რომ მივყოთ ხელი, გამოირკვევა, რომ არც „ქალაქია“ ქართული და არც „ქუჩა“. (ქალაქი სომხური გზით მოდის ასურულიდან, ქუჩა-კი სპარსული სიტყვაა).

ასევე არაქართულია წარმოშობის მიხედვით — წიგნი, მელანი, კალამი, ფანქარი... ბაღი, ბულბული... საათი, ადათი, სინდისი, ნამუსი და მრავალი სხვა... თვით ისეთი სიტყვებიც-კი, როგორიცაა „ოჯახი“, „მუშა“ არ არის ქართული წარმოშობისა; „პური“-ც კი ბერძნულია და „ღვინო“-ც გაჰირდებოდა ქართულ სიტყვად მიგვეჩნია...

§ 8. ენა შემაკავშირებელი და ენა გამთიშველი. ესა თუ ის ენა გაგებინების საშუალებაა სათანადო ენობრივი კოლექტივის ფარგლებში; სხვა ენობრივი კოლექტივი სხვა ენას ხმარობს თავის-ფარგლებში იმავე მიზნისათვის. ის, რაც აკავშირებს ერთი ენობრივი კოლექტივის წევრებს ერთმანეთთან, თიშავს ამ კოლექტივის წევრებს მეორე კოლექტივის წევრებისაგან; ენა შემაკავშირებელი იმავე დროს არის გამთიშველიც.

ეს ყოველთვის ცხადი იყო, მაგრამ განსაკუთრებით საგრძნობი გახდა ეს გასული საუკუნიდან, როდესაც ხალხთა კულტურულ-ეკონომიური ურთიერთობა ძალზე ინტენსიური გახდა. მრავალენიანობა უდიდეს დაბრკოლებას ქმნის ამ ურთიერთობისათვის. არაიშვიათად თვით დიდ მეცნიერებსაც კი უჭირთ ამ დაბრკოლების გადალახვა: გამოჩენილი ინგლისელი მოაზროვნე ჯონ სტიუარტ მილი გაჰირვებით კითხულობდა თურმე გერმანულს, ხოლო სახელგანთქმულმა ინგლისელმა ფიზიკოსმა ფარადეიმ სულ არ იცოდა გერმანული და მოკლებული იყო შესაძლებლობას უშუალოდ გაცნობოდა გერმანელ ფიზიკოსების რობერტ მეიერისა და ჰელმჰოლცის გამოკვლევებს.

ყოფილა შემთხვევა, რომ პოლიტიკურ მოღვაწეებსაც არ აღმოაჩნდებოდათ ხოლმე მათთვის საჭირო ენის ცოდნა. გრეიმ, ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრმა, მსოფლიო იმპერიალისტური ომის დაწყებისას, ფრანგული არ იცოდა, ხოლო საფრანგეთის ელჩმა ინგლისში კამბონმა ძალიან ცუდად იცოდა ინგლისური... თუ რა მნიშვ-

ნელობა აქვს ამას, ეს იქიდან ჩანს, რომ მსოფლიო იმპერიალისტური ომის შემდეგ საბავო კონფერენციაზე ლლემანსომ განსაკუთრებული გავლენა მოიპოვა იმიტომაც, რომ დიპლომატთა შორის ერთად ერთი კაცი იყო, რომელსაც თანაბრად ეხერხებოდა, როგორც ფრანგული, ისე ინგლისურიო, ამბობს ო. იესპერსენი, რომლის წიგნიდანაც („ინტერნაციონალური ენა“—გერმ.—ჰაიდელბერგი, 1928, გვ. 5) მოგვყავს აღნიშნული ცნობები.

სრულიად ბუნებრივია, თუ ასეთ პირობებში მკვეთრად იგრძნობა საჭიროება დაიძებნოს გამოსავალი არსებული მდგომარეობიდან. ასეთი გამოსავლის დაძებნის ცდა მოცემულია ხელოვნურს ენებში. ცნობილია რამდენიმე ასეთი ხელოვნური ენა; ჩამოყალიბებული სახე მან მიიღო პირველად „ვოლაპუკ“-ში[1], რომელიც 1879 წელს გამოვიდა და რომლის ავტორიც იყო კათოლიკე მღვდელი იოანე შლეიერი; სულ ბოლოდროინდელ ცდას წარმოადგენს ცნობილ ენათმეცნიერ ო. იესპერსენის „ნოვიალ“, რაიც შემოკლებით ნიშნავს: „ახალი ინტერნაციონალური დამხმარე ენა“. გამოვიდა იგი 1928 წელს; იმ ორმოცდაათიოდე წლის მანძილზე, რომელიც ნოვიალს ვოლაპუკისაგან აშორებს, რამდენიმე სხვა პროექტიც იყო წარმოდგენილი (ესპერანტო, იდო, ოკციდენტალი...); ამათში ყველაზე დიდი გავრცელება (კერძოდ, საბჭოთა კავშირში) მოიპოვა ესპერანტომ; მისი ავტორია ექიმი ლევ ზამენჰოფი. „ესპერანტო“ დაერქვა ამ ენას მისი ავტორის ფსევდონიმის მიხედვით: Doctoro Esperanto—ამ ფსევდონიმით გამოიცა პირველი გრამატიკა ლ. ზამენჰოფისა 1887 წ.

ამ ენებს საერთო ბევრი რამ აქვთ: ყველა ეს ენა **ხელოვნურია, შეთხზული**: რაც შეიძლება მარტივი და ლოგიკურად თანამიმდევარი გრამატიკით; მასალად გამოყენებულია ევროპულ ენათა ძირები, რომ ამით გაადვილდეს ამ ენის შესწავლა ევროპელთათვის (სხვა ენებზე მოუბარი ხალხები მხედველობაში მიღებული არაა!). ეს ხელოვნური ენები **დამხმარეა**, ე. ი. ნავარაუდევია მათი შესწავლა მშობლიური ენის დამატებად (მშობლიური ენის მაგივრობას ეს ენები არ ეწევა)—სხვადასხვა ენაზე მოსაუბრე ხალხთა ურთიერთობის გასაადვილებლად. ამ მიზნის მიხედვით ეს ენები იწოდება **საერთაშორისოდ** (ინტერნაციონალურად).

თავის დროზე ასეთ ენას უპერსპექტივოდ თვლიდენ ენათმეცნიერები: როგორც კი იგი ხმარებაში გავა სხვადასხვა ქვეყანაში, სხვა

---

[1] იდეა ხელოვნური ენისა გაცილებით უფრო ადრე იყო წამოყენებული; ცნობილმა ფილოსოფოსმა დეკარტემ პირველმა დასახა მსოფლიო ხელოვნური ენის პროგრამა (1629 წ.)

დასხვა სახეს მიიღებს, დიალექტებად დაიშლებაო. ბოლო ხანებში ხელოვნურ საერთაშორისო დამხმარე ენას პრინციპში მხარს უჭერდენ და უჭერენ ისეთი დიდი ენათმეცნიერები, როგორიც არიან შუხარდტი, ტომსენი, შეიე. აკად. ნ. მარი „ადამიანური მეტყველების ხელოვნურ სუროგატად“ თელის ესპერანტოს, იდოს და მაგგვარ ენებს.

სანიმუშოდ მოგვყავს ორიოდე ფრაზა „ესპერანტო“-ზე: En la fabriko „Oktobra Revoluclo“ estas bona laborista klubo. Ni estas en la klubo. En nia klubo estas granda biblioteko. Kiu laboras en la biblioteko? (ამოღებულია ე. საზონოვას წიგნაკიდან: „Весь эсперанто“, მოსკოვი, 1931 წ., გვ. 15). ეს ნიშნავს: „ჩვენს ფაბრიკაში „ოქტომბრის რევოლუცია“ არის კარგი მუშათა კლუბი. ჩვენ ვართ კლუბში. ჩვენს კლუბში არის დიდი ბიბლიოთეკა. ვინ მუშაობს ბიბლიოთეკაში?“ ლათინურსა და ფრანგულს ვინც იცნობს, ადვილად გაერკვევა ამგვარ ტექსტში და ულექსიკონოდაც დაუბრკოლებრივ მიხვდება ტექსტის შინაარსს.

დასასრულ ერთი გარემოებაც უნდა მოვიგონოთ: ხელოვნურ საერთაშორისო ენათა გარდა ხშირად ლაპარაკობენ ბუნებრივი „საერთაშორისო“ ენების შესახებაც: დიპლომატებისათვის ასეთ „საერთაშორისო“ ენას ფრანგული წარმოადგენს: ერთი სახელმწიფო მეორე სახელმწიფოსთან ურთიერთობის პროცესში (ნოტები თუ სხვაგვარი მიმოწერა) ფრანგულ ენას ხმარობს მიუხედავად იმისა, თუ როგორია ენა იმ სახელმწიფოსი, რომელიც მიმართავს და იმისა, რომელსაც მიმართავენ. ბოლო ხანებში ფრანგულს პირველობაში ინგლისური ეცილება; ამჟამად ინგლისური ენა ყველაზე უფრო გავრცელებული ენაა: მას ინგლისისა, ავსტრალიისა, კანადისა და ჩრდილო-ამერიკის შეერთებულ შტატების გარდა ფართო გასავალი აქვს ინდოეთში, ჩინეთსა და იაპონიაში. გავრცელებულობის მიხედვით ინგლისურის შემდეგ მეორე ადგილი უჭირავს ესპანურ ენას.

§ 9. ერთიანი ენის საკითხი მომავალ უკლასო საზოგადოებაში. „ესპერანტო“ და სხვა ამგვარი საერთაშორისო ენები ხელოვნურად შექმნილი დამხმარე ენებია; ვერც ერთი მათგანი დედა-ენის მაგივრობას ვერ გასწევს; ვერც დაიჩემებს ამგვარი ენა—მშობლიური ენის მაგივრობას ვიკისრებო.

როგორი პერსპექტივები აქვს ერთიან არახელოვნურ ენას? შეიძლება თუ არა ვივარაუდოთ, რომ კაცობრიობა როდისმე ალაპარაკდება ერთს ენაზე, თუ—კაცობრიობა მომავალშიაც დარჩება სხვადასხვა ენობრივ კოლექტივებად დაშლილი? ამ კითხვას უდიდესი მნი-

შენელობა აქვს, თეორიულიც და პრაქტიკულიც, პირველ ყოვლისა პოლიტიკური.

პასუხი ამ კითხვაზე მოცემულია ი. სტალინის სიტყვაში მეთქვსმეტე პარტყრილობაზე (1930 წ.): „...მსოფლიო მასშტაბით სოციალიზმის გამარჯვების პერიოდში, როდესაც სოციალიზმი განმტკიცდება და შევა ყოფა-ცხოვრებაში, ნაციონალური ენები აუცილებლად უნდა შეერთდენ ერთ საერთო ენად, რომელიც, რასაკვირველია, არ იქნება არც დიდოროსული, არც გერმანული, არამედ რაღაც ახალი“ (იხ. „მარქსიზმი და ნაციონალურ-კოლონიალური საკითხი“, ტფილისი 1934, გვ. 204).

ერთის ენაზე მოლაპარაკე განთავისუფლებული კაპიტალიზმა—ასეთია მომავლის პერსპექტივა, როცა სოციალიზმი გაიმარჯვებს მსოფლიო მასშტაბით და ძირ-ფესვიანად გარდაიქმნება ადამიანის შეგნება...

როგორ დგას საერთო ენის საკითხი მანამდის, სანამ სოციალიზმი გაიმარჯვებდეს მსოფლიო მასშტაბით? საბჭოთა კავშირში, დედამიწის ერთს მეექვსედზე სოციალიზმმა გაიმარჯვა; ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ დადგა ჟამი საბჭოთა კავშირის შიგნით ბურჟუაზიულ ნაციონალიზმის და ერთი ენისაკენ ბრძოლის! **ხრუშჩევითაც არა!** „აშკარაა, რომ ჩვენ უკვე შევედით სოციალიზმის პერიოდში“—ამბობდა ამხ. ი. სტალინი მეთექვსმეტე ყრილობაზე—„და მაინც ...ნაციონალური ენები არა თუ არ კვდებიან და არ ერთიანდებიან ერთ საერთო ენად, არამედ პირიქით, ნაციონალური კულტურები და ნაციონალური ენები ვითარდებიან და აყვავებას იწყებენ. განა ცხადი არ არის, რომ თეორია ნაციონალური ენების გაქრობისა და მათი შერწყმისა ერთ საერთო ენად ერთი სახელმწიფოს ფარგლებში გაბატონებული სოციალისტური მშენებლობის პერიოდში, სოციალიზმის ერთს ქვეყანაში არსებობის პერიოდში, არის თეორია უმართებულო, ანტიმარქსისტული, ანტილენინური... ნაციონალური ენების გაქრობისა და მათი ერთ საერთო ენაში შერწყმის საკითხი არის არა მინასახელმწიფოებრივი საკითხი, არის არა ერთ ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების საკითხი, არამედ საერთაშორისო საკითხი, სოციალიზმის საერთაშორისო მასშტაბით გამარჯვების საკითხი... (იქვე, გვ. 265—266).

„ლენინს არასოდეს არ უთქვამსო“—აღნიშნავდა ამხ. ი. სტალინი იმავე ყრილობაზე—„რომ ნაციონალური განსხვავებანი უნდა გაქრეს, ხოლო ნაციონალური ენები უნდა შეიერთონ საერთო ენად ერთი სახელმწიფოს ფარგლებში, სოციალიზმის გამარჯვებამდის

მსოფლიო მასშტაბით. პირიქით, ლენინი ამბობდა... „რომ ნაციონალური და სახელმწიფოებრივი განსხვავებანი ხალხებსა და ქვეყნებს შორის იარსებებენ... კიდევ ძალიან და ძალიან დიდხანს მსოფლიო მასშტაბით პროლეტარიატის დიქტატურის განხორციელების შემდეგაც კი“-ო (იქვე, გვ. 257).

ამრიგად, მომავალში ერთიანი ენის აუცილებლობა მოასწავებს ამჟამად ნაციონალურ ენათა აყვავებას (და არა მათ მოშლას!): „ხელი უნდა შევუწყოთ ნაციონალურ კულტურებს განვითარდენ და გაიშალონ, გამოაეღვიძონ მთელი თავისი პოტენცია, რათა შევქმნათ პირობები მათი შედუღებისათვის ერთ საერთო კულტურაში ერთი საერთო ენით. ფორმით ნაციონალური და შინაარსით სოციალისტური კულტურების აყვავება პროლეტარიატის დიქტატურის პირობებში ერთს ქვეყანაში მათი შედუღებისათვის ერთ საერთო სოციალისტურ (ფორმითაც და შინაარსითაც) კულტურაში, ერთი საერთო ენით, როდესაც პროლეტარიატი გაიმარჯვებს მთელს მსოფლიოში და სოციალიზმი შეიჭრება ყოფა-ცხოვრებაში,—სწორედ ამაში მდგომარეობს ნაციონალური კულტურის საკითხის ლენინური დაყენების დიალექტიკურობა“ (სტალინი, იქვე, გვ. 261).

აქვე აღვნიშნავთ, რომ აკად. ნ. მარს „ერთიანი მსოფლიო ენა“ მიაჩნია „უცილობელ პოსტულატად მომავალი უკლასო უეროვნო ერთიანი საკაცობრიო საზოგადოებისა“.

§ 10. ენა სხვადასხვა განზომილებით. აქამდის წარმოდგენილი ფაქტური ცნობები ენის შესახებ (რას ეწოდება ენა, რამდენნაირი შეიძლება იყოს ენა და სხვ.) ენის არსის საკითხის შემზადებასლა იძლევა. ენის არსის ანალიზი მთავარ მომენტებში რომ იქნას მოცემული, საჭიროა პასუხი გაიცეს შემდეგს კითხვებზე: რას წარმოადგენს ენა: ა) როგორც **სოციალური მოვლენა,** ბ) როგორც **იდეოლოგიური მონაცემი,** გ) როგორც **სისტემა** და დ) როგორც **ისტორიულად ცვალებადი კატეგორია.**

მაგრამ ამ საკითხების გარკვევამდის არ შეიძლება უპასუხოდ დავტოვოთ კითხვა: რა მიმართებაში იმყოფება ენა ადამიანთან? რამდენად სპეციფიკურია ენა ადამიანისათვის? აზროვნებაა ადამიანისათვის უფრო ნიშანდობლივი თუ მეტყველება? თუ არც ერთი და არც მეორე?

§ 11. ენა და აზროვნება. ენა არის ხელსაწყო, რომელიც გონების აზროვნების ცხოველმყოფელ და ძალმოსილ შეძლებას ერთ მხრივ „ლაბავსა", აშკარად ცხადდება ენის ორგანული ბუნება, ამ ორგანოების ფუნქციის ნაირსახეობა. ენა არის აზროვნების დამახასიათებელი სპეციფიური ნაწარმოები ცხოველი ორგანიზმის არის ცხოველი, რომ ენა არ გააჩნია, „ძარ-ცხვლია"; აზროვნების ნაწარმოებელი თვისება სწორედ ის არის, რომ მას ენა გააჩნია, რომ ის „ძარ-ცხვლია". ამ გარემოების ცხოველია".

ამრიგად ენა ძალზე მჭიდროდ დაკავშირებულია აზროვნებასთან: ერთმანეთს: ერთმანეთის ენობრივი ფორმა აზროვნების ენობრივ ფორმაში აზროვნების ფორმა ენობრივ ფორმაში ენობრივ ფორმაში აზროვნების ფორმა ენობრივ ფორმაში აზროვნების ფორმა ენობრივ ფორმაში აზროვნების ფორმა

ყუში და ჯაფარა კი დანაწევრებული ბგერების გამეორებასაც ახერხებენ.

გვეტყვიან: თუთიყუში ავტომატურად იმეორებს გაგონილს და შერჩევით ვერ მოიხმარს ამ ბგერებსო. ჩვეულებრივად ეს ძართლაც ასეა. მაგრამ კითხვა იბადება: ყოველთვის ასეა ეს თუ სხვაგვარი შესაძლებლობაც არსებობს? „გარკვეულს ფარგლებში (ხახი ჩვენია) თუთიყუშს შეიძლება გაეგებოდეს, რასაც ლაპარაკობს. დაასწავლეთ თუთიყუშს სალანძღავი სიტყვები ისე, რომ მან შეითვისოს მათი მნიშვნელობა (ეს ერთი უმთავრესი გასართობთაგანია მეზღვაურთა, რომელნიც ბრუნდებიან ცხელი ქვეყნებიდან) და შემდეგ გააჯავრეთ ის და დარწმუნდებით, რომ თუთიყუში ისევე სწორად ხმარობს თავის სალანძღავ სიტყვებს, როგორც ბერლინელი მოვაჭრე ქალიო“, ამბობს ფრ. ენგელსი [1].

თუ ენა არ გამოდგება მიჯნად ცხოველსა და ადამიანს შორის, მით უფრო ეს უნდა ითქვას აზროვნების შესახებ. ცხოველთა სამყაროს ისეთ წარმომადგენლებს, როგორიცაა მაიმუნთა ზოგიერთი ჯიში, უდავოდ გააჩნია მოაზრების გარკვეული უნარი. ცნობილი ფსიქოლოგი ვოლფ. კელერი თავის ექსპერიმენტული ძიების შედეგად იმ დასკვნამდის მივიდა, რომ მაიმუნის ერთ ჯიშს, შიმპანზეს, ახასიათებს „გონივრული საქციელი იმავე რიგისა, როგორც ადამიანს“ [2]. მსგავსი შედეგები მიუცია ექსპერიმენტულ ძიებას ამერიკელ მკვლევარ იერქსისთვისაც. აქედან არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება ისეთი დასკვნის გამოტანა, თითქოს მაიმუნი იმგვარადვე აზროვნებდეს, როგორც ადამიანი, მაგრამ ის მაინც ცხადია, რომ ადამიანური აზროვნების ჩანასახი ექსპერიმენტულად უკვე დასტურდება მაიმუნში: ზოოფსიქოლოგიის განვითარების თანამედროვე საფეხურისთვის სწორედ ეს უნდა მივიჩნიოთ დამახასიათებლად.

არც ენა და არც გონივრულობა არ ქმნის ზღვარს, რომლის ერთს მხარეზე ადამიანი იდგეს, მეორეზე კი ცხოველი რჩებოდეს. ადამიანისთვის დამახასიათებელი სპეციფიკური ნიშანი სულ სხვა რაშიმე უნდა ვეძიოთ: ეს არის შრომა, შრომა ხელით, ისეთი ხელით, რომელსაც შეუძლია მოიხმაროს შრომის იარაღი და, რაც მთავარია, შექმნას ეს იარაღი.

---

[1]) იხ. „შრომის როლი მაიმუნის გაადამიანების პროცესში“: Диалект природы, IV გამოც. 1930 წ. გვ. 64—65.

[2]) იხ. Келер, В.: Исследование интеллекта человекоподобных обезьян, თარგ. გერმან.—დან. Изд. Ком. Акад. 1930. М. გვ. 203.

ჭიანჭველაც „შრომობს“, ფუტკარიც „ჯაფას ეწევა“, მელიაც სოროს თხრის, მაგრამ არც ერთი მათგანი არაფითარ იარაღს არ ხმარობს, არავითარ იარაღს არ ქმნის, იყენებს მხოლოდ თავის სხეულის ნაწილებს. ეს არ არის შრომა,—ვინაიდან „შრომა იწყება იარაღის გაკეთების მომენტიდან“, როგორც ფრ. ენგელსი ამბობს. სწორედ ასეთი შრომაა ნიშანდობლივი ადამიანისათვის: „უდაბლეს საფეხურზე მდგომი ველურის ხელს შეუძლია ათასი ისეთი რამ გააკეთოს, რის გადაღება და განმეორება არ შეუძლია არც ერთი მაიმუნის ხელს. არას დროს არც ერთ მაიმუნს არ გაუკეთებია თავისი ხელებით, თუგინდ სულ უბრალო ქვის დანა“ (ფრ. ენგელსი). „შრომის საშუალებათა მოხმარება და შექმნა, თუმცა იგი ზოგიერთი სახეობის ცხოველებთანაც გვხვდება ჩანასახის სახით, ადამიანის შრომის პროცესის სპეციფიკურ დამახასიათებელ თვისებას წარმოადგენს და ამიტომ ფრანკლინი განსაზღვრავს ადამიანს, როგორც a tool making animal, როგორც იარაღის მკეთებელ ცხოველსო“ ამბობს კ. მარქსი: (კაპიტალი რუს. გამ. 1931 წ., გვ. 121)[1].

თავის თავად ცხადია, რომ გაადამიანების გზაზე დამდგარი „ცხოველი“ განკერძოებით არ ცხოვრობდა; იმ თავითვე უნდა ვიგარაუდოთ ისიც, რომ მის სხეულს ვერტიკალური მდგომარეობა უნდა ქონოდა მიღებული: მხოლოდ ასეთს პირობებში იქნებოდა ხელი თავისუფალი და მხოლოდ ასეთ ხელს შეეძლო გაეკეთებინა ის, რამაც უმაღლესი ცხოველი პრიმიტიულ ადამიანად, მაგრამ მაინც ადამიანად აქცია.

„შეიარაღებული ხელის პატრონი“, ადამიანი სხვაგვარს დამოკიდებულებაშია ბუნებასთან, ვინემ ცხოველი: „ცხოველი მხოლოდ სარგებლობს გარეშე ბუნებით და იწვევს მასში ცვლილებებს მარტო იმით, რომ მასში არსებობს; ადამიანი კი მის მიერ გამოწვეულ ცვლილებათა საშუალებით აიძულებს ბუნებას ემსახუროს მის მიზნებს, ე. ი. ბატონობს მასზე... ეს განსხვავებაც ისევ და ისევ შრომამ გამოიწვია“ (ფრ. ენგელსი).

ადამიანი ცვლილებას იწვევდა ბუნებაში, მაგრამ ამ პროცესში, შრომის პროცესში, თვით ადამიანის ბუნებაც იცვლებოდა. ამ მხრივ უდიდეს ცვლილებას მეტყველების გამომუშავება წარმოადგენს: „ბუნების საგნებში ადამიანი განუწყვეტლივ ახდენდა ახალ-ახალ, ჯერ

---

[1] ინსტიქტური შრომისაგან ადამიანის შრომა, რასაკვირველია, იმითაც განსხვავდება, რომ „შრომის პროცესი ისეთი შედეგით თავდება, რომელიც შრომის დასაწყისში.. მომუშავის წარმოდგენაში იყო მოცემული“, მაგრამ ჩვენთვის ამჟამად ეს განსხვავება არ არის საინტერესო.

უცნობ თვისებათა აღმოჩენას, მეორე მხრივ, შრომის განვითარება თავის თავად ხელს უწყობდა ჯგუფის წევრების უფრო მჭიდროდ დაახლოებას, ახშირებდა ურთიერთ დახმარების შემთხვევებს და ცხადყოფდა ყოველი ინდივიდისათვის ამ ურთიერთობის სარგებლიანობას. ერთი სიტყვით, ეს ადამიანად ქცეულები მივიდენ იქამდის, რომ იგრძნეს საჭიროება ეთქვათ რაიმე ერთმანეთისათვის; საჭიროებამ შეიმუშავა თავისთვის შესაფერი ორგანო: მაიმუნის განუვითარებელი ყელი ნელა, მაგრამ სისწორით გადამუშავდა, გადადიოდა რა ერთი მოდულაციიდან მეორეზე, უფრო რთულზე და მეტყველების ორგანოები თანდათან შეეჩვიენ დანაწევრებულ ბგერათა გამოთქმას" (ფრ. ენგელსი: შრომის როლი... Диалект. прир. გვ. 64) შრომის პროცესში წარმოიქმნა მეტყველება. ამან კი უდიდესი გავლენა მოახდინა ადამიანის აზროვნების განვითარებაზე. „ჯერ შრომა და მასთან ერთად და მის შემდეგ მეტყველება, აი ორი არსებითი სტიმული, რომელთა გავლენით მაიმუნის ტვინი თანდათან გადაიქცა ადამიანის ტვინად, რომელიც გაცილებით მეტი მოცულობისაა და უფრო განვითარებულია" (ფრ. ენგელსი იქვე, გვ. 65).

შრომის პროცესი დედაბოძია საზოგადოებრივობისა; „შრომის პროცესი არ არის დამყარებული ადამიანის ცხოვრების ამა თუ იმ ფორმაზე, პირიქით, იგი თან სდევს ყველა საზოგადოებრივ ფორმაციას", „რადგანაც იგი საყოველთაო პირობაა ნივთიერების გაცვლისა ადამიანსა და ბუნებას შორის და იმავე ადამიანის არსებობის გარდაუვალი ბუნებრივი პირობაა" (კ. მარქსი, კაპიტალი, გვ. 125). ამას მეორე მხარეც აქვს, არა ნაკლებ მნიშვნელოვანი: „წარმოების მიზნით ადამიანები დგებიან ერთმანეთთან გარკვეულს კავშირსა და ურთიერთობაში. მხოლოდ ამ საზოგადოებრივ კავშირისა და ურთიერთობის საშუალებით აქვს ადგილი ადამიანის ზემოქმედებას ბუნებაზე, აქვს ადგილი წარმოებას. წარმოების საზოგადოებრივ ურთიერთობათა ერთობლიობა ქმნის მას, რასაც ეწოდება საზოგადოებრივი ურთიერთობა, ქმნის საზოგადოებას, რომელიც იმყოფება ისტორიული განვითარების გარკვეულ საფეხურზე" (კ. მარქსი, საქირაო შრომა და კაპიტ.).

ამრიგად, შრომამ, შრომის ხელოვნური იარაღების შექმნა-მოხმარამ შესაძლებელი გახადა ადამიანის გაბატონება ბუნებაზე, წარმოქმნა მეტყველება, დასაბამი მისცა სპეციფიკურს ადამიანთა საზოგადოებრივობას,—განსხვავებულს ცხოველთა ჯოგურობისაგან; მოკლედ: შრომამ შექმნა ადამიანი.

თუ ინდოევროპეისტი ენათმეცნიერი გვეუბნებოდა: შეტყვე-ლებამ შექმნა ადამიანი, ადამიანი შეტყველი ცხო-ველიაო, მატერიალისტური დიალექტიკის დებულე-ბაა: შრომამ აქცია ადამიანი ადამიანად, შრომამვე ამოადგმევინა ადამიანს ენა. ადამიანი „შეტყველი ცხოველი“ კი არ არის, არამედ „შრომის იარაღების მქეთებელი ცხოველია“.

არ შეიძლება არ დაეთანხმოთ ლ. ნუარეს, როცა ის აცხობს: „დებულება—ადამიანი არის იარაღის მქეთებელი ცხოველი—შეიცავს ისეთსავე დიდს ჭეშმარიტებას, როგორც დებულება—ადამიანი არის საზოგადოებ-რივი ცხოველიო“.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ **ისტორიის წინა ხანის ეპო-ქებს უწოდებენ ქვის, ბრინჯაოს, რკინის ხანას იმისდა მიხედვით, თუ რა შრომის იარაღებს აკეთებდა და ხმარობდა იმდროინდელი ადამიანი.** და ეს სრულიად ბუნებრივია იმიტომ, რომ „ამა თუ იმ ეკონომიურ ხანას ახასიათებს არა ის, თუ რა წარმოებს იმ დროს, არამედ ის, თუ როგორ წარმოებს, ე. ი. შრომის რომელი იარაღე-ბით“.

ადამიანის **ამეტყველება** თავის მხრივ უდიდეს რევოლუციას მოასწავებს მისი **აზროვნებისათვის**: ადამიანის აზროვნება ვერასოდეს მიაღწევდა განვითარების უმაღლეს საფეხურს, რომ მეტყველება მას იარაღად და საყრდენად არ გააჩნდეს (კერძოდ განუყენებელი აზრო-ვნება სრულიად შეუძლებელი იქნებოდა).

შრომის პროცესში შექმნილი მეტყველება—შრომის ნაყოფზე, საწარმოო ურთიერთობის საფუძველზე ჩამოყალიბებული—ადამიანთა კოლექტივის გაგებინების საშუალებაა და აზროვნების [illegible] იარაღი. ენა იმდენადვე ენობს, რამდენადაც იგი [illegible] ემსახურება. ამ მომენტით განისაზღვრება [illegible]. ამაზე ქვევითაც გვექნება საუბარი, აქ კი ერთი რამ უნდა აღინიშ-ნოს: შრომამ აქცია ადამიანი ადამიანად, მაგრამ ის ვერასოდეს გახ-დებოდა. იმად, რაც ის არის, რომ იმავე შრომის პროცესში მეტყ-ველება არ წარმოქმნილიყო; **მეტყველების საშუალებით შესაძლე-ბელი ხდება ერთი ინდივიდის გამოცდილება-მიღწევა სხვებისთვის ხელმისაწვდომი გახდეს; მეტყველების საშუალებით ერთი თაობის მონაპოვარი შესაძლებელი ხდება გაღაეცეს მეორეს; მეტყველება აუცილებელი პირობაა კაცობრიობის კულტურული წინსვლისა.** თუ მეტყველება წარმოუდგენელია საწარმოო ურთიერ-

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

თობის საფუძველზე ჩამოყალიბებული კოლექტივის გარეშე, პირუკუც: ადამიანთა ასეთი კოლექტივის არსებობა ამჟამად წარმოუდგენელია მეტყველების გარეშე.

§ 12. ენა, როგორც აზროვნების იარაღი და გაგებინების საშუალება. ყოველგვარ პირობით ნიშანთა კრებული, რომელიც კი იქნება ნახმარი ადამიანთა ურთიერთობაში გაგებინების საშუალებად, ენა იქნებოდა. ადამიანთა მეტყველება ჩვეულებრივად ბგერებისაგან ქმნის ასეთ ნიშნებს, ადამიანის ენა ბგერითი ენაა; ყრუ-მუნჯები მამართავენ ჟესტებს, ხელებით „ლაპარაკობენ".

როგორც თავშიაც ითქვა, ენათმეცნიერება სწავლობს პირველ ყოვლისა ბგერითს ენას; მაგრამ ბგერა შეიძლება იყოს დანაწევრებულიც და დაუნაწევრებელიც; შაშვის გალობა ბგერებისაგან შედგება, მაგრამ ეს ბგერები არ არის დანაწევრებული, ცალკე ბგერითს ერთეულებად მისი დაშლა შეუძლებელია; ადამიანის მეტყველებაშიც შეიძლება ჩონდეს ადგილი ასეთ ბგერათა კომპლექსს: კითხვაზე: „მოიტანა ვასომ წიგნი"? შეიძლება ვუპასუხოთ „არა", ანდა „ნტ!" ორივეს ერთი და იგივე მნიშვნელობა აქვს,—ორივე უარყოფას გადმოგვცემს. ამ მხრივ მათ შორის განსხვავება არ არის, ბგერითი მხარე კი რომ გავითვალისწინოთ, აღმოჩნდება, რომ „არა" სამი ბგერისაგან შედგება (ა რ-ა), „ნტ" კი, რასაკვირველია, არ შედგება **ნ** და **ტ**-საგან, არც **ნ** და **წ**-საგან, როგორც ხშირად გონიათ ხოლმე. საკმარისია, ცალკე წარმოვთქვათ **ნტ**, **ნწ** (ბა-**ნტ**-ი, ძე-**ნწ**-ი) და შემდეგ შევადაროთ უარყოფის აღმნიშვნელ ამ **ნტ**-ს, რომ განსხვავება თვალში გვცეს; **ნ** და **ტ**-ს გამოყოფა მასში შეუძლებელია და ჩვენ პირობით და მაახლოებით გადმოვცემთ მას, რასაც ვამბობთ, **ნტ** (თუ **ნწ**) ასოებს რომ ვწერთ. „**არა**" დანაწევრებულ ბგერებისაგან შედგება, „**ნტ**"—დაუნაწევრებელისაგან. ენათმეცნიერების შესწავლის საგანია ის, რაც გადმოიცემა დანაწევრებულ ბგერებით ანუ სხვანაირად რომ ვთქვათ, დანაწევრებულს ბგერებში მოცემული მეტყველება (და არა „ნტ!"-ს მაგვარი მონაცემები). ყოველ ენას გააჩნია სრულიად გარკვეული რაოდენობა ასეთ დანაწევრებულ ბგერათა, რომელთაგანაც აიგება სათანადო ენის მთელი სიტყვიერი მარაგი (ქართული[1] მაგალ., სულ 33 ბგერას იყენებს).

---

[1] ვხვდებით სალიტერატურო ქართულ მეტყველებას, ზოგიერთს კილოში, მაგალ. ფშავში, ხევსურეთში ისეთი ბგერაც იხმარება, რომელიც სალიტერატურო ქართულს არ გააჩნია (მაგ. ჳ).

აგიღოთ ორი სიტყვა: „რაჯულუნ“ და „ქაცი“. ორივე დანაწერებული ბგერებისაგან შედგება; ორივე შეიძლება სათანადო ბგერებად დაეყოთ, გამოვთქვათ დაუბრკოლებლივ, დაეწეროთ, წაიკითხოთ. ამ მხრივ ეს ორი სიტყვა ერთმანეთისაგან არ განსხვავდება. მაგრამ სხვა მხრივ მათი შოთავსება ერთ სიმრტყეზე არ შეიძლება. სიტყვა „ქაცი“ გასაგებია ამ წიგნის მკითხველისათვის, „რაჯულუნ“ კი გაუგებარია. რას ნიშნავს „გასაგებია“, „გაუგებარია“? „ქაცი“ რომ გავიგონეთ, ვიცით, რაც არის ნაგულისხმევი, რაზე მიუთითებს ეს სიტყვა. „რაჯულუნ“ რომ გავიგონეთ, აღარ ვიცით, რას გულისხმობს იგი, რა მოვლენაზე თუ საგანზე მიუთითებს. მოკლედ: გაიგო სიტყვა,—ეს ნიშნავს, იცოდე, რაზე მიუთითებს იგი. მოსაუბრის ნათქვამს ჩვენ ჯერ გავიგონებთ, მერე გავიგებთ; ნათქვამი რომ გაიგო, უთუოდ უნდა გაიგონო, მაგრამ შეიძლება გაიგონო, მაგრამ ვერ კი გაიგო. როცა უცხო ენაზე ლაპარაკობენ, ჩვენ გაგონებაც ხშირად გვიჭირს, მაგრამ ძალიან გარკვევითაც რომ გაგვიბედონ რომელიმე ფრაზა ან სიტყვა, მაინც ვერ გავიგებთ; ამის ერთი მაგალითი აქაც გვაქვს: „რაჯულუნ“; არაბულად იგი იმასვე ნიშნავს, რასაც ქართულად—„ქაცი“ გადმოგვცემს. უცხო ენის შესწავლა იმაში მდგომარეობს, რომ გავითვალისწინოთ, რა მგერათა კომპლექსი რა მნიშვნელობის მქონეა, ე. ი. რაზე მიუთითებს.

უცხო ენის მაგალითზე ცხადი ხდება საკუთარი მეტყველების შეჭანიბმის ერთი მხარე: როცა ნათქვამი გვესმის, ვიღებთ სწუნთს (აკუსტიკურ) შთაბეჭდილებას; უკანასკნელი ჩვენს ცნობიერებაში, როგორც იტყვიან ხოლმე, აღძრავს, უკავშირდება გარკვეულს წარმოდგენას; ასეთი დაკავშირების გარეშე ოქმულის გაგება შეუძლებელია.

ლაპარაკის პროცესი საწინააღმდეგო მიმართულებისაა; ვთქვათ, სიკივეს ვგრძნობთ; სიკივის განცდა მოგვეპოება, გვინდა ეს ვაცნობოთ მოსაუბრეს; ჯერ იძებნება სათანადო სიტყვის წარმოდგენა და შემდეგ მოძრაობის (ე. წ. მოტორული) ცენტრის საშუალებით ამოქმედდება ჩვენი სამეტყველო აპარატი და ჩვენ ვიტყვით: „ცივა!“, თუ მოსაუბრე რუსია, ვიტყვით „ხოლოდნო!“, თუ ფრანგია—„ეს ისტ კალტ!“, თუ ფრანგი—„ილ ფე ფრედ!“ და სხვ. და სხვ. ერთი და იგივე განცდა სხვადასხვა ენაზე სხვადასხვა სიტყვით გადმოიცემა; პირუკუ, სხვადასხვა სიტყვა შეიძლება მიუთითებდეს ერთსა და იმავე მოვლენაზე.

მეტყველების მექანიზმის თვალსაზრისით განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ორი ცენტრი ადამიანის ტვინის ქერქში: ერთი აკუს-

ტიკური, სმენითი შთაბეჭდილებების ცენტრი, მეორე მოტორული, მოძრაობის ცენტრი. პირველს უჭირავს საფეთქლის პირველი და მეორე ხვეულის მიდამო: აქ გამოყოფილია არე, რომელიც იღებს მხოლოდ სიტყვის აკუსტიკურ შთაბეჭდილებებს; მას ეწოდება ვერნიკეს ცენტრი. მოტორულ ცენტრს ეწოდება ბროკას ცენტრი; იგი მოთავსებულია შუბლის მესამე ხვეულის უკანა ნაწილში, ორივე მოთავსებულია მარცხენა ნახევარ სფეროში. ყოველ ნორმალურ ადამიანს, რომელსაც ნათქვამი ესმის და ლაპარაკის უნარიც გააჩნია უცილობლად სჭირდება, როგორც ვერნიკეს, ისე ბროკას ცენტრი. ერთ-ერთი მათგანის დაზიანება იწვევს მეტყველების აშლილობას ამა თუ იმ სახისა. წერა-კითხვის მცოდნე ადამიანს სხვა ცენტრებიც აქვს, მაგრამ მათი აღწუსხვა აქ საჭიროდ არ მიგვაჩნია.

აქ წარმოდგენილი ელემენტარული სქემა სხვისი ნათქვამის გაგონება-გაგებისა და საკუთარი განცდის/გამოთქმის მექანიზმისა მიზნად ისახავს მიუთითოს იმ შინაგან კავშირზე, რომელიც არსებობს მეტყველების პროცესსა და ტვინის ფუნქციებს შორის. ტვინის ფუნქციებზე რომ ვლაპარაკობთ, მხედველობაში აზროვნებითი პროცესები გვაქვს. ადამიანის აზროვნება, როგორც ზევითაც ითქვა, ვერასოდეს მიაღწევდა განვითარების იმ საფეხურს, რომელზედაც ის ამჟამად იმყოფება „საგნობრივ წარმოდგენებს“ „სიტყვის წარმოდგენები“ დაუყრდენად რომ არ ქონდეს; კონკრეტული სახეებით აზროვნება მეტყველების დაუხმარებლადაც შეიძლება, მაგრამ განყენებული აზროვნება მეტყველების გარეშე წარმოუდგენელია.

მეტყველება ის ბერკეტია, რომლის შემწეობით ადამიანის აზროვნება ახერხებს უდიდეს სააზროვნო პროცედურათა სიმძიმის აწევას. მეტყველებს ცალკე ადამიანი; მისი მეტყველების მექანიზმი ორგანულად არის დაკავშირებული მისი ტვინის ფუნქციებთან; საკმარისია ზემოხსენებული ორი ცენტრის მოშლა, რომ ადამიანმა დაკარგოს მეტყველების უნარი.

ასე მჭიდროდ არის მეტყველება დაკავშირებული ინდივიდთან, და მაინც არ არის ენა ინდივიდუალური მოვლენა, მაინც ამბობენ, და ამბობენ სრულიად საფუძვლიანად, ენა სოციალური მოვლენააო. რას ნიშნავს ეს? რაში მდგომარეობს ენის სოციალურობა?

გავაანალიზიროთ სიცილი და მეტყველება; ლაპარაკობს ცალკე ადამიანი; იცინის ცალკე ადამიანი; ორსავე შემთხვევაში ინდივიდის აქტთან გვაქვს საქმე, ორივე ინდივიდის განცდების (ამ სიტყვის ფართო მნიშვნელობით) გამოვლენაა; მაგრამ მათ შორის არსებითი

განსხვავებაა. ჩვეულებრივად ვიცინით იმიტომ, რომ გვეცინება, რომ ამაში გამოსავალს პოულობს ჩვენი მხიარული განწყობილება. სიცილი განსაზღვრულია სუბიექტური განწყობილებით და არა ობიექტური საჭიროებით. შეიძლება სრულებით უადგილო იყოს სიცილი, მაგრამ მაინც თავი ვერ შევიკავოთ და გაგვეცინოს (კარგად აღნიშნავს ამას ქართული „მეცინება"). სიცილი არ საჭიროებს მეორე ადამიანს: შეიძლება ჩვენთვის ვიჯდეთ, ვკითხულობდეთ რასმე სასაცილოს და გულიანად ვიცინოდეთ.

ადამიანი იცინის იმიტომ, რომ „ეცინება", რომ „სიცილი აუვარდა", მაგრამ ლაპარაკობს არა იმიტომ, რომ „ელაპარაკების" (რომ „ლაპარაკი აუვარდა"): ასეთ რასმე მართლაც აქვს ადგილი ფსიქიკური აშლილობის დროს, მაგრამ ნორმალურს ვითარებას ეს სრულებით არ შეეფერება. ნორმალურს პირობებში **ადამიანი ლაპარაკობს** იმისთვის, რომ **ვისმე რამე გააგებინოს**, მეტყველების აქტს გარკვეული დანიშნულება, სოციალური ფუნქცია აქვს. თუ შეიძლება ასე ითქვას, ადამიანი იცინის „თავისთვის", ლაპარაკობს—სხვისთვის.

არის შემთხვევები, როცა ადამიანი „იცინის სხვისთვის" (სცენაზე), ლაპარაკობს კი თავისთვის, მაგრამ ასეთი სიცილი ხელოვნურია და, მაშასადამე, ბუნებრივი სიცილისთვის დამახასიათებლად ვერ მიიჩნევა. ასე ლაპარაკი კი, მართალია, არანორმალური არ არის, მაგრამ იშვიათია ნორმალური პირობებისთვის და რაც მთავარია, ასეთი ლაპარაკის დროს ჩვენ იმავე სამეტყველო საშუალებებს მოვიხმართ, რასაც სხვასთან ლაპარაკის დროს ვიყენებთ. მაშასადამე, თავისუფალი როდი ვართ!

ამგვარად, სიცილს მსვენელი და მაყურებელი არ სჭირდება, ლაპარაკს კი გამგონე უნდა. ეს კი ნიშნავს: მე ვერ ვილაპარაკებ ისე, როგორც მომეპრიანება (მხედველობაში გვაქვს სამეტყველო საშუალება და არა თქმულის შინაარსი), არამედ უნდა ვილაპარაკო ისე, როგორც ეს არის მიღებული ადამიანთა იმ კოლექტივში, რომელიც ამ ენას ხმარობს. თუ, მაგალითად, გარკვეულ საგანს „წიგნი" ქვია, მე ვერ ვიხმარ ამ საგნის აღსანიშნავად „წიპნი"-ს, ანდა „ინგიწ"-ს, ან სხვა რასმე მაგგვარს, რადგანაც ამან შეიძლება გამოიწვიოს გაუგებრობა, რადგანაც **ეს ხელს შეუშლის ჩემი ნათქვამის გაგებას**... ასევე, თუ ქართულს ენობრივ კოლექტივში ნორმალურია ფრაზა: „მოწაფეს აქვს წიგნი" ჩვენ ვერ ვიტყვით: „მოწაფემ აქვს წიგნის" ან სხვა რამ ამისთანას.

მეტყველება სოციალურია იმიტომ, რომ მეტყველი არ არის თავისუფალი მეტყველების პროცესში; მას ზღუდავს ის ენობრივი კოლექტივი, რომელიც ამ ენას ხმარობს გაგებინების საშუალებად. ინდივიდს არ შეუძლია ანგარიში არ გაუწიოს სათანადო ენობრივ კოლექტივს, თუ სურს რომ მისმა მეტყველებამ თავისი სოციალური ფუნქცია შეასრულოს, იყოს გაგებინების საშუალება.

ინდივიდთან დაკავშირებულობა არ გამორიცხავს მეტყველების სოციალურ ხასიათს. ინდივიდში მოცემული შეიძლება იყოს მხოლოდ ინდივიდუალურიცა და სოციალურიც. მეტყველება სოციალურია ინდივიდში.

თუ კოლექტივი კონტროლს უწევს, ზღუდავს ინდივიდის მეტყველებას, როგორღა არის შესაძლებელი განსხვავებულობა მეტყველებაში, როგორღა ახერხებს ენა განვითარებას? უდავოა, რომ ერთი ინდივიდი არასოდეს არ ლაპარაკობს სავსებით ისე, როგორც მეორე. ცოცხალს მეტყველებაში ვარიაციებს აქვს ადგილი არა მარტო ინდივიდების მიხედვით: ერთი ინდივიდიც, ზუსტად რომ ვთქვათ, არ ლაპარაკობს ყოველთვის სავსებით ერთნაირად, მაგრამ ეს ვარიაციები იშლება იმ ზოგადის ფონზე, რომელსაც სათანადო ენა წარმოადგენს და არ სცილდება გარკვეულს ფარგლებს. ფარგლებს კი ქმნის ისევ ის ფაქტი, რომ ენა არის გაგებინების საშუალება, სოციალური ურთიერთობის იარაღი. ამიტომ ყოველი არსებითი ცვლილება, მომდინარე ინდივიდიდან, მხოლოდ მაშინ იქცევა ენის კუთვნილებად, როცა ის მოიპოვებს სათანადო ენობრივი კოლექტივის სანქციას, ე. ი. როცა შევა ხმარებაში, როგორც გაგებინების საშუალება.

§ 13. ენა, როგორც იდეოლოგიური მოვლენა. ენა არა მარტო სოციალური მოვლენაა, იგი იდეოლოგიურ მოვლენასაც წარმოადგენს. სოციალურობა არ უნდა ავრიოთ იდეოლოგიურობაში; სოციალური მოვლენა შეიძლება იყოს არაიდეოლოგიურიც. **ყოველი იდეოლოგიური მოვლენა სოციალურია, მაგრამ ყოველი სოციალური არ არის იდეოლოგიური.**

მეტყველება სოციალურიც არის და იდეოლოგიურიც, მისი იდეოლოგიურობის საფუძველია ნიშნადობა; ყოველი ენობრივი მოვლენა რაღაცის ნიშანია: სახლი, კარი, ქვა, კლდე, ჰაერი, მიწა, წყალი და მრავალზე უმრავლესი ამგვარი სიტყვა საგანზე მიგვითითებს, საგნის ნიშანია; ააშენა, დააქცია, მოკლა, შეიპყრო, და-

წერა, წაიკითხა, მოხნა, დათესა და მაგგვარები სხვადასხვაგვარ მოქმედებას აღნიშნავენ; „კი“, „დიახ“—დასტურის ნიშანია; „არა“—უარყოფისა... „თუ“, „რომ“—პირობისა და სხვ. და სხვ.

არ არსებობს არც ერთს ენაში არც ერთი ენობრივი მონაცემი, რომელიც ან ცალკე აღებული ან სხვებთან ერთად რასმე არ ნიშნავდეს. ნიშნად ყოფნა უცილობლად ახასიათებს ყოველივე ენობრივს, ის, რისი ნიშანიც ენობრივი მონაცემია, წარმოადგენს ბაზისს (საფუძველს) ენისათვის: ნიშანთა სამყაროს ნივთთა (და სხვა ობიექტთა) სამყარო უდევს საფუძვლად. **ნიშანი იმდენადვე ნიშანი, რამდენადაც ის რაღაცის ნიშანია, რაღაცაზე მიუთითებს, რაღაცას აღნიშნავს.**

ეს აღნიშვნა, ობიექტზე მითითება, ობიექტური მომენტია ენობრივ მონაცემში; მაგრამ მას შეიძლება დაერთოს სუბიექტური მომენტიც. სუბიექტური მომენტი ის გრძნობითი, ემოციური იერია, რომელიც ამა თუ იმ სიტყვას თან ახლავს. რა წარმოშობს ამ გრძნობითს იერს? **ერთს შემთხვევაში მას იწვევს თვით აღნიშნული საგანი, მეორეში კი—მეტყველის დამოკიდებულება საგნისადმი.** სიტყვებს „მეცნიერი“, „მოლვაწე“ სხვა ემოციური იერი გადაკრავს, ვინემ სიტყვებს „ჩარჩი“, „ბაცაცა“... ეს უკანასკნელები შეიძლება სალანძღავ სიტყვადაც გამოვიყენოთ; „მეცნიერი“, „მოლვაწე“ ასეთად შეუძლებელია იქნეს ხმარებული (თუ პირდაპირი მნიშვნელობით ვიხმართ).

ორი ზემოხსენებული მომენტიდან მეორეს—მეტყველის დამოკიდებულებას საგნისადმი—აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა. ეს იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ დამოკიდებულება ერთი და იმავე სიტყვით აღნიშნულ ობიექტისადმი შეიძლება იყოს სულ სხვადასხვაგვარი იმისდა მიხედვით, თუ რას მოითხოვს მეტყველის თვალსაზრისი. აქ მთელი სიგრძე-სიგანით იშლება მეტყველის კლასობრივი თვალსაზრისი; ერთი და იგივე სიტყვა შეიძლება სრულიად ერთმანეთის საწინააღმდეგო გრძნობითს სამოსელში გაეხვიოს იმისდა მიხედვით, თუ რა კლასის თვალსაზრისზე დგას მეტყველი. სიტყვა „რევოლუციონერი“ საპატიო სახელია ყველა იმისთვის, ვისთვისაც ძვირფასია რევოლუცია და, პირიქით, ის სალანძღავ სიტყვას წარმოადგენს იმის პირში, ვინც რევოლუციას ებრძვის. სიტყვა „სოციალიზმი“ შეგნებული მუშისათვის თავისუფალი და ბედნიერი შრომის სიმბოლოა, კაპიტალისტისათვის კი ეს არის ყოველივე უბედურების განხორციელება... ცნობილი მონარქისტი ვ. შულგინი თავის „Дни“-ში 1905 წ. ის შესახებ რომ ლაპარაკობს, ბრჭყალებში სვამს გამოთქმას

„განმათავისუფლებელი მოძრაობა"; ეს ბრჭყალები წერილობითი სახით აღბეჭდავს რევოლუციის მტრის დამოკიდებულებას ამ მოძრაობისადმი, იმ ემოციურ იერს (ბოროტ ირონიას), რომელიც ამ გამოთქმას ახლავს ე. შულგინის სიტყვახმარებაში. არა ნაკლებ დამახასიათებელია შემდეგი ფრაზა იმავე წიგნიდან: „გაზეთ „კიევლიანინის" (შაჟრაზმული გაზეთი იყო, რომელსაც ე. შულგინი ხელმძღვანელობდა!) დაურიდებელმა ბრძოლამ რევოლუციასთან მრავალ კიეველ მოქალაქეს შეუნარჩუნა კონტრრევოლუციონური განწყობილება" (გვ. 13, ხაზი ჩვენია). მკითხველი ნათლად ხედავს, რომ ე. შულგინი გაზეთის მიღწევად თვლის კონტრ-რევოლუციონური განწყობილების შენარჩუნებას, მისთვის ეს სასიქადულოა; სიტყვა „კონტრ-რევოლუციონერი" მონარქისტის სიტყვახმარებაში სულ სხვა სოციალური აქცენტის მატარებელია, ვინემ რევოლუციონერის მეტყველებაში.

ამ გრძნობის იერში, რომელსაც ერთი და იგივე სიტყვა იღებს სხვადასხვა სოციალური დაჯგუფების, კერძოდ, სხვადასხვა კლასის სიტყვახმარებაში, ამ სოციალურ აქცენტში უკუფინებაის, რაც ყველაზე დამახასიათებელია ენის კლასობრივობისათვის [1].

არის მეორე საშუალებაც ამავე მოვლენის გამოსამჟღავნებლად. ერთსა და იმავე საგანს, ობიექტურ მონაცემს შეიძლება რამდენიმე სიტყვა აღნიშნავდეს სხვადასხვა გვარად. ერთი სოციალური ჯგუფის წარმომადგენელს შეუძლია ერთი იხმაროს, მეორეს—მეორე. აქ სხვადასხვა თვალსაზრისი გამოსავალს პოულობს სხვადასხვა სიტყვის ხმარებაში ერთისა და იმავე მონაცემის აღსანიშნავად. რევოლუციონური მოძრაობის მონაწილეს რევოლუციონერი ეწოდება რევოლუციონერთა წრეში, თვითმპყრობელობა ამისათვის კი ხმარობდა სპეციალურ ტერმინს „კრამოლნიკს" (ვინც „კრამოლას", არევ-დარევას თესავს). რევოლუციონური მოძრაობა იმავე მთავრობის თვალსაზრისით იყო „ბუნტი" ისევე, როგორც მოსახლეობის მეშჩანური ნაწილი მას უძახოდა „არეულობას"... რევოლუციონერი—კრამოლნიკი, რევოლუცია— ბუნტი, არეულობა, აი ნიმუშები ერთი და იმავე ობიექტური მონაცემის სხვადასხვაგვარი აღნიშნვისა სხვადასხვა სიტყვის შერჩევის საშუალებით; ეს ქმნის უწინარეს ყოვლისა იმას, რაც სტილის სახელ-

---

[1] ემოციური იერი ყოველთვის, რა თქმა უნდა, კლასობრივ თვალსაზრისს არ გამოხატავს; დაწვრილებით ამის შესახებ იხ. თავი IX, § 71: „სემასიოლოგია და სტილისტიკა".

წოდებით არის ცნობილი. ჩვენ აქ გვაინტერესებს კლასობრიობა სტილისა. თავისებური სტილი აქვს მეცნიერებას, პოლიტიკას, სხვადასხვა ადამიანსაც კი. ყველას კარგად მოეხსენება, როგორ თავისებურია იმპერიალისტურ სახელმწიფოთა დიპლომატების ენა, რომელნიც ერთს ფიქრობენ, მეორეს ლაპარაკობენ, ხოლო მესამეს აკეთებენ... ეთქვათ, იაპონია, აღმოსავლეთის ეს ონავარი, „მორცხვად" ლაპარაკობდა იმის შესახებ, რომ მას „მანჯურიაში ინტერესები აქვს", მართალ ენაზე გადათარგმნილი ეს ნიშნავდა: „მანჯურია ხელში უნდა ჩავიგდო"-ო...

ენაში, როგორც იდეოლოგიურ მონაცემში, მკვეთრად დაჩნდება კლასობრიობა, რა თქმა უნდა, კლასობრივ საზოგადოებაში; კლასობრივად დიფერენცირებულ საზოგადოებაში შეუძლებელია ენამ არ ასახოს კლასობრიობა. ენობრივი მონაცემი იშვიათად თუ არის მხოლოდ ობიექტური მონაცემი. მას თან ახლავს ემოციური იერი, რომელშიაც უკუფენას პოულობს სიტყვის სოციალური აქცენტი. იგივე ემოციური იერი თავისებურად წყვეტს ლექსიკის საკითხს და ქმნის სტილის თავისებურებას.

ამაში აისახება ყველაზე მკვეთრად სოციალურ და, კერძოდ, კლასობრივ, თვალსაზრისთა სხვადასხვაობა ენაში. სტილისა და სემასიოლოგიის გარდა სიტყვაწარმოებაშიაც შეიძლება პოვოს მან გამოხატულება, [1] მაგრამ აქ გაცილებით ნაკლები შესაძლებლობაა; მორფოლოგია (ბრუნვა-უღვლილება) და ფონეტიკა კი მაქსიმალურად ნეიტრალური სინამდვილეა ენაში, როგორც იდეოლოგიურს მონაცემში (ამას თავისი მიზეზები აქვს: მათი განხილვა აქ უადგილო იქნებოდა); ენის, როგორც იდეოლოგიური მონაცემის საკითხი, და მასთან დაკავშირებული საკითხი კლასობრიობისა, ენათმეცნიერებაში ნაკლებად არის დამუშავებული. ამიტომაც ჩვენ გამოვყავით ის მომენტები, რომლებიც უფრო მკვიდრად დადგენილად შეიძლება იქნეს მიჩნეული...

რა მიმართებაშია ენის სოციალურობა კლასობრიობასთან? **ენა ყოველთვის სოციალურია,** რადგანაც ის ყოველთვის იყო, არის და იქნება გაგებინების საშუალება, ადამიანთა სოციალური ურთიერთობის იარაღი; **კლასობრიობას კი ადგილი აქვს** მხოლოდ **კლასობრივი საზოგადოების ენაში:** არც წინაკლასობრივ საზოგადოებაში იყო ენა კლასობრივი, არც მომავალ უკლასო საზოგადოებაში იქნება იგი კლასობრივი.

---

[1] ამის შესახებ იხ. § 74.

§ 14. ენა, როგორც სისტემა. ნივთთა სამყარო აურაცხელია; ობიექტურს სინამდვილეში,—იქნება იგი ბუნების სინამდვილის თუ სოციალური სინამდვილის სახით მოცემული,—ნივთთა ეს უბოლოვადი სამყარო ერთმანეთთან ათასგვარად არის გადაჯაჭული და ურთიერთობათა უმაგალითო ხლართს იძლევა.

ადამიანის მეტყველებაში აისახება როგორც ამ ნივთთა, ისე ამ ურთიერთობათა სამყარო. როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ნივთთა და ურთიერთობათა ობიექტურ სამყაროს შეეფერება—მეტყველებითი სამყარო, სიტყვათა სამყარო. ერთს მხარეზე დგას ბაზისის მოვლენები (საგნები...), მეორე მხარეზე კი – ზედნაშენის მოვლენები (სიტყვები). ერთის წუთით წარმოვიდგინოთ, რომ ყოველ ერთეულს ბაზისის სინამდვილეში, ყოველს მის ვარიაციას, ყოველს ახალს ურთიერთობას, რომელშიაც ეს მონაცემი შეიძლება აღმოჩნდეს ბაზისის სხვა მონაცემთან, შეეფერება სპეციალური, მხოლოდ მისთვის განკუთვნილი ნიშანი. და რომ ენა შემდგარია ასეთი სპეციალურ-ინდივიდუალური მონაცემებისაგან, რომ იგი წარმოადგენს ასეთ მონაცემთა გროვას. ასეთს პირობებში არც ერთი ენის შესწავლა არასოდეს არ მოხერხდებოდა.

მართლაცდა, ყოველ დღე რამდენიმე ასეული ათასი ქართული სიტყვა დაიწერება, სულ მცირე რომ ვთქვათ; წლების განმავლობაში ამ ერთეულთა ჯამი ასტრონომიულ რიცხვს მოგვცემს. მაგრამ ყველაფერი ხომ არ იწერება. იმის დასათვლელად, თუ რამდენი ქართული სიტყვა ითქვა თუნდაც ერთი დღის განმავლობაში, არავითარი რიცხვი არ გვეყოფა. ვინღა გაართმევს ამას თავს? ვინ მოახერხებს ამის დაძლევას? ყველამ კარგად იცის, რომ ენის შესწავლა ასე საშინელი არ არის, რომ ენობრივ ნიშანთა მრავალფეროვნების დაძლევა არავითარ განსაკუთრებულ სიძნელეს არ წარმოადგენს.

როგორ ხდება ეს? რა ქმნის ამის შესაძლებლობას? ის მარტივი, მაგრამ დიდმნიშვნელოვანი ფაქტი, რომ ყოველი ენა სისტემას წარმოადგენს; ენა როდია ცალკეულ ინდივიდუალურ ნიშანთა (სიტყვათა) მექანიკური გროვა, არამედ მთლიანობა, სისტემის სახით ჩამოყალიბებული. ენას გააჩნია ყველა ის ნიშანი, რაც სისტემა-ცნებით არის ნაგულისხმევი: სიმრავლე შემადგენელი ელემენტებისა, რომელნიც ერთმანეთთან გარკვეულს მიმართებაში იმყოფებიან, რის გამოც ეს სიმრავლე ორგანიზებულია, და მრავალდობა ქმნის მთლიანობას და არა ელემენტთა მექანიკურ გროვას. ყველ ენას გააჩნია, სულ დიდი, რამდენიმე ასეული

ძირი და რამდენიმე ასეული ყალიბი, ფორმულა; და ამ ორი მონაცემის სხვადასხვაგვარი ვარიაცია ქმნის უამრავ ახალ სიტყვას მისი ყოველწაირი ნაირსახეობით.

მივმართოთ უბრალო ილუსტრაციას. ქართულში სიმრავლის აღსანიშნავად გამოყენებულია **-ებ**: კაცი (ერთი) კაც-**ებ**-ი (ერთზე მეტი); მაგრამ ეს იმ შემთხვევაში, თუ სიტყვა „საგანს აღნიშნავს“, იმრუნვის, ერთი სიტყვით, თუ იგი სახელია. ზმნაში კი **-ებ** მრავლობითობის აღსანიშნავად არ გამოდგება: ის წერს—ისინი წერ**ენ** (და არა წერ**ებ**!). **ებ**-ის ადგილი **ენ**-მა დაიჭირა. ახლა ვიკითხოთ: ზმნაში მრავლობითობა ყოველთვის **-ენ**-ით გადმოიცემა? რა თქმა უნდა, არა: მან დაწერა—მათ დაწერ-**ეს**: **-ენ** აწმყოში გამოდგა, მაგრამ ნამყო ძირითადისთვის შეუფერებელი აღმოჩნდა: აქ მის ადგილას **-ეს** მოგვევლინა.

მაგრამ ამ დროშიაც არ გამოგვადგება **-ეს** ყოველთვის: ე. წ. გარდაუვალ ზმნებთან **-ენ** უნდა ვიხმაროთ და არა **-ეს**; მათ დაწერეს, გააკეთ**ეს**, ააშენ**ეს**... მაგრამ: ისინი მოვიდ**ენ**, დასხდ**ენ**, გაკეთდ**ენ**, აშენდ**ენ** და სხვ. რაც ამ ნამყოს შესახებ ითქვა, იგივე უნდა ითქვას აწმყო დროის შესახებაც: იქაც ყოველთვის არა გვაქვს **-ენ**, არამედ ზოგიერთი (ი ფუძიანი) გარდამავალი და ყველა გარდაუვალი ზმნა საჭიროებს **-ან** დაბოლოებას: ისინი წერ**ენ**, აშენებ**ენ**, აკეთებ**ენ**..., მაგრამ: ისინი გზავნი**ან**, წვრთნი**ან**, დევნი**ან**, ხსნი**ან**... დგები**ან**, სხდები**ან**, შენდები**ან**, კეთდები**ან** და სხვ...

რა გამოდის? სიმრავლის კატეგორიის გრამატიკულად აღნიშნვისათვის თანამედროვე სალიტერატურო ქართული იყენებს სხვადასხვა ნაწილაკებს (—ებ, —ენ, —ეს, —ან...) იმისდა მიხედვით, სახელის მრავლობითობაა აღსანიშნავი თუ ზმნისა, ზმნაში აწმყო დროა თუ ნამყო ძირითადი, გარდამავალი ზმნაა თუ გარდაუვალი... ყველა ეს ნაწილაკები სიმრავლეს აღნიშნავენ, მაგრამ ყოველი მათგანი თავისებურს, ამიტომაც ისინი განურჩეველად როდი იხმარებიან; ყოველ მათგანს ზედმიწევნით გარკვეული ადგილი აქვს მიჩნეული, ყოველი მათგანი ქართული ენის მორფოლოგიურს სისტემაში გარკვეულ როლს ასრულებს.

მსგავსსავე მდგომარეობას ვხედავთ სახელთა სინამდვილეში. ქართულში რამდენიმე ათასი სახელი გვაქვს [1]; საგანთა სხვადასხვა ურთიერთობის აღსანიშნავად თითოეული მათგანი იცვლის ბრუნვას, მაგრამ ამის გამო კი არ ვიღებთ ათეულ ათასს ნაირსახეობას. არა,

---

[1]) სახელი და არა ძირი: ძირთა რაოდენობა შეუდარებლივ მცირეა.

სულ რიცხვით 12 ყალიბი გაგვაჩნია და, თუ ეს ვიცით, ვიცით ყოველი შესაძლო სახე, რომლითაც ეს სახელები მოგვეველინება ქართულს მეტყველებაში.

ამიტომ მიზეზის გამო თვით ურთულესი ქართული ზმნა რამდენიმე ასეული ყალიბით ამოწურავს მთელს თავის მრავალფეროვნებას. ყველა ეს ყალიბი—სახელისა თუ ზმნისა, სიტყვაწარმოებისა თუ სიტყვათა შეუღლებისა—წარმოადგენენ ფორმულებს, რომელნიც ენობრივი სინამდვილის მრავალფეროვნობის დაძლევას შესაძლებელს ხდიან; როცა ენას ვსწავლობთ, ჩვენ ვსწავლობთ ძირითად მასალას (სიტყვებს) და იმ ყალიბებს (ფორმულებს), რომელთა შემწეობით ამა თუ იმ ენაში ეს ძირითადი მასალა ათასგვარ ვარიაციაში წარმოგვიდგება და რომელთა საშუალებით ენის სისტემა აიგება.

ყოველი ენა სისტემას წარმოადგენს: სისტემას ბგერათა, სისტემას ფორმათა, სისტემას სიტყვაწარმოებათა... და როცა შეისწავლება ცალკე მეტყველებითი ფაქტი, იგი შეისწავლება, როგორც მონაწილე ამ სისტემისა.

§ 15. ენა, როგორც ისტორიულად ცვალებადი კატეგორია. ჩვენ უკვე ვიცით, რომ ენა, როგორც გაგებინების საშუალება გარკვეული ენობრივი კოლექტივისათვის, უაღრესად სოციალური მოვლენაა; რომ იგი, როგორც ნიშანთა სამყარო, იდეოლოგიურ მონაცემს წარმოადგენს და ხედნაშენური ბუნებისაა; ვიცით ისიც, რომ ეს ნიშანთა სამყარო ცალკეულ მოვლენათა გროვა კი არ არის, არამედ ჩამოყალიბებული მთლიანობის სახით გაშლილი სისტემაა.

სხვადასხვა ენის სისტემა ერთმანეთისაგან განსხვავდება, როგორც **იმ მასალის მიხედვით, რომლისაგანაც იგი აგებულია, ისე თვით აგებულების მიხედვითაც; ერთი ენის აგებულება ჩვეულებრივ განსხვავდება მეორისაგან თვალსაჩინოდ, ზოგჯერ კი—ძირითადადაც.** ამიტომ ხდება ის, რომ ერთი ენის გრამატიკა (აგებულების შესახებ მოძღვრება) ისევე გამოუსადეგარია მეორე ენის აგებულების გასათვალისწინებლად, როგორც „ერთი ქალაქის გეგმა შეუძლებელია მეორე ქალაქის დასათვალიერებლად იქნეს გამოყენებული“.

მიუხედავად ენათა სისტემების განსხვავებულობისა არის ერთი რამ, რაც ყოველგვარი აგებულების ენას ახასიათებს, ყველა ენის სისტემისათვის არსებითია და, მაშასადამე, საერთოდ ენა-ცნების არ-

სებით ნიშნად უნდა იქნეს მიჩნეული: მხედველობაში გვაქვს ენის განვითარება.

ენობრივი სისტემა დროთა ვითარებაში იცვლება; იცვლება სისტემის ყოველი რგოლი, ზოგი—მეტად, ზოგი—ნაკლებად, ზოგჯერ—ნელა, ევოლუციურად, ზოგჯერ—სწრაფად, რევოლუციური ნახტომების სახით.

საკმარისია ავიღოთ რომელიმე ენის განვითარების ორი მომენტი, რომელიც დაშორებულია ერთმანეთს რამდენიმე საუკუნის მანძილით, რომ ერთბაშად თვალში გვეცეს ის ცვლილება, რომელიც დროის მცირე მანძილზე ისე შესამჩნევი არ არის: **ცვლილება ეხება ბგერებს, სიტყვათა ფორმებს, სიტყვათა მნიშვნელობას და კიდევ უფრო სიტყვათა შემადგენლობას,**—იკარგება მრავალი სიტყვა, ჩნდება კიდევ უფრო მეტი...

შორს რომ არ წავიდეთ, ორიოდე მაგალითი ისევ ქართული სამწერლო ენის ისტორიიდან შეიძლება მოვიყვანოთ. ჩვენ ახლა ვამბობთ და ვწერთ: მუხლი, ხელი, ფესი, ხარი, ხმა... ძველს ქართულში იწერებოდა: მუკლი, კელი, ფერკი, კარი, კმა... აწინდელ ხ-ს ადგილას იქ სხვა ბგერა ისმოდა („უფრო მაგარი" ხ); რას წარმოადგენდა ეს ბგერა, ჩვენ შეგვიძლია გავითვალისწინოთ ზოგი თანამედროვე ქართული კილოს მიხედვით, სადაც ამავე სიტყვებში დღემდის დაცულია ის „სხვაგვარი ხ" (კ)... მთის კილოებმა (თუშურმა, ფშაურმა, ხევსურულმა, მთიულურმა, მოხეურმა) და ბარის ზოგმა კილომაც (ქიზიყურმა, ინგილოურმა) შემოინახა ეს ბგერა, სხვა კილოებმა (ქართლურმა, კახურმა, იმერულმა, გურულმა) დაკარგეს იგი; სალიტერატურო ქართულსაც სამუდამოდ გამოესალმა ეს ბგერა და მის ნაცვლად ჩვენ ყველგან ხ-ს ვხმარობთ; ვხმარობთ ისეთ შემთხვევაშიაც, სადაც ხ-ს ხმარების გამო ორი, ძველად განსხვავებული გარეგნობისა და მნიშვნელობის სიტყვა ერთმანეთს ემსგავსება, ერთმანეთში ველარ გაირჩევა: წინეთ იყო კერკი („კერკი სჯობია ლონესა") და ხერხი („ეს ხერხი კარგად ხერხავს"); განსხვავებული იყო მნიშვნელობა, განსხვავებული იყო გამოთქმაც. ამჟამად, ორსავე შემთხვევაში „ხერხი" გვაქვს. ამ სიტყვების გარჩევის საჭიროებას უნდა შეეშალა ხელი ე-ს დაკარგვისათვის. მაგრამ ისტორია არც ასეთ შემთხვევებს დაერიდა და გადაშენებას კ ასეთმა შემთხვევამაც ვერ გადაარჩინა.

ძველად ქართულში ჩვეულებრივი იყო ფორმები, როგორიცაა, გააკეთის, დაწერის... დგების, წვების, ჯდების... აი თუნდაც ისეთი, „ვეფხის ტყაოსანის" ერთ-ერთ ტაეპში რომ გვხვდება:

„საწოლს დაწუა, ტირს, მტირალსა ცრემლი ძნელად ეაოცებიs
„ვითა ვერხუი ქარისაგან ირხევიs და იქეცებიs
„რა მილულდიs, სიახლოვე საყუარლისა ეოცებიs
„შეკრთიs, დიდი დაიზახიs, მით პატიენი ეოცებიs... ამჟამად არც ერთს ამ შემთხვევაში ქართული -ის დაბოლოებას არ იხმარს: ზოგგან -ა მოვა ბოლოს (ეხოცება, ირხევა, იქეცება, ეოცება), ზოგგან დაბოლოების ცვლილების გარდა ზმნის დროც შეიცვლება (დაიძახებდა ხოლმე...).

არც ფრაზაში სიტყვათა ურთიერთობაა ამჟამად წინანდებური: „ვეფხვის ტყაოსანში“ ვკითხულობთ:

„ყმა მტირალი შეებრალა, ამად ცხელნი ცრემლნი ღუარნა
„მაგრამ უჯდა უცხოს უცხო, არ ბაგენი აუბარნა
„ყმამან თქუა თუ გონებანი ჩქარნი ჩემთვის დააწყნარნა
„ცრემლ-დენილი შეეხუეწა, ადგა, მუკლნი მოუყარნა... ძველებურია „ცრემლნი ღუარნა“, „ბაგენი აუბარნა“, „გონებანი დააწყნარნა“, „მუკლნი მოუყარნა“... თანამედროვე ქართული არც ერთ ამ ზმნაში „ნ“-ს არ იხმარს... სხვა მაგალითებს არ გამოვეკიდებით, და აქ სიტყვათა მნიშვნელობის ცვლის ორიოდე შემთხვევას მოვიყვანთ.

ყველამ კარგად ვიცით, რასაც ალნიშნავს ამჟამად სიტყვა „მეცნიერი“; ძველს ქართულში ამ სიტყვას სულ სხვა მნიშვნელობა ჰქონდა: იგი ალნიშნავდა „მცოდნეს“ და „ნაცნობს“: „შევკრიბენ კარსა დარბაზისა ჩუენისასა მღდელთ-მოძღუარნი, ერისთავთ-ერისთავნი, ერისთავნი და ყოველთა კევთა ზემოთა და ქუემოთა აზნაურნი, მეცნიერნი საბჭოთა საქმეთანი“-ო,—მოგვითხრობს მე-XI საუკუნის ცნობილი იურიდიკული აქტი; აქ გამოთქმა: „შევკრიბენ .. აზნაურნი, მეცნიერნი საბჭოთა საქმეთანი“—ნიშნავს: შევკრიბე ბჭობის საქმის მცოდნე აზნაურებიო: მეცნიერი=მცოდნე.

ფრაზაში კი: „წუთ-წუთ მოვიდიან მისა მეცნიერნი მისნი და ჰგონებედ, ვითარმედ პოონ იგი მკუდარი“, „მეცნიერი“ ნიშნავს „ნაცნობს“: „მალ-მალე მოდიოდენ მასთან მისი ნაცნობები და ფიქრობდენ, რომ იპოვიდენ მას მკვდარს“...

ცნობილი თქმა: „თუ კაცი ჭირსა არ დათმობს, ლხინი რა დასათმობია“ შეუსაბამობას შეიცავს, თუ „დათმობა“ აწინდელი მნიშვნელობით გავიგეთ, მაგრამ ყველაფერი თავის ადგილას აღმოჩნდება, თუ მოვიგონებთ, რომ ძველს ქართულში „დათმობა“ „მოთმენას“, „გაძლებას“ ნიშნავდა: „თუ კაცი ჭირს არ დათმობს, ლხინი რა დასათმობია“—ე. ი. „თუ კაცი გაჭირვებას არ გაუძლებს, ლხინს რაღა გაძლება უნდაო“...

არას ვიტყვით იმაზე, რამდენი ძველი სიტყვა სრულიად გამოვიდა ხმარებიდან, მოკვდა, და რამდენი ახალი სიტყვა შეეძინა ქართულს.

რა იწვევს ენის ცვლას? რა წარმართავს მის განვითარებას? ამაზე პასუხი მარტივად გაიცემა, თუ ჩვენ მოვიგონებთ, რაშიც მდგომარეობს ენის სოციალური ფუნქცია: ენა საწარმოო ურთიერთობაში მყოფ ადამიანთა ურთიერთობის იარაღია, გაგებინების საშუალებაა; ენა ცოცხლობს იმდენად, რამდენადაც ის ამ სოციალურს ფუნქციას ასრულებს. საწარმოო ძალთა განვითარება იწვევს საწარმოო ურთიერთობის ცვლას; ერთი საზოგადოებრივ-ეკონომიური ფორმაციის ადგილს იჭერს მეორე, და განა წარმოსადგენია ეს არ დაეტყოს ენას, რომლის არსებაც ამ საწარმოო ურთიერთობასთან არის დაკავშირებული?! საწარმოო ურთიერთობათა განვითარების დიალექტიკა საფუძველია ენის განვითარების დიალექტიკისა.

როცა ენის განვითარებაზე ვლაპარაკობთ საწარმოო ურთიერთობათა განვითარებასთან დაკავშირებით, ერთის წუთითაც არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ყოველ ენობრივ მონაცემში თანაბრად როდი ალიბეჭდება საწარმოო ურთიერთობათა ცვლა: ყველაზე მკვეთრად მას ასახავს ლექსიკა (სიტყვათა მარაგი), და ეს სრულიად ბუნებრივია იმიტომ, რომ მანძილი ბაზისსა და ზედნაშენს შორის—აქ ყველაზე მცირეა, კავშირი საგანსა და მის სახელს შორის ყველაზე მჭიდროა.

ენის ფორმები, აგებულება მეტს კონსერვატულობას იცავს; წინა საზოგადოებრივ-ეკონომიური ფორმაციები აქ დიდს გამძლეობას იჩენენ და ამის გამო ხდება ის, რომ ენის აგებულების (მორფოლოგიისა-სინტაქსის) ახსნა სათანადო ეკონომიურ ბაზისამდის დაყვანით უხეშ მექანისტურ შეცთომებს იძლევა.

მით უფრო ეს ითქმის ფონეტიკის შესახებ. ცნობილს წერილში ი. ბლოხისადმი ფრ. ენგელსი ამბობს: „საეჭვოა, ვინმემ მოახერხოს—ისე, რომ თავი სასაცილოდ არ გაიხადოს—ეკონომიკაზე მითითებით... იმის ახსნა, თუ როგორ მოხდა ჩრდილო-გერმანულ ხმოვანთა შეცვლაო". ენა ვითარდება; ენის სისტემა დროთა ვითარებაში იცვლება; ენა ისტორიულად ცვალებადი კატეგორიაა; ამიტომ არც ერთი ენობრივი მოვლენის მეცნიერული შესწავლა არ შეიძლება მის ისტორიულს ასპექტში შესწავლის გარეშე. მოვლენის შესწავლა ისტორიულს ასპექტში ნიშნავს მოვლენის შესწავლას მის განვითარებაში; ეს კი უცილობელი პირო-

ბაა მოვლენის მეცნიერული შესწავლისა. განვითარების თვალსაზრისით დედამიწის შესწავლამ შექმნა გეოლოგია, ცხოველთა სამყაროს მიმართ იმავე თვალსაზრისის გამოყენებამ წარმოშვა ბიოლოგია, და **ენათმეცნიერებაც მეცნიერებად იქცა მხოლოდ მას შემდეგ, რაც ენობრივი მოვლენა ისტორიულს ასპექტში იქნა წარმოდგენილი.**

ყოველი **არაისტორიული თვალსაზრისი ენის შესწავლისას მხოლოდ იმდენად არის გამართლებული, რამდენადაც ეს საჭიროა შემდგომში ისტორიული თვალსაზრისის მომარჯვებისათვის.** როგორც ენის შესწავლისას ჩვენ შეიძლება ავიღოთ ამოსავლად ან აწინდელი მდგომარეობა და აქედან გავემართოთ წარსულისაკენ ანდა, პირუკუ, წარსულის რომელიმე მომენტს დავეყაროთ და განვითარების შემდგომი ეტაპები გავითვალისწინოთ. ორსავე შემთხვევაში ჩვენ გვჭირდება ენობრივი სისტემის განაკვეთი-სქემა, ენის არსებობის გარკვეულ მომენტში; ამიტომაც **ისტორიული თვალსაზრისის რეალიზაცია უთუოდ საჭიროებს არაისტორიული თვალსაზრისით დამუშავებულ სტატიკურ შესწავლას,** რომელიც, ვიმეორებთ, ისტორიულ თვალსაზრისის გამოუყენებლად უძლურია მართებულად გააშუქოს ენობრივი მოვლენა და ამდენადვე თავისთავადს ღირებულებას მოკლებულად უნდა ჩაითვალოს.

ვითარდება ცოცხალი კუთხური მეტყველება, ვითარდება სამწერლო ენაც. უკანასკნელს მიმართავენ ხოლმე, როცა ენის განვითარების წინა საფეხურები სურთ გაარკვიონ. ეს აუცილებლობის საქმეა და არა სასურველობისა: სამწერლო ენის განვითარება არ იძლევა ენის განვითარების სწორ სურათს. სამწერლო ენა ფასეული კულტურული პროდუქტია, მაგრამ მაინც კულტურული პროდუქტი; სამწერლო ენის განვითარებას კონტროლი ეწევა, ამიტომ სამწერლო ენა მეტ-ნაკლებად ყოველთვის ხელოვნურია; მეტყველების ბუნებრივი სახე ცოცხალ მეტყველებაშია მოცემული; ცოცხალი მეტყველების განვითარებაშია წარმოდგენილი ენის ბუნებრივი განვითარება; ამიტომაც: ენათმეცნიერულის თვალსაზრისით ცოცხალი მეტყველება შეუდარებლივ უფრო ფასეულია, ვინემ სამწერლო ენა. მხოლოდ მისი შესწავლა იძლევა სწორ წარმოდგენას ენის ბუნების რაობისა და ენის განვითარების საფუძვლების შესახებ.

ენის ისტორიაზე, ენის განვითარებაზე როცა ვლაპარაკობთ, არ შეიძლება გვერდი ავუაროთ იმ მომენტს, რომელიც ამოსავალ

წერტილს წარმოადგენს ენის შემდგომი განვითარებისათვის. მხედველობაში გვაქვს ენის წარმოშობის საკითხი. უცნაური იყო ამ საკითხის ბედი ენათმეცნიერული აზროვნების ისტორიაში; იყო დრო, როცა ის ითვლებოდა ყველაზე საინტერესო საკითხად, როცა ენის შესახებ მსჯელობა უწინარეს ყოვლისა ამ საკითხის შესახებ მსჯელობას მოასწავებდა. ეს იყო ძველად, ქრისტიანულ ერის დაწყებამდის რამდენიმე საუკუნის წინ, სოკრატესა, პლატონისა და არისტოტელეს დროს, მაშინ, როდესაც ენათმეცნიერების ჩანასახიც კი არ მოიპოებოდა. საუკუნეთა განმავლობაში ამ საკითხმა შეინარჩუნა მიმზიდველობა და მხოლოდ მე-XIX საუკუნეში, როცა ენათმეცნიერება, როგორც დამოუკიდებელი მეცნიერება, საკუთარ ფეხზე მკვიდრად დადგა, ეს საკითხი უკანონო საკითხად იქნა გამოცხადებული. და შემთხვევითი არ არის, რომ პარიზის საენათმეცნიერო საზოგადოების წესდება (1866 წ.) პირდაპირ კრძალავდა ამ საკითხის შესახებ მოხსენების წაკითხვას საზოგადოების სხდომებზე. ეს არის დამახასიათებელი ინდოევროპეისტიკისათვის. სრულიად საწინააღმდეგო თვალსაზრისზე დგას აკად. ნ. მარი: ენის წარმოშობის საკითხი მას ენათმეცნიერების ძირითად საკითხად მიაჩნია.

აკად. ნ. მარის დამსახურება ამ შემთხვევაში ეჭვს გარეშეა, ენის წარმოშობის საკითხს ენათმეცნიერება გვერდს ვერ აუვლის; ეს საკითხი **ერთ-ერთი ძირითადი** საკითხთაგანია: ენათმეცნიერებისათვის იგი იმდენადვე არის მნიშვნელოვანი და აქტუალური საკითხი, რამდენადაც მნიშვნელოვანია და აქტუალური ბიოლოგიისათვის სიცოცხლის წარმოშობის საკითხი, საზოგადოებათმეცნიერებისათვის —საზოგადოების წარმოშობის საკითხი. **ამ საკითხით დაწყება არ შეიძლება**, ამ საკითხით გათავება კი აუცილებელია.

ენის წარმოშობის საკითხი დოკუმენტალური სიზუსტით ალბათ არასოდეს გაირკვევა. მარტო ენათმეცნიერების მიღწევები სრულებითაც არ კმარა ამ საკითხის შესახებ დასაბუთებული ჰიპოთეზის წამოსაყენებლად. საჭიროა ფსიქოლოგიის, ანთროპოლოგიის, მატერიალური კულტურის ისტორიისა და ეთნოლოგიის დასკვნათა გამოყენება. ენათმეცნიერებისა და ყველა ამ მეცნიერებათა თანამედროვე მიღწევათა საფუძველზე უფრო დასაბუთებულად და, მაშასადამე, მეცნიერულად უფრო სწორად უნდა მივიჩნიოთ ის გაგება, რომლის თანახმადაც:

1. ენა მარტო ერთ ადგილას არ [გაჩენილა (პოლიგენეზისი და არა მონოგენეზისი).

2. ცალკე მოხეტიალე ადამიანი არ ალაპარაკებულა, მეტყველება წარმოიქმნა ადამიანთა ჯგუფში.

3. მეტყველება წარმოშვა სოციალურმა საჭიროებამ, ურთიერთობის მოთხოვნილებამ (ფრ. ენგელსი, იხ. ზემ. § 11).

4. მეტყველება წარმოიშვა იმდროინდელი ადამიანის შრომის პროცესში (ფრ. ენგელსი, იქვე).

5. პირველი მეტყველება იყო ბგერითი მეტყველება (ფრ. ენგელსი, იქვე). რაც შეეხება ხელის ენის პირველობის საკითხს, უნდა აღინიშნოს, რომ: ა) ამჟამადაც მის საწინააღმდეგოდ მეტი საბუთი არსებობს, ვინემ მის სასარგებლოდ და ბ) ხელის ენის პირველობა ბგერითი ენის სოციალური საწყისის უარყოფად იქცევა: თუ გაგებინების საშუალება უკვე არსებობდა ხელის ენის სახით, ცხადია, „ურთიერთობის მოთხოვნილება", „გაგებინების საჭიროება" ვერ წარმოშობდა ბგერითს ენას.

II. მეცნიერული გრამატიკის დარგები.

§ 16. საკითხის დასმისათვის. „კვლევა-ძიება უნდა ჩაწვდეს მასალას დეტალურად, გაანალიზოს მისი განვითარების სხვადასხვა ფორმები და აღმოაჩინოს მათი (ფორმების) შინაგანი კავშირი. მხოლოდ ამ მუშაობის ჩატარების შემდეგ შეიძლება სათანადოდ იქნეს გადმოცემული ნამდვილი მოძრაობაო“,—ამბობს კ. მარქსი „კაპიტალის“ მეორე გამოცემის წინასიტყვაობაში, როცა ის განმარტავს, რით განსხვავდება გადმოცემა-დალაგების წესი კვლევა-ძიების წესისაგან და როცა ის არკვევს საკითხს, რაში მდგომარეობს მისი, დიალექტიკური მეთოდი.

ეს სიტყვები მთელი პროგრამაა მეცნიერული კვლევა-ძიების მეთოდოლოგიისა მატერიალისტური დიალექტიკის თვალსაზრისით, მაგრამ ამ შემთხვევაში ჩვენ გვსურს გავამახვილოთ ყურადღება დებულების იმ ნაწილზე, რომელიც აჰბობს—„კვლევა-ძიება უნდა ჩაწვდეს მასალას დეტალურად, გაანალიზოს მისი განვითარების სხვადასხვა ფორმები და აღმოაჩინოს მათი შინაგანი კავშირი“-ო... ეს პირველი და მიუცილებელი პირობაა მატერიალისტური დიალექტიკის თვალსაზრისის გამოყენებისა სპეციალურს სამეცნიერო დისციპლინაში... მხოლოდ მაშინ, თუ იქნება დაცული ეს პირობა, არის შესაძლებელი ფრ. ენგელსის სიტყვებით რომ ვთქვათ „დიალექტიკის კანონები დავძიოთ ბუნებაში, გამოვიყვანოთ მისგან და არა თვითნებურად ჩავჩაროთ მასში“ (ანტი-დიურინგი, 3 რუს. გამოცემა, გვ. 21).

მაშასადამე, არაფერია ისე შემცთარი, როგორც შეხედულება, თითქოს მატერიალისტური დიალექტიკის გამოყენება, უ მ ი მ ა ს ა ლ ი ს ცალკეულ ერთეულებში დიალექტიკის კანონების ძიებას მოითხოვდეს, თითქოს მატერიალისტური დიალექტიკის შეგნებული მოხმარება-გამოყენება (რასაც ფრ. ენგელსი საჭიროდ თვლიდა კერძოდ ბუნებისმეტყველთათვის) დიალექტიკობიაში ვარჯიშობას მოასწავებდეს. „კაპიტალი“ კლასიკური ნიმუშია ისეთი გამოკვლევისა, სადაც ათეული წლების მუშაობა (მასალაში ჩაწვდომისა და გაანალიზების მიზნით) წინ უძღოდა გენიალური ფორმულების გამოყვანას საათანადო სინამდვილის განვითარების კანონების სახით.

ამიტომ შემთხვევითი როდია, როცა კ. მარქსი ლაპარაკობს: „ანალიზის მეთოდი, რომელსაც მე ვხმაროб და რომელიც დღემდის არ ყოფილა გამოყენებული ეკონომიური საკითხებისათვის, საკმაოდ ძნელ საკითხავად ხდის [„კაპიტალის“] პირველ თავებს“... მაგრამ „მე სხვა არაფერი შემიძლია გარდა იმისა, რომ წინასწარ გავაფრთხილო ჭეშმარიტებას მოწყურებული მკითხველი და მოვამზადო იგი ამისათვის. მეცნიერებასთან მისასვლელად არ არსებობს ფართო შარაგზა და მხოლოდ იმას აქვს შანსი მიაღწიოს მის ბრწყინვალე მწვერვალებს, ვისაც არ აშინებს დაღლა, რომელსაც მოხოვს მის კლდოვან ბილიკზე ასვლა“-ო. (იხ. „კაპიტალის“ ფრანგ. გამოცემის წინასიტყვაობა—ქართ. გამოც. გვ. XXXIII).

ენათმეცნიერული ცნებების მართებული დახასიათება მოითხოვს დეტალურად ჩავწვდეთ სათანადო ფაქტებს და ყოველმხრივ განვიხილოთ ისინი; მხოლოდ ასეთს შემთხვევაში შეგვეძლება მოვლენის არსი ცხადი და ხელშესახები გავხადოთ.

§ 17. მეცნიერული გრამატიკის ობიექტი. ცალკეული ენის შესწავლა იძლევა ამ ენის მეცნიერულ გრამატიკას. მეცნიერული გრამატიკის საგანია ცალკე სიტყვა (სახლი, კაცი, აშენებს... დედამიწა, სახლ-კარი, გზა-კვალი) და შესიტყვება (ბუნების დიალექტიკა... რევოლუციონური მოძრაობა... მონისტური თვალსაზრისი ისტორიაზე... ნიუტონმა აღმოაჩინა სამყაროს მიმზიდველობის კანონი... დედამიწა მზის გარშემო ტრიალებს... ჯორდანო ბრუნო ინკვიზიციამ ცეცხლში დაწვა, როგორც ერეტიკოსი... „მხოლოდ დიფერენციალური აღრიცხვა აძლევს ბუნებისმეტყველებას შესაძლებლობას მათემატიკურად გამოსახოს პროცესები და არა მხოლოდ მდგომარეობანი“...).

§ 18. საგნობრივი მნიშვნელობის მატარებელი ნაწილი სიტყვაში. რა არის სიტყვა? „სიტყვა არის ბგერები პლუს გარკვეული მნიშვნელობა“. ასეთია ჩვეულებრივი პასუხი ამ კითხვაზე. „კაცი“ სიტყვაა, მასში ოთხი ბგერაა (კ-ა-ც-ი); მას აქვს გარკვეული მნიშვნელობა, რომელიც გასაგებია ყველასთვის, ვინც ქართული იცის. ასე რომ სიტყვის ზემოხსენებული განსაზღვრება სწორია, სწორია იმდენადვე, რამდენადაც სწორია, როცა ვამბობთ: „ცარცი არის თეთრი ნივთიერება, რომლითაც დაფაზე წერა შეიძლება“. ყველას მოეხსენება, რომ ცარცის ასეთი დახასიათება სინამდვილეს არ ღალატობს, მაგრამ ისიც უდაოა, რომ იგი ოდნავადაც არ არკვევს

ცარცის, როგორც მინერალის, ბუნებას, იმას, რომ ცარცი შემდგარია ურიცხვი ნიქარებისაგან...

ასევე სწორია თქმა: „სიტყვა შედგება ბგერებისაგან, სიტყვას აქვს მნიშვნელობა“, მაგრამ სიტყვის ასეთ განმარტებას ენათმეცნიერება ვერ დასჯერდება. სიტყვა გაცილებით უფრო რთული მონაცემია, ვინემ ეს ჩანს ასეთი განმარტებიდან. ამ სირთულის გამომძღავნება ჩვენი პირველი ამოცანაა.

ავიღოთ სიტყვა „კაცი“; მას აქვს გარკვეული მნიშვნელობა, ე. ი. ის მიუთითებს გარკვეულს ობიექტურს მონაცემზე, რომელიც არავის აერევა იმაში, რასაც ალნიშნავენ, მაგალითად, სიტყვები: „მხეცი“, „პირუტყვი“, „ხე“, „ქვა“.

მოვაცილოთ მას თავკიდური ბგერა „კ“; დაგვრჩება „აცი“; „აცი“ სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რასაც „კაცი“ გულისხმობდა.

ალნიშნავს თუ არა ეს „აცი“ რასმე? საგანს არაეითარს (ვგულისხმობ ქართულს მეტყველებას); ერთად ერთი, რაც შეიძლება აქ მოგვაგონდეს, ესაა მიმართვა ცნობილი შინაური ოთხფეხისადმი.

დასკვნა: თუ სიტყვას „კაცი“ მოვაცილებთ კ ბგერას, მას ეკარგება ის მნიშვნელობა, რომელიც მანამდის ჰქონდა, ის აღარ ალნიშნავს იმას, რასაც მანამდის ალნიშნავდა.

გამოვაკლოთ იმავე სიტყვას ა: „კაცი“—გვექნება: „კცი“. აქვს თუ არა ამ უკანასკნელს ის მნიშვნელობა, რაც „კაცი“-ს ჰქონდა? პასუხი უარყოფითი იქნება. ქარაგმებით ნაწერის კითხვას მიჩვეული ქართველი, ალბათ, მიხვდება, თუ დაწერილი „კცი“ ნახა, მაგრამ „კცი“-ს გაგონებაზე ვერავინ იტყვის, აქ ა გვაკლია, თორემ „კაცი“ სიტყვასთანა გვაქვს საქმეო; ვერ იტყვის იმიტომ, რომ კ-სა და ც-ს შორის შეიძლებოდა ყოფილიყო ე (კეცი), ანდა ვი (კვიცი) და როგორც ვხედავთ, სულ სხვა სიტყვებს მივიღებდით.

მაშასადამე: ა-ს გამოკლების შემდეგაც „კაცი“—სიტყვა ვერ ინარჩუნებს თავის მნიშვნელობას.

ასეთსავე შედეგს მივიღებთ, თუ იმავე სიტყვას ც-ს გამოვაკლებთ: კაცი—კაი; „კაი“ სულ სხვა სიტყვაა, იგი არალიტერატურული, მაგრამ ცოცხალს მეტყველებაში ხშირად ხმარებული სიტყვაა: კაი—კარგი: ც-ს გამოკლებამ სულ სხვა მნიშვნელობა მოგვცა; კაცი-ს მნიშვნელობა დაირღვა...

გავაკეთოთ ასეთივე ცდა ი-ზე, მოვაცილოთ ი, დაგვრჩება კაც: კაცი—კაც. აქ არსებითად სხვა მდგომარეობაა: ამ სამ ბგერას

შერჩე უნარი მიუთითოს იმავე ობიექტურ მონაცემზე, რასაც „კაცი" აღნიშნავდა. მართალია, ჩვენ ვგრძნობთ, რომ რაღაცა გვაკლია, რომ სიტყვა სრული არ არის, მაგრამ ამისდა მიუხედავად „კაც" მაინც მიუთითებს იმავე საგანზე, რაზედაც „კაცი" მიუთითებდა: კაც—კეც—კვიც—მხეც... არვის აერევა ერთმანეთში, ყველა მიხვდება, რაზე მიუთითებს თითოეული მათგანი.

რა გამოვიდა? „კაცი" შედგება ოთხი ბგერისაგან, აქვს გარკვეული მნიშვნელობა. საკმარისია პირველი სამი ბგერიდან ერთ-ერთი—სულ ერთია, რომელი (ან კ ან ა ანდა ც)—გამოვაკლოთ, და დაიკარგება ის მნიშვნელობა, რომელიც სიტყვას ჰქონდა,—შეიძლება სულ უაზრო ბგერითი კომპლექსიც მივიღოთ. მაგრამ თუ ი-ს მოვაკლებთ, ეს არ მოშლის სიტყვის წინანდელ მნიშვნელობას, უ-ი-ნოდაც შეუძლია „კაც"—ბგერათა კომპლექსს მიუთითოს იმავე ობიექტურ მონაცემზე.

ეგევე ითქმის -ხ (კაც-ხ), -მა (კაც-მა), -იხ (კაც-იხ), -ით (კაც-ით), -ად (კაც-ად)... ბგერების შესახებ: მათი გამოკლების შემდეგაც დარჩენილი ნაწილი მაინც ატარებს წინანდელს მნიშვნელობას.

შეიძლება ეს შემთხვევითი მოვლენაა და მხოლოდ „კაცი"-სიტყვას ახასიათებს. მივმართოთ სხვა სიტყვებს. ავიღოთ სიტყვა „კვალი",— ფეხის დანადგამი, სახნისის მიერ გაღარული ადგილი (ორნატი)...

„ვალი"-(უ-კ-ანოდ)—ქართული სიტყვაა, ოღონდ სულ სხვა მნიშვნელობის მქონე.

„კვლი"-(უ-ა-ნოდ)— გაუგებარი ბგერათა კომპლექსია: მნიშვნელობა მოიშალა.

„კვაი"- (უ-ლ-ასოდ)—აგრეთვე გაუგებარია: მნიშვნელობა მოიშალა.

„კვალ"-(უ-ი ნოდ)—იმასვე ალნიშნავს, რასაც „კვალი" აღნიშნავდა: სიტყვის მნიშვნელობა არ დაიშალა, დარჩა, სხვა ყოველი ბგერის მოკლება კი კატასტროფულ შედეგს იძლეოდა: ან სულ სხვა მნიშვნელობას ეღებულობდით, ანდა სიტყვას სრულებით ეკარგებოდა მნიშვნელობა.

მსგავს შედეგებს მოგვცემს, თუ ასეთ ექსპერიმენტებს მოვახდენთ სხვა სიტყვებზედაც. ზოგადი დასკვნა, რომელიც აქედან გამომდინარეობს, შემდეგი სახისაა: სიტყვა მიუთითებს რაღაცაზე,— სიტყვას აქვს მნიშვნელობა; სიტყვა ბგერებისაგან შედგება, მაგრამ სიტყვის ყველა ბგერა თანაბრად საჭირო არ არის იმისათვის, რომ სიტყვამ მიუთითოს განსაზღვრულ ობიექტურ მონაცემზე, რომ მან შე-

ნარჩუნოს თავისი მნიშვნელობა; მოაკლებთ ზოგიერთს ბგერას და სიტყვას მნიშვნელობა იცვლება ანდა სულ დაეკარგება იგი; მოაკლებთ ზოგიერთ ბგერას და სიტყვის მნიშვნელობა არავითარ კატასტროფას არ განიცდის, იგი ისევ იმავე ობიექტურ მონაცემზე მიუთითებს.

თავის თავად იბადება კითხვა: რა საჭიროა სიტყვაში ასეთი ბგერა, თუ კი სიტყვას უმისოდაც შეუძლია აღნიშნოს გარკვეული ობიექტი? რა საჭიროა ასეთი „ზედმეტი" ბგერა?

§ 19. დამოკიდებულების აღმნიშვნელი ნაწილი სიტყვაში.

ენის იდეოლოგიურობაზე რომ ვლაპარაკობდით (§ 13), ვთქვით, რომ ენისათვის დამახასიათებელია ნიშნადობა, რომ ყოველი ენობრივი მონაცემი რაღაცაზე მიუთითებს, რაღაცის ნიშანია, რაღაც დანიშნულებას ასრულებს.

თუ ეს დებულება სწორია, უნდა გამოირკვეს, რა დანიშნულება აქვს ზემოხსენებულ ბგერებს (-ი,-ს,-მა,-ის...), რა გამართლება აქვთ მათ სიტყვაში.

ავიღოთ სიტყვები: კაცი, ცხენი. მოვაცილოთ ის ნაწილი (-ი), ურომლისოდაც მათ შეუძლიათ იმავე ობიექტების აღნიშვნა. კაც-, ცხენ-... მივუმატოთ სრული სიტყვა—მოკლა: კაც ცხენ მოკლა. ჩვენ წინ სამი ერთეულია; ორი საგნებს აღნიშნავს, მესამე—მოქმედებას. რაღას ნიშნავს სამივე ერთად? შეიძლება იმას, რომ „კაცმა ცხენი მოკლა", შეიძლება იმასაც, რომ „კაცი ცხენმა მოკლა". ორივე გაგება თანაბრად შე'საძლებელია. ეს სულ ერთი როდია: კაცმა ცხენი მოკლა: ა1 კაცი ცოცხალია, ცხენი მკვდარი, მეორე შემთხვევაში, პირიქით, კაცი მკვდარია, ცხენი—მიზეზია მისი სიკვდილისა...

რა ქმნის ამ განსხვავებას? ბგერები -მა და -ი, რომელთაც ვუმატებთ ამა თუ იმ შემთხვევაში (ცხენმა, კაცი, ცხენი, კაცმა,). ცალკე აღებული სიტყვები ამ ბგერების გარეშეც ახერხებენ საგნის აღნიშვნას, მაგრამ როცა სიტყვები შესიტყვებაში ერთიანდება, როცა ფრაზა უნდა შედგეს, მაშინ სიტყვები აღარ სიტყვობენ: ვიცით, სიტყვები რა საგნებზე მიუთითებენ, მაგრამ აღარ ვიცით, როგორს ურთიერთობაში იმყოფება ერთმანეთთან ამ სიტყვებით აღნიშნული საგნები... ერთის შეხედვით, ის, რაც უაღგილოა, ზედმეტია სიტყვის მნიშვნელობის თვალსაზრისით—უაღრესად საჭირო, მიუცილებელი ხდება შესიტყვების, ფრაზის მნიშვნელობის თვალსაზრისით...

აი კიდევ ნიმუშები: ანდრო ვასო აქო: ნიშნავს ან: ანდრო ვასო აქო, ანდა: ანდრო ვასოს აქო...

ქეთო თინა არ უყვარს, ნიშნავს ან: ქეთოს თინა არ უყვარს, ანდა: ქეთო თინას არ უყვარს...

ავტორ ლოგიკა ჩვენთვის ცნობილია: ნიშნავს ან: „ავტორის ლოგიკა ჩვენთვის ცნობილია“ ანდა იმას, რომ „ავტორი ლოგიკისა ჩვენთვის ცნობილია“...

დაბოლოებათა ცვლის წყალობით ვიღებთ ისეთ შესიტყვებებს, როგორიცაა: ფილოსოფიის ისტორია და ისტორიის ფილოსოფია, დიალექტიკის ბუნება და ბუნების დიალექტიკა; შესიტყვებების ეს წყვილეულები, სრულიად სხვადასხვა მნიშვნელობისაა, თუმცა ისინი ერთი და იმავე სიტყვებისაგან შედგებიან: საკითხს წყვეტს დამოკიდებულება, რომელსაც სათანადო ცნებებს შორის -ის დაბოლოების მიმატება ამყარებს.

-ი, -ის, -მა, -ს და მაგვარ ნაწილებს ენაში გარკვეული დანიშნულება აქვთ: უმათოდ ფრაზა ვერ აშენდება, აზრი გარკვეულად არ გამოითქმის, საგანთა ურთიერთობა ნათელი ვერ იქნება[1].

აღსანიშნავია, რომ სიტყვის ამ ნაწილებს თავის თავად არავითარი მნიშვნელობა არა აქვთ, ცალკე სიტყვის ფარგლებში ისინი არაფერს ხელშესახებს არ აკეთებენ, შესიტყვებისთვის კი აუცილებელი არიან.

თავში ნათქვამი იყო: „სიტყვა არის ბგერები პლუს მნიშვნელობა“... პირველი შესწორება, რომელიც ამაში უნდა შევიტანოთ, ასეთი ხასიათისა იქნება: სიტყვის მნიშვნელობა დაკავშირებულია ბგერების ერთ ნაწილთან; ესაა სიტყვის ძირითადი ნაწილი. ამ უკანასკნელის გარდა სიტყვაში მოიპოება ისეთი ნაწილიც, რომელიც არკვევს, რა მიმართებაშია სიტყვით აღნიშნული საგანი სხვა საგნებთან; ბუნებრივია, თუ სიტყვის ასეთ ნაწილს ურთიერთობის ანუ დამოკიდებულების აღმნიშვნელი ნაწილი ეწოდება. სიტყვის ზემოხსენებულს ყოველდღიურს განსაზღვრებაში სიტყვის ეს მხარე უგულებელყოფილია.

§ 20. მნიშვნელობის მცვლელი ნაწილი სიტყვაში. ცალკე სრულმნიშვნელოვან სიტყვას მეორე ასეთივე სიტყვა რომ მივუმა-

[1] მხედველობაში გვაქვს ქართული, სომხური, რუსული და მაგგვარი ტიპის ენები. არის ისეთი ენებიც, რომლებშიაც სიტყვას ამგვარი ნაწილი არ გააჩნია: იქ სხვა საშუალებაა გამოყენებული დამოკიდებულების აღსანიშნავად. ამის შესახებ იხ. § 38.

ტოთ, მივიღებთ ახალ სიტყვას: და+ძმა=და-ძმა; სახლი+კარი=სახლ-კარი; ცოლი+შვილი=ცოლ-შვილი; ქართლი+კახეთი=ქართლ-კახეთი. ამგვარ სიტყვებში ახალი სიტყვების მნიშვნელობა უდრის ჯამს შემადგენელ სიტყვათა მნიშვნელობებისა.

სხვაგვარი ვითარებაა ისეთს შემთხვევებში, როგორიცაა: ქუდ-მოგლეჯილი, ხმალ-ამოწვდილი, ალვირ-ახსნილი, ენა-გრძელი... „ენა" გარკვეულს საგანზე მიუთითებს; „გრძელი" თვისებას გამოხატავს, ორივე სიტყვა ერთად კი ამ ორი სიტყვის მნიშვნელობის ჯამს როდი წარმოადგენს: „ენა-გრძელი" სულ სხვაა და „გრძელი ენა" სულ სხვა. „ენა-გრძელი" საგანს კი არ აღნიშნავს, არამედ თვისებას („ენა-გრძელი მოსაუბრე, სტუმარი...). ამგვარად, საგნის აღმნიშვნელ სიტყვას (ენა) თვისების აღმნიშვნელი (გრძელი) რომ მივუმატეთ, გარკვეული თავისთავადი მნიშვნელობის მქონე რთული სიტყვა მივიღეთ, ე. ი. სიტყვათა შეერთება ყოველთვის მნიშვნელობათა ჯამს კი არ იძლევა, არამედ (ზოგჯერ) ახალს მნიშვნელობას იმ სიტყვათა მნიშვნელობებთან შედარებით, რომელნიც შეეაერთეთ.

სიტყვის მნიშვნელობა შეიძლება შეიცვალოს სხვაგვარადაც: ავიღოთ სიტყვა: ცხენი. „ცხენ" მიუთითებს გარკვეულს ოთხფეხ შინაურ ცხოველზე. მივუმატოთ მას -ოსან: ცხენ+ოსან=ცხენოსან მიუთითებს სულ სხვა ობიექტზე: ცხენ+ოსანი, ცხენიანი კაცი, მაშასადამე, ოთხფეხი ცხოველი კი არა, არამედ ორფეხა არსება, ადამიანი, რომელიც ოთხფეხა ცხოველზე ამხედრებულა. ცხენ- სიტყვის მნიშვნელობა სავსებით შეიცვალა: სად ცხენი და სად ცხენზე მჯდომი? რამ გამოიწვია ეს ცვლილება? -ოსან-ის მიმატებამ. რას ნიშნავს თვითონ ეს -ოსან? თავის თავად არაფერს[1]. მაგრამ საკმარისია ის მივუმატოთ სხვა სიტყვას, რომ უკანასკნელს მნიშვნელობა შეეცვლება.

ენა-გრძელ-ში, ალვირ-ახსნილ-ში და მაგგვარებში სიტყვის მნიშვნელობა იცვლებოდა იმის გამო, რომ სრული მნიშვნელობის მქონე სიტყვას (ენა, ალვირ-) ემატებოდა ისევ სრული მნიშვნელობის მქონე სიტყვა (გრძელი, ახსნილი...). აქ კი სიტყვის მნიშვნელობა იცვლება იმის გამო, რომ სრული მნიშვნელობის მქონე სიტყვას ემატება ისეთი რამ, რასაც თავის თავად მნიშვნელობა არ აქვს.

---

[1] ამბობენ, „ოსანა" ქართლში ადამიანის სახელიაო. ჩვენი მაგალითის -ოსან-ს ამასთან საერთო არაფერი აქვს.

აი კიდევ ამის მაგალითები:

მანდილ—აღნიშნავს გარკვეულ თავსახურავს;

მანდილ+ოსან="მანდილოსან" აღნიშნავს ქალს (მანდილის მატარებელს).

შდრ: ხმა: ხმოსან... ჯვარ: ჯვაროსან...

ყვავილ—აღნიშნავს გარკვეულ საგანს...
ყვავილ+ოვან უკვე თვისების აღმნიშვნელია (ყვავილიანი).
სვან—აღნიშნავს საქართველოს ერთ-ერთი კუთხის მცხოვრებს.
სვან+ეთ=სვანეთ აღნიშნავს იმ კუთხეს (ადგილს), სადაც სვანები ცხოვრობენ.

რუს – გარკვეული ეროვნების ადამიანია;
რუს+ეთ—ადგილი, სადაც რუსები ცხოვრობენ, რუსებით დასახლებული ქვეყანა.

ქართველ—გარკვეული ეროვნების ადამიანი;
სა-ქართველ-ო—ადგილი, სადაც ქართველები ცხოვრობენ, ქართველებით დასახლებული ქვეყანა.

სტუდენტ—უმაღლეს სასწავლებლის მოსწავლე;
სტუდენტ - ობ - ა— 1) სტუდენტთა მასები („სტუდენტობამ აქტიური მონაწილეობა მიიღო შაბათობაში") და
2) სტუდენტის მდგომარეობა, ვითარება, („სტუდენტობა წინეთ სანატრელი იყო")...

ყველა ამ შემთხვევაში ერთი მნიშვნელობა შეიცვალა მეორით იმის გამო, რომ სიტყვას დაემატა **-ოსან, -ოვან, -ეთ, სა—ო, -ობ-ა** ნაწილაკები, რომლებიც თავის თავად არაფერს აღნიშნავენ, მაგრამ სიტყვას რომ დაემატებიან, ძირითადად ცვლიან მის მნიშვნელობას.

ამ ნაწილების სახით სიტყვაში ვპოულობთ კიდევ ერთს ახალს მომენტს, რომლის არსებობაც შეუმჩნეველი რჩება სიტყვის ყოველდღიური განსაზღვრებისათვის („სიტყვა არის ბგერები პლუს მნიშვნელობა).

ისეთ სიტყვებს, როგორიცაა: ცხენოსანი, ყვავილოვანი, სვანეთი, რუსეთი... დამოკიდებულების აღმნიშვნელი ნაწილებიც აქვთ...[1]

---

[1] სახელობითის ბრუნვაში ბოლოკიდურ ა, ე, ო-ს შემდეგ თანამედროვე სალიტერატურო ქართულს არ გააჩნია; ძველად სალიტერატურო ენაში ი აქვს იყო; ხოგიერთს კილოებში (ქართლურში, გურულში) ეს -ი ახლაც ცოცხალია.

§ 21. ფუძე და აფიქსები; აფიქსთა და ფუძეთა სახეობანი.

რომ შევაჯამოთ ყველაფერი, რაც სიტყვის შესახებ აქამდის ითქვა, ასეთი დასკვნები შეიძლება გავაკეთოთ: სიტყვაში გამოიყოფა ერთი ნაწილი, ნივთიერი ნაწილი, რომელიც საგნობრივი მნიშვნელობის მატარებელია (კაც-, ცხენ-, ყვავილ-, სტუდენტ-, სვან... ცხენოსან-, მანდილოსან-, ყვავილოვან-, სვანეთ...) სიტყვის ამ ნაწილს ეწოდება **ფუძე**.

ფუძეს უპირისპირდება სიტყვის ისეთი ნაწილები, რომელნიც საგნობრივი მნიშვნელობის მატარებლები არ არიან (**-ი, -მა, -ს, -ის, -ით... -ოსან, -ოვან, -ეთ, სა-, -ო...**); სიტყვის ასეთ ნაწილებს ეწოდება **აფიქსები** (ლათინურად „აფფიქსუმ“ „მიმაგრებულს“, „დამატებულს“ ნიშნავს; ქართული თარგმანი იქნებოდა „დანართი“, „სართი“).

თვით აფიქსები განსხვავდებიან ერთმანეთისაგან იმ დანიშნულების მიხედვით, რომელიც მათ აქვთ.

ერთნი ალნიშნავენ დამოკიდებულებას (**-ი, -მა, -ს, -ის, -ით...**): ესაა **დამოკიდებულების აღმნიშვნელი** აფიქსები (ანუ ფლექსია, როგორც მათ ეტყვიან ხოლმე, ლათინ. სიტყვიდან „ფლექსიო“ = „გალუნვა“, ცვლა სიტყვისა).

მეორენი მნიშვნელობის ცვლას იწვევენ, **მნიშვნელობის მცვლელ აფიქსებს** წარმოადგენენ (მათ აგრეთვე სიტყვის საწარმოებელ აფიქსებს უწოდებენ: მათი მეოხებით ერთი სიტყვიდან მეორე იწარმოებაო); ასეთებია: **-ოსან, -ოვან, -ეთ, სა-, -ო** და მრავალი სხვა.

დამოკიდებულების აღმნიშვნელი აფიქსები (ფლექსია) ყოველთვის ფუძის გარეთაა (კაც-**ი**, ცხენი-**ი**, ყვავილ-**ი**... ცხენოსან-**ი**, ყვავილოვან-**ი**, სვანეთ-**ი**...), მნიშვნელობის მცვლელი აფიქსები ყოველთვის ფუძეში შედიან, ფუძის ნაწილს შეადგენენ [1]. ამისდა მიხედვით ფუძე ორგვარია: **მარტივი ფუძე ანუ ძირი** (კაც-, ცხენ-, სვან...),—მისი დაშლა არ შეიძლება [2], და **ნაწარმოები ფუძე**, რომელიც შედგება მარტივი ფუძისა (ძირისა) და მნიშვნელობის მცვლელი აფიქსებისაგან (ცხენ-ოსან-, ყვავილ-ოვან-,

---

[1] ფუძეში შედის, რაც თავის ბუნებით ფუძეს უპირისპირდება: ეს დიდმნიშვნელოვანი ფაქტია სიტყვის აგებულების თვალსაზრისით.

[2] ის, რაც ამჟამად მარტივ ფუძედ გვეელინება, ისტორიულად შეიძლება ნაწარმოები ყოფილიყო (იხ. ქვემოთ).

სვან-ეთ...). ამას უნდა დავუმატოთ მესამე ტიპიც; ესაა **რთული ფუძე**; მასში ერთზე მეტი ფუძე შედის: სახლ-კარი, ცოლ-შვილი, და-ძმა, ქართლ-კახეთი... ამ ფუძეებიდან შეიძლება ორივე მარტივი იყოს, ან ორივე ნაწარმოები ანდა ერთი ნაწარმოები და მეორე—მარტივი. **სქემა:**

ცხენს:
1. ცხენ—საგნობრივი მნიშვნელობის მატარებელი ნაწილი ანუ ფუძე, ეს ფუძე მარტივია—მისი დაშლა არ შეიძლება; ფუძე=ძირს.
2. -ს დამოკიდებულების აღმნიშვნელი აფიქსი (ფლექსია); იგი ფუძის გარეშეა, ფუძეს დაერთვის.

ცხენოსანს:
1. ცხენოსან—საგნობრივი მნიშვნელობის მატარებელი ნაწილი ანუ ფუძე; ეს ფუძე ნაწარმოებია: მარტივი ფუძისაგან (ც ხ ე ნ) მნიშვნელობის მცვლელი (ო ს ა ნ) აფიქსის მიმატებით; აქ სიტყვის ფუძე და სიტყვის ძირი ერთმანეთს არ ფარავს: ფუძე=ძირს+მნიშვნელობის მცვლელი აფიქსი.
2. -ს დამოკიდებულების აღმნიშვნელი აფიქსი (ფლექსია); იგი ფუძეს დაერთვის.

მარტივი ფუძე (ძირი) და დამოკიდებულების აღმნიშვნელი აფიქსი გვაქვს აგრეთვე ზემოხსენებულ მაგალითებში: კაც-ი, სვან-ი, მანდილ-ი... ხოლო სიტყვებში: სვანეთ-ი, მანდილოსან-ი... ფუძე ნაწარმოებია, დამოკიდებულების აღმნიშვნელი აფიქსი ამ ფუძეს დაერთვის... ეგევე ითქმის ისეთი სიტყვების შესახებ, როგორიცაა: „სტუდენტობა“, „საქართველო“, ოღონდ აქ დამოკიდებულების აღმნიშვნელი აფიქსები არ გაგვაჩნია, არ გაგვაჩნია, როცა ეს სიტყვები სახელობითს ბრუნვაშია, სხვა ბრუნვებში ამ მხრივ განსხვავება უკვე აღარ იქნება ამ სიტყვებსა და სხვა ზემოთ მოყვანილ სიტყვებს შორის: სვანეთ-ს, მანდილოსან-ს... სტუდენტობა-ს, საქართველო-ს...

ამას ორი რამ უნდა დავუმატოთ:

1. ფუძე ჩვენ განვსაზღვრეთ, როგორც სიტყვის ისეთი ნაწილი, რომელიც საგნობრივი მნიშვნელობის მატარებელია, როგორც ისეთი ნაწილი, რომელიც მიუთითებს გარკვეულს ობიექტურ მონაცემზე. სიტყვაში ც ხ ე ნ ო ს ა ნ ი ფუძედ შეიძლება ც ხ ე ნ ი ც გამო-

აცხადოს ვინმემ: ესეც აკი მიუთითებს გარკვეულს ობიექტურს მონაცემზე, მაშასადამე, „ცხენ-“ არის ფუძეო; ცხენ-, რა თქმა უნდა ფუძეა, მაგრამ ეს არის ფუძე არა სიტყვისა „ცხენოსანი“, არამედ სიტყვისა „ცხენი“. ამიტომ, როცა ფუძეს ვეძებთ, ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომელი სიტყვის ფუძეს ვეძებთ: ცხენოსანი-ს ფუძე იქნება ის ნაწილი, რომელიც „ცხენიან კაცზე“ მიუთითებს (და არა ყოველი ნაწილი, რომელიც რაიმე ობიექტურს მონაცემზე მიუთითებს).

2. ფუძისეული და არაფუძისეული ნაწილი ჩვენ გამოვყავით სიტყვის მნიშვნელობის ანალიზზე დაყრდნობით; აფიქსების დახასიათება-კვალიფიკაციაც მოვახდინეთ იმ დანიშნულების მიხედვით, რომელიც მათ აქვთ, იმ როლის მიხედვით, რომელსაც ისინი ასრულებენ. ამგვარად, ყველგან ამოსავალი იყო ფუნქცია იმ ენობრივი მონაცემისა, რომელსაც ჩვენ ვაანალიზებთ; ეს სრულიად ბუნებრივი და შინაგანად აუცილებელია: ენა პიროპითი ნიშნებისაგან შედგება. ნიშნის შესწავლა კი გულისხმობს იმის გათვალისწინებას, რისი ნიშანია ესა თუ ის ენობრივი მონაცემი, სხვანაირად რომ ვთქვათ, როგორია ფუნქცია ამ მონაცემისა, როგორც ნიშნისა.

§ 22. ფუძეში ჩაქსოვილი ცოცხალი სახე (საგნის დამახასიათებელი).

როგორც ვნახეთ, სიტყვაში ფუძეა საგნობრივი მნიშვნელობის მატარებელი. ამასთან ერთი ახალი მომენტიცაა დაკავშირებული. ავიღოთ სიტყვა „თორმეტი“. ამ სიტყვის რეალური, რიცხვითი, მნიშვნელობა დაუყოვნებლივ გამოიწვევს მათ შორის, ვისაც ქართული გაეგება: ვიტყვით ამ ბგერებს და ყველამ ვიცით, რომელ რიცხვზე, რა ოდენობაზეა საუბარი.

მაგრამ რა არის „თორმეტი“, რატომ ეწოდება ქართულად ამ რიცხვს სწორედ ეს სახელი? ამჟამად ამის თქმა არც თუ ადვილია, მაგრამ საკმარისია მოვიგონოთ, რომ ძვ. ქართულში „თორმეტი“ კი არა გვაქვს, არამედ „ათორმეტი“, რომ ნათელი გახდება, რის თქმა უნდოდათ, როდესაც ამ რიცხვს, 12-ს „ათორმეტს“ უწოდებდნენ:

„ათორმეტ“=ათ-ორ-მეტ, ე. ი. ათზე ორით მეტი: 12 არის რიცხვი, რომელიც უდრის 10+2... ამ რიცხვის სახელი განმარტებით არ იდგა: მსგავსადვეა აგებული: თერთმეტი (ძვ. ქართ.: ათერთმეტი), ცამეტი (ძვ. ქართ. ათსამმეტი), თოთხმეტი (ძვ. ქართ.: ათოთხმეტი), თუთხმეტი (ძვ. ქართ.: ათხუთმეტი), თექვსმეტი (ძვ-

ქართ.: ათექვსმეტი), ჩვიდმეტი (ძვ. ქართ.: ათშვიდმეტი), თვრამეტი (ძვ. ქართ.: ათრვამეტი), ცხრამეტი (ძვ. ქართ.: ათცხრამეტი).

უველგან ახალი რიცხვი შედარებულია ათს, და სახელწოდება მიუთითებს, რამდენითაა ის მეტი ათზე... რიცხვის სახელწოდება „უბრალო“ სახელი კი არ არის, არამედ აღწერა-დახასიათება ახალი ოდენობისა: ათთან შედარება საშუალებაა ახალი რიცხვის დასახასიათებლად.

თავდაპირველად, ცხადია, „ათორმეტ“-ში ნათლად იგრძნობოდა სამი ფუძე (ათი, ორი, მეტი), რომელთაგანაც თითოეულს გარკვეული მნიშვნელობა ქონდა; სამივე ერთად მთელს შესიტყვებას უდრიდა და ამგვარად ახალს რიცხვითს ოდენობას აღნიშნავდა.

დროთა ვითარებაში ეს სამი ფუძე გაერთმთლიანდა, მასში შემავალი ერთეულები (ათი, ორი, მეტი) გაფერმკრთალდენ, ცალ-ცალკე ეს შემადგენელი ერთეულები უკვე აღარ იგრძნობიან, „ათორმეტი“ უშუალოდ, მარტივად მიუთითებს სათანადო რიცხვზე ისევე, როგორც ამჟამად სიტყვები „კაცი“, „ქვა“, „წყალი“ მიუთითებენ სათანადო ობიექტებზე...

ცოცხალი ხატოვანი გამოთქმა—„ათზე ორით მეტი“ უტყვ ერთიან სიტყვად იქცა. სანამ მასში „ათი“ ცოცხლობდა, თავკიდური „ა“ შეუძლებელი იყო, რომ დაკარგულიყო: „ათი“ უ-ა-ნოდ ათი ალარ არის! მას შემდეგ, რაც „ათი“, „ორი“, „მეტი“ სიტყვების შეგნება გაქრა, თავკიდური „ა“-ს მოვარდნაც შესაძლებელი შეიქნა. ამის შემდეგ ზოგგან (ათსამმეტი, ათხუთმეტი, ათშვიდმეტი, ათცხრამეტი) სხვა ცვლილებებისთვისაც ფართო შესაძლებლობა დაიბადა (ამის შესახებ იხ. აქვე ქვემოთ).

აუცილებელი იყო თუ არა 12 წარმოედგინათ, როგორც 10+2? რა თქმა უნდა, არა: 12=10+2 ანდა: 6×2 ანდა 20—8 ანდა 24:2 და მრავალი სხვა. ერთსა და იმავე შედეგს სხვადასხვაგვარად მივიღებთ. შესაძლებლობა მრავალგვარია; მათგან ქართულმა სამეტყველო აზროვნებამ პირველი გზა არჩია; ეს სრულიად ბუნებრივია, თუ მოვიგონებთ, რომ ადამიანის ახლად ფეხადგმული აზროვნება ტაატით მიდიოდა წინ და რჩეობდა უმარტივეს გზას, გზას მიმატებისა (და არა გამოკლებისა ან გამრავლებისა და მით უფრო გაყოფისა)[1]...

---

[1] რიცხვთა სახელწოდება სხვადასხვა ენაში გვიჩვენებს, რომ 20-ის ფარგლებში წინსვლა თვლაში ყველგან ამ გზით არ მიიმართებოდა.

რუსული „დევნაჯცატ“ იმავე საფუძველზეა აგებული, როგორც ქართული „ათორმეტი“ (არას ვამბობ მეგრ. ვითოქორ-ის შესახებ= ვითდოჟორი=ათ და ორი, სვან. ჲეშდჲორი=ათ-ორი...), მაგრამ სხვაგვარ მდგომარეობას წავაწყდებით იO-ის რუსული და ქართული სახელწოდება რომ შევადაროთ ერთმანეთს: „შესტდესიატ“ ნიშნავს 6×10, „სამოცი“: 3×20: შედეგი ერთი და იგივეა, პროცესი სხვადასხვა.

ის, რაც რიცხვის შესახებ ვთქვით, შეიძლება განვაზოგადოთ: ერთი და იგივე ობიექტური მონაცემი შეიძლება სხვადასხვაგვარად იქნეს განსახიერებული, სხვადასხვა ცოცხალი სახე შეიძლება დაედოს საფუძვლად ახალი სიტყვის წარმოქმნას.

ეს ერთი მაარეა საკითხისა. უფრო არსებითია მეორე: ცოცხალი სახე ერთგვარი საფუძველია, რომელიც ცხადყოფს, რა ქონდათ მხედველობაში, როცა ამა თუ იმ ობიექტურ მონაცემს ამა თუ იმ სახელს არქმევდენ; სახელდების მომენტში ეს საფუძველი აუცილებელია, შემდეგ კი იგი უკვე აღარ არის საჭირო: დამხმარე, შუამავალი ცოცხალი სახე უფერულდება, იკარგება, ცოცხალი სიტყვა უტყვ პიროებით ნიშნად იქცევა.

ორიოდე მაგალითი ამის საილუსტრაციოდ.

ყველამ ვიცით, რასაც ნიშნავს „რვეული“, მაგრამ ყველამ არ იცის ალბათ, რომ ეს სიტყვა ნაწარმოებია ისევე, როგორც „ათეული“ („ათეული კვერცხი“)... „სამეული“ („წყალდიდობასთან საბრძოლველად აირჩიეს სამეული“): „ათეული“ ათი ერთეულისაგანაა შემდგარი, „სამეული“ სამი პირისაგან შემდგარ კომისიას გულისხმობს... „რვეული“ რვა ფურცლისაგან შემდგარ კონას ნიშნავდა თავის დროზე. ამ რამდენიმე წლის წინეთ რვეული „რვეული“ იყო, ე. ი. რვა ფურცლისაგან შედგებოდა; ამჟამად კი რვეული ათფურცლიანი და თორმეტფურცლიანია ჩვეულებრივად... ამისდა მიუხედავად მათ „რვეულ“ (ე. ი. რვა ფურცლის შემცველს) ვეძახით და ეს არავის გვეჩოთირება.

რატომ? იმიტომ, რომ „რვეული“ ამჟამად უტყვი სახელია, „რვას“ ის არ უკავშირდება ჩვენს სამეტყველო აზროვნებაში. თავის დროზე კი სათანადო სახელს „რვეული“ რომ დაერქვა, სიტყვაში მოცემული იყო საგნის რიცხვითი და-

ხასიათება, სიტყვაში ცოცხლობდა „რვა"-რიცხვის სახე...[1] ეს სახე გაქრა; რვეული „რვიანს" უკვე აღარ ნიშნავს, ის პირობითი ნიშანია საწერი ქალალდის გარკვეული კონისა, რომელიც შეიძლება შეიცავდეს რვა ფურცელსაც და გაცილებით მეტსაც (შეიძლება ნაკლებსაც).

ასევე: „სნეული" მიღებულია „სენ-ეულ"-ისაგან და ნიშნავს „სენიანს", სენით შეპყრობილს. „ზურგიელი" გარკვეული თევზის ზურგის ანაწერია, „ხრამული"—მდინარე ხრამში (ქციაში) დაჭერილი თევზია. ერთს შემთხვევაში თევზის სახელი მიგვითითებს, რა ნაჭერია ის, მეორე შემთხვევაში, რა მდინარის თევზია... უბრალო დაკვირვებაა საჭირო, რომ ეს გასაგები გახდეს.

არც თუ ისეთი სიტყვების გამოცოცხლებაა ძნელი, როგორიცაა „გააფთრებული", „გაფითრებული", „გაჭიანურებული"... გააფთრებული—აფთრად ქცეულს ნიშნავს (შეადარე: გამხეცებული, გამგელებული). ამჟამად აფთრის წარმოდგენა აქ დაჩრდილული ჩანს (თუ მთლად არ არის დაკარგული). ხშირად „გააფრთებულიო" წერენ; ეს არ მოხდებოდა, რომ „აფთარი" აგონდებოდეს ამ სიტყვის მთქმელსა და დამწერს.

„გაფითრებული"—ფითრის ფერისად ქცეულს ნიშნავს, ამჟამად საერთოდ ფერდაკარგულს აღნიშნავს... „გაჭიანურება" ხომ ჭიანურის ხმასავით გრძლად, გაბმულად, გაუთავებლად რისამე კეთებას ნიშნავს. მაგრამ ვინ ფიქრობს ახლა „ჭიანურზე", როცა „საქმის გაჭიანურებაზე" ჩივის?! ბგერათა კომპლექსი უშუალოდ აღნიშნავს სათანადო მოვლენას და ჭიანურის ცოცხალი სახე შეამავლად საჭირო აღარ არის.

ყველა ამ შემთხვევაში დაჩრდილული ცოცხალი სახის გაცოცხლება ადვილი საქმეა. მაგრამ ამას ვერ ვიტყვით თუნდაც ისეთი სიტყვის შესახებ, როგორიცაა „მხცოვანი" („მხცოვანი მოლვაწე"...). ამჟამად ეს სიტყვა პატივისცემის გრძნობას უფრო გამოხატავს, ვინემ გარკვეულ შინაარსს. სიტყვის მნიშვნელობის ობიექტურ მხარეს თუ დავეძალეთ, შეიძლება „დამსახურებული" მივიღოთ. არავითარი ცოცხალი სახე აქ არა ჩანს. იყო კი ასეთი რამ აქაც: მხცე[2]

---

[1] იხ. ქართულში „რვეული" მართლაც 8 ფურცლიან კონას ნიშნავდა. ხელნაწერების გვერდებზე აღნიშნავდენ რვეულთა რიცხვს, ე. ი. სათვალავი ჰქონდა ყოველ მერვე ფურცელს.

[2] აქედან ჩანს, რომ „მცხოვანი" კი არ უნდა იყოს, როგორც ხშირად წერენ, არამედ „მხცოვანი". გარდა ამისა „მხცოვანი" ხანში შესულის ეპითეტად თუ გამოდგება, თორემ ახალგაზრდისათვის—არა, რაგინდ დამსახურებულიც არ იყოს იგი.

(მაცე) ძვ. ქართულში „ჰალარა"-ს ნიშნავდა, „მხცოვანი" (მკცოვანი) ისევე იყო ნაწარმოები, როგორც „ყვავილოვანი" და ნიშნავდა „ჰალაროვანს" თუ „ჰალაროსანს" (თუ შეიძლება ასე ითქვას).

„მხცოვანი"-ს ვითარება ქართული ენის ისტორიის წაშველებით ირკვევა. მრავალს შემთხვევაში ეს არ ქმარა. სიტყვაში ჩამარხული ცოცხალი სახის ძიება მოითხოვს შედარებას მონათესავე ენის (თუ ენების) მასალებთან. აქ რთული სამეცნიერო აპარატია საჭირო, რომ მიზანს მივაღწიოთ. ამის შესახებ უფრო დაწვრილებით იხ. §§ 77—78. აქ კი აღვნიშნავთ, რომ ასეთი ძიების შედეგად, მაგალითად, გამოირკვა, რომ „ნახშირი" თავდაპირველად „ნაწვს" ნიშნავდა, „წვის" ცოცხალი სახე ედვა ამ სიტყვას საფუძვლად.

თქმული, ვფიქრობთ, საკმარისია იმის ნათელსაყოფად, რომ სიტყვაში ზემოხსენებულთა გარდა ახალი მომენტიც ირკვევა: ესაა ის ცოცხალი სახე, რომელიც სიტყვაშია ჩამარხული და რომელიც სიტყვით აღნიშნული საგნის რაიმე მხრივ დახასიათებას წარმოადგენს... მისი ძიება უაღრესად საინტერესო და მრავალმხრივ მნიშვნელოვანია, პირველ ყოველისა აზროვნების ისტორიის თვალსაზრისით. ოღონდ ამ სახის დაძებნა-აღდგენა იმდენადვე ძნელი და სახიფათოა, რამდენადაც მიმზიდველი და საგულისხმო. ენათმეცნიერული აზროვნების ისტორია სავსეა ჯერიოზული შეცთომებით, რომლებიც ამ სახეების ძიებისას იყო დაშვებული, როცა ძიება მკვიდრ მეთოდოლოგიურ საფუძვლებს იყო მოკლებული, და მდიდარია ბრწყინვალე შედეგებით, როცა ეს ძიება მეცნიერულად მკვიდრ ნიადაგზე იყო დაყენებული (დაწვრილებით იხ. თავი IX, §§ 77—78).

§ 23. სიტყვის მნიშვნელობა იცვლება ისტორიულად, კუთხურ მეტყველებაში, კონტექსტში. არა ერთხელ გვაქვს აღნიშნული, რომ სიტყვაში ფუძეა საგნობრივი მნიშვნელობის მატარებელი: კაც-, ცხენ-, ყვავილ-, წყალ-, და სხვა მიუთითებენ გარკვეულ ობიექტურ მონაცემზე, გარკვეული მნიშვნელობის მქონე არიან. ეს მნიშვნელობა ისტორიულად ცვალებადობას განიცდის, სხვადასხვა დროს სხვადასხვანაირია (ამის შესახებ § 15-შიც გვქონდა საუბარი).

გარდა ამისა ერთსა და იმავე დროს სხვადასხვა დიალექტში ერთი და იგივე სიტყვა შეიძლება მიუთითებდეს სხვადასხვა ობიექტურ მონაცემზე (ჯოგი, მაგალითად, დასავლეთ საქართველო-

ში ზოგადი მნიშვნელობის სიტყვაა, ალმოსავლეთ საქართველოში, მთაში ცხენის გროვას ქვია).

თვით სალიტერატურო ენაშიც ერთი და იგივე სიტყვა ერთსა და იმავე დროს სხვადასხვა ობიექტურ მონაცემზე შეიძლება მიუთითებდეს—კონტექსტიდა მიხედვით (მაგალითად, წვერი: წვერის მოპარსვა, კალმის წვერი... ხელი: ხელი ჩამომართვა... მშენიერის ხელი აქვს ე. ი. ლამაზად წერს...). ამგვარი საკითხები სიტყვის მნიშვნელობის გარკვევასთან არიან შინაგანად დაკავშირებული.

§ 24. ემოციური იერი სიტყვისა. მნიშვნელობასთან არის დაკავშირებული აგრეთვე ემოციური იერის საკითხი, რომელიც სიტყვას თან ახლავს; ამის შესახებ იხ. § 13, აგრეთვე § 71, აქ მხოლოდ ერთს მაგალითს დავასახელებთ: „ქალი", „მანდილოსანი", „დედაკაცი" ობიექტურად ერთსა და იმავე მონაცემზე მიუთითებენ. განსხვავება მათ შორის მაინც არის; განსხვავებას იწვევს ემოციური იერი, რომელიც ამ სიტყვებს დაყვება: „დედაკაცი" ლიტერატურულს სიტყვახმარებაში ქალის ბიოლოგიურ რაობას გახაზავს (დედაკაცი—მამაკაცი), „ქალი" ასეთ ნიუანსს მოკლებულია. „მანდილოსანი" კი ერთგვარ პატივისცემას გამოხატავს (შდრ.: ის ქალი ჩემ მეზობლად ცხოვრობს—ის დედაკაცი ჩემ მეზობლად ცხოვრობს—ის მანდილოსანი ჩემ მეზობლად ცხოვრობს)...

§ 25. სიტყვის გგერითი მხარე და მასში მოქმედი ცვლილებების მნიშვნელობა სიტყვის სწორი ანალიზისათვის. გაუთვალისწინებელი გვაქვს სიტყვის ერთი მხარე, სახელდობრ, გგერითი. სიტყვა გგერებში გადმოიცემა. ჩვენი მეტყველება გგერითი მეტყველებაა. მეტყველებაში ყველაფერი განიცდის ცვალებადობას,—გგერაც, რა თქმა უნდა. გგერები, რომელთაც ესა თუ ის ენა იყენებს, გარკვეულს სისტემას ქმნიან. სხვადასხვა ენის გგერითი შედგენილობა ერთნაირი არ არის (მაგალითად: ყ, წ, ჭ არც ერთს ევროპულ ენას არ გააჩნია). გგერათა ცვალებადობა სხვადასხვა ენაში სხვადასხვანაირია. მაგრამ ერთი რამ საერთოა ყველა ენისათვის: გგერათა ცვალებადობა სიტყვის მნიშვნელობის თვალსაზრისით ყველგან უაღრესად საგულისხმოა. მის გაუთვალისწინებლად ბევრი რამ სრულიად გაუგებარი იქნებოდა. გავარკვიოთ ეს მაგალითებზე.

ცხენ+ოსან=ცხენ-ოსან-(ი), შეადარეთ: ტყავ+ოსან=ტყა-ოსან-(ი): „ვეფხის ტყაოსანი". არაეინ იტყვის „ეშ-

ბის-ტყავოსანიო". რატომ? სად წავიდა ვ? ამის ახსნა მხოლოდ ბგერათა ურთიერთობაში უნდა ვეძიოთ: ო-ს წინ ვ დაიკარგა, აუტანელი მეზობლობის მსხვერპლი გახდა[1].

აგრეთვე: სამ—სამეული, ათ—ათეული.

სენ—უნდა გვქონოდა: სენ-ეული (=სენიანი, ავადმყოფი) ნამდვილად კი გვაქვს: „სნეული": „სენ"-ფუძეს დაეკარგა ე; ბრალი შიუძლეის ეფიქსს, რომელიც ე-თი (ხმოვნით) იწყება (-ეულ-). ე-ს დაკარგვა ფუძეს სახეს უცვლის, აბრკოლებს მასში „სენ"-ფუძის ცნობას.

ასეთი შედეგი უფრო ხელშესახებია რიცხვთა სახელების მაგალითებზე: იყო „ათერთმეტი", „ათორმეტი", „ათოთხმეტი",—დაიკარგა თავკიდური ა, მივიღეთ „თერთმეტი", „თორმეტი", „თოთხმეტი"... საგანგებო ძიებაა საჭირო, როგორც ზემოთ ვნახეთ, რომ ამ სიტყვებში „ათი" ვიპოვოთ: ბგერითმა ცვლილებამ დააბნელა „ათ"-ის მნიშვნელობა.

ამავე ნიადაგზე „ათცხრამეტი" იქცა „ცხრამეტ"-ად. ა-ს დაკარგვის შემდეგ თავი მოიყარა ერთად ოთხმა თანხმოვანმა: თ ც ხ რ... ა-ს დაკარგვას მოყვა თ-ს დაკარგვაც: „ათ"-ისაგან ალარაფერი დარჩა. რომ არ გვქონდეს: „თერთმეტი, თორმეტი, თოთხმეტი"..., რომ არ იყოს შენახული ძველი ქართულის „ათერთმეტი, ათორმეტი... ათცხრამეტი", თანამედროვე „ცხრამეტში" „ათ"-ი რომ იყო, საკმაოდ ძნელი დასამტკიცებელი იქნებოდა...

ნაწილობრივ ეგევე მოხდა „ხუთმეტ"-შიც: „ათ"-ის ნიშანწყალი აქ არსად ჩანს. მაგრამ სხვა ვარიანტებიც გვაქვს, სადაც თ შემონახულია: „თხუთმეტი" (შეკვეცილი „ათხუთმეტი") და „თუთხმეტი" (ყველაზე გავრცელებული!): მიღებულია იგი „თხუთმეტ"-ისაგან „თხ"-ს გადასმით: ათხუთმეტი → თხუთმეტი → თუთხმეტი...

„თუთხმეტ"-ში „ათ"-ის ნაშთი -თ- შემონახულია, მაგრამ ხ-ს გადასმის გამო სიტყვას ისე აქვს შეცვლილი სახე, რომ არც „ათ" გამოიყოფა და არც „ხუთ"...

„ცამეტი" მიღებულია „ათსამმეტ"-ისაგან, „ჩვიდმეტი"—„ათშვიდმეტ"-ისაგან; როგორც ვხედავთ, „ათ"-ი არსად ჩანს: გამქრალა, როგორც ა, ისე თ,—პირველი—უკვალოდ, მეორეს კი—კვალი დაუტოვებია: „ცამეტი" მიღებულია „თსამმეტ"-ისაგან (თს → ც),

---

[1] რატომ არის ეს მეზობლობა აუტანელი, ამის შესახებ იხ. პროფ. გ. ახვლედიანის: „ზოგადი ფონეტიკის" განაკვეთები.

„ჩვიდმეტი" მიღებულია „თშვიდმეტ"-ისაგან (თშ → ჩ): თ შეერწყო ერთს შემთხვევაში ს-ს, მეორეში—შ-ს, მივიღეთ ც (ცამეტი) და ჩ (ჩვიდმეტი); აქნაირად, „სამ" (ათსამმეტი) იქცა „ცამ"-ად, „შვიდ" (ათშვიდმეტი) იქცა „ჩვიდ"—ად...

ამ მარტივი შემთხვევებიდანაც კი უნდა იყოს ცხადი, როგორ შეიძლება შეიცვალოს სიტყვის გარეგნობა ბგერათა ცვალებადობის ნიადაგზე და როგორ რთულდება ამის გამო სიტყვის წინანდელი მნიშვნელობა-შედგენილობის ამოცნობა.

§ 26. მეცნიერული გრამატიკის დარგები. 1. სიტყვის ბგერითი მხარე, 2. დამოკიდებულების აღმნიშვნელი აფიქსები, 3. მნიშვნელობის მცველი აფიქსები. 4. ცოცხალი სახე, რომელიც ოდესღაც ფუძეში იყო ჩაქსოვილი და (სიტყვით აღნიშნული) საგნის დახასიათებას წარმოადგენდა, 5. მნიშვნელობა ფუძისა (რა ობიექტურ მონაცემზე მიუთითებს იგი) და 6. ემოციური იერი, რომელიც სიტყვას ახლავს (სუბიექტური მომენტი სიტყვაში)—აი ყველა ის მხარე, რომელთა გათვალისწინება სიტყვაში მეცნიერული გრამატიკის ამოცანას შეადგენს. ეს ამოცანა, როგორც ვხედავთ, რთულია, თვალსაზრისი—მრავალფეროვანი, მაგრამ ამ მრავალფეროვნებაში საორიენტაციოდ რჩება სიტყვის ამა თუ იმ მომენტის ფუნქცია, მისი როლი, როგორც ნიშნისა. ერთად ერთს გამონაკლისს თითქოს ბგერითი მხარის შესწავლა წარმოადგენს, მაგრამ ეს ეხლოდ ერთის შეხედვით: საბოლოო ანგარიშში სიტყვის ამ მხარის შესწავლა მიზნად ისახავს გაგვიადვილოს სიტყვის მნიშვნელობაში, სიტყვის შედგენილობაში სწორად გარკვევა და ამ მხრივ იგი გზის მაჩვენებელია იქ, სადაც უამისოდ გზის გაგნება შეუძლებელი იქნებოდა.

სიტყვის ბგერითს მხარეს შეისწავლის ფონეტიკა (ბერძ. სიტყვიდან „ჰე ფონე" „ბგერა"). ფონეტიკის საგანია ბგერითი სინამდვილე, როგორც სიტყვისა, ისე სხვა ენობრივი მონაცემებისა: რა ბგერები გააჩნია ამა თუ იმ ენას, ბგერათა რანაირი ჯგუფებია დამახასიათებელი ამ ენისთვის, როგორს ცვალებადობას განიცდიან ბგერები, როგორია მახვილი, სიტყვის რომელს მარცვალზეა იგი და სხვადასხვა, აი საკითხთა წყება, რომელთა გარკვევა ფონეტიკური ძიების საგანს შეადგენს.

დამოკიდებულების აღმნიშვნელი აფიქსების მორფოლოგიის საგანია (ბერძ. სიტყვებიდან: „ჰე მორფე", „სახე", „ფორმა" და „ჰო ლოგოს" „სიტყვა", „სწავლა;" შდრ.: ბიოლოგია,

გეოლოგია, სოციოლოგია, სადაც „-ლოგია“ აგრეთვე „სწავლას“, „მოძღვრებას“ აღნიშნავს), მორფოლოგია—მოძღვრება ფორმის შესახებ.

ფუძის მნიშვნელობას (რაზე მიუთითებს ფუძე, ანუ როგორია სიტყვის საგნობრივი მნიშვნელობა) სწავლობს სემასიოლოგია ანუ სემანტიკა (ბერძნ. სიტყვიდან „ტო სემა“—„ნიშანი“)—მოძღვრება მნიშვნელობის შესახებ.

ემოციური იერი (გრძნობითი ელფერი), რომელიც სიტყვას ახლავს, მნიშვნელობის ინგრედიენტიაა, და სტილთანაც კავშირშია, სტილისტიკასაც ეხება. სტილისტიკა განიხილავს სიტყვასაც და შესიტყვებასაც, როგორც გამომხატველობითს საშუალებებს (დაწვრილებით იხ. § 79). სტილისტიკა სტილის შესახებ მოძღვრებაა. „სტილუს“ ლათინური სიტყვაა, ნიშნავს წაწვეტებულ იარაღს, რომლითაც გასანთლულ ფიცარზე წერდენ. ცოცხალი სახე, რომელიც ოდესღაც ფუძეში იყო ჩაქსოვილი და სიტყვით აღნიშნულის საგნის დახასიათებას წარმოადგენდა, ეტიმოლოგიური ძიების საქმეა. „ეტიმოლოგია“ ნაწარმოებია ბერძნ. სიტყვებიდან: „ეტჯუმოს“:—„უეშმარიტი“, „ნამდვილი“ და ზემოხსენებული—„-ლოგია“: „ეტიმოლოგია“—მოძღვრება სიტყვის ნამდვილი, პირველადი მნიშვნელობის შესახებ.

დაგვრჩა მნიშვნელობათა მცვლელი აფიქსები. მათ ჩვეულებრივად იხილავენ მორფოლოგიაში დამოკიდებულების აღმნიშველ აფიქსებთან ერთად: საფუძველი ამისათვის ისაა, რომ ერთნიცა და მეორენიც აფიქსებს წარმოადგენენ, აფიქსები თავის თავად საგნობრივ მნიშვნელობას მოკლებული არიან და, მაშასადამე, უპირისპირდებიან ფუძეს, როგორც საგნობრივი მნიშვნელობის მატარებელს. აფიქსები შეისწავლება მორფოლოგიაში, ფუძე—სემასიოლოგიაში.

საკითხის ასე გადაწყვეტა მართებული იქნებოდა იმ შემთხვევაში, სემასიოლოგია რომ შეისწავლიდეს მხოლოდ მარტივ ფუძეს (ძირს). მაგრამ სემასიოლოგია არ არის მოძღვრება მარტივ ფუძეთა (ძირთა) შესახებ: მისი საგანია საერთოდ ფუძე, როგორც საგნობრივი მნიშვნელობის მატარებელი,—ფუძე მარტივიცა და ნაწარმოებიც; ნაწარმოები ფუძე კი მნიშვნელობის მცვლელ აფიქსებს შეიცავს (ცხენოსან-, ყვავილოვან-, სვანეთ-...)... არ შეიძლება შევისწავლოთ ასეთი ფუძე, თუ არ შევისწავლეთ ის, რამაც ის შექმნა მარტივი ფუძიდან, თუ არ შევისწავლეთ მნიშვნელობის მცვლელი აფიქსიც, პირუ-

„ჩვიდმეტი“ მიღებულია „თშვიდმეტ“-ისაგან (თშ → ჩ): თ შეერწყო ერთს შემთხვევაში ს-ს, მეორეში—შ-ს, მივიღეთ ც (ცამეტი) და ჩ (ჩვიდმეტი); ამნაირად, „სამ“ (ათსამმეტი) იქცა „ცამ“-ად, „შვიდ“ (ათშვიდმეტი) იქცა „ჩვიდ“—ად...

ამ მარტივი შემთხვევებიდანაც კი უნდა იყოს ცხადი, როგორ შეიძლება შეიცვალოს სიტყვის გარეგნობა ბგერათა ცვალებადობის ნიადაგზე და როგორ რთულდება ამის გამო სიტყვის წინანდელი მნიშვნელობა-შედგენილობის ამოცნობა.

§ 26. მეცნიერული გრამატიკის დარგები. 1. სიტყვის ბგერითი მხარე, 2. დამოკიდებულების აღმნიშვნელი აფიქსები, 3. მნიშვნელობის მცვლელი აფიქსები. 4. ცოცხალი სახე, რომელიც ოდესღაც ფუძეში იყო ჩაქსოვილი და (სიტყვით აღნიშნული) საგნის დახასიათებას წარმოადგენდა, 5. მნიშვნელობა ფუძისა (რა ობიექტურ მონაცემზე მიუთითებს იგი) და 6. ემოციური იერი, რომელიც სიტყვას ახლავს (სუბიექტური მომენტი სიტყვაში)—აი ყველა ის მხარე, რომელთა გათვალისწინება სიტყვაში მ ე ც ნ ი ე რ უ ლ ი გ რ ა მ ა ტ ი კ ი ს ამოცანას შეადგენს. ეს ამოცანა, როგორც ვხედავთ, რთულია, თვალსაზრისი—მრავალფეროვანი, მაგრამ ამ მრავალფეროვნებაში საორიენტაციოდ რჩება სიტყვის ამა თუ იმ მომენტის ფ უ ნ ქ ც ი ა, მისი რ ო ლ ი, როგორც ნიშნისა. ერთად ერთს გამონაკლისს თითქოს ბგერითი მხარის შესწავლა წარმოადგენს, მაგრამ ეს მხოლოდ ერთის შეხედვით: საბოლოო ანგარიშში სიტყვის ამ მხარის შესწავლა მიზნად ისახავს გაგვიადვილოს სიტყვის მნიშვნელობაში, სიტყვის შედგენილობაში სწორად გარკვევა და ამ მხრივ იგი გზის მაჩვენებელია იქ, სადაც უამისოდ გზის გაგნება შეუძლებელი იქნებოდა.

სიტყვის ბგერითი მხარეს შეისწავლის ფონეტიკა (ბერძ. სიტყვიდან „ჰე ფონე“ „ბგერა“). ფონეტიკის საგანია ბგერითი სინამდვილე, როგორც სიტყვისა, ისე სხვა ენობრივი მონაცემებისა: რა ბგერები გააჩნია ამა თუ იმ ენას, ბგერათა რანაირი ჯგუფებია დამახასიათებელი ამ ენისთვის, როგორს ცვალებადობას განიცდიან ბგერები, როგორია მახვილი, სიტყვის რომელს მარცვალზეა იგი და სხვადასხვა, აი საკითხთა წყება, რომელთა გარკვევა ფონეტიკური ძიების საგანს შეადგენს.

დამოკიდებულების აღმნიშვნელი აფიქსები მორფოლოგიის საგანია (ბერძ. სიტყვებიდან: „ჰე მორფე“, „სახე“, „ფორმა“ და „ჰო ლოგოს“ „სიტყვა“, „სწავლა;“ შდრ.: ბიოლოგია,

გეოლოგია, სოციოლოგია, სადაც „-ლოგია" აგრეთვე „სწავლას", „მოძღვრებას" აღნიშნავს), მორფოლოგია—მოძღვრება ფორმის შესახებ.

ფუძის მნიშვნელობას (რაზე მიუთითებს ფუძე, ანუ როგორია სიტყვის საგნობრივი მნიშვნელობა) სწავლობს სემასიოლოგია ანუ სემანტიკა (ბერძნ. სიტყვიდან „ტო სემა"—„ნიშანი")—მოძღვრება მნიშვნელობის შესახებ.

ემოციური იერი (გრძნობითი ელფერი), რომელიც სიტყვას ახლავს, მნიშვნელობის ინგრედიენტიცაა, და სტილთანაც კავშირშია, სტილისტიკასაც ეხება. სტილისტიკა განიხილავს სიტყვასაც და შესიტყვებასაც, როგორც გამომხატველობითს საშუალებებს (დაწვრილებით იხ. § 79). სტილისტიკა სტილის შესახებ მოძღვრებაა. ,,სტილუს'' ლათინური სიტყვაა, ნიშნავს წაწვეტებულ იარაღს, რომლითაც განთლულ ფიცარზე წერდენ. ცოცხალი სახე, რომელიც ოდესღაც ფუძეში იყო ჩაქსოვილი და სიტყვით აღნიშნული საგნის დახასიათებას წარმოადგენდა, ეტიმოლოგიური ძიების საქმეა. ,,ეტიმოლოგია'' ნაწარმოებია ბერძნ. სიტყვებიდან: „ეტჳმოს":—„ჭეშმარიტი", „ნამდვილი" და ზემოხსენებული—„-ლოგია": „ეტიმოლოგია"—მოძღვრება სიტყვის ნამდვილი, პირველადი მნიშვნელობის შესახებ.

დაგვრჩა მნიშვნელობათა მცველი აფიქსები. მათ ჩვეულებრივად იხილავენ მორფოლოგიაში დამოკიდებულების აღმნიშვნელ აფიქსებთან ერთად: საფუძველი ამისათვის ისაა, რომ ერთნიცა და მეორენიც აფიქსებს წარმოადგენენ, აფიქსები თავის თავად საგნობრივ მნიშვნელობას მოკლებული არიან და, მაშასადამე, უპირისპირდებიან ფუძეს, როგორც საგნობრივი მნიშვნელობის მატარებელს. აფიქსები შეისწავლება მორფოლოგიაში, ფუძე—სემასიოლოგიაში.

საკითხის ასე გადაწყვეტა მართებული იქნებოდა იმ შემთხვევაში, სემასიოლოგია რომ შეისწავლიდეს მხოლოდ მარტივ ფუძეს (ძირს). მაგრამ სემასიოლოგია არ არის მოძღვრება მარტივ ფუძეთა (ძირთა) შესახებ: მისი საგანია საერთოდ ფუძე, როგორც საგნობრივი მნიშვნელობის მატარებელი,—ფუძე მარტივიცა და ნაწარმოებიც; ნაწარმოები ფუძე კი მნიშვნელობის მცველ აფიქსებს შეიცავს (ცხენოსან-, ყვავილოვან-, სვანეთ-...)... არ შეიძლება შევისწავლოთ ასეთი ფუძე, თუ არ შევისწავლეთ ის, რამაც ის შექმნა მარტივი ფუძიდან, თუ არ შევისწავლეთ მნიშვნელობის მცველი აფიქსიც, პირუ-

კუც: მნიშვნელობის მცველი აიექსის წესწავლა სწორედ იმის გა-
მორკვევაში მდგომარეობს, როგორ ცვლის ის იმ ფუძის მნიშვნელო-
ბას, რომელსაც ემატება.

ამიტომაც: ძველ გრამატიკულსა და აწინდელ ფორმალისტურ
ტრადიციებს ანგარიში ვერ გაეწია, როგორი ძლიერიც არ უნდა
იყოს ეს ტრადიცია: მნიშვნელობის მცველი აიექსები
უნდა იქნეს განხილული იმ დარგში, რომელიც მნი-
შვნელობას შეისწავლის; მნიშვნელობის მცველი
აიექსები სემასიოლოგიის (სემანტიკის) საგანია და არა
მორფოლოგიისა.

აქედან მთელი რიგი პრინციპული ხასიათის დასკვნები გამომ-
დინარეობს; მათი გათვალისწინება აქ შეუძლებელია. აღვნიშნავთ
მხოლოდ, რომ ამის გამო მეცნიერული გრამატიკის დარგთა ურთიერ-
თობა არსებითი ცვლილებების წინაშე დგება. კერძოდ, მორფოლო-
გიისა და სემასიოლოგიის მოწყვეტილობა ერთმანეთისაგან ამ გზით
შეიძლება დაიძლიოს.

მეცნიერული გრამატიკის ზემოხსენებული დარგები (ფონეტიკა,
მორფოლოგია, სემასიოლოგია, ეტიმოლოგია, სტილისტიკა) ერთმა-
ნეთთან მჭიდრო კავშირში იმყოფებიან, შეცთომა იქნებოდა გვეფი-
ქრა, რომ ეს დარგები ერთმანეთს მოწყვეტილ, გაბოლებულ დის-
ციპლინებს წარმოადგენენ; მათ შორის მჭიდრო შინაგანი კავშირი
არსებობს; ზედმიწევნით რომა ვთქვათ, ეს დარგები სხვადასხვა თვალ-
საზრისით ერთი და იმავე ობიექტის შესწავლის შედეგი უფროა,
ვინემ დამოუკიდებელი დარგები.

სინტაქსის საგანი. მეცნიერული გრამატიკის დარგთა შო-
რის ზემოთ არსად ჩანს სინტაქსი; ეს გამოიწვია იმ მარტივმა გა-
რემოებამ, რომ სხვადასხვა დარგების განმარტება ბევრით მოცემულია
ცალკე სიტყვის ანალიზთან დაკავშირებით. სინტაქსის საგანი
ცალკე სიტყვა კი არ არის, არამედ სიტყვათა ორგანიზებუ-
ლი ერთიანობა—ის, რასაც თავში შესიტყვება ვუწოდეთ. სინ-
ტაქსი შესიტყვებას შეისწავლის; შესიტყვებას შეისწავლის აგრეთვე
სტილისტიკა: ერთიცა და მეორეც გარკვეული თვალსაზრისით (იხ.
თავი VIII, §§ 62, 63 და თავი X, §§ 79-81).

ფონეტიკა, მორფოლოგია, სემასიოლოგია, ეტი-
მოლოგია, სინტაქსი, სტილისტიკა—აი ის დარგები, რომ-
ლებიც მეცნიერულს გრამატიკაში ჩამოყალიბდა სიტყვისა და
შესიტყვების შესწავლასთან დაკავშირებით. მათგან უველა თანა-
ბრად როლია დამუშავებული; განსაკუთრებით სუსტობს სემასიო-

ლოგია და სინტაქსი; სტილისტიკა კი, როგორც ენათმეცნიერული დისციპლინა, ახლაც არ არის გამოსული „ორგანიზაციის პერიოდიდან". ჯერ კიდევ არა აქვს ზუსტად გარკვეული თვალსაზრისი და მოქმედების არე.

ყველაზე დამუშავებულ დარგებშიც (ფონეტიკასა, მორფოლოგიასა და ეტიმოლოგიაში) არის ერთი პრინციპული საკითხია მოუგვარებელი.

§ 27. **მეცნიერული გრამატიკა და სასკოლო ტექნიკური გრამატიკა.** ყოველივე ამისდა მიუხედავად მეცნიერული გრამატიკა არსებითად განსხვავდება ე. წ. სასკოლო ტექნიკური გრამატიკისაგან[1]. დავიწყოთ მათი შედარება შედგენილობიდან.

სასკოლო ტექნიკურს გრამატიკაში სრულებით არ მოიპოვებოდა სტილისტიკა, სემასიოლოგია და ფონეტიკა. სტილისტიკა ისტორიულად რიტორიკის დარგად ითვლებოდა; ამჟამად იგი პოეტიკის საგანსაც წარმოადგენს. ეტიმოლოგიური ძიება ძველთაგანვე იშვიათს ინტერესს იწვევდა, მაგრამ საბედნიეროდ გრამატიკის ფარგლებში ეს ძიება არ შედიოდა; საბედნიეროდ მიტომ, რომ ხსენებული ეტიმოლოგიური ძიება ფანტაზიის უკონტროლო საქმიანობის ასპარეზს წარმოადგენდა და ჩვეულებრივად სიტყვათა შემთხვევითს გააზრიანებაში მდგომარეობდა. ეტიმოლოგიური ძიება მეცნიერულ საქმედ მხოლოდ მას შემდეგ იქცა, რაც გამომუშავდა ფონეტიკა (მეცხრამეტე საუკუნეში) და შემთხვევითი გააზრიანების ადგილი ობიექტურმა საზომის მოხმარამ დაიჭირა, საიმედო საკონტროლო საშუალება დაიძებნა. რაც შეეხება ფონეტიკას, იგიც მთლიანად მეცხრამეტე საუკუნის ამბავია. ეს საენათმეცნიერო დარგი ენის შესწავლისას ისტორიული თვალსაზრისის გამოყენებამ შექმნა და ისტორიული თვალსაზრისის რეალიზაციისათვის ძლიერ ბერკეტად მოგვევლინა. უკვე აღვნიშნეთ, რომ ეტიმოლოგიურმა ძიებამ მხოლოდ ფონეტიკის შემ-

---

[1] სასკოლო გრამატიკის შესახებ რომ ვლაპარაკობთ, მხედველობაში გვაქვს ის ტექნიკური დისციპლინა, რომელსაც საუკუნეთა განმავლობაში „ხელოვნება" (искусство) ეწოდებოდა და რომელიც არც აცხადებდა პრეტენზიას მეცნიერება ყოფილიყო; ამიტომ აღვნიშნავთ მას სახელწოდებით „სასკოლო ტექნიკური გრამატიკა"; თავის თავად ცხადია, სასკოლო გრამატიკა, რა მოცულობითაც იქნება მასში აღებული ენობრივი მასალა, უნდა იყოს ზუსტად მეცნიერული. თავის მხრივ მეცნიერული გრამატიკა სკოლაში პრაქტიკას მოწყვეტილი თეორია კი არ იქნება, არამედ პრაქტიკულ ამოცანათა გადაწყვეტისას საიმედო ხელმძღვანელი და მკვიდრი დასაყრდენი.

წეობით მოიპოვა ობიექტური ხასიათი და გონებამახვილობის საგადაჭარბებული არ არის, როცა ამბობენ: ფონეტიკა ენათმეცნიერებისათვის იგივეა, რაც ქიმია ბუნებისმეტყველებისთვისაო/

ვარჯიშო ასპარეზიდან მეცნიერულ დისციპლინად იქცა. ამიტომ

ფონეტიკის ადგილი სასკოლო გრამატიკებში ეჭირა მსჯელობას ანბანისა და ასოების შესახებ. ეს ერთის მხრივ იმის ბრალი იყო, რომ ასოს (დაწერილს) და ბგერას (გამოთქმულს) ერთმანეთისაგან ვერ არჩევდენ (ზოგი ახლაც ვერ არჩევს!), მეორე მხრივ კი —იმისა, რომ გრამატიკის საგანი მაშინ თავისებურად ჭრილდათ წარმოდგენილი (იხ. აქვე ქვემოთ).

თანამედროვე მეცნიერული გრამატიკის მორფოლოგიისა და სემასიოლოგიის ადგილი სასკოლო გრამატიკაში ეჭირა „ეტიმოლოგიას“: ეტიმოლოგია განიხილავდა სიტყვის მნიშვნელობასაც და ე. წ. ფორმებსაც (დამოკიდებულების აღმნიშვნელსა და ფუძის მნიშვნელობის მცვლელ აფიქსებს); სიტყვის ანალიზი ხედაპირული იყო, თვალსაზრისთა დიფერენციაციას ადგილი არ ჭონდა და მთელი დარგი ერთობ პრიმიტიული იყო. ამ მხრივ აღსანიშნავია, რომ ყველა ენაში ერთი და იმავე რაოდენობის მეტყველების ნაწილი დასტურდებოდა იმისდა მიუხედავად, თუ რანაირი აგებულების ენა იყო (ამის შესახებ დაწვრილებით იხ. § 48).

ამგვარად: თანამედროვე მეცნიერული გრამატიკის დარგებს (ფონეტიკას, მორფოლოგიას, სემასიოლოგიას, ეტიმოლოგიას, სინტაქსს, სტილისტიკას) უპირისპირდება სასკოლო ტექნიკური გრამატიკის ორი დარგი: ეტიმოლოგია და სინტაქსი. არ უნდა დავივიწყოთ მართლწერაც: ეს პრაქტიკული გამოყენებითი ნაწილი სასკოლო გრამატიკის მესამე ორგანულ ნაწილს შეადგენდა.

ეს არაა შემთხვევითი; ამაში მჟღავნდება არსებითი პრინციპული განსხვავება, რომელიც სასკოლო ტექნიკურსა და მეცნიერულს გრამატიკას შორის არსებობს გრამატიკის საგნისა, მიზანთვალსაზრისისა და მეთოდის მხრივ.

გრამატიკა შეიქმნა ქრ. წინ; ორ ხალხს ეკუთვნის აქ პირველობა: ინდოელებსა და ბერძნებს. ინდოელებს უკვე მეხუთე საუკუნეში ქრ. წინ დამთავრებული გრამატიკული სისტემა გააჩნიათ; პირველი ბერძნული გრამატიკა კი ჩნდება სამი საუკუნით უფრო გვიან, მეორე საუკუნეში ქრ. წინ, დამოუკიდებლად ინდური გრამატიკისაგან. როგორც ინდური, ისე ბერძნული გრამატიკა სამწერლო ენას შეისწავლის: ერთს შემთხვევაში შესწავლის სა-

განია ძვ. ინდური, მეორეში—ძვ. ბერძნული (კლასიკური ბერძნული). შესწავლის საჭიროება დაბადა იმან, რომ ცოცხალი მეტყველება განვითარდა და ძველი სალიტერატურო ენა გაუგებარი გახდა.

ამგვარად პირველი გრამატიკები სამწერლო ენის გრამატიკებია. ინდური გრამატიკა განზე დარჩა; ევროპის გრამატიკული აზროვნება ბერძნულ საგრამატიკო სისტემაზე აღიზარდა. ცნობილია, რომ ბერძნები ყველა არაბერძნულად მოლაპარაკეს „ბარბაროსებს“ უწოდებდენ. ცხადია, მათი მეტყველება ქედმაღალი ბერძნის ყურადღების საგანი ვერ გახდებოდა და მათი ენის შესწავლით ბერძენი თავს არ შეიწუხებდა. ამიტომაც ევროპის ძველმა სამყარომ ბერძნულის გარდა მხოლოდ ლათინური გრამატიკა იცის; რომის იმპერიის ძლიერებას შეესატყვისებოდა ლათინური ენის გავრცელებულობა. მე-IIIთე საუკუნიდან ქრ. შემდეგ ათი საუკუნის განმავლობაში მთელს დასავლეთს ევროპაში მხოლოდ ლათინური ენის გრამატიკა იყო ცნობილი. საშუალო საუკუნის სკოლებში ამ ხნის განმავლობაში „გრამატიკა“ ნიშნავდა „ლათინურ გრამატიკას“, გრამატიკის სწავლა — ლათინური გრამატიკის სწავლას (როგორც ცნობილია, იმდროინდელ სკოლებში სხვა არამრავალრიცხოვან საგანთა შორის გრამატიკას საპატიო ადგილი ეჭირა).

მაგრამ ლათინური დასავლეთ ევროპის ხალხთათვის არ იყო დედა-ენა (თვით იტალიაშიც სამწერლო ლათინური დაშორებული იყო ცოცხალ მეტყველებას). უცხო ენის შესწავლა, ლათინურის შესწავლა, ასეთ პირობებში მიზნად ისახავდა: ესწავლებინა მოწაფისთვის სწორად წერა და ლაპარაკი იმ ენაზე, რომელიც ერთად ერთი სამწერლო გაბატონებული ენა იყო იმ ხანებში.

ამ პირობებში შეიქმნა გრამატიკის საყოველთაოდ ცნობილი განსაზღვრება: „გრამატიკა არის ხელოვნება, რომელიც გვასწავლის სწორად წერასა და ლაპარაკს“.

საშუალო საუკუნის ლათინური გრამატიკის ეს თვალსაზრისი ძვალსა და რბილში გაუჯდა სხვა ევროპულ ენათა გრამატიკებს, როცა ასეთები შეიქმნა (დაახლოებით მეხუთმეტე საუკუნიდან).

რა არის სასკოლო გრამატიკის საგანი? მხოლოდ სამწერლო ენა. რა მიზნით სწავლობს ის მას? მხოლოდ იმისათვის, რომ დაადგინოს, რა არის სწორი, მართებული და რა არის უმართებულო, უკანონო სალიტერატურო ენის თვალსაზრისით. რა არის და როგორ უნდა იყოს? აი კითხვა, რომელზედაც სასკოლო გრამატიკა პასუხის

გაცემას ლამობს. აქედან ისიც გამომდინარეობს, რომ სასკოლო გრამატიკა სალიტერატურო ენის ფაქტების აღწერით ქმაყოფილდება, ამ ფაქტების წარსულის ძიება, ფაქტების ახსნა მის მიზანს არ შეადგენს, ერთი სიტყვით, ისტორიული თვალსაზრისი მისთვის უცხოა.

საგანი: სამწერლო ენა, ერთად ერთი ფასეული ენა (ცოცხალი მეტყველება ღირსებით სალიტერატურო ენას ვერ შეედრება!).

მიზან-თვალსაზრისი: რა არის სწორი, კანონიერი, სავალდებულო, რა—უკანონო და, მაშასადამე, უარსაყოფი; მეთოდი: აღწერა სალიტერატურო ენის ფაქტებისა, ისიც ცალმხრივი და ძირითადი მიზნის შესაბამისი—აი სასკოლო ტექნიკური გრამატიკა. განა ბუნებრივი არ არის მის წიაღში „მართლწერა“ ისეთივე სრულუფლებიან დარგად მოგვევლინოს, როგორიცაა ეტიმოლოგია და სინტაქსი?!

სასკოლო ტექნიკური გრამატიკის, ერთის მხრით, შედგენილობა (დარგები!) და, მეორე მხრით, მიზან-თვალსაზრისს, საგნის გაგება და მეთოდს შორის მჭიდრო შინაგანი კავშირი არსებობს: თვალსაზრისი ვაწროა, მეთოდი —პრიმიტიული, შინაარსი (შედგენილობა დარგების მიხედვით)— ღარიბი.

მეცნიერული გრამატიკის შედგენილობა უკვე გავითვალისწინეთ; მისი საგნისა, მიზან-თვალსაზრისისა და მეთოდის შესახებ ნაწილობრივ უკვე გვქონდა საუბარი (იხ. § 15: ენის ისტორიული და სტატიკური შესწავლის შესახებ); აქ მხოლოდ მოკლედ მოვკრით თვალს მეცნიერული გრამატიკის (ენათმეცნიერების) ძირითადი საგანი ცოცხალი მეტყველებაა: რაობა ენისა, კანონზომიერება მისი განვითარებისა ბუნებრივი სახით ცოცხალს მეტყველებაშია მოცემული; სალიტერატურო ენა დიდმნიშვნელოვანი კულტურული პროდუქტია, მაგრამ სწორედ ამიტომ სალიტერატურო ენა მოკლებულია იმ თავისუფლებას, რომელიც ცოცხალი მეტყველების განვითარებას ახასიათებს. მეცნიერული გრამატიკა (ენათმეცნიერება) განვითარების განვლილი ეტაპების გათვალისწინებისას მიმართავს სალიტერატურო ენას, მაგრამ სათანადო მონაცემთა ინტერპრეტაციისას მხედველობაში იღებს სალიტერატურო ენის ზემოხსენებულ თავისებურებას.

რაც შეეხება თვალსაზრისსა და მეთოდს, ძირითადია: რა მოვლენები გვაქვს? როგორ მივიღეთ ის, რაც გვაქვს? რატომ იყო განვითარება ასეთი თუ

ი ს ე თ ი? ცხადია, საკითხის ასე დასმისას „უკანონო", „უარსაყოფი" ფაქტი არ შეიძლება არსებობდეს: ის რაც „უკანონოდ" და „უმართებულოდ" არის მიჩნეული სალიტერატურო ენის თვალსაზრისით, ენის კანონზომიერი განვითარების შედეგია და ენის რაობისა და ენის ვანვითარების კანონების გარკვევის თვალსაზრისით უაღრესად მნიშვნელოვანი შეიძლება იყოს.

როგორს დამოკიდებულებაშია მეცნიერული გრამატიკა პრაქტიკულ საკითხებთან, როგორიცაა მაგალითად, მართლწერის საკითხი სალიტერატურო ენაში? როგორც აღვნიშნეთ, ის არ აწესებს —„რა უნდა იყოს", მაგრამ იმის სწორი გარკვევით, „რა იყო" და „როგორ მივიღეთ ის, რაც გვაქვს", ყერძოდ, სალიტერატურო ენაში,—იგი იძლევა მკვიდრ მეცნიერულ საფუძველს მართლწერის საკითხთა მოსაგვარებლად: თეორიულად მკვიდრი მეცნიერული გრამატიკა შეუდარებლივ უფრო საიმედო წინამძღოლია პრაქტიკისა, ვინემ სასკოლო ტექნიკური გრამატიკა თავისი პრიმიტიული თვალსაზრისითა და ყოველ მხრივ შეზღუდული შესაძლებლობებით (ენათმეცნიერების გამოყენებითი მნიშვნელობის შესახებ იხ. თავი XII).

III. აფიქსთა კლასიფიკაციისა, კვალიფიკაციისა და წარმოშობის საკითხი.

§ 28. აფიქსთა კლასიფიკაციის საკითხი. ზევით (§ 21) აღნიშნული იყო, რომ აფიქსი შეიძლება იყოს ორგვარი: დამოკიდებულების აღმნიშვნელი (ცხენ-ს, ცხენ-ის...) და მნიშვნელობის მცვლელი ანუ ფუძის საწარმოებელი (ცხენ-**ოსან**-ს, ყვავილ-**ოვან**-ი...). დამოკიდებულების აღმნიშვნელი აფიქსი მნიშვნელობას არ ცვლის, ფუძეს არ აწარმოებს (ფუძის გარეშე რჩება); მნიშვნელობის მცვლელი აფიქსი დამოკიდებულებას არ აღნიშნავს (დამოკიდებულების აღმნიშვნელი აფიქსი ცალკე დაერთვის).

ეს ორი ტიპი ერთმანეთს უპირისპირდება, როგორც დადებითი ნიშნების მიხედვით, ისე უარყოფითად დახასიათებისას.

ამათ გვერდით უნდა გავითვალისწინოთ გარდამავალი ტიპიც. გავიღოთ „წიგნ-ი"-სიტყვა მრავლობითში: „წიგნ-ებ-ი". -ი აქ დამოკიდებულების აღმნიშვნელი აფიქსია, ფლექსიაა (სახელობითი ბრუნვის ნიშანია), **-ებ-** აფიქსი ფუძის საწარმოებელია: ამგვარი მრავლობითი ჭართულში, როგორც ცნობილია, განსხვავდება მხოლობითისაგან ფუძით; ბრუნვის ნიშნები მრავლობითში იგივეა, რაც მხოლობითში: მხოლ.: წიგნ-ი, ამხანაგ-ი... წიგნ-მა, ამხანაგ-მა... წიგნ-ს, ამხანაგ-ს... მრავლ.: წიგნ-ებ-ი, ამხანაგ-ებ-ი, წიგნებ-მა, ამხანაგ-ებ-მა, წიგნ-ებ-ს, ამხანაგ-ებ-ს... **-ებ-** მრავლობითი რიცხვის ფუძეს აწარმოებს. ცვლის თუ არა იგი ფუძის მნიშვნელობას? **კიდეც ცვლის და კიდეც არა!** ცვლის იმიტომ, რომ „წიგნ", „ამხანაგ"—ცალკე ერთეულზე მიუთითებს[1], „წიგნ-ებ", „ამხანაგ-ებ"—ერთზე მეტს „წიგნს", „ამხანაგს" გულისხმობს... არა ცვლის ფუძის მნიშვნელობას, თუ მხედველობაში ვიქონიებთ, რომ ახალი ფუძე (მრავლობითისა) იმავე საგანზე მიუთითებს, რაზედაც—მხოლობითის ფუძე. საკმარისია შევადაროთ **-ებ-** სუფიქსის როლი **-ოსან** სუფიქსისას, რომ განსხვავება ნათელი იყოს:

---

[1] მხოლობითის ფუძე შეიძლება ავრეთვე ხოგადად „წიგნს", „ამხანაგს" აღნიშნაედეს.

ცხენ-ი:

ცხენ-**ოსან**-ი : ახალი ფუძე (ცხენოსან-) **სულ სხვა** საგანზე მიუთითებს;

ცხენ-**ებ**-ი : ახალი ფუძე (ცხენებ-) ისევ იმ საგანზე მიუთითებს: საგანი არ შეცვლილა, მისი **რიცხვი** (რაოდენობა) შეიცვალა.

მაშასადამე, **-ებ-** სუფიქსი ცვლის მნიშვნელობას არა მთლიანად, არამედ მხოლოდ ნაწილობრივ,—ცვლის რიცხვობრივს მხარეს.

სხვა მხრივაც განსხვავდება **-ებ-** და **-ოსან-**: **-ოსან-** გავლენას არ ახდენს სიტყვათა დამოკიდებულებაზე (ცხენი დგას—ცხენოსანი დგას); ამასვე ვერ ვიტყვით **-ებ-** აფიქსის შესახებ: მას შეუძლია სიტყვათა დამოკიდებულებაში ცვლილება შეიტანოს (ცხენი ჰიხვინებს—ცხენები ჰიხვინებენ)...

ამრიგად, **-ებ-** სუფიქსი ფუძის საწარმოებელი აფიქსია, მაგრამ იგი მხოლოდ ნაწილობრივ ცვლის ფუძის მნიშვნელობას და ამ მხრივ „ჩამორჩება“ **-ოსან-** სუფიქსს; მეორე მხრივ, მას შეუძლია სიტყვათა ურთიერთობაში ცვლილებების მოხდენა და აქ ის მოგვაგონებს დამოკიდებულების აღმნიშვნელ აფიქსებს, აქ მას მეტი ძალა აქვს, ვინემ **-ოსან-ს.** ორივე ეს გარემოება **-ებ-** სუფიქსს აშორებს მნიშვნელობის მცვლელ ტიპურ აფიქსებს და აახლოებს დამოკიდებულების აღმნიშვნელ აფიქსებთან.

მსგავსი ვითარება შეიძლება აღმოაჩნდეს დამოკიდებულების აღმნიშვნელ ზოგ აფიქსსაც.

მე ვმუშაობ—ჩვენ ვმუშაობთ: **-თ-** სუფიქსი დამოკიდებულებას აღნიშნავს—ზმნაში ის არის „ჩვენ“ სიტყვის ერთ-ერთი წარმომადგენელი; ამით ის გავს **ვ-ს** (**ვ-მუშაობ**); ის არ არის ფუძის საწარმოებელი; ის ფუძეში არ შედის, ფლექსიაა ისევე, როგორც **ვ-**; მაგრამ მას ფუძის მნიშვნელობაშიც შეაქვს ცვლილება: ვმუშაობ-**თ** სიმრავლეს აღნიშნავს, **-თ-** ისეთსავე ცვლილებას იწვევს ზმნის ფუძის მნიშვნელობაში, როგორც **-ებ-** იწვევდა ზემოთ აღნიშნულ მაგალითებში: იგი რიცხვობრივ მომენტს ცვლის ფუძის მნიშვნელობაში. ამგვარი თვისება უცხო იყო, როგორც ვიცით, დამოკიდებულების აღმნიშვნელი აფიქსებისათვის (ამხანაგ-**ს**, ამხანაგ-**ის**... დამოკიდებულების აღმნიშვნელი აფიქსები ფუძის მნიშვნელობას არ ცვლიან).

-ებ- სუფიქსი ფუძის საწარმოებელი ისეთი აფიქსია, რომელსაც არ გააჩნია მნიშვნელობის მცვლელი აფიქსის ყველა თვისება, მაგრამ მოეპოება ზოგი რამ, დამოკიდებულების აღნიშვნელი აფიქსის დამახასიათებელი.

-თ სუფიქსი დამოკიდებულების აღმნიშვნელი ისეთი აფიქსია, რომელიც ზოგ რაშიმე ფუძის საწარმოებელ აფიქსს მოგვაგონებს, თუმცა ფუძეში არ შედის.

ორივე—გარდამავალი ტიპის აფიქსის ნიმუშს წარმოგვიდგენს. -ებ- სახელთა მრაელობითობას აღნიშნავს, -თ—ზმნისას (გარკვეულს პირობებში)... შეიძლებოდა აგრეთვე დაგვესახელებინა დროთა და კილოთა საწარმოებელი აფიქსებიც...

დამოკიდებულების აღმნიშვნელი აფიქსი (ანუ ფლექსია), მნიშვნელობის მცვლელი (ანუ ფუძის საწარმოებელი) აფიქსი—ესაა ორი ძირითადი ტიპი აფიქსთა; მათ ერთვის მესამე, გარდამავალი ტიპი.

ამ უკანასკნელის არსებობას აქვს არა მარტო პრაქტიკული მნიშვნელობა (ანალიზის დროს კვალიფიკაციის თვალსაზრისით); მისი პრინციპული ღირებულებაც თვალსაჩინოა.

დამოკიდებულების აღმნიშვნელი აფიქსები მორფოლოგიის საგანს წარმოადგენს, თვით დამოკიდებულება—სინტაქსის საკვლევი არეა, მნიშვნელობის მცვლელი აფიქსები ბუნებრივად სემასიოლოგიას განეკუთვნება (იხ. ზემოთ § 26). ასეთ პირობებში გარდამავალი ტიპი განსახიერებაა იმ ბუნებრივი გარდასვლისა და შინაგანი კავშირისა, რომელიც მორფოლოგიას, სინტაქსსა და სემასიოლოგიას შორის იკარაუდება: მეცნიერული გრამატიკის ამ დარგთა შინაგან კავშირს განსაზღვრავს შინაგანი კავშირი შესასწავლ ობიექტებს შორის.

რა თქმა უნდა, ბუნებრივი კავშირი სრულებითაც არ ნიშნავს, რომ მორფოლოგია, სინტაქსი და სემასიოლოგია ერთმანეთში უნდა ავრიოთ, რომ საჭირო არ არის მათი გამიჯვნა; პირიქით: მათი გამიჯნულობის ფონზეა ფასეული ეს დაკავშირება, და თუ გარკვეულად არ არის ჩამოყალიბებული მორფოლოგია, სინტაქსი, სემასიოლოგია, თვით დაკავშირების საკითხი უქმი და არას მაქნისია.

§ 29. აფიქსთა კლასიფიკაცია ადგილმდებარეობის მიხედვით.

აფიქსთა სამი ტიპი (დამოკიდებულების აღმნიშვნელი, ფუძის საწარმოებელი და გარდამავალი) გამოიყო აფიქსთა დახასიათებისას **ფუნქციის** (როლის) მიხედვით.

აფიქსები შეიძლება დავახასიათოთ **ადგილმდებარეობის** მიხედვითაც. ამ თვალსაზრისით განასხვავებენ—**პრეფიქსს, სუფიქსსა და ინფიქსს.**

ადგილმდებარეობის გარკვევისას ამოსავალია მარტივი ფუძე (ძირი).

პრეფიქსად იწოდება ისეთი აფიქსი, რომელიც ძირს წინ უძღვის; პრეფიქსი ლათინური სიტყვაა (praefixum) და ნიშნავს „წინ მიმაგრებულს, წინ დართულს“, მისი ქართული შესატყვისია „წინასართი“; **ვ**-მუშაობ... **გ**-თხოვთ... **სა**-მელნე—**ვ**, **გ**, **სა**—პრეფიქსებია ანუ წინსართები.

სუფიქსი ეწოდება ისეთ აფიქსს, რომელიც ძირს მოსდევს; სუფიქსიც ლათინური სიტყვაა (suffixum) და ნიშნავს, „ქვეიდან მიმაგრებულს“, უკან დართულს;. ქართულად მის გადმოსაცემად ხმარობენ „ბოლოსართს“; მოხერხებული ეს ტერმინი არაა; ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს სუფიქსი ყოველთვის ბოლოს დაისმოდეს; ნამდვილად კი სუფიქსი ძალიან ხშირად ბოლოში არ არის (იხ. ქვემოთ); ვმუშა-**ობ**... გთხოვ-**თ**... სამელნ-**ე** -**ობ**, -**თ**, -**ე** სუფიქსებია ანუ ბოლოსართები.

ინფიქსი შიგ ჩაერთვის მარტივ ფუძეს ანუ ძირს. ინფიქსი ლათინურად (infixum) ნიშნავს „შიგ ჩამაგრებულს, ჩართულს“. ქართული „ჩასართი“ კარგად გადმოგვცემს ამ ტერმინს. ინფიქსის ნიმუში იქნებოდა: ხვნა, კვლა, დაძვრა, ჩაგვრა, შენიშვნა და მაგგვარებში ვ, რომელიც ფონეტიკური მიზეზების გამო (ლ, რ, ნ-სთან ვ-ს მეტათეზისის ანუ გადასმის გამო) ძირეულ თანხმოვნებს შორის მოექცა:

შდრ.: ხნ-ავ ს: ხნ-ავ-ა → ხნ-ვ-ა → ხვნა (ვ-ს გადასმით).
თეს-ავ-ს: თეს-ავ-ა → თეს-ვ-ა.
ჩაგრ-ავ-ს: ჩაგრ-ავ-ა → ჩაგრ-ვ-ა → ჩაგვრ-ა (ვ-ს გადასმით).
ტანჯ-ავ-ს: ტანჯ-ავ-ა → ტანჯ-ვ-ა.
კლ-ავ-ს: კლ-ავ-ა → კლ-ვ-ა → კვლ-ა (ვ-ს გადასმით).
კალ-ავ-ს: კალ-ავ-ა → კალ-ვ-ა (რისამე მოკალვა).

ხნავს, ჩაგრავს, კლავს... სიტყვებში ორ-ორი სუფიქსი გვაქვს: -**ავ**- და -**ს**; ხვნა, ჩაგვრა, კვლა-ში -**ს**- ს ადგილას ახალი -ა სუფიქსია, **ავ** სუფიქსის ნარჩენმა -**ვ**-მ კი ადგილი იცვალა და წინა ორ თანხმოვანს შორის მოექცა. ეს მაშინ ხდება, როგორც ვხედავთ, როდესაც -ვ-ს წინ ორი ან მეტი თანხმოვანი იყრის თავს (შდრ. მოკალვა და კვლა) და **ვ**-ს უშუალო მეზობლად ან **ნ** ან **რ** ან **ლ** არის (შდრ. „ტანჯვა“, სადაც **ვ**-მ ადგილი არ იცვალა, თუმცა წინ ორი თანხმოვანი უძღვის და „ჩაგვრა“, სადაც **ვ**-ს გადასმა **რ**-ს მეზობლობას მიეწერება).

ხვნ-ა, შენიშვნა, კვლა, ძვრა... და მსგავს მაგალითებში **ვ**- ინფიქსი ნასუფიქსარია; დიალექტურ „ნავხე“-ში (ლიტერატურული

ვ-ნახე-ს ნაცვლად). ვ ინფიქსი ნაპრეფიქსალია[1]. ინფიქსებად ეს სუფიქსი და პრეფიქსი ფონეტიკურმა პროცესმა აქცია. მორფოლოგიური ბუნების ინფიქსები ქართულმა ენამ არ იცის; ასეთი ინფიქსები ამერიკის მკვიდრთა ენაშია ჩვეულებრივი. სიტყვაში შეიძლება იყოს მხოლოდ ერთი პრეფიქსი (ვ-არ, ხ-არ), მხოლოდ ერთი სუფიქსი (ამხანაგ-ს, წიგნ-მა)... ერთი პრეფიქსი და ერთი სუფიქსი (ვ-არ-თ, ხ-არ-თ... ვ-მუშა-ობ... სა-მელნ-ე... სა-თავ-ე...), ერთზე მეტი პრეფიქსი და სუფიქსი: სა-თა-ურ-ი... და-სა-თა-ურ-ებ-ა... და-სა-თა-ურ-ებ-ულ-ი... და-სა-სა-თა-ურ-ებ-ელ-ი... შე-სა-მო-წმ-ებ-ლ-ად... გა-და-სა-მზად-ებ-ელ-ი[2]...

უკანასკნელს შემთხვევაში ძირად (მარტივ ფუძედ) გამოყენებულია -მზად-; „შემოწმება“-ში—ფუძის მარტივი სახე, ძირი არის -წამ-; მას დაკარგული აქვს ძირეული ა; „სათაური“-ში ძირია -თავ-; ამ ძირსაც აკლია -ვ; მისი დაკარგვა გამოიწვია მომდევნო უ-მ (შდრ.: სა-თავ-ე, მაგრამ: მე-თა-ურ-ი, სა-თა-ურ-ი, უ-თა-ურ-ი... თა-ობ-ა, სადაც ვ- დაიკარგა მომდევნო ო-ს ზეგავლენით)[3].

თითოულ ამ ძირთაგანს ჩვენს მაგალითებში დართული აქვს რამდენიმე პრეფიქსი და სუფიქსი: და-სა-თა-ურ-ებ-ულ-ი. აქ, მაგალითად, ორი პრეფიქსია (და-სა-) და ოთხი სუფიქსი (ურ-ებ-ულ-ი).

ხშირად პრეფიქსად თვლიან მხოლოდ პირველ აფიქსს (და-) სუფიქსად—უკანასკნელს (-ი), დანარჩენები კი ინფიქსებად მიაჩნიათ (-სა-... -ურ-, -ებ-, -ულ); ეს შეცთომაა; ამიტომ იყო, ზემოთ რომ ვით, **ამოსავალი და საორიენტაციო უნდა იყოს მარტივი ფუძე** (ძირი); **ამ უკანასკნელის მიმართ უნდა გაირკვეს, რა უძღვის მას წინ, რა მოსდევს მას, რა არის მის შიგნით მოქცეული.** ინფიქსი მარტივი ფურის (ძირის) შიგნით უნდა იყოს მოქცეული და არა

---

[1] ასეთივე ნაპრეფიქსალი ვ (ბ) ხშირია მეგრულში (ი-ბ-რდუქ—ვიბრდები) და სვანურში (ტუიხე←ვ-ტიხე—ვაბრუნებ)...

[2] და- (დასათაურებული), შე-(შესამოწმებლად), გა-და-(გადასამზადებელი) და სხვა ე. წ. პრევერბები ჩვეულებრივად პრეფიქსებად არ მიაჩნიათ: ეს ნაწილაკები მხა-მხარეულ სიტყვას დაერთვიან და, მაშასადამე, სიტყვის გარეთ მდებარეობენო. ასეთი დასკვნა მართებული იქნებოდა, რომ ხშირად ეს პრევერბები ფუძის მნიშვნელობას არ ცვლიდენ, ხოგჯერ ძირითადად: ა-გება, გა-გება, მი-გება, მო-გება, წა-გება, და-გება... ასეთს შემთხვევაში პრევერბი ფუძის საწყობელი აფიქსის როლში გამოდის.

[3] სიტყვის ბგერითს მხარეში მომხდარი ცვლილებებისა და ამათი მნიშვნელობის შესახებ სიტყვის სწორი ანალიზისათვის საუბარი გვქონდა მეორე თავში, § 25.

ნაწარმოები ფუძის ანდა სრული სიტყვის შიგნით. ქართულისა და მის მსგავსი ენის მაგალითებში ამის გარკვევა ერთობ მარტივია. უფრო რთულია საქმის ვითარება ისეთ ენებში, სადაც სიტყვასა (კერძოდ, ზმნასა) და წინადადებას შორის ზღვარი მოშლილია. ვგულისხმობთ ე. წ. პოლისინთეზურ ენებს (იხ. ქვემოთ ენათა მორფოლოგიური კლასიფიკაცია § 39).

§ 30. აფიქსის ადგილმდებარეობა და ფუნქცია. რა მიმართებაში იმყოფება აფიქსების ფუნქციონალური დახასიათება ადგილმდებარეობის მიხედვით დახასიათებასთან? პრეფიქსი შეიძლება იყოს დამოკიდებულების აღმნიშვნელიცა (ვ-არ, ვ-შუშაობ, მ-აქებს) და მნიშვნელობის მცვლელიც, ფუძის საწარმოებელიც (მე-ნავ-ე, სა-თავ-ე); ეგევე ითქმის სუფიქსისა და ინფიქსის შესახებ: მუშაობ-ს, გაუგზავნ-ა ამხანაგ-მა: -ს, -ა, -მა—დამოკიდებულების აღმნიშვნელი სუფიქსებია; სა-თა-ურ-ი, და-სა-თა-ურ-ებ-ულ-ი, და-სა-თა-ურ-ებ-ა — -ურ-, -ებ-, -ულ,-ა—ფუძის საწარმოებელი სუფიქსებია.

„ხვნა"-ში ვ-ინფიქსი, როგორც ვიცით, ფუძის საწარმოებელ -ავ სუფიქსის ნარჩენია, „ნავხე"-ში კი ვ-ინფიქსი დამოკიდებულების აღმნიშვნელი ვ-პრეფიქსისაგან მივიღეთ.

§ 31. სიტყვის დაშლა. აფიქსების გამოყოფა სიტყვაში ნიშნავს სიტყვის დაშლას. დაშლა გრძელდება მანამდის, სანამ აფიქსების თანადათანი ჩამოცილებით არ მივიღებთ მარტივ ფუძეს (ძირს). მაგალითად:

1. ამხანაგურად } -ად—სუფ.
   } ამხანაგურ- ნაწარმ.ფუძე—} -ურ სუფ.
   } ამხანაგ- მარტ. ფუძე (ძირი).

სიტყვა „ამხანაგურად" დაშლისას გვაძლევს ამხანაგ- მარტ. ფუძესა და ორ სუფიქსს: -ურ-, -ად.

1. მეგობრულად—} -ად სუფ.
   } მეგობრულ- ნაწარმ. ფუძე—} -ულ სუფ.
   } მეგობრ- მარტ. ფუძე (ძირი).

დაშლის შედეგად მიღებული მარტივი ფუძე (მეგობრ) და სუფიქსები (-ულ, -ად) არ წარმოგვიდგენს იმ მასალას, რომლისაგანაც ეს სიტყვა აიგო: ცვლილებები განიცადა, როგორც ფუძემ, ისე სუფიქსმა; სახელდობრ: -ულ სუფიქსი ფონეტიკურად სახეცვლილი -ურ სუფიქსია; ცვლილების მიზეზია -რ ფუძეში (მეგობრ); ამ რ-ს შეგავლენით

სუფიქსეული -რ შეიცვალა -ლ-დ; უნდა ყოფილიყო: მეგობრ-ურ-ად, მივიღეთ „მეგობრულად“ (შდრ.: ამხანაგ-ურ-ად, ძმ-ურ-ად, მეზობლ--ურ-ად...).

ცვლილება განიცადა ფუძემაც სუფიქსის ზეგავლენით: იყო „მეგობარ“, მივიღეთ „მეგობრ“; მოხდა ფუძის შეკუმშვა -ურ- სუფიქსის ზეგავლენით.

მაშასადამე, ამ ცვლილებათა გათვალისწინებით სიტყვა „მეგობრულად“ დაშლისას გვეყარაუდებინება:

მეგობარ (მარტ. ფუძეს)+ურ+ად (სუფიქსებს).

სიტყვა „ამხანაგურად“ როცა დავშალეთ, უცვლელად მივიღეთ ის ელემენტები, რომელთაგანაც სიტყვა აგებულიქმა; სიტყვა „მეგობრულად“ ფუძის წარმოებისას მიგვითითებს ცვლილებებზე, როგორც მარტივს ფუძეში, ისე სუფიქსში; ფუძის ცვლილება სუფიქსითაა გამოწვეული, სუფიქსისა—ფუძით. ეს ცვლილებები ფონეტიკური ხასიათისაა; მათი გათვალისწინების გარეშე სიტყვის ანალიზი პირვანდელ შემადგენელ ნაწილებამდის ვერ მიგვიყვანს.

კიდევ მაგალითი:

სამომხმარებლო: { **სა—ო**
{ **მომხმარებლ—** { **მო—(ე)ლ**
{ **-მხმარებ—** { **მ— -ებ**
{ **-ხმარ-**

სამომხმარებლო: სა-მო-მ-ხმარ-ებ-(ე)ლ-ო; მარტივ ფუძეს -ხმარ- დაერთვის სა-მო-მ პრეფიქსები და -ებ- (ე)ლ-ო სუფიქსები; -ელ სუფიქსი -ო სუფიქსის დართვისას კარგავს ე-ს.

განათლებული— { **-ი**
{ **განათლებულ—** { **გა— -ებ-ულ**
{ **-ნათ(ე)ლ-**

განათლებული: გა-ნათ(ე)ლ-ებ-ულ-ი...

განმარტებითი— { **-ი**
{ **განმარტებით—** { **-ით**
{ **განმარტებ—** { **გან— -ებ**
{ **-მარტ-**

აქ ორი რამ უნდა შევნიშნოთ:

1. მარტივი ფუძე (ძირი) არ იშლება ამჟამად; თანამედროვე ქართულის თვალსაზრისით -მარტ- (განმარტებით-ში), -ნათელ- (განათლებულ-ში), მეგობარ დაუშლელი მონაცემია, მარტივი ფუძეა, ძირია; მაგრამ ისტორიული განვითარების წინა საფეხურების გათვალისწინება დაგვანახვებს, რომ შეუძლებელი არაა მათი დაშლა,

მათში აფიქსისა თუ აფიქსების გამოყოფა და ახალი ძირეული კომპლექსის დადგენა. მაშასადამე: სიტყვის დაშლისას ყოველთვის უნდა დავიცვათ ისტორიული პერსპექტივა. სიტყვის ანალიზი შეიძლება აღწევდეს სხვადასხვა სიღრმეს იმისდა მიხედვით, თუ ენის განვითარების რა პერიოდს ვიღებთ. უნდა გავარჩიოთ ანალიზი აწინდელი ვითარებისა და ანალიზი ისტორიული თვალსაზრისით.

2. სიტყვის დაშლას რომ ვაწარმოებთ, უნდა გვახსოვდეს, რომ ყველა სიტყვა არ იშლება, ყველა სიტყვაში არ გამოიყოფა ფუძე და აფიქსი; ჩვენი მსჯელობა შეეხება ე. წ. ცვალებადს ანუ ფორმიან სიტყვებს; უცვლელ ანუ უფორმო სიტყვებში ვერც ფუძეს ვიპოვით და ვერც აფიქსებს (იხ. ამის შესახებ ქვემოთ, § 36).

არსებობს ტექნიკური ხერხი, უკეთ ვთქვათ, საკონტროლო საშუალება იმის გასარკვევად, დაიშლება თუ არა სიტყვა ფუძედ და აფიქსებად; ეს საშუალება შემდეგში მდგომარეობს: სათანადო ენაში უნდა დავძებნოთ **იგივე სუფიქსი** სხვა ფუძეებთან და **იგივე ფუძე** სხვა აფიქსებთან; პირველი რიგის მაგალითებს ჰორიზონტალურად ათავსებენ, მეორეს—ვერტიკალურად:

ამხანაგ-ურ-ად, ძმ-**ურ-ად**, მეზობლ-**ურ-ად**, კაც-**ურ-ად**...
ამხანაგ-ობა
სა-ამხანაგ-ო
დაუ-**ამხანაგ**-და
ამხანაგ-ის
ამხანაგ-მა
ამხანაგ-ები...

„სამომხმარებლო“-ში **სა**-სუფიქსი აღმოჩნდა; სიტყვაში „სამი“ **სა**-ვერ გამოიყოფა (ვერც როგორც სუფიქსი და ვერც როგორც ძირი, იგი ძირის ნაწილია). შევამოწმოთ ზემოაღნიშნული წესის მიხედვით.

სა-მი, **სა**-ერთო, **სა**-ომარი, **სა**-ნატრელი, **სა**-ურთიერთო... ჰორიზონტალური წყება გაგვაჩნია: **სა**- თავსართი არსებობს ქართულში; მაგრამ ვერტიკალურ წყებას ველარ ვპოულობთ: სა-**მი**... სხვა აფიქსთან ეს -**მი**- აღარ მოიძევება—გასაგები მიზეზების გამო: „**მი**“ ფუძე არ არის...

აგრევე შეიძლებოდა ჩამოგვეთვალა გრძელი წყება სიტყვებისა, რომლებშიაც მეორდება თავკიდური **კა**-: **კაცი**, **კავი**, **კაჟი**, **კატა**, **კარი**, **კანჭი**..., მაგრამ ამ **კა**-ს ვერ გამოვყოფდით აფიქსად—დარჩენილი ნაწილი ფუძედ არ გამოდგებოდა, ვერტიკალურს წყებას ვერ შექმნიდა. ამ **კა**-ს ფუძედაც ვერ მივიჩნევდით: დარჩენილი ნაწილი სუფიქსად ვერ მოგვევლინებოდა.

§ 32. აფიქსის გგერითი სახე და ფუნქცია. აფიქსები, როგორც ვიცით, ან დამოკიდებულებას ალნიშნავენ ანდა ფუძეს აწარმოებენ, მნიშვნელობას ცელიან. მაგრამ დამოკიდებულება სხვადასხვაგვარი შეიძლება იყოს; მნიშვნელობის ცვლაც ნაირ-ნაირია.

ჩვეულებრივად **განსხვავებული ფუნქციის მქონე აფიქსი გგერითადაც განსხვავებულია**; მაგალ. ნათესაობითი ბრუნვის ნიშანია **-ისა**, მიცემითისა— **-სა**, მოქმედებითისა— **-ითა**... **ვ-** პრეფიქსი ზმნაში ალნიშნავს პირველი პირის სუბიექტს (**ვ**-აქებ მე), **მ**-პრეფიქსი—იმავე პირის ობიექტს (**მ**აქებს მე), **გვ-** პრეფიქსი კი პირველი პირის ობიექტს მრავლობითს რიცხვში (**გვ**აქებს ჩვენ)... **-ურ** სუფიქსი სადაურობისა და თვისება-რაგვარობის მაჩვენებელია (თუშ**ურ**ი, სეან**ურ**ი... ამხანაგ**ურ**ი, მუხანათ**ურ**ი...); **სი—ე** პრეფიქს-სუფიქსი თვისების პირველადი სახელისაგან თვისების განყენებულ სახელს აწარმოებენ (ლამაზ**ი**—სილამაზ**ე**, მალალ**ი**—სიმაღლ**ე**, მახინჯ**ი**—სიმახინჯ**ე**...).

გგერითად განსხვავებული აფიქსი ფუნქციონალურად განსხვავებულია; ასეა ჩვეულებრივად. ჯარდა ამისა შესაძლებელია:

1. **გგერითად განსხვავებული აფიქსები ერთი და იმავე მნიშვნელობისა იყოს;** ვგულისხმობთ არა ისეთ შემთხვევებს, სადაც გგერითი სხვაობა ფონეტიკურმა პროცესებმა გამოიწვია (ძმა-**მ**, მეგობარ-**მა**... ძმ-**ურ**-ი, მეგობრ-**ულ**-ი), არამედ ისეთებს, სადაც გგერითად სხვადასხვა წარმოშობის აფიქსები გვაქვს: ძმა-**ნ**-ი და ძმ-**ებ**-ი... დგა-**ს** და დგებ-**ა**... მოდი-**ან** და თამაშობ-**ენ**... **-ნ, -ებ; -ს, -ა; -ან, -ენ**— ერთი და იმავე ფუნქციისა, გგერითად კი სხვადასხვაა.

2. **გგერითად ერთნაირი აფიქსი სხვადასხვა მნიშვნელობისა იყოს; -ებ** სუფიქსი სახელებში „ამხანაგ-**ებ**-ი, ძმ-**ებ**-ი, მეგობრ-**ებ**-ი— მრავლობითობას ალნიშნავს; **-ებ**- სუფიქსი ზმნებში აშენ-**ებ**-ს, აგ-**ებ**-ს, აწითლ-**ებ**-ს, ალამაზ-**ებ**-ს... აწმყოს ფუძის მაწარმოებელია... დავითი არჩილს წერილს უგზავნის; არჩილს, წერილს,—ორივე **-ს**, მიცემითი ბრუნვის ნიშანია; უგზავნის—აქ **-ს** სუბიექტის მესამე პირის სუფიქსია და ეს სულ სხვაა, ვიდრე მიცემითის ნიშანი **-ს** დავითი არჩილს დახმარებას **ს**თხოვს; უკანასკნელ სიტყვაში **ს** პრეფიქსადაც გვაქვს და სუფიქსადაც; ორსავე შემთხვევაში ეს **-ს** პირს ალნიშნავს, მაგრამ განსხვავებულს: **ს**-სუფიქსი მიუთითებს მესამე პირის სუბიექტზე, **ს**-პრეფიქსი—მესამე პირის ობიექტზე (მიცემითში); ასე, რომ ეს ორი **-ს** სხვადასხვა მორფოლოგიური ოდენობაა გგერითი ერთგვარობის მიუხედავად.

3. **ერთსა და იმავე აფიქსს შეიძლება ერთზე მეტი მნიშვნელობა ჰქონდეს;** **ვ**-აქებ-თ; **ვ**- აღნიშნავს პირს, პირველს; **თ**—რიცხვს, მრავლობითს; აქებ-ენ: **-ენ** აღნიშნავს, როგორც პირს, მესამეს, ისე რიცხვს, მრავლობითს; **შდრ.** აგრეთვე: ძმ-ებ-ისა და ძმა-თა. უკანასკნელში რიცხვსაც, ბრუნვასაც **-თა** აღნიშნავს.

ქართულსა და სხვა ქართველურს ენებში ამის მაგალითები მცირეა; ამგვარს მაგალითებში თავდაპირველად ერთი ფუნქცია უნდა ვივარაუდოთ; მეორე ფუნქცია მერე განვითარებული ჩანს; საფიქრებელია, რომ **-ენ** (აქებ-**ენ**) თავდაპირველად მხოლოდ მრავლობითობას აღნიშნავდა ისევე, როგორც **-თა**—სახელებში (ძმა-**თა**). ევროპულს ენებში, კერძოდ, რუსულში, ერთზე მეტი ფუნქციის მქონე აფიქსები ჩვეულებრივი მოვლენაა: товарищ-ам: **-ам** მიცემითსაც აღნიშნავს და მრავლობითობასაც; мы читаем-ში **-ем** პირველი პირის მაჩვენებელიცაა და მრავლობითობისაც.

თქმულის მიხედვით უნდა დავასკვნათ: ერთი და იგივე აფიქსია თუ სხვადასხვა, ამას წყვეტს არა გგერითი ერთნაირობა თუ სხვაობა, არამედ ფუნქცია (იხ. პირველი სამი შესაძლებლობა).

აქედან არ გამომდინარეობს, რომ ერთზე მეტი ფუნქციის მქონე აფიქსი „სხვადასხვა აფიქსად“ უნდა მივიჩნიოთ: **ერთი** აფიქსის რამდენიმე მნიშვნელობის შესახებ ლაპარაკი მაშინ გაუგებრობა იქნებოდა.

§ 33. მოქმედი და უქმი აფიქსები. მოქმედი ეწოდება ისეთ აფიქსს, რომელიც იხმარება დამოკიდებულების აღსანიშნავად ანდა ფუძის საწარმოებლად; უქმია ისეთი აფიქსი, რომელიც იხმარებოდა გარკვეული დანიშნულებისათვის, მაგრამ აღარ იხმარება. სხვანაირად რომ ვთქვათ, მოქმედი აფიქსი—ცოცხალი აფიქსია, უქმი აფიქსი—მკვდარი.

თანამედროვე სალიტერატურო ქართულის თვალსაზრისით ცოცხალია, მაგალ., ბრუნვის ნიშნებ:-ი(ამხანაგ-ი), **-მა** (ამხანაგ-მა), **-ხა** (ამხანაგ-**ხა**)... და სხვა. როცა ქართული სესხულობს თანხმოვანზე დაბოლოებულ სახელს უცხო ენიდან, სახელობითში მას უთუოდ დაურთავს **ი**-ს: კომბაინ-ი, კოლექტივ-ი, ტრაქტორ-ი... თანხმოვანზე დაბოლოებულ ქართულ სახელთა ფუძეებში ეს -ი სახელობითს ბრუნვაში მიუცილებელია; კალამ-ი, ფანქარ-ი, წიგნ-ი, სასწავლებელ-ი -ი ცოცხალი, მოქმედი აფიქსია.

ასევე ცოცხალია პროფესიის აღმნიშვნელი ფუძის საწარმოებელი აფიქსები **მე**—**ე**: მე-ბაღ-ე, მე-ნავ-ე, მე-ჩექმ-ე, მე-ხილ-ე, მე-

დუქნ-ე... რისამე მექონის აღმნიშვნელი **-იან-** აფიქსი: ქუდ-იან-ი, ნამუს-იან-ი, ჰკვ-იან-ი, ფხ-იან-ი, წყლ-იან-ი... და სხვა მრავალი აფიქსი, რომელიც ამჟამად იხმარება ქართულში. მათი ძებნა არ გვჭირდება.

ამჟამად უჭმი, მკვდარი აფიქსების ნიმუშები იქნებოდა: **ა-ედ:** ვარსკვლავ-**ედ**-ი, გოლდ-**ედ**-ი, კავო-**ედ**-ი... მისი მნიშვნელობა ამჟამად ცხადი არაა; და ეს გასაგებია: ეს სუფიქსი მკვდარია; როცა ის ცოცხალი იყო, მისი მნიშვნელობაც ისევე იყო გარკვეული, როგორც ზემოხსენებული ცოცხალი, მოქმედი აფიქსებისა. **-ედ** ნიშნავდა იმასვე, რასაც **-იან** აღნიშნავს: ვარსკვლავ-ედ-ი=ვარსკვლავიანი, გოლდ-ედ-ი=გოლდიანი, კავო-ედ-ი=კავიანი...[1] ამისდა კვალად „შარავანდედით მოსილია“[2] ხშირად ხმარობენ: „შარავანდედით მოსილიო“: ეს მხოლოდ იმიტომ ხდება, რომ **-ედ** მკვდარია, მისი მნიშვნელობა უჩინარი, **-ედ** ფუძისეულ მასალაშია გადარიცხული, მნიშვნელობის მცველ აფიქსად უკვე აღარ მიიჩნევა. **მკვდარი საწარმოებელი აფიქსი მარტივ ფუძეს შეეზრდება** და მხოლოდ, ისტორიული ანალიზი გამოყოფს მას ამ ფუძეში. რომელიმე „უბედ-ი“ უნდა ვიფიქროთ „უბ-იან-ს“ ნიშნავს, ე. ი. ისეთს, რომელსაც უბა არ ენანება, ბევრს ლაპარაკობს; ახლა კი უბედ-ფუძეში „უბა“ გაუჩინარებულია **ედ**-თან შედულების გამო.

2. ძვ. ქართულში აქა-იქ გვხვდება ადამიანთა სადაურობის აღმნიშვნელი წარმოება: **მ—ელ:** ეგვპტე, — ევიპტის მცხოვრები: **მ**-ეგვპტ-**ელ**-ი; აჩაბ-ეთ-ი,—აჩაბეთის მცხოვრები: **მ**-აჩაბ-**ელ**-ი; ეგრ-ის-ი,— ეგრისის მკვიდრი: **მ**-ეგრ-**ელ**-ი...

ახლა აღარ ვამბობთ: მ-ეგვიპტელი, მ-ესპანიელი, მ-იტალიელი... საკმარისია **-ელ-** სუფიქსი დავურთოთ: ეგვიპტ-ელ-ი, ესპანი-ელ-ი, იტალი-ელ-ი, დიღმ-ელი, წილკნ-ელ-ი და სხვ. ადამიანთა სადაურობის აღსანიშნავად **მ—ელ** წარმოება მკვდარია. მეგრელ-ში, მაჩაბელ-ში **მ** ამჟამად მარტივ ფუძეს (ძირის) კუთვნილებად იჩნევა.

3. დამოკიდებულების აღმნიშვნელ აფიქსთაგან შეიძლება მოვიგონოთ **-ნ-** მოთხრობითი ბრუნვის ნიშანი: მა-ნ, ვი-ნ... ოღონდ ეს კია, რომ აქ **-ნ-** ძველს ქართულშიც მხოლოდ ამ ორ სახელში გვხვდება და უფრო ნარჩენი ჩანს, ვინემ მოქმედი, ცოცხალი აფიქსი.

---

1. საბას ლექსიკონში ბლომად მოიპოება -ედ-ით წარმოებული სახელები.
2. „შარაბანდ“, უფრო ზუსტად, „შაჰრაბანდ“ ირანულია და „მეფის თავსაკრს“ ნიშნავს.

§ 34. აფიქსების სესხება. პირველს თავში აღნიშნული იყო, რომ „წმინდა ენა“ არ არსებობს (§ 7), რომ ყოველს ენაში ბლომად მოიპოვება სხვა ენებიდან ნასესხები სიტყვები. სიტყვის სესხებისას გაფორმება, დამოკიდებულების აღმნიშვნელი აფიქსები მსესხებელი ენისაა, ფუძელა გადმოდის. თუ ფუძე ნაწარმოებია, საწარმოებელი აფიქსებიც, ცხადია, აღმოჩნდება ნასესხებ სიტყვებში. მაგრამ ეს არაა აფიქსის სესხება: კაპიტალ-ისტ-ი, სოციალ-ისტ-ი, კომუნ-ისტ-ი... სოციალიზ-აცია, კოლექტივიზ-აცია, მექანიზ-აცია, კვალიფიკ-აცია, დეგრად-აცია, კონსტატ-აცია... და მაგგვარ მაგალითებში (**-ისტ-**, **-აცია**) სუფიქსების სესხებაზე ლაპარაკი არ შეიძლება; აქ ამ სუფიქსების შემცველი სიტყვებია ნასესხები და არა სუფიქსები. აფიქსის სესხებაზე ლაპარაკი მაშინ შეიძლება, თუ **ერთი ენის აფიქსი მეორე ენის სიტყვებში ფუძის საწარმოებლად** (ანდა ფლექსიად) არის გამოყენებული. ამის მაგალითი იქნებოდა ქართულში სიტყვა „კუპ-**ისტ**-ი, „კუპ-**იზმ**-ი“... ქართულში აუარებელი ნასესხები სიტყვა გვაქვს, ნასესხები აფიქსები კი სანთლით საძებარია. ასეთი რამ ქართულის თავისებურებას არ წარმოადგენს. ეს საერთო მოვლენაა. **აფიქსების სესხება ხდება, მაგრამ იშვიათად.** ერთი ენა მეორისაგან მასალას სესხულობს, ფორმა, ყალიბი მისია, მსესხებლისაა. ასეა ჩვეულებრივად. იშვიათ შემთხვევაში აფიქსების სესხებაც ხდება, უფრო ადვილად ფუძის საწარმოებელი აფიქსებისა, უფრო ძნელად—დამოკიდებულების აღმნიშვნელთა.

როცა ენაში ნასესხები აფიქსები მომრავლდება, ეს იმას ნიშნავს, რომ სათანადო ენათა შერევა იწყება.

§ 35. აფიქსების წარმოშობა. აფიქსთა უმეტესობა ისეთ დროს არის წარმოქმნილი, რომ ისტორიული, დოკუმენტალური ძიება მათ ვერ წვდება. ამისდა მიუხედავად გაბატონებულია ის აზრი, რომ აფიქსები დამოუკიდებელი „სიტყვისაგან“ მომდინარეობენ; თუ ამჟამად აფიქსი ეწოდება სიტყვის ისეთ ნაწილს, რომელიც თავის თავად არაფერს ნიშნავს და მხოლოდ ფუძეს დართული, გარკვეულ როლს ასრულებს, წინეთ იგიც მნიშვნელობის მქონე იყო. სხვანაირად რომა ვთქვათ, ის დაპირისპირება, რომელიც ამჟამად არსებობს ფუძესა და აფიქსს შორის, წინეთ არ არსებობდა, მაშინ, თუ შეიძლება ასე ითქვას, ყველა ფუძე იყო.

იმ აფიქსთა წარმომავლობა, რომელთა ისტორიაც დოკუმენტალურად ცნობილია, სავსებით ადასტურებს ზემოხსენებულ გაგებას.

სხვადასხვა ენის ისტორია იძლევა საკმაო მასალას, რომ სრულმნიშვნელოვანი სიტყვა, ზოგჯერ გამოთქმაც კი დამხმარე სიტყვად ქცეულა, ზოგჯერ აფიქსადაც ჩამოყალიბებულა.

აი ორიოდე ნიმუში. მოთხრობითი ბრუნვის დაბოლოებას ამჟამად წარმოადგენს -მ || -მა (ძმა-მ, მეგობარ-მა); ძვ. ქართულში გექონდა **-მან** (ძმა-მან, მეგობარ-მან); ეს ბრუნვის დაბოლოება იგივე ნაცვალსახელია მესამე პირისა მოთხრობითს ბრუნვაში, რომელსაც ჩვენ ამჟამადაც ვხმარობთ (მან დაწერა, მითხრა...). როგორც ნაცვალსახელი, ის უცვლელად შეგვრჩა გასაგები მიზეზების გამო: „მანი" შედის ბრუნვათა სისტემაში: მან, მას, მის, მით... როგორც დაბოლოება მოთხრობითისა, ის კარგავს -ნ-ს (თანხმოვანზე დაბოლოებულ ფუძეებთან) და -ა-საც (ხმოვანზე დაბოლოებულ ფუძეებთან). ძველს ქართულში კი მოთხრობითის დაბოლოება უცვლელად იმეორებდა მესამე პირის ნაცვალსახელს (ძმა-მან, მეგობარ-მან...)

სრულმნიშვნელოვანი სიტყვა „მან" იქცა დაბოლოებად და წარმოგვიდგა **-მა** || -მ-ს სახით; ეს დაბოლოება ამჟამად არაფრით გამოირჩევა სხვა ბრუნვათა ჩვეულებრივ დაბოლოებათაგან (-ისა,-სა, -ითა...).

ერთპირიან ზმნათა თურმეობითი პირველი აღწერითად იწარმოება; ნამყო დროის მიშლეობას ემატება მეშველი ზმნა აწმყო დროში. პირველსა და მეორე პირში ეს ამჟამადაც ცხადია: გავზრდილვარ, გაზრდილხარ; მესამე პირი—გაზრდილა—-ა სუფიქსს დაირთავს, ძველს ქართულში აქაც მეშველი ზმნის სრული ფორმა იყო: გაზრდილ **არს**. „არს" სიტყვისაგან დარჩა -ა: სრული სიტყვისაგან მივიღეთ სუფიქსი.

სხვათა სიტყვის გადმოსაცემად, როცა იგი პირველ პირს ეკუთვნის, იხმარება „მეთქი" („გააკეთე-მეთქი", ვუთხარი... „წავიდა-მეთქი", ვეუბნები...). ეს „მეთქი" იმგვარივე ღირებულებისაა, როგორც -ო ნაწილაკი, მესამე პირის ნათქვამის გადმოსაცემად რომ იხმარება („გააკეთა-ო", მითხრა). წარმოშობით კი ეს „მეთქი" მთელი გამოთქმაა: „მე ვთქვი".

„მეთქი" უფრო ნაწილაკია, ვინემ აფიქსი; მაგრამ ნაწილაკიც პრინციპში იმავე ბუნებისაა, როგორც აფიქსი: იგიც ისევე, როგორც აფიქსი, მოკლებულია უნარს თავის თავად ალნიშნოს რამე, ამდენადვე ორივე უპირისპირდება ფუძეს.

„მეთქი" ნაწილაკი მიღებულია სრულმნიშვნელოვანი გამოთქმისაგან.

მეგრულში პირობითი კილოს საწარმოებლად პირველსა და მეორე პირში ზმნას დაერთვის—ეე [1] (ბჭრუნდეე, ჭარუნდეე—ვწერდე, წერდე—ზუსტად რომ ვთქვათ, აქ ბოლოში გრძელი ე-ა).

ეს **ეე** არის ფონეტიკურად გამარტივებული **ერე**, რომელიც დღესაც იხმარება სვანურში და ნიშნავს „რომ“-ს („ბჭარუნდეე — ბჭრუნდერე=რომ ვწერდე). ჭანურში იგივე **ერე** აწარმოებს მყოფადს კონიუნქტივი (კავშირებითი) მეორისაგან; როცა მას წინ ხმოვანი უძღვის, მისგან რჩება **რე**, ხოლო როცა თანხმოვანი უძღვის —თავკიდური **ე** (ბჭარა-რე, ჭარა-რე, ჭარას-ე...); მაგრამ არის ისეთი თქმები, რომელთაც შემოუნახავთ **ერე** მთლიანად (ჭარას-**ერე**...).

ამ შემთხვევაში აფიქსად იქცა დამხმარე სიტყვა, კავშირი **„ერე“** („რომ“).

ფრანგული მარტივი მყოფადის საწარმოებელი სუფიქსები (ai, as, a...), როგორც ცნობილია, იგივე მეშველი ზმნაა აწმყო დროისა (j'ai, tu as, il a...—მე მაქვს, შენ გაქვს, მას აქვს); მხოლობითში ეს მეშველი ზმნა მთლიანად მეორდება, მრავლობითში მხოლოდ მისი დაბოლოებაა აღებული: je chanter-ai, tu chanter-as, il chanter-a.

გერმანული ფუძის საწარმოებელი სუფიქსი -lich (herr-lich) მომდინარეობს სიტყვისაგან lik, რაიც აღნიშნავდა „მსგავსს“.

მთელი გამოთქმის, სრულმნიშვნელოვანი სიტყვის, ანდა დამხმარე სიტყვის გადაქცევა აფიქსად მიმდინარეობს იმგვარადვე, როგორც სრულმნიშვნელოვანი სიტყვის დამხმარე სიტყვად გადაქცევა.

დამხმარე სიტყვაა ამჟამად „ეგებ“ („ეგებ ცოტა მოვჯობინდე!“...); წარმოშობით კი ის სრულმნიშვნელოვანი სიტყვაა, ზმნაა (ეგების...—შეეფერება, ხამს, საჭიროა... არა ეგების) ვნებითი გვარისა, აწმყო დროისა, მესამე პირი S და O მხოლ. რიცხ.

დამხმარე სიტყვა „თუნდაც“ საკმაოდ გამჭვირვალე აგებულებისაა: თუ+უნდა+ც (ც ნაწილაკი ძველს ქართულში ზმნასაც დაერთოდა: მოვიდაცა, მოცავიდა)....

დამხმარე სიტყვა „თითქოს“, საეჭვებელია, რომ „თუ“ და „თქვას“ (ან ითქვას)-ისაგან არის შემდგარი.

რუს. будто=буль то: если=есть ли...

სიტყვა „უნდა“ ქართულში სრულმნიშვნელოვანიც არის („დავითს არჩილის ნახვა **უნდა**:“ მე მინდა, შენ გინდა, მას უნდა), დამხ-

---

[1] მეგრულში არის პირობითი, ა-თი ნაწარმოებიც: ბჭარუნდა; ეს წარმოება ქართული კონიუნქტივ პირველის ე წარმოების ეკვივალენტია.

მარე სიტყვის როლსაც ასრულებს („ეს წიგნი დავითს უნდა ჭონდეს“...).

ასევე სიტყვა „ჩანს“ („წყარო არსად ჩანს“—„ჩანს დავითი აქ მოვა“), ეტყობა („დავითს დაღლილობა ეტყობა“—„ეტყობა დავითი წასულა“...) და მთელი რიგი სიტყვები ამჟამად სრულმნიშვნელოვანიც არიან და დამხმარე სიტყვებადაც გვევლინებიან...

მაშინ, როდესაც აფიქსები ჯერ კიდევ არ არსებობდა, ენაში მხოლოდ „ფუძეები“, ზუსტად რომ ვთქვათ, აწინდელი ფუძის მსგავსი ერთეულებიღა უნდა გვქონოდა; მათგან ზოგმა დაკარგა თავისთავადი მნიშვნელობა და თანდათანობით იქცა დამხმარე მნიშვნელობის ფუძედ, ნაწილაკად და ბოლოს აფიქსად...

რომ აფიქსები ასეთი წარმომავლობისაა, პირველად ჰორნ ტუკ-მა (Horne Tooke) აღნიშნა 1786 წელს: „ყველა ის დაბოლოება, რომელთაც ჩვენ ამა თუ იმ ენაში ვხვდებით, [წარმოშობით]... გარკვეული მნიშვნელობის მქონე დამოუკიდებელი სიტყვებია“...[1]

ანალოგიურ დასკვნამდის მივიდა შედარებითი გრამატიკის მამამთავარი ფრანც **ბოპი**, რომელმაც თავისი ცნობილი გამოკვლევის („ულვლილების სისტემისათვის სანსკრიტისა შედარებით ბერძნულის, ლათინურის, სპარსულის და გერმანული ენების ულვლილების სისტემასთან“, 1816 წ.) მიზნად დასახა გრამატიკული ფორმების წარმოშობა გამოერკვია, ე. ი. გაერკვია აფიქსთა წარმოშობა.

როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, ასეთი გაგება დღესაც გაბატონებულია. აფიქსების წარმოშობას დამოუკიდებელ სიტყვათაგან გახაზავს აკად. ნ. მარიც თავის ბოლოდროინდელ გამოკვლევებში.

§ 36. **აფიქსებიანი და უაფიქსო სიტყვები.** სიტყვის ანალიზის დროს აქამდის ჩვენ ვიხილავდით ისეთ სიტყვებს, რომელთაც აფიქსი (თუ აფიქსები) გააჩნდათ. აფიქსის ქონა ნიშნავს ფუძის ქონასაც: აფიქსი ხომ სიტყვის ისეთი ნაწილია, რომელიც (მარტივ) ფუძეს დაერთვის და მასთან ერთად ახალს, ნაწარმოებ ფუძეს ანდა დამთავრებულ სიტყვას წარმოქმნის. აფიქსი და ფუძე კორელაციური ცნებებია: ერთის არსებობა მეორის არსებობას გულისხმობს. ამიტომაა, რომ სიტყვის დაშლისას აფიქსების გამოყოფით ფუძეს ვპოულობთ; ფუძის დაშლა კიდევ იქ თავდება, სადაც მასში ახალი აფიქსისა და ფუძის გამოყოფა შეუძლებელი ხდება.

---

[1] ჰ. ტუკის: „Epea pteroenta“, II, 429 (1786); მოგვყავს ოტო იესპერსენის მიხედვით.

აფიქსი ყოველ სიტყვაში არ გამოიყოფა. მხედველობაში გვაქვს არა ისეთი შემთხვევები, როგორიცაა „ქვა, ხე, სოკო, რუ“, სადაც აფიქსები არ მოიპოვება და ფუძე და სიტყვა ერთმანეთს უდრის. ჯერ ერთი, აქ აფიქსი ფონეტიკური მიზეზის წყალობითაა დაკარგული: აქ ყველგან იყო ი(—ე), სახელობითის დაბოლოება (ქვაე, ხეე, სოკოე, რუე...), ასე, რომ აფიქსის უქონლობა სიტყვის კონსტიტუტიურ ნიშანს არ წარმოადგენს, შემთხვევითი მოვლენაა; იმავე რიგის სიტყვები, როცა მათი ფუძე თანხმოვანზე ბოლოვდება, -ი სუფიქსს დაირთავენ (სახლ-ი, კედელ-ი, მინდორ-ი, ყვავილ-ი). მეორეცაადა, თვით ამ „უაფიქსო“ სიტყვებს სხვა შემთხვევაში კანონზომიერად ერთვის აფიქსები (ქვას, ქვამ, ქვისა, ქვითა... ხესა, ხემ, ხისა, ხითა... სოკოსა, სოკომ, სოკოსი, სოკოთი... რუსა, რუმ, რუსი, რუთი...).

ამგვარად: უაფიქსო არ ეწოდება ისეთ სიტყვებს, რომელთაც ამა თუ იმ შემთხვევაში ფონეტიკური მიზეზის გამო აფიქსი არ გააჩნიათ და ფუძე და სიტყვა ერთმანეთს უდრის. **უაფიქსო ეწოდება ისეთ სიტყვას, რომელსაც არ შეიძლება დაერთოს აფიქსები მნიშვნელობის შეუცვლელად** ანუ, სხვანაირად რომ ვთქვათ, **არ შეიძლება დაერთოს დამოკიდებულების აღმნიშვნელი აფიქსები.** ასეთია სიტყვები: ახლა, გუშინ, ადრე, გვიან, მაშინ, აქ, იქ, წალმა, უკუღმა, გარეთ, შიგნით, ზევით, ქვევით, მერმე და სხვ. ამგვარი სიტყვები აფიქსებს არ დაირთავენ. მაგრამ ხომ იხმარება: ახლანდელი, გუშინდელი, ადრინდელი, მაშინდელი, აქაური, იქაური და სხვა? რა თქმა უნდა, იხმარება, მაგრამ „ახლა“ სხვაა და „ახლანდელი“ სხვა, „გუშინ“ აღნიშნავს დროს (როდის?) და „გუშინდელი“ თვისებას (როდინდელი? გუშინდელი)... „აქ“ მიუთითებს ადგილზე (სად? აქ), „აქაური“ კი სადაურობის მაჩვენებელია (სადაური?—აქაური)... აფიქსის დართვის შემდეგ სულ **სხვა სიტყვას ვიღებთ,** სიტყვის ახალი ფუძე იწარმოება და საერთო წესების თანახმად მას ახალი მნიშვნელობა უჩნდება. ეს სიტყვები დაირთავენ მნიშვნელობის მცვლელ აფიქსებს, მაგრამ ვერ დაირთავენ დამოკიდებულების აღმნიშვნელ აფიქსებს[1]: გუშინმა, ახლას, აქის... შეუძლებელია. მოკლედ რომ

---

[1] ზევ-ით, ქვევ-ით, აქ-ით, იქ-ით მოქმედებითი ბრუნვის] გაფორმებით გვევლინება. მაგრამ ეს იმდენად იმას არ მოასწავებს, რომ უაფიქსო სიტყვებს შეუძლიათ დამოკიდებულების აღმნიშვნელი აფიქსების დართვა, არამედ უფრო იმას მოწმობენ, რომ -ით აფიქსი წარმოშობით უფრო სიტყვაწარმოებითი აფიქსია, ვინემ დამოკიდებულების აღმნიშვნელი.

დავასკვნათ: ამგვარი სიტყვა ან მნიშვნელობას შეინარჩუნებს, და მაშინ აფიქსს ვერ დაირთავს და თუ აფიქსი დაირთო, მნიშვნელობას ვერ შეინარჩუნებს, სხვა მნიშვნელობის მქონე სიტყვად იქცევა. საკუთარი მნიშვნელობის დაცვა და აფიქსის დართვა მათთვის შეუძლებელია.

როგორია უაფიქსო სიტყვების შემადგენლობა? აფიქსები მათ არა აქვთ; მაშასადამე, მთელი სიტყვა **უდრის** აფიქსიანი სიტყვის ფუძეს: **გუშინ—კაც...** უდრის ფუძეს, მაგრამ, რასაკვირველია, არ არის ფუძე. არ არის იმიტომ, რომ ფუძე (კაც-) სიტყვის ნაწილია, მთავარი ნაწილი, მაგრამ მაინც ნაწილი, უაფიქსო სიტყვა (გუშინ) სრული სიტყვაა და არა სიტყვის ნაწილი. „კაც" დაუმთავრებელი ნაწყვეტია, „გუშინ"—დამთავრებული სიტყვაა.

„გუშინ" უდრის აფიქსიანი სიტყვის ფუძეს, მაგრამ ფუძედ ვერ მიიჩნევა შემდეგი მოსაზრების გამოც: „ფუძე" გულისხმობს „აფიქსს", „ფუძე"-ცნება კორელაციაში იმყოფება „აფიქს"-ცნებასთან. იქ სადაც „აფიქსი" არ შეიძლება იყოს, უადგილო იქნება „ფუძის" შესახებ ლაპარაკი.

აფიქსების შემწეობით იცვლის სიტყვა სახეს; უაფიქსო სიტყვა სახეს ვერ იცვლის, ერთი და იმავე სახით გვხვდება: **გუშინ** ერთი **კაცი** მოვიდა... **გუშინ** ერთმა **კაცმა** თქვა... **გუშინ** ერთ **კაცს** უთქვამს... **გუშინ** ერთი **კაცის** შესახებ მითხრეს: „კაცი, კაცმა, კაცს, კაცის"... ცვალებადი, ფორმიანი სიტყვაა, „გუშინ"—უცვლელი, უფორმო სიტყვაა. **უაფიქსო სიტყვები უცვლელ ანუ უფორმო სიტყვებს წარმოადგენენ.**

„უცვლელი" არ ნიშნავს, რომ ასეთი სიტყვა დასაბამიდან უკუნისამდის ერთი და იმავე სახით იარსებებს; ასეთი სიტყვა (და არც სხვა რამ) არ არსებობს; უცვლელი სიტყვის ბგერითმა სახემ შეიძლება განიცადოს ცვლილებები: გამოაკლდეს ბგერა, ჩაერთოს, ერთი ბგერა შეიცვალოს მეორით: შდრ. ახლა—ეხლა; ზეით, ქვეით—ზევით, ქვევით... და სხვა. უცვლელი ანუ უფორმო სიტყვა არ იცვლება კონტექსტის მიხედვით, ამა თუ იმ სახით იხმარება გარკვეულ პერიოდში ყოველგვარ კონტექსტში.

აფიქსებიანი სიტყვები ცვალებადი ანუ ფორმიანი სიტყვებია. სხვადასხვა კონტექსტში, სხვადასხვაგვარი დამოკიდებულების გამოსახატავად ისინი იცვლიან აფიქსებს, იღებენ სხვადასხვა ფორმას.

§ 37. **აფიქსები და ნაწილაკები.** ენაში სიტყვების გარდა ნაწილაკებიც მოიპოება: „დავითი ასე ამბობს, სიმონი კი—ისე"...

დავითიც იმას ამბობს, რასაც სიმონი... დავითილა ამბობს ამას... დავითმა წაიღო, დავითივე მოიტანს... დავითმა რამდენიმე საკითხი დასვა... აგრე ტკბილად, უდარდელად რამ დაგაძინაო?

-ქი, -ც(ა), -ღა, -მე,- რე... **ნაწილაკებია.** ნაწილაკები აფიქსებს უფრო ემსგავსებიან, ვინემ სიტყვებს. საჭიროა მათი ურთიერთობის გარკვევა.

ნაწილაკები ისევე, როგორც აფიქსები დამოუკიდებლივ, თავის თავად არაფერს აღნიშნავენ. ნაწილაკებიც ისევე, როგორც აფიქსები სიტყვასთან და სიტყვაში ასრულებენ გარკვეულ დანიშნულებას. ეს ორი რამ საერთო აქვს აფიქსებს და ნაწილაკებს. განსხვავდებიან კი ისინი შემდეგი ნიშნების მიხედვით:

1. აფიქსები სიტყვის ნაწილს წარმოადგენენ, აფიქსები **სიტყვაში შედიან,** ნაწილაკები დამთავრებულ **სიტყვას დაერთვიან,** სიტყვის „გარეთ" მდებარეობენ.

2. აფიქსები მხოლოდ ცვალებად სიტყვებს გააჩნია, ნაწილაკები შეიძლება დაერთოს ცვალებად სიტყვებსაც და უცვლელთაც: მოვიდა—დავითიც... დავითილა... დავითივე... დავბრუნდი—გუშინაც... გუშინლა... გუშინვე...

ნაწილაკთაგან უნდა განვასხვავოთ თანდებულები. ნაწილაკთაგან განსხვავებით თანდებულები დაერთვის გარკვეულს ბრუნვას, ჩვეულებრივად—ერთს, ზოგჯერ—ორს; ნაწილაკები კი განურჩევლად შეიძლება დაერთოს ყოველ ბრუნვას: დავითისგან წერილი მივიღე... ეს დავითზე აბის დამოკიდებული... დავითში არ მოვტყუებულვარ... დავითთან დიდი ხანია არ ვყოფილვარ... **-ზე,-ში,-თან** თანდებულები ყოველთვის მიცემითს ბრუნვას დაერთვიან. **-გან** თანდებული ნათესაობითს ანდა მოქმედებითს ბრუნვას მოითხოვს (სოფლიდან—სოფლითგან—წერილი მომივიდა)... სხვა ბრუნვებთან ამ თანდებულებს ვერ ვიხმართ. ნაწილაკებისთვის ბრუნვას მნიშვნელობა არა აქვს: დავითსაც, დავითითაც, დავითისაც, დავითადაც...

თანდებულს ვერ იგუებს მოთხრობითი (და სახელობითი)[1] ბრუნვა, ნაწილაკები კი მათაც დაერთვის: დავითმაც თქვა... დავითიც ამბობს...

ნაწილაკი შეიძლება დაერთოს, როგორც უთანდებულო, ისე თანდებულიან ბრუნვას: დავითისა-ც მოეიტანე— დავითის-**თვისაც**

---

[1] ევროპულ ენებში სახელობითი ბრუნვაა შეუვალი თანდებულისათვის. არას ვამბობ წოდებითის შესახებ: მას არც ნაწილაკები დაერთვის, არც თანდებული,—არც ქართულში, არც სხვა ენაში. ზუსტად რომ ვთქვათ, ის არც არის ბრუნვა.

მოვიტანე... ეს დავითზე არის დამოკიდებული—ეს დავითზედაც არის დამოკიდებული...

§ 38. რას შეუძლია გასწიოს აფიძსის მაგივრობა? აფიქსის მაგივრობას ეწევა: ფუძის ფლექსია, განმეორება, ადგილმდებარეობა სიტყვისა, მახვილისა და ინტონაციის ცვლა.

ა. ფუძის ფლექსია ეწოდება ფუძისეული ხმოვნის ცვლას, რაც გარკვეული აფიქსის როლს ასრულებს; მაგ. გერმ. der Bruder (ძმა)—მრავალ. die Brüder; მხოლობითში იყო ბრუდერ, მრავლობითშია—ბრჳდერ; უ-ს ადგილი დაიჭირა ჳუ-მ, დარბილებულმა უ-მ; უ-ს ამგვარი ცვლილება იმას იძლევა, რასაც ქართულში **-ებ-** სუფიქსის დართვით ვღებულობთ: ძმა—ძმ-**ებ**-ი: იგი მხოლობითს აქცევს მრავლობითად. ასევე: der Garten ბაღი—Gärten ბაღები; გარტენ—გჳრტენ: განსხვავება მხოლოდ ერთს ფუძისეულს ხმოვანშია: პირველს შემთხვევაში არის ა, მეორეში—ჳ (დარბილებული ა) და ამ ერთი ხმოვნის ცვლა, ისიც ნაწილობრივი, ალნიშნავს მრავლობითობას. მსგავსი მაგალითები შეიძლება სხვა ენებშიც ვიპოვოთ; შდრ. მაგალ., ინგლის. goose ბატი—geese ბატები (გუზ—გიზ), tooth კბილი—teeth კბილები: ტუზ—ტიზ... foot ფეხი—feet ფეხები: ფუტ—ფიტ...

დაწერილში განსხვავება მეტი ჩანს, მაგრამ გამოთქმაში სხვაობა მხოლოდ ერთს ბგერას ეხება, ფუძისეულს.

ფლექსია ლათინური სიტყვაა (flexio) და „გალუნვას“ ნიშნავს; ფლექსია ჩვეულებრივ ეწოდება დამოკიდებულების აღმნიშვნელ აფიქსებს: ბრუნვისა და პირის ნიშნებს. ამისგან განსხვავებით აქ ლაპარაკია „**ფუძის ფლექსიაზე**“, „ფუძის გალუნვაზე“, ფუძეში ხმოვნის ცვლაზე.

ფუძის ფლექსია განსაკუთრებით ფართოდაა გავრცელებული არაბულსა და მის მონათესავე ენებში; არაბულში სუფიქსებიც მოიპოება და პრეფიქსებიც, მაგრამ სიტყვის ცვლის მეტად მნიშვნელოვან საშუალებას წარმოადგენს ფუძის ფლექსია. **ჭათაბა**—დაწერა; **ჲაჭთუბუ**—წერს; **ჭუთიბა**—დაიწერა (ვნებ.); **ჭათიბუ(ნ)**—მწერალი; **მაჭთუბუ(ნ)**—სასწავლებელი, „მექთები“...

ამასთან დაკავშირებით ერთი გარემოებაც უნდა აღინიშნოს: ფუძის ფლექსია ფუძისეული ხმოვნის ცვლას მოასწავებს; სხვადასხვა გრამატიკული ფორმის წარმოებისას ფუძისეული ხმოვანი შეუძლებელია ფუძეს შერჩეს უცვლელად; როგორღა უნდა დაიშალოს არაბული სიტყვა? როგორ უნდა გამოიყოს ფუძე? ცხადია, ხმოვანი ფუ-

ძის კუთვნილებად ვერ მიიჩნევა. **არაბული მარტივი ფუძე** (ძირი) **მხოლოდ თანხმოვნებისაგან შემდგარად წარმოიდგინება, ხმოვნები აფიქსების როლში გამოდიან.**

ბ. განმეორება ძალიან ხშირად გამოყენებულია მნიშვნელობის გასაძლიერებლად; თვისების აღმნიშვნელ სიტყვათა განმეორება აღმატებითი ხარისხის მაგივრობას ეწევა: სომხ. „ჩარ" „ბოროტი": „ჩარიჩარ" „ბოროტ-ბოროტი" ე. ი. უბოროტესი; „მეწ" დიდი,—მეწამეწ „დიდ-დიდი", ე. ი. ძალიან დიდი, უდიდესი.

გ. ადგილმდებარეობის მნიშვნელობა განსაკუთრებულია იქ, სადაც სიტყვათა ურთიერთობის გამოსახატავად ენას აფიქსები არ გააჩნია. Paul aime Jean ფრანგულად ნიშნავს: პავლეს უყვარს ივანე; Jean aime Paul კი იქნებოდა ივანეს უყვარს პავლე (ასევეა გერმანულში: Paul lobt Peter=პავლე აქებს პეტრეს, Peter lobt Paul=პეტრე აქებს პავლეს). ორივე ფრანგული სახელი უცვლელად დარჩება ორსავე შემთხვევაში: მხოლოდ ადგილმდებარეობა განსაზღვრავს, ვის უყვარს ვინ, პავლეს—ივანე თუ, პირუკუ, ივანეს—პავლე. მოყვანილი მაგალითებიდან ჩანს, რომ ის, ვისაც უყვარს, (საერთოდ, მოქმედი, სუბიექტი) პირველად დაისმის, ვინც უყვართ—(მოქმედების საგანი, ობიექტი) შემდგომს ადგილასაა.

ჩვენ შეგვიძლია ადგილი ვუცვალოთ სუბიექტსაც, ობიექტსაც: პავლეს უყვარს პეტრე—პეტრე უყვარს პავლეს ერთი და იმავე მნიშვნელობისა იქნება, სახელთა დაბოლოება გვაჩვენებს, რომელია სუბიექტი და რომელი ობიექტი. ამ დაბოლოებათა მაგივრობას ზემოხსენებულს ფრანგულსა და გერმანულს გამოთქმებში სახელთა ადგილმდებარეობა ასრულებს.

დ. მახვილის როლის საილუსტრაციოდ საკმარისია მოვიგონოთ ისეთი მაგალითები, როგორიცაა რუს. бéрега (ნაპირისა—ნათესაობ. ბრ. მხოლ. რიცხ.) და берегá (ნაპირები—სახელობითი და ბრალდებითი ბრუნვა მრავლობითისა); აგრეთვე: стены—კედლისა, стéны—კედლები განსხვავებას ქმნის მახვილი; პირველს შემთხვევაში ის მესამე მარცვალზეა ბოლოდან, მეორე შემთხვევაში—პირველ მარცვალზე ბოლოდან.

ე. ინტონაციის ანუ ხმის აწევის მნიშვნელობას შემდეგი ქართული მაგალითი გაგვათვალისწინებინებს. თუ წინადადებაში კითხვითი სიტყვა არ მოიპოება (სად? როგორ? როდის? რომელი?...) სხვაებს: შარშან დაამთავრა—შარშან დაამთავრა? პირველი ფაქტს აღნიშნავს, მეორე—კითხვას. უკანასკნელს წერის დროს კითხვითს

ნიშანს ეუსვამთ, გამოთქმაში კი კითხვითი ნიშნის მაგივრობას ასრულებს ხმის აწევა უკანასკნელს მარცვალზე[1]: შარშან დაამთავრა? ძველს ქართულში კითხვის გამოსახატავი საგანგებო სუფიქსი ა მოიპოებოდა: პეტრე ხარა? ჩვენი მაგალითი ძველს ქართულში ასეთს სახეს მიიღებდა: შარშან დაამთავრაა?

მეგრულში ეს კითხვითი სუფიქსი ო-ს სახით ახლაც ხმარებაშია: გოწოს გაათუო? პეტრე რექო? დოჭარუო? ჭანურში იმავე დანიშნულებას -ი სუფიქსი ასრულებს: ჭან.: პეტრე რეი? სვანურში კიდევ— -ა: სვან.: პეტრე ხია? (პეტრე ხარ?)

ამგვარად, ახლანდელი კითხვითი ინტონაცია იმავე მიზანს ემსახურება, რისთვისაც წინათ -ა სუფიქსი იხმარებოდა: **ინტონაცია ეწევა აფიქსის მაგივრობას.**

ინტონაცია, მახვილი, ადგილმდებარეობა, განმეორება და ფუძის ფლექსია იმ ენებში, საიდანაც ჩვენ მაგალითები მოგვყავდა (ქართული, რუსული, სომხური, ფრანგული, ინგლისური, გერმანული) დამხმარე საშუალებას წარმოადგენს. ძირითადად ამ ენათა უმეტესობაში აფიქსებია გამოყენებული, მაგრამ აფიქსის ნაცვლად სხვა საშუალების გამოყენება, როგორც ამას ქვემოთ დავინახავთ, პრინციპულად მეტად მნიშვნელოვანია.

---

[1] მთიულეთში, რაჭაში და ალაგ-ალაგ აღმოსაელეთ-საქართველოს ბარის კილოებშიაც ხმის აწევა კითხვითს წინადადებაში მოდის ბოლოდან მეორე მარცვალზე: შარშან დაამთავრა?

IV. ენათა მორფოლოგიური კლასიფიკაცია.

§ 39. ენათა მორფოლოგიური ტიპები. აფიქსების მხრივ ენებში ერთნაირი მდგომარეობა არ არის: არის ენები, რომელთაც აფიქსები სულ არ გააჩნიათ, სიტყვები არ იშლება, უფორმოა; არის ენები, რომელთაც აფიქსები მოეპოებათ. აფიქსთა საკითხის თვალსაზრისით ენათა კლასიფიკაცია იწოდება მორფოლოგიურ კლასიფიკაციად.

მორფოლოგიური კლასიფიკაციის ყველაზე გავრცელებული ვარიანტი გამოყოფს ენათა ოთხ ტიპს; ესენია: **ძირეული, აგლუტინაციური, პოლისინთეზური** და **ფლექსიური** ენები.

ძირეულ ენებში სიტყვას აფიქსი არ გააჩნია; სიტყვა სხვადასხვა კონტექსტში არც პრეფიქსს დაირთავს, არც სუფიქსს, არც ინფიქსს ჩაირთავს; ყველა სიტყვა დაახლოებით ისეთივე აგებულებისაა, როგორც ჩვენებური „გუშინ, ახლა, წინ, უკან“... ამგვარად, სიტყვა ასეთ ენებში ჩვენებურ მარტივ ფუძეს (ძირს) უდრის, მაგრამ, რა თქმა უნდა, სიზუსტეს თუ დავიცავთ, ძირი მას არ დაერქმის: ძირი, როგორც ვიცით, კორელაციური ცნებაა აფიქსისა (იხ. ზემოთ § 36). სიტყვათა ურთიერთობას ასეთ ენაში გამოხატავს ადგილმდებარეობა სიტყვისა და ინტონაცია. სხვადასხვა ადგილას მოთავსებულ, სხვადასხვა ინტონაციით წარმოთქმულს ერთი და იმავე ბგერითი შედგენილობის სიტყვას სხვადასხვა მნიშვნელობა აქვს. ძირეული ტიპის ნიმუშს წარმოადგენს ჩინური ენა. ამაეე ტიპისაა ბირმანული და ტიბეტური ენები. ძირეული ენის ნიმუშად შეიძლება დავასახელოთ რამდენიმე შესიტყვება ჩინურ ენაზე: **ჰაო** ქენ (**კარგი** კაცი), სჲუ **ჰაო** („ქმნა კარგისა“, **მოწყალების** გაღება), ცზიო **ჰაო** (ძველი **მეგობრობა**), **ჰაო** დაგუიჰ (**ძალიან** ძვირი), ქენ' **ჰაო** ვო („კაც- კარ'გ- მე“ ე. ი. კაცს **ვუყვარვარ** მე)... ერთი და იგივე „ძირი“ **ჰაო** სხვადასხვა შესიტყვებებში ნიშნავს: კარგს, მოწყალებას, მეგობრობას, „ძალიან“-ს, და „ვუყვარვარ“-ს ე. ი. ზედსართავი სახელის, არსებითი სახელის, ზმნისართისა და ზმნის როლს ბგერათა ერთი და იგივე კომპლექსი („ჰაო“) ასრულებს.

აგლუტინაციურსა და ფლექსიურ ენებში სიტყვა იცვლება კონტექსტში, აფიქსებისა და ძირეული ნაწილების გამოყოფა შეიძლება.

განსხვავება ამ ენათა შორის მხოლოდ იმაში მდგომარეობს, თუ როგორია კავშირი აფიქსსა და ძირეულ ნაწილს შორის.

აგლუტინაციურ ენებში აფიქსი მექანიკურად ეკვრის ძირს (აგლუტინაცია-ტერმინი სწორედ ამაზე მიუთითებს: ლათინ. glutinare „შეწებება"); აფიქსთა ფუნქცია ნათელი და ხელშესახებია; აგლუტინაციურ ენათა ნიმუშად ჩვეულებრივად თურქულს ასახელებენ. შეიძლება ჩვენთვის უფრო ხელმისაწვდომ ქართულზე მიეუთითოთ: ქართული და სხვა ქართველური ენები ამ ტიპს განეკუთვნებიან.

ფლექსიურს ენებში აფიქსისა და ძირის კავშირი უფრო მჭიდროა იქ, სადაც აფიქსები დაერთვის ძირს; შეიძლება აფიქსის მაგივრობა გასწიოს ფუძის ფლექსიამ, ფუძისეული ხმოვნის ცვლამ; ამ შემთხვევაში აფიქსი და ძირი, ფორმალური და ნივთობრივი ელემენტები ერთმანეთთან შედუღებული ჩანს.

ფლექსიური ენისათვის ნიშანდობლივად სწორედ ეს უკანასკნელი მოვლენა ითვლება. ფლექსიური ენის ნიმუშად არაბული გამოდგებოდა (მაგალითები იხ. § 38). ფლექსიურ ენებად მიაჩნიათ: ძველი-ინდური, ბერძნული, ლათინური, თანამედროვე ლიტაური, რუსული, აგრეთვე გერმანული, ინგლისური..., თუმცა ამ ენებში ფუძის ფლექსია ძირითად მოვლენად არ მიიჩნევა და აფიქსები ჩვეულებრივი წესით დაერთვის ძირს (ფუძის ფლექსიის ნიმუშები იხ. § 38).

თქმულიდან გამომდინარეობს, რომ ფლექსიურსა და აგლუტინაციურ ენას შორის არ არსებობს პრინციპული სხვაობა, რამდენადაც აფიქსები ორსავე შემთხვევაში გააჩნია სიტყვას. ამ ენებში სიტყვათა დასახასიათებლად შეიძლება შევადაროთ სიტყვათა აგებულება აგლუტინაციურ ქართულში და ფლექსიურ რუსულში.

წიგნებს—книгам მიცემითი ბრ. მრავლობითი რიცხვისა:

წიგნებს=წიგნ (ფუძე)+ებ (მრავლობითობის საწარმოებელი სუფიქსი)
+ს(მიცემითი ბრუნვის ნიშანი, როგორც მხოლობითში, ისე მრავლობითში).

книгам=книг (ფუძე)+ам (ერთსა და იმავე დროს მრავლობითობის ნიშანიცა და მიცემითის დაბოლოებაც; ეს დაბოლოება მხოლობითის მიცემითს არ გამოადგება: იქ სხვა სუფიქსი იხმარება,—-е: книг-е).

ქართულში ფუძეს ცალკე სუფიქსი ერთვის მრავლობითობის აღსანიშნავად და ცალკე სუფიქსი—ბრუნვისათვის, რუსულში ბრუნვისა და რიცხვის მაჩვენებელი ერთი ფორმანტით გადმოიცემა. ასევე

ქართულს ზმნაში: ვ-აკეთებ-დ-ი-თ აწმყოს ფუძეს ემატება: სუბიექტის პირის ნიშანი ვ-, ნამყო უსრულის მაწარმოებელი -დ-, და მრავლობითის ნიშანი —თ (-ი- შემაერთებელი ბგერაა და მორფოლოგიურ ფუნქციას მოკლებულია); ლათინ. facie-ba-mus (ვაკეთებდით) დროის მაწარმოებელს დაირთავს, მაგრამ პირისა და რიცხვის ნიშანი „შედუღებულია“ ერთ სუფიქს'ში -mus.

პოლისინთეზური ენებისათვის ნიშანდობლივად ითვლება ზმნაში შემოტანა ობიექტისა და სხვა ახსნითი სიტყვებისა (შემოკლებული სახით), ასე, რომ სიტყვა რთულ შენაზავს წარმოადგენს და მთელს შესიტყვებას უდრის („პოლისინთეზური“ ბერძნ. „მრავალ-შენაზავს“, „მრავალ-შეთხზულს“ ნიშნავს). პოლისინთეზური ენების ტიპურ წარმომადგენლად ცენტრალური და ჩრდილო ამერიკის ენები ითვლება.

პოლისინთეზური ენის სიტყვა=შესიტყვების ნიმუში:

ტ²უკლიგილოდეპდალეტ—„ის იწყებს სადმე შიგნით მის დალაგებას“ (ტიუკ—დაწყება, ლიგი—სადმე, ლობდეპ—შიგნით, დალ—დალაგება, ტ—ეს); კავკასიურ ენათაგან პოლისინთეზურობის ნიმუშებს იძლევა აბხაზური და უბიხური (მაგალითები, სამწუხაროდ, ვერ მოგვყავს სატრანსკრიფციო ნიშნების უქონლობის გამო).

§ 40. მორფოლოგიური კლასიფიკაციის ისტორიიდან.

პირველი ფრიდრიხ შლეგელი იყო, რომელმაც ყველა ენა ორ ჯგუფად დაყო: მისი აზრით ერთს ახასიათებს ფუძის ფლექსია, მეორე—აფიქსებს ურთავს ძირს. პირველში ძირი ორგანულად იზრდება, მეორეში —იგი სუფიქს-პრეფიქსებთანაა შეკოწიწებული. პირველის საუკეთესო ნიმუშად ფრ. შლეგელი ძველ-ინდურ ენას თვლიდა; ამავე წყებას ის აკუთვნებდა ძველი-ინდურის მონათესავე ენებს, ოღონდ ფიქრობდა, რომ გერმანულმა და რომანულმა ენებმა დაშლისა და გადაგვარების პროცესში დაკარგეს ფლექსიურობა.

აღსანიშნავია, რომ. ფრ. შლეგელს ფლექსიური ენა უმაღლესი ტიპისად მიაჩნდა. არანაკლებ საყურადღებოა, რომ ფრ. შლეგელი არაბულ ენას აფიქსებიან ენად თვლიდა და არა—ფლექსიურ ენად, თუმცა აღიარებდა, რომ არაბულში ბევრი რამ ნამდვილ ფლექსიას მოგვაგონებსო; იმავე აფიქსებიან ენათა წყებაში მოქცეული იყო ჩინური, როგორც აფიქსებიან ენათა დაბალი საფეხური.

ფრ. შლეგელის ეს შეხედულება წარმოდგენილია მის წიგნში „ენისა და სიბრძნისათვის ინდოელთა“ (1808).

ფრ. შლეგელის ძმამ ავგუსტ შლეგელმა 1818 წ. გამოცემულს

განსხვავება ამ ენათა შორის მხოლოდ იმაში მდგომარეობს, თუ როგორია კავშირი აფიქსსა და ძირეულ ნაწილს შორის.

აგლუტინაციურ ენებში აფიქსი მექანიკურად ეკვრის ძირს (აგლუტინაცია-ტერმინი სწორედ ამაზე მიუთითებს: ლათინ. gluttinare „შეწებება"); აფიქსთა ფუნქცია ნათელი და ხელშესახებია; აგლუტინაციურ ენათა ნიმუშად ჩვეულებრივად თურქულს ასახელებენ. შეიძლება ჩვენთვის უფრო ხელმისაწვდომ ქართულზე მიუთითოთ; ქართული და სხვა ქართველური ენები ამ ტიპს განეკუთვნებიან.

ფლექსიურს ენებში აფიქსისა და ძირის კავშირი უფრო მჭიდროა იქ, სადაც აფიქსები დაერთვის ძირს, შეიძლება აფიქსის მაგვარობა გასწიოს ფუძის ფლექსიამ, ფუძისეული ხმოვნის ცვლამ; ამ შემთხვევაში აფიქსი და ძირი, ფორმალური და ნივთობრივი ელემენტები ერთმანეთთან შედუღებული ჩანს.

ფლექსიური ენისათვის ნიშანდობლივად სწორედ ეს უკანასკნელი მოვლენა ითვლება. ფლექსიური ენის ნიმუშად ახალი გამოდგებოდა (მაგალითები იხ. § 38). ფლექსიურ ენებად მიიჩნიათ: ძველი-ინდური, ბერძნული, ლათინური, თანამედროვე ლიტაური, რუსული, აგრეთვე გერმანული, ინგლისური..., თუმცა ამ ენებში ფუძის ფლექსია ძირითად მოვლენად არ მიიჩნევა და აფიქსები ჩვეულებრივი წესით დაერთვის ძირს (ფუძის ფლექსიის ნიმუშები იხ. § 38).

თქმულიდან გამომდინარეობს, რომ ფლექსიურსა და აგლუტინაციურ ენას შორის არ არსებობს პრინციპული სხვაობა, რამდენადაც აფიქსები ორსავე შემთხვევაში გააჩნია სიტყვას. ამ ენებში სიტყვათა დასახასიათებლად შეიძლება შევადაროთ სიტყვათა აგებულება აგლუტინაციურ ქართულში და ფლექსიურ რუსულში.

წიგნებს—книгам მიცემითი ბრ. მრავლობითი რიცხვისა:

წიგნებს=წიგნ (ფუძე)+ებ (მრავლობითობის საწარმოებელი სუფიქსი)
+ს(მიცემითი ბრუნვის ნიშანი, როგორც მხოლობითში, ისე მრავლობითში).

книгам=книг (ფუძე)+ам (ერთსა და იმავე დროს მრავლობითობის ნიშანიცა და მიცემითის დაბოლოებაც: ეს დაბოლოება მხოლობითის მიცემითს არ გამოადგება: იქ სხვა სუფიქსი იხმარება,—е: книг-е).

ქართულში ფუძეს ცალკე სუფიქსი ერთვის მრავლობითობის აღსანიშნავად და ცალკე სუფიქსი—ბრუნვისათვის, რუსულში ბრუნვისა და რიცხვის მაჩვენებელი ერთი ფორმანტით გადმოიცემა. ასევე

ქართულს ზმნაში: ვ-აქეთებ-დ-ი-თ აწმყოს ფუძეს ემატება: სუბიექტის პირის ნიშანი ვ-, ნამყო უსრულის მაწარმოებელი -დ-, და მრავლობითის ნიშანი — თ (-ი- შეშაერთებელი ბგერაა და მორფოლოგიურ ფუნქციას მოკლებულია); ლათინ. facie-ba-mus (ვაქეთებდით) დროის მაწარმოებელს დაირთავს, მაგრამ პირისა და რიცხვის ნიშანი „შედუღებულია" ერთ სუფიქსში -mus.

პოლისინთეზური ენებისათვის ნიშანდობლივად ითვლება ზმნაში შემოტანა ობიექტისა და სხვა ახსნითი სიტყვებისა (შემოკლებული სახით), ასე, რომ სიტყვა რთულ შენაზავს წარმოადგენს და მთელს შესიტყვებას უდრის („პოლისინთეზური" ბერძნ. „მრავალ-შენაზავს", „მრავალ-შეთხზულს" ნიშნავს). პოლისინთეზური ენების ტიპურ წარმომადგენლად ცენტრალური და ჩრდილო ამერიკის ენები ითვლება.

პოლისინთეზური ენის სიტყვა=შესიტყვების ნიმუში:

ტ²უკლიგილოდებდალეტ—„ის იწყებს სადმე შიგნით მის დალაგებას" (ტიუკ—დაწყება, ლიგი—სადმე, ლობდებ—შიგნით, დალ—დალაგება, ტ—ეს); კავკასიურ ენათაგან პოლისინთეზურობის ნიმუშებს იძლევა აბხაზური და უბიხური (მაგალითები, სამწუხაროდ, ვერ მოგვყავს სატრანსკრიფციო ნიშნების უქონლობის გამო).

§ 40. მორფოლოგიური კლასიფიკაციის ისტორიიდან.

პირველი ფრიდრიხ შლეგელი იყო, რომელმაც ყველა ენა ორ ჯგუფად დაყო: მისი აზრით ერთს ახასიათებს ფუძის ფლექსია, მეორე—აფიქსებს ურთავს ძირს. პირველში ძირი ორგანულად იზრდება, მეორეში —იგი სუფიქს-პრეფიქსებთანაა შეკოწიწებული. პირველის საუკეთესო ნიმუშად ფრ. შლეგელი ძველ-ინდურ ენას თვლიდა; ამავე წყებას ის აკუთვნებდა ძველი-ინდურის მონათესავე ენებს, ოღონდ ფიქრობდა, რომ გერმანულმა და რომანულმა ენებმა დაშლისა და გადაგვარების პროცესში დაკარგეს ფლექსიურობა.

აღსანიშნავია, რომ. ფრ. შლეგელს ფლექსიური ენა უმაღლესი ტიპისებისად მიაჩნდა. არანაკლებ საყურადღებოა, რომ ფრ. შლეგელი არაბულ ენას აფიქსებიან ენად თვლიდა და არა—ფლექსიურ ენად, თუმცა აღიარებდა, რომ არაბულში ბევრი რამ ნამდვილ ფლექსიას მოგვაგონებსო; იმავე აფიქსებიან ენათა წყებაში მოქცეული იყო ჩინური, როგორც აფიქსებიან ენათა დაბალი საფეხური.

ფრ. შლეგელის ეს შეხედულება წარმოდგენილია მის წიგნში „ენისა და სიბრძნისათვის ინდოელთა" (1808).

ფრ. შლეგელის ძმამ ავგუსტ შლეგელმა 1818 წ. გამოცემულს

წიგნში „დაკვირვებანი პროვანსის ენასა და ლიტერატურაზე" წამოაყენა სამწევროვანი კლასიფიკაცია: ენები, რომელთაც აფიქსები არ გააჩნიათ (ავგ. შლეგელი მათ უძახის „გრამატიკულ აგებულებას მოკლებულ" ენებს, რაც, რა თქმა უნდა, შეცთომაა); 2. ენები, რომელთაც აფიქსები გააჩნიათ და 3. ფლექსიური ენები. ავგ. შლეგელიც ყველაზე მაღლა აყენებს ფლექსიურ ენებს.

ავგ. შლეგელი ფლექსიურ ენებს ორ ჯგუფად ყოფს: სინთეზურ და ანალიზურ ენებად; ანალიზური ენებისათვის დამახასიათებელია: ზმნის უღლილების დროს პიროვნული ნაცვალსახელების ხმარება, აგრეთვე მეშველი ზმნის გამოყენება (დროთა აღწერითი წარმოება); ბრუნვათა წარმოება წინდებულების საშუალებით ბრუნვის დაბოლოებათა უქონლობის გამო; ხარისხების საწარმოებლად ზმნისართების ხმარება.

ერთი სიტყვით, ანალიზური ენა ცალკე სიტყვებსა და ნაწილაკებს ხმარობს იქ, სადაც სინთეზურს ენაში აფიქსებია გამოყენებული. შდრ.:

ლათინ. (სინთეზური):	ფრანგ. (ანალიზური):
წიგნის: libri	du livre
წიგნს: libro	au livre
ვკარგავ: perdo	je perds (სამსავე პირში გა-
კარგავ: perdis	tu perds მოითქმის „პერ"
კარგავს: perdit	il perd
გრძელი: longus	long
უგრძესი: longior (მამრ. და დედრ.), longius (საშუალო)	plus long
„უუგრძესი" longissimus	le plus long.

მაშასადამე: გრძელი—„უგრძესი" სინთეზური წარმოებისაა, „უფრო გრძელი"—ანალიზურისა.

ავგუსტ შლაიხერის აზრით, ანალიზური ენები სანთეზურის დაშლით არის მიღებული.

ვილჰელმ ჰუმბოლდტის ნაშრომში „გრამატიკულ ფორმათა წარმოშობის... შესახებ" ლაპარაკია უკვეიქსო მდგომარეობაზე, აფიქსების აგლუტინაციაზე, ინკორპორაციასა და ფლექსიაზე, ე. ი. დასახელებულია მორფოლოგიური კლასიფიკაციის დამახასიათებელი ოთხივე ტიპი; ინკორპორაცია—ერთი სიტყვის მეორეში მოქცევა, „შთასხეულება",—პოლისინთეზური ენების დამახასიათებელ მოვლენას აღნიშნავს (იხ. ზემ.); „აგლუტინაცია" ტერმინი ვილ. ჰუმბოლდტის მიერ შემოღებულად ითვლება.

საგულისხმოა, რომ ვილ. ჰუმბოლდტი არაბულსა და საერთოდ სემიტურ ენებს ნამდვილ ფლექსიურ ენებად თვლის; კიდევ უფრო მნიშვნელოვანი ისაა, რომ ვილ. ჰუმბოლდტს საეჭვოდ მიაჩნია წმინდა აგლუტინაციური და წმინდა ფლექსიური ტიპის არსებობა: ეს ორი ტიპი ერთმანეთში ირევაო.

მეცხრამეტე საუკუნის პირველი ნახევრის ცნობილი ენათმეცნიერი ავგუსტ შლაიხერი ენათა მორფოლოგიურ ტიპებს თავისებურ ინტერპრეტაციებს უკეთებს.

მისი შეხედულებით, ენის რაობა იშლება „მნიშვნელობასა“ (შინაარსი, მატერია, ძირი) და „მიმართებაში“ (ფორმა, აფიქსი).

მარტოოდენ „მიმართება“ (ფორმა) შეუძლებელია არსებობდეს; მარტოოდენ „მნიშვნელობა“ (შინაარსი, ძირი) შეიძლება არსებობდეს. ფორმა მხოლოდ ზოგადად აღინიშნება — სიტყვათა ადგილმდებარეობით (ძირეული ენები).

შეიძლება სიტყვაში „მნიშვნელობაც“ მოცემული იყოს და „მიმართებაც“, ოღონდ კავშირი მათ შორის გარეგნული იყოს, ძირი ცვლილებას არ განიცდიდეს (აგლუტინაციური ენები).

დასასრულ: ამ მეორე შესაძლებლობის ახალი ვარიანტი: მოცემული იყოს „მნიშვნელობაც“ და „მიმართებაც“; ორივე შედუღებული იყოს სიტყვაში; ძირს შეუძლია შინაგანი ცვლილებები განიცადოს და აფიქსებიც დაირთოს (ფლექსიური ენები).

თუ ძირს აღვნიშნავდით R-თი (ლათ. radix ძირი), პრეფიქსს — p-თი, სუფიქსს — s-თი, ძირის ცვლას x-ით, სხვადასხვა ტიპის ენათა სიტყვები ასეთ ფორმულებში შეიძლებოდა გამოგვესახა:

ძირეული ენისა: R (წინადადება: R+R+R...)

აგლუტინაციური ენისა: ან pR, ან Rs, ანდა pRs...

ფლექსიური ენისა: $pR^{x}{}_{s}$ ან $R^{x}{}_{s}$ ანდა $pR^{x}{}_{s}$ ...

ეს სამი ტიპი ავგ. შლაიხერთან ლოგიკურის აუცილებლობით გამომდინარეობს „მნიშვნელობა“ და „მიმართება“ ცნებათა კომბინაციათაგან.

ჰეგელიანელი ავგ. შლაიხერი ამას არ ჯერდება: მისთვის ეს სამი ტიპი განვითარების სამ საფეხურს წარმოადგენს; ძირეული ტიპი განვითარების პირველი საფეხურია, ფლექსიური ტიპი — უკანასკნელი, „ყველაზე მაღალი“ საფეხური. ამ საფეხურს ენის განვითარება ვერ გაცდება: შემდეგ იწყება ენის ორგანიზმის დაშლა. ასე მოუვიდა ავგ. შლაიხერის აზრით ევროპულ ენებს. ინგლისური, ფრანგული ენა კარგავს ფლექსიებს, დაშლის გზაზეა დამდგარი, ლათინური, ძველი ინდური — ფლექსიური ენები იყო. საერთოდ, ენა ეი-

თარდება წინაისტორიულ ეპოქაში, ისტორიულ ხანაში მწერლობის შემოღების შემდეგ იწყება ენათა დაშლა. ასეთია ავგ. შლაიხერის აზრი.

ავგ. შლაიხერის შეხედულებაში საინტერესოა ენათა ტიპების გამოცხადება განვითარების სხვადასხვა საფეხურად. კიდევ უფრო საინტერესოა ამ ტიპების სოციოლოგიური ინტერპრეტაცია, რომელსაც მაქს მიულერი იძლევა (გასული საუკუნის მესამოცე წლებში). მაქს მიულერის აზრით ენათა სხვადასხვა ტიპი საზოგადოებრივი განვითარების სხვადასხვა საფეხურს ახასიათებს: ძირეული ტიპი დამახასიათებელია—„ოჯახური" საფეხურისათვის, აგლუტინაციური ტიპი—მომთაბარეობას შეეფერება, ხოლო ფლექსიურობა—„პოლიტიკურ" (სახელმწიფოებრივ) საფეხურს ასახავს.

ეს სოციოლოგიზმი პრიმიტიულია; თვით საკითხის დასმა, ენის მორფოლოგიური ტიპის საზოგადოების სტრუქტურასთან დაკავშირების ცდა, საინტერესოა.

§ 41. მორფოლოგიური კლასიფიკაციის ზოგადი შეფასება. მორფოლოგიური კლასიფიკაციის შესახებ უნდა დავასკვნათ:

1. ფლექსიური, აგლუტინაციური და პოლისინთეზური ტიპის გამიჯვნა შეუძლებელია: წმინდა სახით ეს ტიპები არა გეხვდება; აგლუტინაციურს ენაში ფლექსიურობის ელემენტებიც მოიპოვება და პირუკუ; თვით ძირეულ ენაშიაც დამხმარე სიტყვების არსებობაც არ არის გამორიცხული; უკანასკნელ ხანებში კალგრენმა დაადასტურა, რომ ძველ ჩინურში პიროვნული ნაცვალსახელები განასხვავებენ სუბიექტის ბრუნვას ობიექტის ბრუნვისაგან.

2. ფლექსიური ენების (ძველი-ინდურის, არაბულის...) გამოცხადება სრულყოფილ ენებად (ფრ. შლეგელი, ნაწილობრივ ავგ. შლაიხერი...) არამეცნიერულად უნდა მივიჩნიოთ. ყოველი ენა, როგორც გაგებინების საშუალება, „სრულყოფილია" სათანადო ენობრივი კოლექტივისათვის. ენა, როგორც აზროვნების იარაღი, როგორც გამომხატველობითი საშუალება, შესაძლებელია ერთნაირად მარჯვე არ იყოს: ზოგი კონკრეტულ აზროვნებას უფრო ეწყობა, ზოგიც—აბსტრაქტული აზროვნებისათვის მეტს გასაქანს იძლევა. რამდენადაც მეცნიერული აზროვნების ანდა მხატვრული შემოქმედების ინტერესები იქნება ამოსავალი, შესაძლებელია ამა თუ იმ ტიპს მიეცეს უპირატესობა. შეიძლება ისეც მოხდეს, რომ მეცნიერული აზროვნების თვალსაზრისით გარკვეული უპირატესობა მიენიჭოს ენას, მხატვრული შემოქმედების თვალსაზრისით კი მას სათანადო პლუსები არ აღმოაჩნდეს და პირუკუ...

როგორც გამომხატველობითს საშუალებას, ფლექსიურ ენას არავითარი განსაკუთრებული უპირატესობა არ გააჩნია, და მეცნიერულად არ მიიჩნევა ძველი ინდურის მოთაყვანე რომანტიკოს ფრ. შლეგელის აზრი, რომელიც ფიქრობდა, რომ ძველი ინდურის გაცნობა ისეთსავე როლს ითამაშებს, როგორიც ძველი ბერძნულის გამოცოცხლებამ ითამაშა რენესანსის ხანაში.

3. ზემოალნიშნულის მხედველობაში მიღებით ენათა მ ო რ ფ ო ლ ო გ ი უ რ ი კ ლ ა ს ი ფ ი კ ა ც ი ა შ ე ს ა ძ ლ ე ბ ე ლ ი ც ა ა და ს ა ჭ ი რ ო ც. საჭიროა ის, პირველ ყოვლისა, **ენათა სტრუქტურის აღწერითი ანალიზისათვის:** ენა, რომელსაც მხოლოდ უაფიქსო სიტყვები აქვს, არსებითად სხვაგვარი შინაარსის მორფოლოგიურ-სინტაქსურ ცნებებს იძლევა, ვინემ ენა, რომელსაც აფიქსებიანი სიტყვები გააჩნია. ჩინური ენის მორფოლოგია-სინტაქსი ინტონაციისა და სიტყვათა ადგილმდებარეობის შესწავლის ხაზით გაიშლება; არაბულის მორფოლოგია და სინტაქსი აფიქსებიანი სიტყვების აგებულებისა და ურთიერთობის შესწავლის გარეშე წარმოუდგენელია. ყოველივე ამას იმ თავითვე ცხადს ხდის ენათა მორფოლოგიური კლასიფიკაცია.

აგლუტინაციურს ენებში ფლექსიურ მოვლენათა ისტორიული ანალიზი ცხადყოფს, რომ ფლექსიურობას წინ უძღოდა აგლუტინაცია: მრავლობითის მესამე პირის ნიშანი (**-ენ, -ეს, -ან**) ქართულში მხოლოდ რიცხვს აღნიშნავდა; **თ-ა** ძველებური მრავლობითის ბრუნვებში მრავლობითობის აღმნიშვნელი იყო; საფიქრებელია, რომ ზმნის ფუძეში ხმოვანთა მონაცვალეობაც (**გლეჯს—გლიჯა**) ფონეტიკური გზით იყოს მიღებული. ეს საკითხი ბუნებრივად ისმის, რაკი ვიცით, რომ ქართული აგლუტინაციური ენაა. მაშასადამე, ენათა მორფოლოგიური კლასიფიკაცია **ისტორიული გრამატიკის თვალსაზრისით მნიშვნელოვან მითითებებს იძლევა.**

4. ძირითადი პრინციპული მნიშვნელობისაა საკითხი: ცვალებადია თუ არა ენის მორფოლოგიური ტიპი? შეიძლება თუ არა ერთი ტიპის ენა სხვა ტიპისად იქცეს დროთა ვითარებაში? ამ კითხვაზე დადებითი პასუხი უნდა გავცეთ: **ენის მორფოლოგიური ტიპი ცვალებადია;** იგი ძალიან გამძლეა, გამძლეა ისევე, როგორც ენის ბგერითი შემადგენლობა, მაგრამ მაინც ცვალებადია (ისევე, როგორც ცვალებადია ენის ბგერითი შედგენილობა).

მორფოლოგიური ტიპის ცვალებადობა დედუქციურადაც გამომდინარეობს იქიდან, რაც აფიქსთა წარმოშობის შესახებ ითქვა და ინდუქციურადაც დასტურდება ენათა განვითარების ფაქტური მსვლელობით.

თუ **აფიქსები ფუძეებიდანაა წარმოშობილი, ცხადია, ყოფილა ისეთი მდგომარეობა, როცა არც ერთი ამჟამად აფიქსიანი ენა აფიქსიანი არ იყო,** ე. ი. ისეთი მდგომარეობა, როცა მხოლოდ უაფიქსო ენები არსებობდა. ახლა აფიქსებიანი ენები დიდს უმრავლესობას შეადგენს: უაფიქსო ენები, ცხადია, ქცეულა აფიქსებიანად. ერთი მორფოლოგიური ტიპის ადგილი დაიჭირა მეორემ. ასეთი დასკვნა აუცილებელია, თუ სწორად მივიჩნევთ აფიქსთა წარმოშობის თეორიას.

ინგლისური ენა თითქმის უაფიქსო ენას წარმოადგენს; ყოველ შემთხვევაში, დამოკიდებულების აღმნიშვნელი აფიქსები (ფლექსიები) ინგლისურში თითზე ჩამოითვლება. ათიოდე საუკუნის წინეთ ინგლისური აფიქსებით მდიდარი ენა იყო: აფიქსებიანი ენა უაფიქსებოთ ენად იქცევა, თუ შეიძლება ითქვას, ჩვენ თვალწინ.

იმავე დროს არ არის გამორიცხული შესაძლებლობა, რომ უაფიქსო ჩინური დამხმარე სიტყვებისა და ნაწილაკების გამომუშავების გზით აფიქსებს გაიჩენს.

5. არის თუ არა ენის მორფოლოგიური ტიპის ცვლა საზოგადოებრივ-ეკონომიური ფორმაციის ცვლაზე დამოკიდებული? უშუალო დამოკიდებულება არა ჩანს: მონათმფლობელურ რომშიც აფიქსებიანი ენით ლაპარაკობდენ და მუსოლინის რომშიც აფიქსებიანი იტალიური ენა ისმის. იცვალა მონური წყობილება, მისი ადგილი ფეოდალიზმმა დაიჭირა, ფეოდალიზმი შეცვალა კაპიტალიზმმა, რომელსაც თავს წასდგომია სოციალიზმი. შეიცვალა სოციალურ-ეკონომიური ფორმაციები. ენა? იცვალა ენაც: აღარსადაა სალიტერატურო ლათინური, არც ხალხური ლათინური; უკანასკნელის საფუძველზე იტალიაში ახალი, იტალიური ენა შეიქმნა—სასაუბროცა და სამწერლოც. ერთი ენა შეიცვალა მეორით. ტიპი? მორფოლოგიური ტიპი არ შეცვლილა, მორფოლოგიური ტიპი არსებითად იგივე დარჩა: ცვლილებები ერთისა და იმავე ტიპის ფარგლებს არ გასცილებია. ასეა სხვაგანაც. ამიტომ ზეცნიერული ახსნის კარიკატურა გამოვა, რომ ვთქვათ: ყოველ სოციალურ-ეკონომიურ ფორმაციას გარკვეული მორფოლოგიური ტიპი ენისა შეეფერებაო; ვთქვათ, პირველყოფილ კომუნიზმს—უაფიქსო ენა, ფეოდალიზმს—აგლუტინაციური, კაპიტალიზმს—ფლექსიური, სოციალიზმს— კიდევ სხვა ტიპისა...

V. ენათა გენეალოგიური კლასიფიკაცია.

§ 42. რაში მდგომარეობს ენათა ნათესაობა? მორფოლოგიური კლასიფიკაციის გარდა არსებობს ენათა გენეალოგიური კლასიფიკაცია. მორფოლოგიური დახასიათება ენათა აგებულებას ემყარება, გენეალოგიური — ნათესაურ ურთიერთობას ენათა შორის; მორფოლოგიური დახასიათებისას ენათა მორფოლოგიურ ტიპებს ვიღებთ, გენეალოგიური კლასიფიკაციის დროს — ენათა ოჯახებს. ენათა ოჯახში აერთიანებენ ნათესაურ ურთიერთობაში მყოფ ენებს. ნათესაური ურთიერთობა გულისხმობს წარმოშობის მიხედვით ერთიანობას და გამოიხატება მონათესავე ენათა მსგავსებაში. მსგავსება შეიძლება იყოს შემთხვევითი ანდა კიდევ ნასესხები სიტყვების მიხედვით. ნათესაური ურთიერთობა ემყარება არა ასეთს მსგავსებას, არამედ ისეთ მსგავსებას, რომელსაც კანონზომიერი ხასიათი აქვს; ასეთ შემთხვევაში ჩვეულებრივად მიმართავენ: 1. ბგერათა სისტემას; 2. აფიქსების შედარებას, რადგანაც სესხების შესაძლებლობა აქ მცირეა და 3. ისეთ სიტყვათა ძირებს, რომლებიც სემასიოლოგიურად ენის ძირითად კუთვნილებას შეიძლება შეადგენდეს; ესენია: ნათესაური ურთიერთობის აღმნიშვნელი სიტყვები (მამა, დედა, და, ძმა, ცოლი, შვილი...), რიცხვის სახელები, სხეულის ნაწილთა სახელები... რა თქმა უნდა, სავალდებულო არაა ყველა ამგვარი სიტყვის ხაზით კანონზომიერი მსგავსება დადასტურდეს, მაგრამ პირველ ყოვლისა ამგვარ სიტყვებშია მოსალოდნელი კავშირი, თუ კი მას აქვს ადგილი. ნათესაური დამოკიდებულების დასადასტურებლად მიმართავენ **შედარებას**, ოლონდ:

ა) **შედარებისათვის უნდა იქნეს აღებული საერთო წარმოშობის მონაცემი**, მარტივი ფუძე იქნება ის თუ აფიქსი:

შდრ. ქართ. მე ძმა ერთი კაცი ძაღლი ცხელი წითელი...
მეგრ. მა ჯიმა ართი კოჩი ჯოლორი ჩხე ჰითა...

ბ) **შედარებისათვის არ გამოდგება სავსებით ერთნაირი მონაცემი**, მარტივი ფუძე იქნება ის თუ აფიქსი: ასეთი რამ ან საერთოა შესადარებელი ენებისათვის ანდა ნასესხებია ერთიდან მეორეში (ანდა კიდევ შეიძლება სხვა, მესამე, ენიდან მიმდინარეობდეს ორივეში):

ქართ. კისერი ყარი ბერი... ძმა-ს ხატავ-ს
მეგრ. კისერი ყარი ბერი[1]... ჯიმა-ს ხანტუნ-ს

გ) **შედარებისათვის არ გამოდგება ერთი და იმავე მნიშვნელობის მონაცემი (ფუძე, აფიქსი), თუ ისინი სხვადასხვა წარმოშობისაა:**

ქართ. თეთრი ფეხი შიწა ხე .. ქათამ-მა ზი-ს
მეგრ. ჩე კუჩხი დიხა ჯა... ქოთომ-ქ ხე-ნ

მოთხრობითის სუფიქსები -მა და -ქ სხვადასხვა წარმოშობისაა, ასევე მე-3 პირის სუბიექტის ნიშანი -ს და -ნ: ისინი მორფოლოგიურად შეესატყვისებიან ერთმანეთს, ფონეტიკურად კი—არა. სიტყვებს რაც შეეხება, აქაც შესატყვისები არ გაგეჩნია: „თეთრი“ სხვა ძირია და „ჩე“ სხვა; ეგევე ითქმის სხვების შესახებაც.

ეს სრულებით არ ნიშნავს, რომ ამ ძირებისათვის შესატყვისის დაძებნა არ შეიძლებოდეს.

მეგრ. „ჩე“-ს ქართული ვარიანტი არის „მხცე“ (←მკცე)[2], რომელიც „ჭალარა“-ს ნიშნავს და ამჟამად შემონახულია სიტყვაში „მხცოვანი“ („აჭალარაებული“, „მოხუცებული“, მერე, „დამსახურებულიც“ იხ. ზემოთ § 22); მას ჭანურში შემონახული აქვს ჭ: -ჭჩე“; მეგრულში ეს უკანაენისმიერი ნაწარმოებ სიტყვებში კანონზომიერად დაჩნდება რ-ს სახით: მეგრ. რჩინუ, ჭან. ჭჩინი (მოხუცი); გეე-ჩჩ-იელუ =გათეთრდა (შდრ. გ || რ: საგზალი || ორზოლი; აგზნება || დორზაფა; გ-ყავს || რ-ცუნს...

მეგრ. „კუჩხ“-ის შესატყვისი შენახულია ძვ. ქართ. კუარცხლ-ბე(რ)კ-ში... მეგრ. „დიხა“-ს შესაბამი ძირი ქართულში არის თიხა (←თიკა)... მეგრ. „ჯა“-ს შესატყვისია ქართული „ძელ“-ი: ძ || ჯ; ე || ა (იხ. ზემოთ ა-მუხლი); მეგრულ „ჯა“-ს აკლია „ლ“-ს შესაბამი თანხმოვანი; ეს თანხმოვანი მეგრულ „ჯა“-ს დაკარგული აქვს მხოლობითში, მაგრამ გამოაჩნდება მრავლობითში: ჯალ-ეფ-ი || ძელ-ებ-ი.

ამგვარად, უნდა გვახსოვდეს, რომ საერთო წარმოშობის სიტყვებმა შეიძლება წინანდელი მნიშვნელობა იცვალონ, და ეს სემასიოლოგიური გადახრა აძნელებს შესადარებელ სიტყვათა დაძებნას. სხვათა შორის ამიტომაა, რომ პარალელური ლექსიკონი არ უდრის შედარებითს ლექსიკონს.

იმისათვის, რომ გავარკვიოთ, საერთო წარმოშობისაა ესა თუ ის მონაცემი, თუ სხვადასხვა წარმოშობისა, საჭიროა ვიცოდეთ შე-

---

[1] ბერი ქართულში ირანულიდან მომდინარეობს : სპ. „ფირ“—მოხუცი.

[2] შესაძლოა, ეს ძირი ქართველურ ენებში ნასესხები იყოს. მაშინ „მხცე“ და „ჩე“ ფონეტიკურად დიფერენცირებული ერთი და იგივე მონაცემი იქნებოდა.

სადარებელ ოდენობათა ისტორია; შესაძლებელია, საერთო წარმოშობის მონაცემთან გვქონდეს საქმე, მაგრამ ამა თუ იმ ენაში მან ცვლილებები განიცადოს; ზემოთ ჩვენ ვნახეთ, რომ **ქჩე**-მ დაკარგა **გ**-ს ნაცვალი (ამ ორი ბგერის შენაცვლება სხვა სიტყვებშიც რომ არ გვქონდეს, **ქ**-ს მაგივრად **რ**-ს ვერ მივიჩნევდით). „ჯალ"-ძირმა დაკარგა ბოლოკიდური **ლ** მხოლობითში; ესეც თვით მეგრულში მომხდარი ფაქტია ისევე, როგორც **ქ**-ს დაკარგვა.

უფრო რთული შემთხვევებიც გვხვდება; შდრ. ქართ. თბილი და მეგრ. ტიბუ; შედარებამდის უნდა მოვიგონოთ, რომ ძვ. ქართულში „ტფილი" გვაქვს („განტფა", „ტფილისი"); ძირეული **ტფ** საფიქრებელია, **ტბ**-საგან იყოს მიღებული: **ტ**-სა და **ბ**-ს შორის არსებული ხმოვნის დაკარგვის შემდეგ **ბ** დაემსგავსა **ტ**-ს (ნაწილობრივი ასიმილაცია!); **ბ**-ს დაყრუებით უნდა მიგვეღო **პ**, მაგრამ **ტპ** კომპლექსი ქართულისთვის უცხო იყო და **პ**-ს ადგილი დაიჭირა **ფ**-მ, ყრუ მფშვინავმა ბაგისმიერმა: ტ(ა)ბ→ ტბ→ (ტპ) ‖ ტფ...

მეგრული **ტიბუ**-ც გარკვეული ცვლილებების შედეგია; იყო: ტუბ-ო —ტიბ-უ; ამას მოწმობს ჭანური ტუბ-უ (თბილი); ბოლოკიდური **-უ** არ უნდა იყოს პირვანდელი: ის **ბ**-ს ზეგავლენით **ო**-საგან მიღებული ჩანს. ამის სასარგებლოდ ლაპარაკობს გეოგრაფიული სახელწოდება წყალ-ტუბო (მეგრ. წყარ-ტიბუ), რაიც „წყალთბილ"-ს ნიშნავს.

ამრიგად, შესადარებელ მონაცემთა ისტორიის გათვალისწინებამ დაგვანახვა, რომ **თბილი** კი არა უნდა შევადაროთ უშუალოდ **ტიბუ**-ს, არამედ ქართ. ძირი **ტ(ა)ბ**- მეგრ. **ტუბ**-ძირს. ზოგადი დასკვნა: **შედარება ემყარება ისტორიას; შესადარებელ ფაქტთა ისტორია უნდა იქნეს გათვალისწინებული, თუ გვინდა, რომ შედარებამ მეცნიერულად დასაბუთებული, მკვიდრი შედეგები მოგვცეს.** იქ, სადაც ეს პირობა დაცულია, შედარება ახალ პერსპექტივას შლის, ისტორიულ წარსულში უფრო ღრმად ჩახედვის შესაძლებლობას ქმნის, ისეთ წარსულში, რომელსაც დოკუმენტალური, ძეგლებში დადასტურებული ისტორია ვეღარ წვდება. მაშასადამე: **შედარება ისევ ისტორიის მიზნებს ემსახურება; შედარება ისტორიის მიუწვდომელ საფეხურთა წვდომის საშუალებაა.** ოღონდ: ამისთვის საჭიროა დაწყება შესადარებელ მონაცემთა ისტორიით.

იქ, სადაც შედარება შესადარებელ მონაცემთა ისტორიის გათვალისწინებით წარმოებს, იგი წარსულის კვლევის ძლიერ სა-შუა-

ლებას წარმოადგენს და უჩვეულო შედეგებს იძლევა! ხოლო თუ შედარება შესადარებელ მონაცემთა ისტორიის გათვალისწინების გარეშე წარმოებს, მკვიდრი მეცნიერული შედეგი შემთხვევით თუ მიიღება.

რომ ამ შედარებითისა და ისტორიული ძიების პროცესში ფონეტიკის დახმარების გარეშე მკვლევარი ნაბიჯს წინ ვერ წადგამს, ეს ზემოთმოყვანილი ორიოდე მაგალითის ანალიზიდანაც ცხადზე უცხადესია.

რა თქმა უნდა, ეს ფონეტიკაც უნდა იყოს ისტორიულ-სოციალურ პრინციპზე დამყარებული: ზოგადად ესა თუ ის ბგერა კი არ იცვლება ამა თუ იმ ბგერად, არამედ **ამა და ამ** ენის ბგერა სათანადო ენის განვითარების **ამა და ამ** პერიოდში იძლევა ასეთს, და არა სხვაგვარ, ცვლილებებს[1].

ქართულისა, მეგრულ-ჭანურისა და სვანურის სინამდვილეში შედარებით-ისტორიული ძიების მშვენიერი, ზოგჯერ პირდაპირ ბრწყინვალე ნიმუშებია მოცემული აკად. ნ. მარის ზოგიერთ გამოკვლევებში.

როგორც ვთქვით, ნათესაური ურთიერთობის დასადგენად მიმართავენ შედარებას. შედარება რთული საქმეა და ისტორიულ ძიებას მოითხოვს. ამიტომ გასაგები უნდა იყოს, რომ მრავალი ენის ნათესაური ურთიერთობა სხვა ენებთან შესწავლილი არ არის ანდა არასაკმარისად არის შესწავლილი. ეს ნიშნავს: ამ ჟამად შეუძლებელია ისეთი გენეალოგიური კლასიფიკაციის მოცემა, რომელსაც შეეძლება დედამიწის ყველა ენას მიუჩინოს ადგილი სათანადო ენობრივ ოჯახში.

§ **43. ენათა ოჯახები.** ჩვენ აღვნიშნავთ ყველაზე უფრო შესწავლილ ენათა ოჯახებს. ესენია: ინდოევროპულ ენათა ოჯახი, სემიტურ ენათა ოჯახი, ურალურ-ალტაურ ენათა ოჯახი...

I. **ინდო-ევროპულ ენათა ოჯახს** შეადგენენ: 1. **ინდური** ენები: ძველი ინდური (ვედის ენა და სანსკრიტი), საშუალო ინდური (პალი, პრაკრიტი...), ახალი ინდური (პენჯაბური, ბენგალიური, ჰინდუსტანური...); ახალი ინდურის წრეს განეკუთვნება აწინკანთა (ბოშთა) ენაც, რომელსაც მრავალი უცხო ენობრივი ელემენტი აქვს შეთვი-

---

[1] ანგარიში ეწევა ბგერის ადგილმდებარეობასაც სიტყვაში (სიტყვის დასაწყისშია ბგერა თუ ბოლოში), ზოგჯერ იმასაც, აფიქსის ნაწილია ბგერა თუ ძირეულ ნაწილს განეკუთვნება.

სებული—აწინკანთა მომთაბარეობასა და სხვადასხვა ხალხთან შეხვედრასთან დაკავშირებით.

ძველი ინდურის უძველესი ძეგლები—„ვედები" თარიღდება სულ მცირე 1500 წლით ჩვენ წელთაღრიცხვამდის.

2. **ირანული ენები**: ძველი სპარსული, ავესტის ენა, ახალი სპარსული... ავღანური... ქურთული... ოსური (კავკასიაში).

ძველი სპარსული შენახულია ლურსმული წარწერების სახით მეტ წილად კლდეებზე, ამოშიფრულ იქნა მეცხრამეტე საუკუნეში და მოგვითხრობს სპარსეთის მეფის დარიოს ჰისტასპისა და მის მემკვიდრეთა საქმიანობის შესახებ; თარიღდება VI—V საუკუნით ჩვენს წელთაღრიცხვამდის.

3. **ბერძნული**: ძველი ბერძნული და მისი კილოები (იონური, ატიკური, დორიული, ეოლური, არკადიული...); ატიკური კილოს ნიადაგზე ალმოცენებულია (სალიტერატურო) საერთო ენა „კოინე" —მესამე საუკ. ქრ. წინ; საშუალო ბერძნული ანუ ბიზანტიური და ახალი ბერძნული (მეთექვსმეტე საუკუნიდან).

ძველი ბერძნულის უძველეს ძეგლებს წარმოადგენენ წარწერები; მათგან უძველესი დათარიღებული ეკუთვნის 591 წელს ჩვენ წელთაღრიცხვამდის.

4. **იტალიური**: ძველი ლათინური ენა და ხალხურ-ლათინურიდან მომდინარე რომანული ენები: თანამედროვე იტალიური, ფრანგული, პროვანსული, კატალონიური, ესპანიური, პორტუგალიური, რეტო-რომანული (სამხრ.-აღმ. შვეიცარ., ტიროლის ნაწ.), რუმინიული. ძველი ლათინურის უძველესი წარწერა თარიღდება დაახლოებით 600 წლით ჩვენ წელთაღრიცხვამდის. ლათინურმა ენამ უდიდესი როლი ითამაშა დასავლეთ ევროპის ხალხთა კულტურულ განვითარებაში. მთელი საშუალო საუკუნეების მანძილზე ის იყო ერთად ერთი სალიტერატურო ენა მთელი დასავლეთ-ევროპისათვის. წარწერებში დაცული ოსკური და უმბრულიც იტალიურ ენათა წყებას განეკუთვნება.

5. **კელტური** ენები: გალიური (არ შენახულა), ბრეტონული, კიმრული, ვალისური, კორნვალისური, ირლანდიური, შოტლანდიური...

6. **გერმანული** ენები: (ძველი) გუთური; ჩრდილო-გერმანული: დანიური, შვედური, ნორვეგიული, ისლანდიური; დასავლურ გერმანული: ფრიზული... ინგლისური...; ქვემოგერმანული: საქსური, ფლამანდიური, ნიდერლანდური; ზემოგერმანული: ფრანკული, ტიურინგიული, შლეზიური; ბავარიული, ავსტრიული, შვაბური, ალემანური; ფრანკული უდევს საფუძვლად სალიტერატურო გერმანულს.

გუთურ ენაზე თარგმნილი უძველესი ძეგლი ვულფილას სახარებაა (მეოთხე საუკუნე ჩვენი წელთაღრიცხვისა).

7. ბალტურ-სლავური ენები: ძველი პრუსიული (გამქრალია), ლიტვური, ლატვიური; სლავური ენები: ველიკორუსული, უკრაინული, ბელორუსული; პოლონური, ჩეხური, სლოვენური, სერბიულ-ხორვატული, ბულღარული.

ძველი სლავური საშწერლო ენა აღმოცენებულია ერთ-ერთ ბულღარულ კილოზე მეცხრე საუკუნეში (ჩვენი წელთაღრიცხვისა); უძველესი თარიღიანი ძეგლი ოსტრომირის ოთხთავია (1056—1057წწ.).

ინდოევროპულ ენებს განუკუთვნებენ: ალბანურსა და ილირიულს (მათ მეზობელი ენების ძლიერი გავლენა ეტყობათ).

ინდოევროპულია ძირითადი ფენის მიხედვით სომხური (ძველი სომხური, ახალი სომხური), თუმცა, როგორც აკად. ნ. მარი ვარაუდობს, სომხური რაიულ შენაზავს წარმოადგენს და მასში კავკასიური („იაფეტური") ენების ძლიერი ნაკადია შეღწეული. ეს ვარაუდი სწორად უნდა იქნეს მიჩნეული.

ინდო-ევროპულ ენებს გერმანელი ენათმეცნიერები ჩვეულებრივად ინდოგერმანულ ენებს უწოდებენ; ამ ტერმინის სასარგებლოდ მეცნიერულ მოსაზრებათა მოყვანა შეუძლებელია. ზოგი რუსი ენათმეცნიერი (ბოდუენ-დე-კურტენე, ბოგოროდიცკი) არიულ-ევროპულს ხმარობდა მეტი სიზუსტის დაცვის მიზნით: არიული ენები ეწოდება ინდოეთისა და ირანის ენებს; ტერმინი „არიულ-ევროპული", მაშასადამე, ირანულ ენებსაც მოიცავს, „ინდოევროპული" კი ირანულ ენებზე არ მიუთითებსო; ინდოევროპული ენებისათვის მეცხრამეტე საუკუნეში „იაფეტურიც" იქნა ნახმარი, მაგრამ ამას შემთხვევითი ხასიათი ჰქონდა; აკად. ნ. მარი უკანასკნელი წლების თავის ნაშრომებში ინდოევროპულ ენებს „ბრომეთეიდული" ენების სახელწოდებით ალნიშნავს.

ინდოევროპულ ენათა ნათესაობის ფაქტი ცნობილია მეთვრამეტე საუკუნის ბოლოდან; ინგლისელმა ვილიამ ჯონსმა აღნიშნა ინდურის ნათესაობა ბერძნულთანა და ლათინურთან (1786წ); ეფრო ადრე 1767 წ. ამავე გარემოებას ყურადღება მიაქცია მისიონერმა ჰ. კერდუ-მ (P. Coeurdoux) საფრანგეთის აკადემიისათვის წარდგენილს მემორანდუმში, რომელიც უყურადღებოდ იქნა დატოვებული.

II. **სემიტურ ენათა** ოჯახს მიეკუთვნება: ძველი ასურული და ბაბილონური; არამეულ-სირიული, ეთიოპური, ებრაული, არაბული, და ძველი ფინიკიური.

სემიტურ ენებთან დაკავშირებულად მიაჩნიათ **ქამიტური** ენებიც: ძველი ეგვიპტური; კოპტური, ლიბიური, ბერბერული და ქუშიტური ენები (ყველანი—ჩრდილო აფრიკაში).

ხშირად სემიტურსა და ქამიტურს ერთ სემიტურ-ქამიტურ ოჯახადაც წარმოადგენენ.

ტერმინები „სემიტური", „ქამიტური" ბიბლიური ნოეს შვილთა სახელებიდან (სემ, ქამ) არის ნაწარმოები.

სემიტურ ენათაგან ევროპაში პირველად იწყება ებრაულის, როგორც ბიბლიის ენის, შესწავლა (როხლინი, 15—16 საუკ.). სემიტურ ენათა (არაბულისა, სირიულისა და ეთიოპურის) ნათესაური ურთიერთობა შენიშნეს ორიენტალისტებმა (ბუქსტორფმა, ლუდოლფმა, კასტელმა, პოტლინგერმა...) ჯერ კიდევ მეჩვიდმეტე საუკუნეში, ხოლო ეს ურთიერთობა ხელშესახებად დადასტურებულ იქნა მეთვრამეტე საუკუნის პირველ ნახევარში (შულტენსი, შრედერი) ასე, რომ სემიტურ ენათა ოჯახის ჩამოყალიბება ენათმეცნიერებაში წინ უსწრებს ინდოევროპულ ენათა ოჯახისას.

სემიტური ენების უძველესი ძეგლები წარმოდგენილია ლურსმული დაწერილობის ასურულ ტექსტებში, რომელთა ამოშიფრა იწყება მეცხრამეტე საუკუნეში (როულინსონი, ჰინქსი, ოპერტი, ჰაუპტი...); უძველესი ძეგლი თარიღდება 1400 წლით ჩვენს წელთაღრიცხვამდის.

ებრაულის უძველეს ძეგლად მიჩნეულია დებორას საგალობელი, მსაჯულთა წიგნიდან (დაახლ. მეათე საუკ. ჩვენს წელთაღრიცხვამდის).

სემიტურ ენათა რიგიდან ამჟამად ყველაზე მნიშვნელოვანია **არაბული**, რომელსაც მრავალსაუკუნოვანი ლიტერატურა გააჩნია (უძველესი წარწერა—საფლავის ქვაზე—თარიღდება 328 წლით ჩვენი წელთაღრიცხვისა); არაბულ ენაზე დიდ-მნიშვნელოვანი ფილოსოფიური, მათემატიკური და ფილოლოგიური თხზულებები იქმნებოდა და იქმნება. ისლამის გავრცელებასთან დაკავშირებით არაბულ ენას აღმოსავლეთის ხალხთა კულტურისათვის იგივე მნიშვნელობა ჰქონდა, რაც ლათინურ ენას დასავლეთ-ევროპის ხალხებისათვის.

ქამიტურ ენათა წრიდან ყველაზე დიდი ხნოვანებისაა ძველი ეგვიპტურის ძეგლები, იეროგლიფებით ნაწერი (4000 წ. ჩვენ წელთაღრიცხვამდის). ეს ძეგლები ამოშიფრა ფრანგმა შამპოლიონმა (1822წ.).

III. **ურალურ-ალტაურ ენათა** ოჯახს [1] ეკუთვნის: ფინურ-უნ-

---

[1] საკმაოდ ხშირად,—მეტადრე ბოლო ხანებში—ფინურ-უნგრულ ენებს ცალკე ოჯახად გამოყოფენ და ცალკე ოჯახად მიიჩნევენ თურქულ ენათა (თურქულ-მონღოლურ-ტუნგუსური ენების) წყებას.

გრული ენები: ფინური, ლაპლანდიური, მორდველი, ჩერემისული, ზირიანული ანუ კომი; უნგრული ანუ მადიარული უნგრეთში; ვოგულური, ოსტიაკური დასავ. ციმბირში; ალტაური ენები: თურქული ჯგუფი: ოსმალური ანუ თურქული, აზერბეიჯანული, თურქმენული; ყირგიზული, ბაშკირული, ჩუვაშური; სართული, უზბეკური; ალტაის თურქთა ენა, უიღურული; მონღოლური ჯგუფი: იაკუტური, ყალმუხური, ბურიატული, საკუთრივ მონღოლური; მანჯურიული ჯგუფი: საკუთრივ მანჯურული და ტუნგუზური; ესკიმოსური, ალეუტური —ალეუტის კუნძულებსა, ლაბრადორსა, ალასკასა და გრენლანდიაში; კორეიული და იაპონიური.

ურალურ-ალტაური ენათა ნათესაური ურთიერთობის ფაქტი ალნიშნულ იქნა ჯერ კიდევ მეთვრამეტე საუკუნის მეოცდაათე წლებში შვედ მოგზაურის ი. ფონ-შტრალენბერგის მიერ (მისი ნაშრომი -ევროპისა და აზიის ჩრდილო და აღმოსავლეთი ნაწილი-, გამოვიდა 1730 წ. სტოკჰოლმში); ამგვარად, ურალურ-ალტაური ენების ნათესაური ურთიერთობაც უფრო ადრე იქნა შენიშნული, ვიდრე ინდოევროპული ენებისა.

ურალურ-ალტაური ენებიდან ყველაზე უკეთ შესწავლილია ფინური და უნგრული ენა.

აქვე შევნიშნავთ, რომ გასული საუკუნის მესამოცე წლებიდან დაწყებული, მთელი რიგი მკვლევარი ცდილობდა სემიტურ-ქამიტური და ინდოევროპული ენების დაკავშირებას; სახელდობრ, ესენია: რაუმერი (1863), ასკოლი, დელიჩი, ჰომელი, პედერსენი და განსაკუთრებით ჰ. მელერი (H. Möller).

ურალურ-ალტაურისა და ინდოევროპული ენების ნათესაობას იცავდენ: ანდერსონი (1879წ), სვიტი, თომსენი, პედერსენი, ულენბეკი, ტრომბეტი და სხვ.

სამივე ოჯახის ენები (ინდოევროპული, სემიტურ-ქამიტური, ურალურ-ალტაური) გავრცელებულია ევროპაში, ჩრდილო აფრიკასა და აზიაში. აფრიკის დანარჩენი ენები, ავსტრალიის ენები, მალაის არქიპელაგის ენები, ამერიკის აბორიგენთა ენები იმდენად შესწავლილი არაა, რომ მათი გენეალოგიური კლასიფიკაცია იქნეს მოცემული; მათი კლასიფიკაციის ცდა, რომელსაც ამჟამად ვხვდებით, საორიენტაციო ხასიათისაა; თვით ურალურ-ალტაური ენების წყებაც (ჩრდილო-ციმბირის ენები) არ არის ჯეროვნულად გამოკვლეული; ამიტომ აქ მხოლოდ ხსენებული სამი ოჯახის ალნუსხვით დავკმაყოფილდებით: გენეალოგიური კლასიფიკაციის ნიმუშად ეს სამი ერთეული კმარა.

მათგან ყველაზე დამუშავებულია ინდო-ევროპულ ენათა ოჯახი. შედარებითისა და ისტორიული ძიებისათვის ინდო-ევროპული ენები მეტის მეტად ხელსაყრელ პირობებს ქმნიდა: მრავალი შესადარებელი ერთეული, დიდი ხნოვანობის წერილობითს ძეგლებში წარმოდგენილი დოკუმენტალური მასალა, ენათა ძლიერი დიფერენციაცია, რომლის პროცესში ენები ძალზე დაშორდა ერთმანეთს, მაგრამ ისე კი, რომ გენეტური კავშირი მაინც არ შეწყვეტილა—ყველაფერი ეს შედარებისა და ისტორიის მკვეთრ იარაღად ჩამოყალიბებას უწყობდა ხელს. სემიტურ ენებსაც საკმაო ხანგრძლივობის წერილობითი ძეგლები მოეპოება, მაგრამ ეს ენები ჩვეულებრივად იმდენად ახლოს დგანან ერთმანეთთან, რომ აქ შედარებითისა და ისტორიული ძიების გასაშლელად გაცილებით ნაკლები შესაძლებლობაა.

ფიქრობენ, რომ ერთი ოჯახის ენები მომდინარეობენ ერთი ენიდან; ამ ენას წინარე ენას უწოდებენ; ინდოევროპული ენები—ინდოევროპული წინარე ენიდან მომდინარეობენ, სემიტური ენები—სემიტური წინარე ენიდან, ურალურ-ალტაური ენებიც—სათანადო წინარე ენიდან. ერთი ოჯახის ენათა უძველესი ფაქტების შედარებით ცდილობენ აღადგინონ ის სახე, რომელიც ამ ენობრივ ფაქტს (მაგ. სიტყვას) უნდა ქონოდა წინარე ენაში [1]. ინდოევროპული ენების შესწავლისას დიდი ყურადღება ექცეოდა წინარე ენის ფაქტების აღდგენას. ენათმეცნიერი ავგ. შლაიხერი ისე შორს წავიდა, რომ ინდოევროპულ წინარე ენაზე რამდენიმე-სტრიქონიანი ამბავიც კი დაწერა სათაურით: „ცხენი და ცხვარი“. ამჟამად აღდგენილ ფორმათა რეალურობას ინდოევროპულ ენათა ყველაზე მნიშვნელოვანი წარმომადგენლები უარყოფითად უყურებენ; აღდგენილი მონაცემი (სიტყვა, აფიქსი, ბგერა) წინარე ენის რეალური ფაქტი კი არ არის, არამედ თეორიული ფორმულა: რამდენადაც a, b, c, d... ენათა ჩვენებაა დასაყრდენი, ისინი—წინარე ენის ასეთ მონაცემს გულისხმობენ დასაყრდენად, ასეთი მონაცემის განვითარებას წარმოადგენენ. მაგრამ არავითარი გარანტია არ არის, რომ ჩვენ ყველა „მთამომავალი“ შეგვრჩა და ყველა „მემკვიდრის“ ჩვენება მოგვეპოება. სხვა, დღეს უჩინარ წევრთა სხვაგვარ ჩვენებას შეეძლო სხვა დასკვნები მოეცა და აღდგენილი მონაცემის მეტ-ნაკლები ცვლა გამოეწვია. ერთი მაგალითი: ინდო-ევროპულ ენებს ორ ჯგუფად ყოფდენ— სატემ“-ენებად და „კენტუმ“-ენებად იმის მიხედვით, „ასის“ აღმნიშვ-

---

1. ამგვარ თეორიულად აღდგენილ მონაცემებს ვარსკვლავებს უსმენ: *

რელი ძირი ს-თი იწყება (ინდური „სატამ," რუს. „სტო"), თუ კ-თი (ლათ. centum, „კენტუმ"—ძველი გამოთქმით); „სატემ"-ენები გეოგრაფიულად აღმოსავლურ ჯგუფს შეადგენდენ (ინდური, ირანული, სლავური...), „კენტუმ"-ენები—დასავლურ ჯგუფს (ბერძნული, ლათინური, გერმანული...), მაგრამ მეოცე საუკუნეში აღმოსავლეთ-თურქესტანში აღმოჩენილი ტოხარული ენის ძეგლები მოწმობენ, რომ ტოხარული „კენტუმ"-ენათა წყებას განეკუთვნება. ტოხარულის აღმოჩენამდის „სატემ"-ენა აღმოსავლურ ინდოევროპულს ნიშნავდა, „კენტუმ"—დასავლურს; ტოხარულის აღმოჩენის შემდეგ „კენტუმ" უთუოდ დასავლურს როდი ნიშნავს, შეიძლება აღმოსავლურიც იყოს.

ამგვარად: **აღდგენილი ფორმა შედარების დანასკვი ფორმულაა და არა რეალური ენობრივი ფაქტი.** ერთად ერთი რეალური ფუძე-ენა, რომელიც ენათმეცნიერებამ იცის, არის ხალხური ლათინური, რომლისაგანაც არის მიღებული იტალიური, პროვანსული, ფრანგული და სხვა რომანული ენები (იხ. ზემოთ). ყოფილა შემთხვევა, როდესაც ამ რომანულ ენათა შედარების საშუალებით თეორიულად აღუდგენიათ სიტყვა და ამ თეორიულად აღდგენილი სიტყვის რეალურობა შემდეგში დაუდასტურებია აღმოჩენილ წარწერებს (ასეთია, მაგალითად, pira ხალხური ლათინურისა,—კლასიკური ლათინურის pirum „მსხალი").

მონათესავე ენები ერთი ენიდან მომდინარეობენ, ერთი ენის დიფერენციაციას წარმოადგენენ; ამ ენისათვის ბუნებრივი იქნებოდა ფუძე-ენა გვეწოდებინა.

მონათესავე ენათა **შედარება მიზნად უნდა ისახავდეს** ამ ენათა **ისტორიის წინა საფეხურების გათვალისწინებას,** უშუალოდ ცნობილი **ისტორიის გაგრძელებას** (და არა ფუძე-ენის ფაქტების აღდგენას).

თვით **ნათესაობის** შესახებ **დებულება იმდენადვეა ფასეული,** რამდენადაც მონათესავე ენათა შორის არსებული **მსგავსება ისტორიული-შედარებითი ძიებისთვის იძლევა გასაქანს** (და მით განსხვავდება სხვაგვარი, შემთხვევითი მსგავსებისაგან ენათა შორის).

ეს—წინარე ენისა და აღდგენილი ფაქტების შესახებ. ახლა—„ოჯახის" შესახებ. ეს ცნება ენათმეცნიერებაში ბუნებისმეტყველების მიბაძვითაა შემოღებული მეცხრამეტე საუკუნის პირველ ნახევარში, როდესაც ენა ორგანიზმად მიაჩნდა მთელ რიგ გამოჩენილ ენათმეცნიერს (ბოპს, შლაიხერს), რომელთა გაგებით ენა ორგანიზმის მსგავსად ჩნდებოდა, იზრდებოდა, შემდეგ კი დაშლის გზას ადგებოდა („ბერდებოდა"). როგორც ზოოლოგიასა და ბოტანიკაში

შოიპოება რაზმები, რაზმები იყოფა ოჯახებად, ოჯახი—გვარებად, გვარი—სახეებად, ისევე ენათა „ოჯახს“ ყოფდენ შტოებად, შტოს—ენებად, ენას—კილოებად, კილოს—კილოკავებად.

რა თქმა უნდა, ამჟამად ცნება „ოჯახი“ ბუნებისმეტყველური გაგებისაგან თავისუფალია და ნიშნავს ნათესაურად დაკავშირებულ ენათა ჯგუფს; თვით „ნათესაობა“, როგორც ზევითაც აღნიშნული იყო, სათანადო ტომთა **ანთროპოლოგიურ ერთიანობას არც ნიშნავს** და **არც გულისხმობს**, იგი ენათა **ძირებისა და აგებულების ისეთ მსგავსებაზე მიუთითებს, რომელიც საერთო წარმომავლობას მოწმობს.**

ეს, თავის თავად ცხადია, დამყარებულია იმ ვარაუდზე, რომ ერთი ენის კილოები დროთა ვითარებაში შორდება ერთმანეთს და ახალ ენებად იქცევა; ამ ახალ ენებს თავის მხრივ კილოები უჩნდება; ამ კილოებიდანაც თავის მხრივ შესაძლებელია ახალი ენების მიღება და ასე შემდეგ. მაშასადამე, ამ გზით ერთი ენიდან მიიღება რამდენიმე, ენათა რიცხვი მატულობს და არა კლებულობს. მაგრამ **ეს სრულებითაც არ ნიშნავს, რომ ყოველი ენის ყოველი კილო ახალ ენად იქცევა:** შესაძლებელია ესა თუ ის ენა გაქრეს, ან შეიცვალოს სხვა ენით, ანდა მოისპოს მასზე მოლაპარაკე ენობრივი კოლექტივის ფიზიკურ განადგურებასთან დაკავშირებით. ამ შესაძლებლობას ენათა რიცხვის შემცირებისაკენ მივყავართ. თუ ენის დიფერენციაცია ენითა რიცხვის ზრდას მოასწავებდა, ენათა ინტეგრაცია ენათა რიცხვის შემცირებას იძლევა. **დიფერენციაციისა და ინტეგრაციის პროცესები ერთი მეორეს არ გამორიცხავს, ისინი ერთად მოქმედებენ.** ეს კია, რომ ზოგიერთ ეპოქებში დიფერენციაციის ხვედრითი წონა უფრო დიდია, სხვა ეპოქებში—ინტეგრაციის პროცესებია უფრო ძლიერი. მეცხრამეტესა და მეოცე საუკუნეში ხალხთა ეკონომიური და კულტურული ურთიერთობის არაჩვეულებრივი ზრდა-განვითარება სამიმოსვლო ტექნიკის უმაგალითო პროგრესთან დაკავშირებით აძლიერებს ინტეგრაციის ტენდენციებს, თუმცა ახლაც კი მთელი რიგი პოლიტიკური მომენტების წყალობით ახალ ენათა კრისტალიზაცია არა ნაკლებ ხშირია, ვინემ ჩამოყალიბებულ ენათა შეერთება-გათქვეფისა ანდა ერთი ენის მეორით განდევნა-შეცვლის ფაქტები. ასე, მაგალითად, ამ ერთი საუკუნის მანძილზე არა ერთი პატარა ეროვნება თავის ენიანად აღიგავა პირისაგან მიწისა ამერიკაშიც, ევროპაშიც, ყოფ. რუსეთის იმპერიაშიც; ხოლო ოქტომბრის რევოლუციამ საბჭოთა კავშირში არა ერთს მოსპობის გზაზე დაყენებულ პატარა ეროვნებას დაუბრუნა სიცოცხლის

უნარი, შეუქმნა სალიტერატურო ენა და მით არა თუ გადაარჩინა გაქრობას, არამედ გაშლა-განვითარების ფართო პერსპექტივა შეუქმნა; ამჟამად საბჭოთა კავშირში რამდენიმე ათეული სამწერლო ენაა.

მაშასადამე, საბოლოო ანგარიშში **ამჟამადაც** დიფერენციაციის ტენდენცია უფრო ძლიერია, ვინემ ინტეგრაციისა: ენათა რიცხვი კი არ კლებულობს, მატულობს. მით უფრო მეტი უნდა ყოფილიყო დიფერენციაციის ძალა მაშინ, როცა ინტეგრაციისათვის ხელის შემწყობი აწინდელი მომენტები შეუდარებლივ სუსტი იყო.

ხალხური ლათინურის დიფერენციაციამ მოგვცა: იტალიური, ფრანგული, პროვანსული, პორტუგალიური, ესპანიური, კატალონიური, რეტოროომანული, რუმინიული. ვთქვათ, ფრანგულმა შთანთქა პროვანსული, ესპანიურმა—კატალონიური, გერმანულმა ან იტალიურმა—რეტოროომანული, მაინც ფაქტია, უდაო და ხელშესახები ფაქტი, რომ ხალხური ლათინური ერთი ენა იყო, მისმა დიფერენციაციამ—ხუთი ენა მოგვცა: იტალიური, ესპანიური, პორტუგალიური, ფრანგული და რუმინიული. დიფერენციაციის შედეგი ჰარბობს ინტეგრაციის შედეგს.

§ 44. ცნება „ენათა სისტემისა“. იაფეტიდოლოგია უარყოფს, როგორც ენათა მორფოლოგიურ კლასიფიკაციას, ისე გენეალოგიურ კლასიფიკაციას. მათს ადგილს იჭერს ახალი კლასიფიკაცია—სტადიალური განვითარების მიხედვით „ენათა სისტემის“ გამოყოფა: არა „მორფოლოგიური ტიპი“, არა „ენათა ოჯახი“, არამედ **„ენათა სისტემა“.**

იაფეტიდოლოგია უარყოფს დიფერენციაციის გზით ერთი ენიდან რამდენიმე ენის მიღებას (თუმცა ძნელი წარმოსადგენია, დიფერენციაციის გარეშე როგორ შეიძლებოდა ოთხი ელემენტიდან, რომელიც ამოსავლადაა მიჩნეული იაფეტიდოლოგიის მიერ, მრავალი ასეული ენა მიგველო)[1]; იაფეტიდოლოგია უარყოფს ერთი ენის დიფერენციაციის გზით მიღებულ ენათა ნათესაობასაც. მსგავსება, რომ არსებობს ენათა შორის? მსგავსება ენათა დაახლოებამ (ან ერთიანმა სოციალ-ეკონომიურმა საფუძველმა) წარმოშვა; მაგრამ ეს რომ ასე იყოს, ბასკური ესპანიურისა და ფრანგულის „მონათესავე“

---

[1] ენათა დიფერენციაციის პროცესი იმდენად დემონსტრაციული ფაქტია, რომ აკად. ი. მეშჩანინოვი 1934 წელს გამოსულს შრომაში („ენათა კლასიფიკაციის პრობლემა ენის შესახებ ახალი მოძღვრების გაშუქებით“, ლენინგრ...) იძულებულია აღიაროს—ენათა გახლეჩის გზით შესაძლებელია ერთი ენიდან რამდენიმეს მიღებაო, მაგრამ აქედან სათანადო დასკვნები არ კეთდება.

აღმოჩნდებოდა, უნგრული—გერმანულის, რუმინიულისა თუ სლავური ენებისა... საყოველთაოდ ცნობილია, რომ, რაც უნდა დიდი იყოს ერთი ენის გავლენა მეორეზე, თუ შერევას არა აქვს ადგილი, სხვაობა ნათლად შესამჩნევი იქნება (მხედველობაში გვაქვს არა მონათესავე ენები).

ნათესაობის საკითხი ძალზე რთულდება ენათა შერევის შემთხვევაში, მაგრამ მონათესავე ენათა არსებობა მაინც უდაო და თვალსაჩინო ფაქტია.

„ენათა ოჯახს“ იაფეტიდოლოგია უპირისპირებს „ენათა სისტემას“: „იაფეტური სისტემის ენები“, „პრომეთეიდული (ინდოევროპული) სისტემის ენები“, „სემიტური სისტემის ენები“ (პრომეთეიდული სისტემა განვითარებაა იაფეტურისა).

ესა თუ ის სისტემა აზროვნების ამა თუ იმ სტადიას ასახავს; იაფეტიდოლოგია მოგვითხრობს, მაგალ., კოსმოსური, მაგიური სტადიების შესახებ... იაფეტური სისტემის ენებში უკუფენილია მაგიური სტადიის დაშლა[1]. სტადია და სისტემა არ ფარავს ერთმანეთს: ერთ სტადიას შეიძლება რამდენიმე სისტემა შეეფერებოდეს (იქვე, გვ. 10).

რა ახასიათებს ენათა სისტემას? რა ენობრივი ნიშნის მიხედვით უნდა გავაერთიანოთ ენები ერთ სისტემაში? მორფოლოგიური ტიპისათვის საკონტროლო ნიშანს აფიქსების საკითხი წარმოადგენს, გენეალოგიური ერთეულისათვის, ოჯახისთვის—ნათესაური ურთიერთობა, რა უდევს საფუძვლად—სისტემას?

მაგალითად, რის მიხედვითაა გაერთიანებული იაფეტური ენები ერთ სისტემაში? აკად. ი. მეშჩანინოვი შემდეგ ნიშნებზე მიუთითებს: 1. უკანაენისმიერ ბგერათა სიმდიდრე...; 2. აფრიკატების (რთული ბგერების) სიჭარბე...; 3. სამი, ზოგჯერ ოთხი საფეხურის მჟღერობის არსებობა...; 4. ზმნათა ვნებითური კონსტრუქცია...; 5. აგლუტინაცია (ძირითადად)...; 6. თანხმოვნების დიფერენციაციისადმი მიდრეკილება და ხმოვნების სუსტი დიფერენციაცია; 7. არსებითი სახელების დაყოფა კლას-კატეგორიათა მიხედვით (გონიერი, არაგონიერი...); 8. პოლისემანტიზმი—სემანტიკურ კონათა არსებობა: წყალი—ქალი—ხელი—ერთი და იგივე ფუძეა ქართულში! 9. ორთანხმოვნიან ფუძეთა არსებობა; 10. სიჭარბე ისეთ ფუძეთა, რომელნიც არსებით სახელებსაც აწარმოებენ და ზმნებსაც; 11. სუბი-

---

[1] იხ. „ენათა კლასიფიკაციის პრობლემა ენის შესახებ ახალი მოძღვრების გა'შუქებით“ (რუს.) ლენინგ. 1934 გვ. 46. ციტატებით აკად. ი. მეშჩანინოვის ნაშრომს, როგორც იაფეტიდოლოგიის უკანასკნელ სიტყვას.]

ექტისა და ობიექტის აღმნიშვნელ ნაცვალსახელოვან ნაწილაკთა, აფიქსთა, ხმარება ზმნაში; 12. საერთო ძირების არსებობა (იქვე, გვ. 38).

ყველა იაფეტურ ენას შეიძლება ეს ნიშნები არ აღმოაჩნდეს, მაგრამ ეს აერთიანებს იაფეტურ ენებსო...

როგორც ვხედავთ, აქ მოცემულია ფონეტიკურ-მორფოლოგიურ-სინტაქსური, სემასიოლოგიური და ლექსიკური ნიშნები... ყველაფერი ერთად ქმნის იმ კოორდინატებს, რომლებიც დამახასიათებელია იაფეტური ენებისათვის.

რა გამოდის? „იაფეტურ სისტემის ენებს ახასიათებს ის ნიშნები, რომლებიც იაფეტურ ენებს გააჩნიათ!“ მაგრამ რომელია ეს იაფეტური ენები? რატომ გავაერთიანეთ ისინი ერთი სახელწოდების ქვეშ? ნიშნები ვიპოვეთ იმიტომ, რომ წინასწარ ვიცოდით, რა ენებიც შედიოდა „იაფეტურ“ ჯგუფში: ეს ჯგუფი წინეთ იქნა ჩამოყალიბებული ნათესაური პრინციპის მიხედვით, ე. ი. წინეთ იყო „იაფეტური ოჯახი“, ახლა მას „იაფეტური სისტემა“ ვუწოდეთ და შემდეგ ჩამოვთვალეთ—მას ესა და ეს ნიშნები ახასიათებსო.

„სისტემის“ დამახასიათებელი ენობრივი ნიშნები კი არსად ჩანს. ვთქვათ, სამხრეთ აფრიკის ან ავსტრალიის უცნობ ენებს ვსწავლობთ. რა ნიშნის მიხედვით გავაერთიანებთ მათ „სისტემებში“? გენეალოგიური ნიშნის მიხედვით? არა! მორფოლოგიურის მიხედვით—არა! ამიტომ, უსიტყვოდ უნდა დავეთანხმოთ აკად. ი. მეშჩანინოვს, როცა ის იმავე ნაშრომში წერს: „სტადიათა და სისტემათა საკითხი წამოყენებულ იქნა ზოგადი სქემების (построений საფუძველზე ისე, რომ ახლად წარმოდგენილი პრინციპის მიხედვით ენათა კონკრეტული განაწილება არ მომხდარა. სტადიათა რიცხვი დაზუსტებული არ არის ისევე, როგორც **ჯერ კიდევ არ არის გამომჟღავნებული დამახასიათებელი სტადიალური ნიშნები, სისტემები კი სრულებით არ არის დამუშავებული დეტალურად ცალკე ენობრივ დაჯგუფებათა მიხედვით** (ხაზი ჩვენია—ა. ჩ.); ამასთან დაკავშირებით ენათა ახალი მოძღვრება არ უნდა დაკმაყოფილდეს ოჯახებად დაჯგუფების უარყოფით, არამედ უნდა გარდაქმნას ენათა ის დაჯგუფება, რომელსაც ის თვითონ ხმარობს დღესდღეობით და რომელიც ინდო-ევროპული სკოლის მიერ არის ნაანდერძევიო“ (გვ. 21).

ერთი სიტყვით, ცნება „ენათა სისტემისა“ გარკვეულობას მოკლებულია; ეს კია, რომ თუ ის იქნება აგებული ფონეტიკურ-მორფოლოგიური, სინტაქსური, სემასიოლოგიური და ლექსიკური მომენ-

ტების ანალიზზე, მაშინ, ცხადია, „სისტემა“ ნათესაობის პრინციპზე აგებული აღმოჩნდება და ცნება „ოჯახს“ ვერ დაუბირდაპირდება; „ენათა ოჯახებად კლასიფიკაციის გარდაქმნა ახალი პრინციპის მიხედვით“ „ოჯახ“-ტერმინის „სისტემა“-ტერმინით შეცვლასღა მოგვცემს.

მაგრამ თუ ენათა დახასიათება მხოლოდ აზროვნების სტადიაზე მითითებით იწარმოებს (წარმოვიდგინოთ, რომ აზროვნების სტადიათა საკითხი უკვე გადაწყდა,—ამჟამად ესეც მოთხოვს დამუშავებას!) და სპეციფიკური ენობრივი ნიშნები ამა თუ იმ სისტემისა არ იქნება ნაჩვენები, მივიღებთ, ენათა **ფსიქოლოგიურ კლასიფიკაციას**, ე. ი. საკითხი მოიხსნება ენათმეცნიერებაში და სხვა სიბრტყეში დაისმის (შდრ. შტაინთალის, მისტელის და სხვ. ცდები).

§ 45. **კავკასიური ენები.** ცალკე უნდა შევჩერდეთ ე. წ. „კავკასიურ ენებზე“. ასე იწოდება ენათა წყება, რომელთაც ამჟამად კავკასიაში ვხვდებით და რომელთა მონათესავე ენები სხვაგან თითქმის არ დარჩენილა. კავკასიაში გვხვდება აბერძეიჯანული, ყუმიკური, ოსური, ჩურთული, სომხური, ბერძნულიც, მაგრამ მათგან პირველი ორი ურალურ-ალტაური ოჯახის თურქულ ჯგუფს ეკუთვნის, უკანასკნელი ოთხი ინდო-ევროპულ ენებს უკავშირდება გენეალოგიურად.

ამიტომ: ყველა ენა, რომელიც კი გვხვდება კავკასიაში როდი იწოდება „კავკასიურად“; „კავკასიური“ ეწოდება კავკასიის ენათა გარკვეულ წყებას.

კავკასიურ ენებში ოთხი ჯგუფი გაირჩევა: I. **ქართველურ** ენათა ჯგუფი, II. **აბჳაზურ-ადიღეური** ჯგუფი, III. **ჩაჩნური** ჯგუფი და IV. **დაღისტნურ** ენათა ჯგუფი.

I. **ქართველურ** ენათა ჯგუფი სამი წევრისაგან შედგება; ესენია: 1. ქართული თავისი კილოებით (როგორიცაა: ქართლური, კახური, ჭიზიყური, ინგილოური, თუშური, ფშაური, ხევსურული, მთიულური; მესხურ-ჯავახური, იმერული, რაჭულ-ლეჩხუმური, გურულ-აჭარული). 2. ჭანურ-მეგრული—კილოკავებითურთ; ჭანურის კილოკავებია: ათინური, ვიწურ-არქაბული და ხოფური; მეგრულის კილოკავებია: ზუგდიდურ-სამურზაყანული და სენაკური; 3. სვანური. პროფ. ა. შანიძის კლასიფიკაციით სვანური ოთხი კილოსაგან შედგება; ესენია: ბალს-ზემოური, ბალს-ქვემოური, ლაშხური და ლენტეხური; პირველი ორი ინგურის ხეობაშია, დანარჩენი ორი—ცხენისწყლისაში.

ხშირად ჭანური და მეგრული ცალკე ენებად მიაჩნიათ; შეცთომაა; ჭანური და მეგრული ისე ახლოს დგას ერთმანეთთან, როგორც, მაგალითად, ხევსურული და გურული; როგორც ეს ორი უკანასკნელი ვერ ჩაითვლება ცალკე ენებად, ისე ჭანური და მეგრული. ჭანური და მეგრული ისეთივე ორი კილოა ერთი ენისა, როგორც ხევსურული და გურულია ქართული ენის კილო. სამწუხაროდ, საერთო სახელი ჭანურისა და მეგრულისათვის არ მოგვეპოება („ქოლხური" არარეალური იქნებოდა, „ლაზური" უხერხულია, რადგანაც „ჭანურის" სინონიმს წარმოადგენს).

ტერმინი „ქართველური ენები" შემოღებულია ცნობილი ავსტრიელი ენათმეცნიერის ჰუგო შუხარდტის მიერ.

II. **აბხაზურ-ადიღეური** ჯგუფის წევრებია: აბხაზური, ყაბარდული, ადიღეური (ჩერქეზული) და უბიხური. ყაბარდულ-ბალყარული ავტონომიური ოლქის ცენტრია ნალჩიკი, ადიღეურისა — კრასნოდარი; უბიხური ამჟამად კავკასიაში არა გვხვდება: გასული საუკუნის მესამოცე წლებში მეფის რუსეთმა რომ დაიპყრო კავკასიის მთიანეთი, უბიხები გადასახლდენ თურქეთში; იქ მათი მოსახლეობის მთავარი მასა იზმიდის მიდამოებშია.

III. **ჩაჩნური** ჯგუფი შედგება: ჩაჩნურისა, ინგუშურისა და წოვა-თუშურისაგან. 1934 წლამდის ინგუშური და ჩაჩნური ავტონომიური ოლქები ცალ ცალკე არსებობდენ; ინგუშურის ცენტრი იყო ქ. ორჯონიკიძე, ჩაჩნურისა — ქ. გროზნო. ამჟამად ორივე ოლქი გაერთიანებულია (ცენტრი — გროზნო). წოვა-თუშები[1] კახეთში ცხოვრობენ, ს. ალვანში (ზაფხულობით ადიან მთაზე, ტბათანამი). ჩაჩნური და ინგუშური იმდენად ახლოს დგას ერთმანეთთან, რომ უფრო სწორი იქნებოდა ერთ ჩაჩნურ-ინგუშურ ენაზე გველაპარაკა (ჩაჩნური და ინგუშური კილოთი) ასე, რომ ჩაჩნურ ჯგუფში ორი წევრი იქნებოდა: ჩაჩნურ-ინგუშური და წოვა-თუშური.

ჩაჩნებს ჭის ტებსაც უწოდებენ, ინგუშებისთვის კი „ღლიღვი" იხმარებოდა. წოვა-თუშურისათვის არსებობს სხვა სახელიც: „ბაცბიური" — „ბაცბი"-ს ისინი თავის თავს უძახიან (ბაცავ — მხოლ.; ბაცბი — მრავლ.).

IV. **დაღისტნური** ენები ყველაზე მრავალრიცხოვანია, მასთან ნაკლებად შესწავლილი. შეუსწავლელობის გამო მათი რიცხვი „მატულობს": კილოები ენებად ცხადდება. ყველა ენა-კილო ოთხ მთა-

[1] ქართველი ტომი თუშთა კავკასიონის მთაგრეხილს იქით არის მოქცეული; მათი მეტყველება ახლოსა დგას ხევსურულთან, წოვა-თუშთაგან განსხვავებით ამათ ჩალმა თუშებს უწოდებენ.

ვარ ერთეულად შეიძლება წარმოვიდგინოთ: ა) **ხუნძურ** და **ანდიურ დიდოური**: ხუნძური ანუ ავარული; **ანდიური**, ბოთლიხური, კარატაული, ჭამალალური, ღოდობერიული, ახვახური, ხვარშიული, დიდოური, კაპუჭური. ხუნძური მოსახლეობის ცენტრებია: ხუნძახი და ღუნიბი. ხუნძური ანუ ავარული ყველაზე მსხვილი ერთეულია საერთოდ დაღისტნურ ენათა შორის; შამილის მშობლიური ენა იყო ხუნძური; შამილის ჯარში (დაღისტნის ყველა ტომისთვის) ხუნძური სახელმწიფო ენას წარმოადგენდა; ამიტომ ეწოდება ხუნძურს „ბოლ მაწ," „ჯარის ენა". ბ) **დარგუული** ენა (რაიონის ადმ. ცენტრი ლევაში), გ) **ლაკური** ანუ ლახი- **ყუმუხური** ენა (რაიონის ცენტრი —ყუმუხი, დ) **კიურული** ანუ **ლეზღური** ენა (რაიონის ცენტრი —ახტი); კიურულთან ახლო მდგომი: წახურული, რუტულური და აღულური; ე) **ტაბასარანული** ენა; ვ) ტერიტორიულად ხუნძურსა და ლაკურს შორის მოქცეული არჭი ენა (ამავე სახელწოდების ერთ სოფელში); ზ) აულების: ჯეკის, კრიწის, ხინალუღისა და ბუდუხის მეტყველება; ეს აულები კუბის რაიონში შედის, აზერბეიჯანის ფარგლებშია მოქცეული; თ) **უდური**, რომელიც რევოლუციამდის აზერბეიჯანში, ნუხის მაზრის ორ სოფელში, ნიჯსა და ვართაშენში იყო შემონახული; ამჟამად მათი ნაწილი კახეთში გადმოსახლდა და ყვარელის რაიონში სოფ. ზინობიანი[1] დაიარსა.

ჯერ კიდევ მარი ბროსე (1834 წ.) ფიქრობდა, რომ ქართული ინდოევროპულ ენებთანაა ნათესაურს კავშირშია; ინდოევროპეისტიკის ერთ-ერთმა ფუძემდებელთაგანმა ფრანც ბოპმა სპეციალურს გამოკვლევაში („ინდოევროპულ ენათა ოჯახის წევრები კავკასიაში" 1847) სცადა დაემტკიცებინა, რომ ქართველური ენები ინდოევროპულ ენათა ოჯახს ეკუთვნიან. მაგრამ ფრ. ბოპის ცდამ საწინააღმდეგო შედეგები მოიტანა: ყველა დარწმუნდა, რომ ქართველური ენები არ არიან ინდოევროპულთან ნათესაურს კავშირში.

ათიოდე წლის შემდეგ ეს აზრიც გამოითქვა (მაქს მიულერის მიერ), რომ ქართველური ენები ურალურ-ალტაურ (ანუ თურანულ) ენათა ოჯახის შორეული წევრებიაო.

ფრიდრიხ მიულერმა მესამოცე წლებში წამოაყენა დებულება, რომ ქართველური და საერთოდ, კავკასიური ენები ამჟამად განმარტოებით მდგომი ჯგუფია[2]; სხვა ამჟამად ცნობილ ენათა ოჯახებთან

---

[1] სოფელი ასე იწოდა გადმოსახლების ინიციატორ ედ ზინო სილიკაშვილის სახელთან დაკავშირებით.

[2] ამავე აზრისა იყვნენ: შლაიხერი, შაიგელი.

ნათესაურს კავშირში ენათა ეს ჯგუფი არ იმყოფება. კავკასიური ენები ნაშთია ოდესღაც მთელ მცირე-აზიასა და ხმელთა შუა ზღვის სანაპიროებზე ფართოდ გავრცელებული ენათა ოჯახისა, რომლის ნაშთს დასავლეთში უნდა წარმოადგენდეს ბასკური (პირენეის ნახევარ კუნძულზეა, ესპანიის ჩრდილო-დასავლური კუთხე და საფრანგეთის სამხრეთ-დასავლეთის სანაპირო პროვინცია). ფრ. მიულერის აძ ახრის მხურვალე დამცველი იყო ჩვენში პროფ. ალ. ცაგარელი, რომელიც მიუცილებლად თვლიდა ქართულის, ჭანურ-მეგრულისა და სვანურის ისტორიული გრამატიკისა და შედარებითი ლექსიკონის დამუშავებას: ამის გარეშე შეუძლებელია სხვა ენებთან ნათესაური ურთიერთობა ვეძიოთ.

1888 წელს გაზ. „ივერიაში“ გამოქვეყნდა წერილი: „ბუნება და თვისება ქართული ენისა“; მისი ავტორი პეტერბურგის (აწინდელი ლენინგრადის) უნივერსიტეტის აღმოსავლურ ენათა ფაკულტეტის მეორე კურსის სტუდენტი ნიკო მარი გადაჭრით ამბობდა: „ქართული სემიტურ ენებს ენათესავება“-ო. ოცი წლის შემდეგ 1908 წელს გამოვიდა იმავე ავტორის, უკვე პროფესორის გამოკვლევა: „ძველი ქართულის ძირითადი ტაბულები წინასწარი ცნობებით ქართული ენის სემიტურ ენებთან ნათესაური ურთიერთობის შესახებ“. აქ ქართული, ჭანურ-მეგრული და სვანური წოდებულია „**იაფეტურ ენათა ოჯახად**“ ნოეტურ ენათა ოჯახისა; იმავე ოჯახის მეორე **შტოდ** აღიარებულია სემიტური ენები. ტერმინი „იაფეტური“ ავტორმა აირჩია იმ მიზნით, რომ ამ თავითვე წაზი გაესვა—სემიტური ენების მონათესავე ენებთან გვაქვს საქმეო: ბიბლიური ნოეს ორი შვილის, სემისა და ქამის, სახელები უკვე იხმარებოდა ენათა ოჯახების აღსანიშნავად, მესამე შვილის იაფეტის სახელი ქართველური ენების აღსანიშნავად იქნა გამოყენებული.

სხვა კავკასიურ ენებზე (აბხაზურზე, ხუნძურზე...) მუშაობისას აკად. ნ. მარისათვის ცხადი გახდა, რომ შედარებისას არ შეიძლება ქართველური ენების გამოყოფა, რადგანაც ქართველური ენები ნათესაურ კავშირშია სხვა კავკასიურ ენებთან. ქართველური სხვა კავკასიურ ენებთან ერთად გამოცხადებულ იქნა **იაფეტურ ენათა ოჯახად**, სემიტურ ენებთან ნათესაობის საკითხი უკანა რიგში მოექცა და თვით იაფეტურ ენათა ოჯახის მრავალრიცხოვანი წევრების ბუნება-თვისების გარკვევა მოექცა ყურადღების ცენტრში.

კავკასიური ენები ფონეტიკური პრინციპის მიხედვით სამ ძი-

რითად ჯგუფად დაიყო; ესაა: სიბილანტური, სპირანტული[1] და სონანტური ჯგუფი; როცა სიბილანტურ ჯგუფში, ვთქვათ, სისინა ს გვაქვს, სპირანტულში მას ჭ შეესატყვისება (სონანტურში—ნ || რ?); შდრ. მაგალ. ქართული „სული" და სვანური „ქუინ"... სიბილანტურ ჯგუფში შედის ქართული (სისინა: „სვამს") და ჭანურ-მეგრული (შიშინა: „შუმს || შუნს").

ნ. მარის ზემოხსენებული კლასიფიკაციის მიხედვით სპირანტული ჯგუფის წარმომადგენლებია კავკასიის მთიანეთის ენები (ადიღეური, ყაბარდოული, ჩაჩნური ჯგუფი და დაღისტნის ენები მთლიანად).

ამ სამი წმინდა ტიპის გარდა მოგვეპოება მთელი რიგი ნარევი ტიპი; ასე, მაგალ.: სისინა-სიბილანტური და სპირანტული ტიპის ნარევია ჰაიკური ენა (ძველი სომხური სალიტერატურო ენის საფუძველი) და აბხაზური ენა; შიშინა სიბილანტური და სპირანტული ტიპის ნარევია ჰაიური (ახალი სომხური სალიტერატურო ენის საფუძველი) და სვანური.

შემდგომში იაფეტურ ენებს აკად. ნ. მარმა დაუკავშირა: ბასკური და ვერშიკული—პამირში—(სისინა სიბილანტური და სპირანტული ჯგუფის ნარევიაო), ძველი იტალიის აწ მკვდარი ენა—ეტრუსკული (შიშინა სიბილანტური და სპირანტულის ნარევი), ძველი მცირე აზიის აწ მკვდარი ენები: ელამური, სუმერული, ქალდური (სამივე სპირანტული და სონანტური ჯგუფების[2] ნარევია). ამგვარად კონკრეტიზაცია პოვა იმ აზრმა, რომელიც ფრ. მიულერმა გამოთქვა: კავკასიური ენები ნარჩენია ენათა დიდი ოჯახისა, რომელიც მცირე აზიასა და ხმელთაშუა ზღვის მთელს აუზს მოიცავდა და რომლისაგან დასავლეთში ბასკური დაგვრჩა.

ამ მრავალრიცხოვან ენათაგან კავკასიური ენები ყველაზე მრავალრიცხოვანი ცოცხალი წევრებია; ამ ენათა უაღრესად რთული და იშვიათად მდიდარი ენობრივი სინამდვილე რომ ჯეროვნულად შესწავლილი ყოფილიყო, ფრ. მიულერის აზრსა და აკად. ნ. მარის თეორიას შეიძლებოდა მკვიდრი საყრდენი მოეპოებინა. სამწუხაროდ, არც ერთი კავკასიური ენა არ არის სათანადოდ შესწავლილი; თვით ყველაზე უკეთ შესწავლილი ქართველური ენების აგებულების ძირი-

---

[1] არა ერთხელ ყოფილა აღნიშნული, რომ ტერმინი „სპირანტი" არ გამოდგება იმის აღსანიშნავად, რასაც აკად. ნ. მარი გულისხმობს; „სპირანტი" ლრიჭოვან ბგერებს ეწოდება (ს, ზ, შ, ჟ), აკად. ნ. მარი კი გულისხმობს სულ სხვა ბგერებს (ჰ, ჲ, ჭ...).

[2] სონანტური ჯგუფის წმინდა წარმომადგენლები არაა დასახელებული.

თადი პრობლემები არ არის გარკვეული; სხვა კავკასიურ ენებში საუკეთესო შემთხვევაში აღწერითი გრამატიკებიღა გაგვაჩნია; ხშირია ისეთი შემთხვევა, როცა ისიც არ არის დადგენილი, ესა თუ ის ერთეული ენაა თუ კილო; ერთი სიტყვით, არავინ იცის ბოლოს და ბოლოს, რამდენი ენაა კავკასიის მთიანეთში, რომ არაფერი ვთქვათ ამ ენათა დიალექტების ისტორიულ-შედარებითი შესწავლის შესახებ, რომლის გარეშე კავკასიურ ენათა მეცნიერული შესწავლა მკვიდრ ნიადაგზე ვერ დადგება.

ამჟამად, აკად. ნ. მარი, როგორც ზევითაც აღვნიშნეთ, არ ცნობს ენათა ნათესაობას, იაფეტური ენები სისტემას ქმნიან (და არა ოჯახს) და მათი მასალა ენის წარმოშობის საკითხისათვის გამოიყენება...

§ 46. კავკასიური ენების ურთიერთობა სხვა ოჯახის ენებთან.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ მთელი რიგი მკვლევრები ცდილობდენ და ცდილობენ დააკავშირონ კავკასიურ ენებთან ბასკური, აგრეთვე მცირე აზიის ძველი, ამჟამად მკვდარი ენები. ამასთანავე არა ერთხელ უცდიათ ბასკურისა და ქამიტური ენების ნათესაური ურთიერთობა ცხადეყოთ.

გეორგ ფონ-დერ-გაბელენცი **ბასკურს** უკავშირებდა ბერბერულ ენას (ჩრდილო აფრიკაში); მისი ნაშრომი („ბერბერულ ენებთან ბასკურის ნათესაობის“ შესახებ) გამოვიდა ავტორის სიკვდილის შემდეგ 1894 წელს.

ჰუგო შუხარდტიც ბასკურს უკავშირებს ქამიტურ ენებს (სახელდობრ, ნუბა ენას); იმავე დროს შუხარდტი ბასკურისა და კავკასიური ენების ნათესაური ურთიერთობის საკითხს დადებითად ეკიდება; საამისო გამოკვლევათაგან: „იბერიული ბრუნება“ გამოქვეყნებულია 1907 წ.; „ენათა ნათესაობის მეთოდური კვლევისათვის“— 1912 წ., „ბასკურ-ქამიტური სიტყვათტოლობა“— 1913 წ., ხოლო მრავალმხრივ საყურადღებო გამოკვლევა: „ტრანსიტივის ვნებითური ხასიათისათვის კავკასიურს ენებში“ ჯერ კიდევ 1895 წ. ეკუთვნის.

ქამიტურ-სემიტური და კავკასიური ენების ნათესაობას იცავს ა. ტრომბეტიც 1903 წელს გამოქვეყნებულს გამოკვლევაში; იმავე დროს იგი არ უარყოფს ბასკურისა და ქამიტურ-სემიტური ენების ურთიერთობას. ბასკური ქამიტურ-სემიტურ ენებს ენათესავება, მაგრამ უფრო ახლოს კავკასიურ ენებთან დგასო, ამტკიცებს კ. ოშტირი („მასალები ალაროდიული ენათმეცნიერებისათვის“, 1921). ბასკურისა და მცირე აზიის ძველი ენების კავშირის მომხრეა ჰ. ვინკლერი.

რაც შეეხება **წინა აზიისა** და მცირე აზიის ძველი ენებისა და კავკასიური ენების ურთიერთობას:

ელამურსა (და ქალდურს) უკავშირებს კავკასიურ ენებს გ. ჰიუზინგი, აგრეთვე ფ. ბორკი; გ. ჰიუზინგის სათანადო გამოკვლევები ეკუთვნის 1908, 1916 წწ., კერძოდ კავკასიურ ენათაგან გ. ჰიუზინგი წახურულს უკავშირებს ელამურს; იმავე ელამურს იგი მეორე მხრივ აკავშირებს დრავიდულ ენებთან (ცეილონში).

მიტანი-ენას კავკასიურ ენებს აკუთვნებდა ჯერ კიდევ ლ. მესერშმიდტი (1899), შემდეგ ფ. ბორკი (1909—1913 წ.); ამასვე უჭერს მხარს ა. ტრომბეტიც.

ფ. ბორკი იცავს ჰეტურისა და კავკასიური ენების კავშირს; ფრ. ჰროზნიმ გაარკვია, რომ ხეთურ ენათაგან ინდოევროპულია ორი ენა: კანესური და ლუური; ეს დამპყრობელთა ენებია; ადგილობრივ მკვიდრთა ენებია **ხატიური** და **ხარიული**[1] (Chatti, Charri); მათგან ხარიული ენათესავება **მიტანი**-ენას და ამ უკანასკნელთან ერთად ეკუთვნის კავკასიურ ენათა წრესო.

ძველის ძველი **სუმერული** ენა კავკასიურ ენად მიაჩნიათ ფ. ბორკსა და ი. ტრომბეტის; ცნობილი ასირიოლოგი მიხ. წერეთელი სუმერულს აკავშირებდა ქართულთან. აღსანიშნავია, რომ სუმერულს სხვადასხვა მკვლევარი სულ სხვადასხვა ენებთან აკავშირებდა: ოპერტი, ლენორმანი, ჰომელი—ურალურ-ალტაურ ენებთან, გ. ჰიუზინგი—ტიბეტ-ბირმანის ენებთან, კერძოდ, ბირმანულთან, ა. დრექსელი—ცენტრალური აფრიკის ერთ-ერთ ენასთან (ბორნუ-ენასთან); კ. მაინჰოფი სუმერულში ქამიტურსა და სუდანურ ტიპებს ხედავდა, თ. კლუგეს სუმერული აფრიკისა და ოკეანიის ენად მიაჩნდა, თითქმის ამავე აზრს იმეორებს ვ. ქრისტიანი, როცა სუმერულს მალაიურ-პოლინეზიურ ენათა წყებას აკუთვნებს („წინარე მალაური ენა“). ასეთ პირობებში გასაკვირი არ არის, სემერული კავკასიურ ენებთან დაკავშირებულადაც მიიჩნიოს ამა თუ იმ მკლევარმა. ასეთი დაკავშირება მით უფრო ადვილია, რაც უფრო ნაკლებად არის შესწავლილი ის ენა, რომელსაც აკავშირებენ და ის ენები, რომლებთანაც აკავშირებენ.

რა თქმა უნდა, შემთხვევითი არ შეიძლება იყოს ის ფაქტი, რომ ისტორიკოსნი და ენათმეცნიერები ცდილობენ კავკასიურ ენებს

---

[1] ი. ფრიდრიხი წინადადებას იძლევა ადგილობრივ მკვიდრთა ენებისათვის ხმარებულ იქნეს ტერმინი „პროტოხატიური“, ჰეტური კი დარჩეს კანესურის ნაცვლად.

დაუკავშირონ ბასკური, წინა აზიისა და მცირე აზიის ძველი ენები (ელამური, ქალდური, მიტანი, ქეტური...). ზემოხსენებულ მეცნიერთა აზრი კვლავ გვაბრუნებს ფრ. მიულერის შეხედულებასთან: კავკასიური ენები ისევე, როგორც ბასკური, ნარჩენია ოდესღაც ფართოდ გავრცელებული ენათა ოჯახისა... მაგრამ ამ ენათა ურთიერთობის შესახებ გამოთქმული აზრი მანამდის ვერ იქცევა მეცნიერულ დებულებად, სანამდის საფუძვლიანად არ იქნება შესწავლილი თვით კავკასიურ ენათა უაღრესად რთული და მეტის მეტად მდიდარი სამყარო, კერძოდ, არ იქნება გარკვეული ამ ენათა ურთიერთობა. კვლევა-ძიებას განსაკუთრებით ართულებს აქ ის გარემოება, რომ კავკასიური ენები წარმოადგენენ რთულ ამალგამას, ენათა შერევის ნიადაგზე მიღებულს და ხშირად, როცა ამ ენებში მსგავს მოვლენებს ვხვდებით, ძნელი გადასაწყვეტია, საერთო მემკვიდრეობის დიფერენციაციად უნდა მივიჩნიოთ იგი თუ სხვადასხვა ენის დაახლოება-შერევის შედეგად უნდა დავსახოთ.

VI. მეტყველების ნაწილები.

§ 47. **მეტყველების ნაწილთა ტრადიციული კლასიფიკაცია.** აფიქსების ვითარებასთან დაკავშირებულია მეტყველების ნაწილთა საკითხი. ტრადიციულის გაგებით მეტყველების ნაწილი არის ცხრა: 1. **არსებითი სახელი** (კითხვებზე: ვინ? რა?—მასწავლებელი, მგზავრი, ბეზობელი... წიგნი, ფანქარი, ხე, ქვა, ჰაერი, გონება, გრძნობა, ახრი, მოვალეობა, სისასტიკე, სილამაზე...); 2. **ზედსართავი სახელი** (კითხვებზე: როგორი? რანაირი? სადაური? როდინდელი?—სასტიკი, ლამაზი, წითელი, ლურჯი, თხელი, წყლიანი, გონიერი, რუსული, ლეკური, გუშინდელი, ახლანდელი...); 3. **რიცხვითი სახელი** (კითხვებზე: რამდენი? მერამდენე?—ცხრა, ორმოცდაშვიდი, ათასი, მეოთხედი, მესამედი... მეორე, მესამე, მერვე...) 4. **ნაცვალსახელი** (პიროვნებითი: მე, შენ, მან, ჩვენ, თქვენ, მათ... ჩვენებითი: ეს, ეგ, ის, ეგი; ესენი, ეგენი, ისინი, იგინი... კითხვითი: ვინ? რა? რომელი?.. განსაზღვრებითი; ვინც, რაც, რომელიც... განუსაზღვრელობითი: როშელიმე, რამდენიმე, ვილაცა, რალაცა...); 5. **ზმნა** (კითხვებზე: რას შვრება? რა ემართება? წერს, მუშაობს, თამაშობს... კვდება, ცოცდება, ლურჯდება, იკარგება...) 6. **ზმნისართი** (აქ, მანდ, წინ, უკან, გარეთ, შიგნით, ახლოს, შორს... ახლა, გუშინ, შარშან, ადრე, გვიან...); 7. **თანდებული** (-კენ,-თვის,-გან—ძმისა**კენ**, ძმისა**თვის**;-ზე,-ში, თან: ძმა**ზე**, ძმა**ში**, ძმას**თან**...); 8. **კავშირი** (და: დავითი **და** სიმონი; **თუ, რომ, როცა**...); 9. **შორისდებული** (ვაშა! ვიშ! იფ! ვაი!...).

როგორც სათანადო კითხვებიდან ჩანს, მეტყველების ნაწილთა უმეტესობა (ცხრიდან ხუთი) გამოყოფილია იმის მიხედვით, **რას აღნიშნავს სიტყვა**—„საგანს“ (არსებითი სახელი), თვისება-რაგვარობას (ზედსართავი სახელი), რიცხვს (რიცხვითი სახელი), მოქმედებას, ვითარებას (ზმნა), გრძნობებს (შორისდებული); დანარჩენი ოთხი დახასიათებულია იმის მიხედვით, თუ რა როლს ასრულებს ესა თუ ის სიტყვა სხვა სიტყვებთან ურთიერთობაში ანდა რა მიმართებაშია სხვა სიტყვებთან (კავშირი აკავშირებს, თანდებული თან დაყვება სახელს, ზმნისართი ზმნას ერთვის მნიშვნელობის მიხედვით, ნაცვალსახელი „სხვა სახელთა ნაცვლად იხმარება“).

მაშასადამე, ყველგან კრიტერიუმია—რას აღნიშნავს სიტყვა, რა როლს ასრულებს იგი.

მეტყველების ნაწილთა შესახებ მოძღვრება ყოველთვის არ ყოფილა ასეთი სახისა: არც მეტყველების ნაწილთა რაოდენობა, არც მეტყველების ნაწილთა დახასიათება იმ თავითვე არ იყო ასეთი. ორიოდე ცნობა ისტორიული ხასიათისა ამის გასარკვევად. პირველი დამთავრებული სქემა მეტყველების ნაწილთა მოცემულია დიონისე თრაკიელის „ტექნე გრამატიკე"-ში („გრამატიკულ ხელოვნებაში"), რომელიც ეკუთვნის მეორე საუკუნეს ჩვენს წელთაღრიცხვამდის. ეს გრამატიკა ბერძნული ენის გრამატიკაა. მასში რვა მეტყველების ნაწილია; სახელდობრ: 1. სახელი, 2. ნაცვალსახელი, 3. ნაწევარი ანუ ართრონი, 4. ზმნა 5. მიმღეობა. 6. ზმნისართი 7. კავშირი და 8. წინდებულები.

ამ კლასიფიკაციაში მეტყველების ნაწილის დახასიათებისას მხედველობაში იყო მიღებული, როგორც სიტყვის მნიშვნელობა, ისე სიტყვის ფორმა; ასე, მაგალითად, სახელის შესახებ ნათქვამია: „სახელი არის სიტყვა, რომელიც იცვლება ბრუნვათა მიხედვით და აღნიშნავს საგანს ან მოქმედებასაო"... რა თქმა უნდა, აქაც საკლასიფიკაციო ნიშანი ბოლომდის არ არის დაცული; ზოგი სიტყვა დახასიათებულია იმის მიხედვით, თუ რა თვისებები გააჩნია მას თითონ, ზოგიც—იმის მიხედვით, თუ რა როლს ასრულებს იგი სხვა სიტყვის მიმართ (ამაზე—ქვემოთ).

რა მეტყველების ნაწილებია აქ ზედმეტი აწინდელ ტრადიციულ კლასიფიკაციასთან შედარებით? რა მეტყველების ნაწილი გვაკლია? შევადაროთ დიონისე თრაკიელის სქემა და ტრადიციული სქემა.

დიონისეს სქემა:	ტრადიც. სქემა:
1. სახელი	1. არსებითი სახელი
2. ნაცვალსახელი	2. ზედსართავი სახელი
3. ნაწევარი ანუ ართრონი	3. რიცხვითი სახელი
4. ზმნა	4. ნაცვალსახელი
5. მიმღეობა	5. ზმნა
6. ზმნისართი	6. ზმნისართი
7. კავშირი და	7. კავშირი
8. წინდებული	8. თანდებული (ევროპ. ენებში: წინდებული) 9. და შორისდებული.

დიონისე თრაკიელის სქემაში მეტია: 1. მიმღეობა (მკეთებელი გაკეთებული, გასაკეთებელი); იგი ახლაც ზმნისაგან ნაწარმოებ სახე-

ლებში შედის და ცალკე მეტყველების ნაწილად ისევე არ გამოიყოფა, როგორც მოქმედების აღმნიშვნელი ნახმნარი სახელი, მასდარი; (ქეთება); 2. ნაწევარი ანუ ართრონი ბერძნულ სახელებს დაერთოდა სქესის აღსანიშნავად ისევე, როგორც გერმანულში ამჟამად დაყვება der, die, das ანდა ფრანგულში le, la. დანარჩენი ექვსი მეტყველების ნაწილი ტრადიციულს კლასიფიკაციაშიც არის დაცული. დიონისე თრაკიელის სქემაში გვაკლია: 1. ზედსართავი სახელი, 2. რიცხვითი სახელი, და 3. შორისდებული. ამათგან შორისდებული რომაელმა გრამატიკოსებმა დაურთეს: ლათინურში სახელს ნაწევარი არ დაერთვის; ამიტომ ნაწევარი კლასიფიკაციიდან ამოიღეს და მერვე წევრად შემოიტანეს შორისდებული. ზედსართავი და რიცხვითი სახელები დიონისეს სქემაში შედიოდა სახელებში, როგორც სახელთა გარკვეული სახე. ცალკე მეტყველების ნაწილად ზედსართავი სახელები გამოყვეს საშუალო საუკუნეებში სუბსტანციისა და ატრიბუტის შესახებ ფილოსოფიურ მოძღვრებასთან დაკავშირებით: სუბსტანციის აღმნიშვნელი სახელი—იწოდა სუბსტანტივად ანუ არსებით სახელად, ატრიბუტის აღმნიშვნელი სახელი—ატრიბუტივად ანუ ზედსართავ სახელად. რიცხვითი სახელი ცალკე მეტყველების ნაწილად სახელებს გამოეყო მეჩვიდმეტე საუკუნეში.

ამგვარად, ძირითადი ცვლილება დიონისეს სქემაში არ შეეტანათ, ოღონდ საკლასიფიკაციო ნიშნის შერჩევისას სიტყვის ფორმა სრულიად უყურადღებოდ იქნა დატოვებული და მხოლოდ მნიშვნელობა სიტყვისა გახდა ამოსავალი; წინეთ, კლასიფიკაციის სქემა ფორმასაც უწევდა ანგარიშს, საჭიროების დროს კლასიფიკაციაში ცვლილებაც შეჰქონდათ: რომაელებს თავის ენაში **არ გააჩნდათ ნაწევარი** და საკლასიფიკაციო სქემიდანაც **ნაწევარი ამოიღეს.** ტრადიციული სქემა მხოლოდ მნიშვნელობას უწევს ანგარიშს, კლასიფიკაციის დროს სიტყვის ფორმა მხედველობაში არ მიიღება; ამიტომ კლასიფიკაცია საყოველთაო ხასიათისა ხდება: **ის გამოსადეგია ყველა ენისათვის იმიტომ, რომ არც ერთი ენის სიტყვათა აგებულებას არ უწევს ანგარიშს;** ასე და ამრიგად ბერძნული ენის სიტყვათა კლასიფიკაცია იქცა საერთო მოძღვრებად „მეტყველების ნაწილების“ შესახებ.

ერთი გარემოებაც: წინეთ იყო ტერმინი „სიტყვის ნაწილი“, ახლა გვაქვს „მეტყველების ნაწილი“. „სიტყვის ნაწილი“ ზედმიწევნითი თარგმანია ბერძნული „მერე ტუ ლოგუ“-სი და ნიშნავს „წი-

ნადადების ნაწილს". [1] „სიტყვის ნაწილი არის ცხრა" ნიშნავს: „წინადადებაში შემავალი სიტყვები ცხრანაირი შეიძლება იყოს.

§ 48. ტრადიციული კლასიფიკაციის ნაკლოვანებანი. ორი ძირითადი ნაკლი ახასიათებს მეტყველების ნაწილთა ტრადიციულ კლასიფიკაციას: 1. ის უვარგისია, როგორც კლასიფიკაცია და 2. ის უნდა იყოს მორფოლოგიური კლასიფიკაცია, არის კი უპირატესად სემასიოლოგიური.

1. კლასიფიკაციის მიზანია სიმრავლეში მსგავს მონაცემთა ცალკე ჯგუფებად დაყოფა და ამით სიმრავლეში გარკვევის გაადვილება. ერთეული მონაცემის კლასიფიკაცია არ შეიძლება და არც არის საჭირო. მრავალი მონაცემის ჯგუფებად დაყოფა გარკვეული ნიშნის მიხედვით ხდება. არ შეიძლება ერთი ჯგუფი ერთი ნიშნის მიხედვით გამოვყოთ, მეორე—მეორისა, მესამე—მესამისა და სხვ.: ჯგუფებად დაყოფის პროცესში სახელმძღვანელო ნიშანი (კლასიფიკაციის საფუძველი) არ უნდა შეიცვალოს; წინააღმდეგ შემთხვევაში ერთი და იგივე მონაცემი რამდენიმე ჯგუფში შეიძლება აღმოჩნდეს. მაგალითად, სტუდენტების კლასიფიკაცია შეიძლება მოვახდინოთ სხვადასხვა ნიშნის მიხედვით: ა. ფაკულტეტის მიხედვით, რომელზადაც ისინი სწავლობენ: ისტორიული, ფიზიკურ-მათემატიკური, ეკონომიური ფაკულტეტისა... და სხვ. ბ. კუთხის მიხედვით, საიდანაც არიან: იმერელი, კახელი, გურული, ხევსური, ქართლელი, მეგრელი... გ. სქესის მიხედვით...; დ. სოციალური წარმოშობის მიხედვით... გ. წარმატების მიხედვით: ჩამორჩენილი, საშუალო, მოწინავე... ვთქვათ, 50 სტუდენტი გვყავს; ფაკულტეტების მიხედვით: აქედან: ისტორიულ ფაკულტეტზეა 15, ფიზიკურ-მათემატიკურზე—10, ეკონომიურზე—17, ენისა და ლიტერატურისაზე —8; კუთხეების მიხედვით: იმერელი—9, კახელი—14, გურული—6, ხევსური—4, ქართლელი—12, მეგრელი—5; სქესის მიხედვით: ვაჟი 28, ქალი—22...

შეიძლება პირველი დაყოფის შედეგად მიღებული ჯგუფები კვლავ დავაკლასიფიციროთ ახალი ნიშნის მიხედვით: კლასიფიკაცია განვაგრძოთ თანამიმდევრობით: ისტორიულ ფაკულტეტზე—15 სტუდენ-

---

[1] მეთვრამეტე საუკუნის ჩვენი გრამატიკოსები (ანტონი და მისი სკოლა) წინადადებისათვის ხმარობდა „სიტყვას", სიტყვისათვის „ლექს"-ტერმინს; ჩვენ ვამბობთ:—წინადადება შედგება სიტყვებისაგანო, ისინი იტყოდენ: „სიტყვა შედგება ლექსებისაგანო".

ტი: აქედან ვაჟი—9, ქალი—6; ფიზიკურ-მათემატიკურზე 10 სტუდ.: ვაჟი 7, ქალი—3; ეკონომიურზე—17 სტუდ.: ვაჟი—8, ქალი—9... და სხვა.

მაგრამ სრულიად შეუძლებელია ეს სტუდენტები დავაჯგუფოთ **ერთსა და იმავე დროს სხვადასხვა ნიშნის** მიხედვით და ვთქვათ: ეს სტუდენტები იყოფიან ისტორიკოსებად, ქახელებად, ვაჟებად და წარჩინებულებად. ისტორიკოსი შეიძლება იყოს ქახელიც, ვაჟიც და და იმავე დროს წარჩინებულიც... ერთი მეორეს არ გამორიცხავს.

კლასიფიკაციის პროცესში საკლასიფიკაციო ნიშნის ცვლა დაუშვებელ ლოგიკურ შეცთომად ითვლება, და სწორედ ეს შეცთომაა დაშვებული მეტყველების ნაწილთა ტრადიციულს კლასიფიკაციაში (აგრეთვე დიონისე თრაკიელის სქემაში), როცა ხუთი წევრი გამოყოფილია ნიშის მიხედვით, რას აღნიშნავს სიტყვა, ოთხი კი—იმის მიხედვით, თუ რა როლს ასრულებს იგი სხვა სიტყვებთან ურთიერთობაში. აი ორიოდე ნიმუში: „სტუდენტებმა ველარ შეიძინეს ის წიგნი, **რომელიც** მათ პროფესორმა ურჩია"... სიტყვა „**რომელიც**" ნაცვალსახელია (იხ. ზემოთ); მაგრამ სრული უფლება გვაქვს იგი „კავშირად" გამოვაცხადოთ: ეს სიტყვა აკავშირებს ორ წინადადებას (სტუდენტებმა ველარ შეიძინეს წიგნი—„რომელი"? „რომელიც მათ პროფესორმა ურჩია"). ანდა ავიღოთ ზედსართავი სახელის მაგალითი; თუ ვიტყვით: „ზედსართავი თვისებას აღნიშნავსო", „სიმაღლე, სილამაზე, სიწითლე"—ყველა თვისებას აღნიშნავს; თუ ვიტყვით „ზედსართავი სხვა სახელს განმარტავსო", ზედსართავებში გადაირიცხება მრავალი არსებითი სახელი (**ექიმი** ქავთარაძე, **მასწავლებელი** პეტრე, **ამხანაგი** დავითი), რიცხვითი სახელი (ხუთი წიგნი, ცხრა ძმა...)... თუ ორივე ნიშანს ერთად ავიღებთ და ვიტყვით: ზედსართავი სახელი თვისებას აღნიშნავს და სხვა სახელს განმარტავსო, ეს იქნება ახალი რთული ნიშნის მიხედვით მეტყველების ნაწილის გამოყოფა, ე. ი. ისევ კლასიფიკაციის ელემენტარული წესების დარღვევა.

დასკვნა: მეტყველების ნაწილთა ტრადიციული კლასიფიკაცია უვარგისია, როგორც კლასიფიკაცია.

2. დიონისე თრაკიელი წინადადებაში შემავალ სიტყვებს აჯგუფებდა—სიტყვის, ე. ი. წინადადების ნაწილებად. ცალკე სიტყვის ყოველმხრივი გარჩევა (ბრუნება, უღლილება, სიტყვაწარმოება...) იყო მოცემული დიონისეს გრამატიკაში, რომელიც გარდა ამისა მხოლოდ ფონეტიკის ელემენტებს იძლეოდა, ისიც პრიმიტიული სახით.

მეორე საუკუნეში ქრ. შემდეგ ამას სინტაქსი დაემატა; საშუალო საუკუნეებში სასკოლო ტექნიკური გრამატიკა შედგებოდა ძირი-

თადად სამი ნაწილისაგან: ეტიმოლოგიისა, სინტაქსისა და ორთოგრაფიისაგან. ეტიმოლოგია განიხილავდა ცალკე სიტყვებს, სინტაქსი სწავლობდა სიტყვათა შეთხზვის წესებს, ორთოგრაფია მართლწერის ნორმებს იძლეოდა. **ცალკე სიტყვის ყოველგვარი შესწავლა მეტყველების ნაწილებთან დაკავშირებით იყო მოცემული ეტიმოლოგიაში.** ცალკე სიტყვას გრამატიკის არც ერთი სხვა დარგი არ განიხილავდა. მეცხრამეტე საუკუნეში ცალკე სიტყვას (იხ. § 25) სწავლობენ: **სემასიოლოგია, მორფოლოგია და ეტიმოლოგია,** წინანდელი ეტიმოლოგიის მაგივრობას სამი დარგი ასრულებს და ყოველი მათგანი შეისწავლის სიტყვას გარკვეულის თვალსაზრისით: მორფოლოგია—ფორმის თვალსაზრისით, სემასიოლოგია—მნიშვნელობის თვალსაზრისით, ეტიმოლოგია—ფუძეში მოცემული დახასიათების გარკვევის, პირველადი შინაარსის ძიების მიზნით. რომელ დარგში დარჩა მეტყველების ნაწილთა შესახებ მოძღვრება? მორფოლოგიაში. მაშასადამე, ცნება „მეტყველების ნაწილისა" **მორფოლოგიის ცნებაა და ამ ცნების დადგენისას საფუძველი მორფოლოგიური ნიშანი უნდა იყოს.**

როცა მეტყველების ნაწილებს გაშოყოფენ იმის მიხედვით, თუ როგორია სიტყვის მნიშვნელობა ანდა სხვა სიტყვასთან დამოკიდებულება, ესაა სემასიოლოგიური და სინტაქსური კვალიფიკაცია: **მორფოლოგიური ცნება სემასიოლოგიური და სინტაქსური ნიშნის მიხედვით ყალიბდება.**

სანამ სემასიოლოგია ცალკე დარგად არ იყო ჩამოყალიბებული, სიტყვის მორფოლოგიური და სემასიოლოგიური დახასიათება ძალაუნებურად ერთად წარმოებდა, მაგრამ **მორფოლოგიური და სემასიოლოგიური თვალსაზრისის არევა აუტანელი ანაქრონიზმია სემასიოლოგიისა და მორფოლოგიის ცალკე დარგებად არსებობის პირობებში.** წარსულის ინერციის გაგრძელებას აქ არავითარი გასამართლებელი საბუთი არ გააჩნია, თვით ამ ინერციას თუ არ მივხედეთ საბუთად.

§ 49. მორფოლოგიური და სემასიოლოგიური მომენტის ურთიერთობა სიტყვაში. ხომ არ შეიძლებოდა **ერთსა და იმავე დროს სემასიოლოგიურიცა და მორფოლოგიური დახასიათებაც** მოგვეცა მეტყველების ნაწილებისათვის, მორფოლოგიური პრინციპიც დაგვეკვაყოფილებინა და ტრადიციული ხაზიც შეგვენარჩუნებინა? მართლაცდა, რა დაუშლიდა სახელი განგვესაზღვრა, როგორც სიტყვა, რომელიც საგანს აღნიშნავს და იბრუნვის; ზმნა, როგორც სიტყვა,

რომელიც მოქმედება-ვითარებას აღნიშნავს და იუღვლება, ზედსართავი სახელი, როგორც თვისების აღმნიშვნელი სიტყვა, რომელიც სქესების მიხედვით იცვლება და სხვა.

რა თქმა უნდა, ეს მოხერხებული აღმოჩნდებოდა ისეთ ენებში, როგორიც არის რუსული, სადაც საგნის აღმნიშვნელი სიტყვა ბრუნებადიც არის, პირის მოქმედება-ვითარების აღმნიშვნელი სიტყვა უღვლილებადიც არის, საგნის თვისების აღმნიშვნელი სიტყვა სქესის მიხედვითაც იცვლება... მართალია, აქაც დაბრკოლებებს წავაწყდებოდით, მაგრამ მაინც ეს დაბრკოლებები დასაძლევი იქნებოდა; მაგრამ ეს არ იქნებოდა საკითხის პრინციპული გადაწყვეტა; ვთქვათ, არის ისეთი ენა, სადაც საგნის აღმნიშვნელი სიტყვები მოგვეპოება, მაგრამ ეს სიტყვები არ იბრუნვის (ასეთია, მაგალითად, აბხაზური), ანდა თვისების აღმნიშვნელი სიტყვები აქვს ენას, მაგრამ ეს სიტყვები სქესების მიხედვით არ იცვლება (ასეთია ქართული ენა: შდრ. მაღალი და ВЫСОКИЙ, ВЫСОКАЯ, ВЫСОКОЕ). გვექნება თუ არა აბხაზურში არსებითი სახელი, ქართულში—ზედსართავი სახელი? ორმხრივი დახასიათების მომხრე ან „კი“-ს იტყვის ან „არა“-ს. თუ „არა“ თქვა, ის მორფოლოგიურ დახასიათებას აძლევს უპირატესობას, ორმხრივ დახასიათებაში მისთვის გადამწყვეტი ყოფილა მორფოლოგიური და არა სემასიოლოგიური მხარე; როცა ის ლაპარაკობდა: „არსებითი სახელი ისეთი სიტყვაა, რომელიც საგანს აღნიშნავს და ბრუნვათა მიხედვით იცვლებაო“, მას თურმე უკანასკნელი მომენტი მიაჩნდა გადამწყვეტად, ე. ი. მისი თვალსაზრისი არაფრით გაირჩეოდა იმის თვალსაზრისისაგან, ვინც სახელს ბრუნებად სიტყვად თვლის; სხვანაირად რომ ვთქვათ, ის არსებითად მხოლოდ მორფოლოგიურად ახასიათებდა თავის გაწსაზღვრებაში სახელს.

დავუშვათ, რომ ორმხრივი დახასიათების მომხრემ განაცხადა: „რაჯაქვირველია, აბხაზურს არსებითი სახელი გააჩნია, და ქართულშიც ზედსართავი სახელები გვაქვსო“... მაშასადამე, მისთვის საკითხს სემასიოლოგიური მხარე წყვეტს და ორმხრივს დახასიათებაში ეს მხარე ყოფილა მისთვის არსებითი, მორფოლოგიური მომენტი არაფრის მაქნისი, ზედმეტი ბარგი გამოდის: ორმხრივი დახასიათების ასეთი მომხრე აბხაზურში გამოყოფს არსებით სახელს, ქართულში—ზედსართავ სახელს, ჩინურში კი ყველა ცხრა მეტყველების ნაწილს,—ზოგადად რომ ვთქვათ, **ყოველ ენაში ალმოაჩენს ყველა მეტყველების ნაწილს**, მაგრამ ამ მეტყველების ნაწილს არავითარი მნიშვნელობა არ ექნება სათანადო ენათა **მორფოლოგიური სტრუქ-**

ტურის გათვალისწინების თვალსაზრისით: სემასიოლოგიურია[1] კლასიფიკაცია და იმიტომ, **ვინც ამგვარ მეტყველების ნაწილებს იცავს, ის ზოგადი რაციონალური გრამატიკის ნიადაგზე დგას,** ზოგადი გრამატიკის თვალსაზრისით კი ცალკეულ ენათა შესწავლა არ წარმოებს და არც შეიძლება წარმოებდეს.

როდის იქნებოდა შესაძლებელი სემასიოლოგიური დახასიათების მიხედვით მორფოლოგიური თვისება გაგვერკვია, კერძოდ, სემასიოლოგიური კლასიფიკაციის საფუძველზე მეტყველების ნაწილთა ისეთი კლასიფიკაცია მიგველო, რომელიც ამა თუ იმ ენის აგებულებას შეეფერება? **იმ შემთხვევაში, თუ სიტყვის მნიშვნელობა სიტყვის ფორმას** განსაზღვრავდა ანუ, უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, **სიტყვის ფუძის მნიშვნელობა სიტყვის აფიქსის ბუნებას გაარკვევდა;** ერთი სიტყვით, თუ მათ შორის ერთგვარი პარალელიზმი აღმოჩნდებოდა. მაშინ მივიღებდით ასეთ სურათს: საგნის აღმნიშვნელი სიტყვა იბრუნვის, თვისების აღმნიშვნელი—იცვლება სქესის მიხედვით, პირის მოქმედება-ვითარების აღმნიშვნელი სიტყვა უღვლება... რადგანაც საგნის, თვისებისა და მოქმედება-ვითარების აღმნიშვნელი სიტყვები ყველა ენაში არის, ყველა-ენაში გვექნებოდა არსებითი სახელი, ზედსართავი სახელი, ზმნა...

ცნობილია, რომ ასეთი პარალელიზმი არ არსებობს; ცნობილია, რომ არის ენები, სადაც საგნის აღმნიშვნელი სიტყვა არ იბრუნვის, თვისების აღმნიშვნელი სიტყვა არ იცვლება სქესების მიხედვით, პირის მოქმედება-ვითარების აღმნიშვნელი სიტყვა არ იუღვლება და საერთოდ, სიტყვებს აფიქსები არ გააჩნიათ, სხვადასხვა კონტექსტში სიტყვის ბგერითი შედგენილობა არ იცვლება (ჩინური და სხვა ძირეული ენები).

ასეთ ენებში შინაარსსა და ფორმას შორის არავითარი პარალელიზმი არ არსებობს. მაგრამ იმ ენებშიც, სადაც ფორმა საერთოდ მიყვება შინაარსს, ხშირად სიტყვის **მნიშვნელობა** და სიტყვის **ფორმა ერთმანეთის საწინააღმდეგოდაა მიმართული,** შინაარსისა და ფორმის ანტაგონიზმი იჩენს თავს. რამდენიმე მაგალითი ჩვენი ენიდან.

1. სიტყვა „ერთი“ **-ებ-** სუფიქსით მრავლობითს არ აწარმოებს (მოწაფეს „ერთები აქვსო“ როცა ამბობენ, აქ „ერთს“ თავისებური მნიშვნელობა აქვს: ნიშანი იგულისხმება და არა რიცხვი);

[1] სიმარტივისთვის ვუწოდებთ ასე; უნდა გვეთქვა: „სემასიოლოგიურ-სინტაქსურია“.

ძველებური მრავლობითის -ნ- სუფიქსით „ერთი“ ჩვეულებრივად იხმარება: „ერთნი ამბობენ, ასე ჯობსო, სხვები კი წინააღმდეგს ამტკიცებენ“.

„**ერთნი**“ მრავლობითი რიცხვია: ამას მოწმობს სუფიქსი -ნ-; მაგრამ როგორ შეიძლება „ერთი“ მრავლობით რიცხვში? „ერთი“ მხოლობითია, მრავლობითში „ერთი“ აღარ არის „ერთი“, არამედ მეტი რაღაც. სიტყვაში „ერთნი“ **ფუძის მნიშვნელობა მხოლოდ მხოლობითს გულისხმობს, წინააღმდეგ ამისა სუფიქსი გვეუბნება—„ერთნი“ მრავლობითიაო.** და ყოველგვარი გრამატიკა უყოყმანოდ ადასტურებს: „ერთნი“ მრავლობითიაო. **საკითხს წყვეტს აფიქსი და არა ფუძე**—იმიტომ, რომ **საკითხი მორფოლოგიურ ფაქტს შეეხება.**

2. „დავითმა სახლი აიშენა“: აიშენა სათავისო ქცევაა; -ი- სუფიქსი მიუთითებს იმაზე, რომ ობიექტი „სახლი“ სუბიექტისთვისაა განკუთვნილი; „დავითმა ერთი კოკა ღვინო **დალია**“; „დალია“ სათავისო ქცევა აღარ არის, საარვისოა; განა ცხადი არ არის, რომ, თუ „დავითმა დალია“, დალეული ღვინო „სუბიექტისთვის განკუთვნილი“ აღმოჩნდება. რასაკვირველია, ამაში ეჭვის შეტანა შეუძლებელია, მაგრამ საქმე იმაშია, რომ ამაზე ზმნის ფუძე მიუთითებს და არა ზმნის პრეფიქსი -ი-, სხვანაირად რომ ვთქვათ, სათავისობა აქ მორფოლოგიური საშუალებებით კი არ არის აღნიშნული, არამედ სემასიოლოგიური მონაცემით; ეს რომ ქცევას აჩენდეს, ზმნა выпил (Иван выпил бутылку вина) რუსულში სათავისო ქცევა იქნებოდა, რუსულ ზმნას კი ქცევა არა აქვს. რატომ? იმიტომ, რომ ქცევა მორფოლოგიური კატეგორიაა და სათანადო აფიქსით უნდა იქნეს წარმოდგენილი და არა ფუძის მნიშვნელობით.

აქაც ფუძისა და აფიქსის კონფლიქტი უყოყმანოდ წყდება აფიქსის სასარგებლოდ: საქმე ეხება მორფოლოგიურ კატეგორიას და იმიტომ.

3. „ერთი კაპიკი მაჩუქეთ!“ იხვეწება მათხოვარი. იკითხავთ, რა კილოა „მაჩუქეთ“ და ირკვევა, რომ ბრძანებითი კილო ყოფილა. გამოდის, რომ მათხოვარი კი არ იხვეწება, ბრძანებს... **შინაარსი თხოვნას გამოხატავს, ფორმა კი ბრძანებითი კილოსია** და გრამატიკული კვალიფიკაციაც ამას აღნიშნავს—შენიშვნით: „ბრძანებითი ამ შემთხვევაში თხოვნას გამოხატავსო!“ ვიმეორებთ: ეს ხდება იმიტომ, რომ საკითხი მორფოლოგიურია.

4. ყველაზე მარტივი მაგალითი: ხარი—მამალია, ფური—დედალი; ვაჟი—მამრობითი სქესის არსებაა, ქალი—დედრობითისაა: ამ სიტყვების შინაარსი ამას ეჭვს გარეშე ხდის. მაგრამ ამგვარად არავინ ამბობს: ქართულში ვაჟი—მამრობითი სქესის არსებითი სახელია, ქალი—დედრობითისაა. პირიქით, ვამბობთ: სქესი ქართულ სახელს არა აქვსო. ეს იმიტომ, რომ სქესის აღმნიშვნელი მორფოლოგიური ნიშანი ქართულში სახელებს არ გააჩნია. **რეალური სქესის არსებობა გრამატიკული სქესის არსებობას არ განსაზღვრავს.** მორფოლოგიური დახასიათება სემასიოლოგიურს არ მიყვება. **საკითხს აქაც მორფოლოგიური ნიშნის უქონლობა წყვეტს.**

ასევე უდაოა, რომ მეტყველების ნაწილი მორფოლოგიური ცნებაა და ამ ცნების შინაარსს მორფოლოგიური ნიშნები უნდა შეადგენდეს. **ყოველ ენაში ცალკე გაირკვევა, რამდენი და რა მეტყველების ნაწილი გააჩნია მას.** „საერთოდ მეტყველების ნაწილი“ მორფოლოგიის საგანი ვერ იქნება.

ქართულში ყველა სიტყვა სამ ძირითად ჯგუფს მოგვცემს: I. ნაწილაკები II. უცვლელი ანუ უაფიქსო სიტყვები და III. ცვალებადი ანუ აფიქსებიანი სიტყვები ორი ქვეჯგუფით: სახელითა და ზმნით. სახელისათვის ბრუნვის აფიქსებია ნიშანდობლივი, ზმნისათვის—პირის აფიქსები.

იქ, სადაც სემასიოლოგია ცალკე არ შეისწავლება (საშუალო სკოლაში, მაგალითად) შესაძლებელია და მიზანშეწონილიც პრაქტიკული მოსაზრებით მორფოლოგიურ კლასიფიკაციას დაუკავშირდეს სემასიოლოგიური კლასიფიკაცია ამგვარად: I. **ცვალებადი** ანუ **აფიქსებიანი სრულმნიშვნელოვანი სიტყვები**: 1. სახელი და 2. ზმნა. სახელი იყოფა: ა) არსებით სახელად (კითხვები): ვინ? რა?); ბ) ზედსართავ სახელად (კითხვები: როგორი? რანაირი? როდინდელი? სადაური?...): გ) რიცხვით სახელად (კითხვები: რამდენი? მერამდენე?) და დ) ნაცვალსახელად. სახელის ოთხივე ქვეჯგუფი სემასიოლოგიური ოდენობაა და არა მორფოლოგიური. II. უცვლელი სრულმნიშვნელოვანი და დამხმარე სიტყვები: ა) ზმნისართი, ბ) კავშირი და გ) შორისდებული; III. ნაწილაკები: თანდებულები და სხვა ნაწილაკები. ზმნისართი, კავშირი, თანდებული—მორფოლოგიური ცნებები არ არის: სინტაქსური და სტილისტიკური ცნებებია. შორისდებული – სემასიოლოგიური ოდენობაა.

დასასრულ, ერთი შენიშვნა: ყველაფერი, რაც მეტყველების ნაწილთა შესახებ ითქვა, ემყარება იმ ძირითად დებულებას, რომ მეტყველების ნაწილები სიტყვათა კლასიფიკაციის შედეგად მიღებულ ოდენობას წარმოადგენენ.

მეტყველების ნაწილების ჩამოყალიბებას ზოგიერთი ავტორი ცდილობს სხვა გზითაც; მაგრამ ეს ახალი გზა (მაგალ. ა. პეშკოვსკისა)[1] არ არის იმდენად გარკვეული სახით მოცემული, რომ სპეციალური განხილვის საგანი გახდეს.

---

[1] იხ. წიგნი „Русский синтаксис в научном освещении" 1928 წ. 8-ე თავში, წიგნისტყუობა.

VII. ძირითადი მორფოლოგიური კატეგორიები

§ 50. სახელისა და ზმნის კატეგორიები. სახელი და ზმნა ფორმაცვალებადი მეტყველების-ნაწილებია; მათი ცვლა კარკვეულ მორფოლოგიურ კატეგორიებს იძლევა; ეს კატეგორიებია: **ბრუნვა და რიცხვი**—სახელისათვის; **პირი, რიცხვი, დრო, კილო, გვარი**... —ზმნისათვის; სქესი—როგორც სახელისა, ისე ზმნისათვის. ზმნას შეიძლება სხვა კატეგორიებიც გააჩნდეს, მაგალ. მცევა ქართველურს ენებში.

ესა თუ ის კატეგორია ხშირად თავისებურ სახეს იღებს ამა თუ იმ ენაში. ჩვენ აქ მხოლოდ ძირითადი კატეგორიების ტიპური შემთხვევების ანალიზით დაკმაყოფილდებით, რამდენადაც ეს სათანადო ცნების ანალიზისათვის არის საჭირო.

§ 51. ბრუნვა. ბრუნვა აღნიშნავს დამოკიდებულებას ან სახელისა სახელთან (ზუსტად რომ ვთქვათ, ერთი სახელით აღნიშნული საგნის დამოკიდებულებას მეორე სახელით აღნიშნულ საგანთან) ანდა სახელისას ზმნასთან: ამხანაგის წიგნი; მეზობლის სახელი; მზის სხივები... ქარი ქრის; მზე ანათებს; ძაღლი ყეფს, ჭარავანი მიდის... ყაყაჩოსა სიწითლითა ყანა დაუმშვენებია; ყმაწვილსა კარგი სწაულითა სახლი გაუხარებია[1].

ქართულში სახელს ექვსი ბრუნვა გააჩნია: სახელობითი, მოთხრობითი, მიცემითი, მიმართულებითი ანუ ვნებითი, ნათესაობითი და მოქმედებითი. თუ წოდებითსაც ბრუნვად მივიჩნევთ, შვიდი ბრუნვა გვექნება; მაგრამ წოდებითი **არასოდეს არ აღნიშნავს დამოკიდებულებას ზმნასთან;** სახელთანაც მას მხოლოდ შეთანხმება აკავშირებს (და არა მართვა): „მეგობრებო, წინ, წინ გასწით!“ ზმნა ამგვარს გამოთქმებში მეორე პირის სახელს უკავშირდება („თქვენ გასწით!“), „მეგობრებო“-სიტყვა კი მიმართვას გამოხატავს და წინადადებაში განმხოლოებული დგას; ნაწერში ის ყოველთვის გამოყოფილია სასვენი ნიშნებით („მეგობრებო, წინ გასწით! წინ, მეგობრებო, გასწით! წინ გასწით, მეგობრებო!) ამგვარ სიტყვას შეიძლება დაერთოს მსაზღვრელი („ძვირფასო მეგობრებო, წინ გასწით!“ „პროლე-

---

[1] ამ დამოკიდებულების ანალიზი იხ. თ. VIII, §§ 59, 60.

ტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!“) მაგრამ ამისთანა შემთხვევაშიაც ეს სიტყვა ვერ უკავშირდება ზმნას, თავის მსაზღვრელებთან ერთად იგი განმხოლოებული რჩება. ამიტომ ამგვარი სიტყვები (მეგობრებო, პროლეტარებო!) ბრუნვას არ წარმოადგენს: ეს **მიმართვის** სიტყვებია; მათი ფორმა **მიმართვის** ფორმაა.

რუსულშიაც ექვსი ბრუნვაა: სახელობითი, ნათესაობითი, მიცემითი, ბრალდებითი, მოქმედებითი და ადგილობითი; ქართულთან საერთოა: სახელობითი, ნათესაობითი, მიცემითი, მოქმედებითი; გვაკლია ქართული მიმართულებითი ანუ ვნებითი და მოთხრობითი; ქართულთან შედარებით მეტია ბრალდებითი და წინდებულიანი ბრუნვა. შდრ.:

სახელობითი : ამხანაგ-ი	Именительный : товарищ
მოთხრობითი : ამხანაგ-მა	[Повествовательный : არ არის]
მიცემითი : ამხანაგ-ს(ა)	Дательный : товарищ-у
მიმართულებითი : ამხანაგ-ად(ა)	[Направительный : არ არის]
ნათესაობითი : ამხანაგ-ის(ა)	Родительный : товарищ-а
მოქმედებითი : ამხანაგ-ით(ა)	Творительный : товарищ-ем
[ბრალდებითი : არ არის]	Винительный : товарищ-а
[წინდებულიანი : არ არის]	Предложный : о товарищ-е

ბრალდებითი ბრუნვა უდურის გარდა არც ერთს კავკასიურ ენას არ გააჩნია; მოთხრობითი ბრუნვა თუ მისი შესატყვისი ბრუნვები მოიპოება ყველა კავკასიურ ენაში, სადაც კი ბრუნება გვაქვს, მაგრამ ეს ბრუნვა არ გააჩნია არც ერთს ევროპულს ენას, არც ძველს, არც ახალს, არ გააჩნია სემიტურ ენებს და არც ურალურ-ალტაურ ენებს (მოთხრობითის ადგილი ამ ენებში ყველგან სახელობითს უჭირავს). ბრალდებითი ბრუნვის უქონლობა კავკასიური ენებისათვის ისევე დამახასიათებელია, როგორც მოთხრობითი ბრუნვის ქონა.

არც მოქმედებითი, მით უფრო ქართული მიმართულებითი და რუსული წინდებულიანი ბრუნვა არ მიიჩნევა ისეთ ბრუნვებად, რომლებიც უთუოდ უნდა გააჩნდეს ენას, თუ კი ბრუნება გვექნება.

სამაგიეროდ **სახელობითი, ნათესაობითი და მიცემითი ძირითადი ბრუნვებია**: ყველაზე უფრო ხშირად ეს ბრუნვები მეორდება სხვადასხვა ენის ბრუნებაში.

ტერმინები: სახელობითი, ნათესაობითი, მიცემითი, ბრალდებითი, მოქმედებითი, მოთხრობითი და სხვ. პირობითი ხასიათისაა; ნათესაობითს ბრუნვაში დასმული სახელი ჩვეულებრივად არავითარ ნათესაობას არ გამოხატავს (ხის სახლი, ვერცხლის საათი, უნივერ-

სიტეტის შენობა...), მიცემით'ში დასმული სახელი იმასაც აღნიშნავს, ვისაც მისცეს რაღაც (დავითს მისცეს წიგნი...) და იმასაც, ვისაც რაღაც წაართვეს (დავითს წაართვეს წიგნი...)...

ბრუნვათა ეს პირობითი სახელები თამამად შეიძლებოდა მარტივი სახელებით შეგვეცვალა და გვეხმარა: პირველი ბრუნვა, მეორე ბრუნვა, მესამე ბრუნვა და სხვ. ისევე, როგორც ხმარობენ: პირველი ბრუნება, პირველი უღლილება და სხვ. ამგვ.; ძველს ინდურს გრამატიკაში, რომელიც ჩვენს წელთაღრიცხვამდის ხუთი საუკუნით ადრე დამთავრებულ სისტემას წარმოადგენდა და უძველესი გრამატიკაა კაცობრიობის კულტურულ ისტორიაში, ბრუნვებს სახელები არ ერქვა, მათ რიცხვითი სახელებით აღნიშნავდენ,—ასეთი თანამიმდევრობით: 1—სახელობითი; 2—ბრალდებითი; 3—მოქმედებითი; 4—მიცემითი; 5—დაშორებითი (აბლატივი); 6—ნათესაობითი; 7—ადგილობითი (ლოკატივი).

ტერმინები: ნათესაობითი, მიცემითი და ბრალდებითი ბერძნულ ენის შესწავლისას გამომუშავდა; სტოელთა ფილოსოფიურმა სკოლამ დაამკვიდრა, როგორც ეს ტერმინები, ისე ტერმინი ბრუნების აღსანიშნავად, რომელიც ყველა ევროპულ ენებში იხმარება.

პირველი ბრუნვის სახელი „სახელობითი“ именительный (nominativus) რომაელი გრამატიკოსებიდან მომდინარეობს; ბერძნულ გრამატიკაში მის ნაცვლად იხმარებოდა „ორთე“—„წრფელობითი“ [1] ე. ი. პირდაპირი. ნათესაობითი (родительный, genetivus) ბერძნული „გენიკე“-ს არასწორ თარგმანს წარმოადგენს ჯერ ლათინურში და ამ უკანასკნელიდან მერე სხვა ენებშიაც; „გენიკე“ ნიშნავს „გვარობითს“ და არა ნათესაობითს; სათანადო ბრუნვის მნიშვნელობას ზოგჯან ეს ბერძნული ტერმინი უფრო უდგება (ხის სახლი, ვერცხლის საათი...); მიცემითი (дательный, dativus) ბერძნული „დოტიკე“-ს სწორი თარგმანია, ბრალდებითი (винительный, accusativus) ბერძნულ „აჱტიატიკე“-ს უმართებულო თარგმანს წარმოადგენს: „აჱტიატიკე“ ნიშნავს „მიზეზობითს“, რითიმე „შეპირობებულს“; ბრალდება აქ არაფერს შუაშია. [2]

ასეა თუ ისე, ძირითად ბრუნვათა სახელები ბერძნული ტერმინების სწორს თუ შემცთარ თარგმანს წარმოადგენს. ეს ტერმინები

---

[1] ანტონ კათალიკოსი თავის ქართულ გრამატიკაში სახელობითის ნაცვლად ხმარობს „წრფელობითს“. სახელობითი ქართულს გრამატიკებში პლ. იოსელიანის დროიდან შემოდის.

[2] ფიქრობენ, რომ სტოელები წოდებითსაც ბრუნვად თვლიდენ: „კლეტიკე“ იხმარებოდა ამისათვის.

ჯერ ლათინურად თარგმნეს, ლათინურიდან ყველა ევროპულ ენებში გადავიდა ან უცვლელად ანდა თარგმნის გზით.

ბერძნული ტერმინების შინაარსი ცხადყოფს, როგორ წარმოედგინათ სახელის ბრუნება: პირველი ბრუნვა არის „პირდაპირი" „სწორი" (წრფელობითი, „ორთე"); აქ სახელი „ჩვენ წინ დგას პირდაპირ". სხვა ბრუნვები არიან „არაპირდაპირი" (ბერძ. პლაგიაი, ლათ. ობლიკვი) თვით ბრუნება არის პირდაპირი მდგომარეობიდან გადახრა: склонение, declinatio—„დახრა";[1] ამასთან შეფარდებით ბრუნვას ეწოდება „ვარდნა": падеж, პტოსის, casus; ქართულს გრამატიკულს ლიტერატურაში „ბრუნება"-ტერმინის პარალელურად „კანკლედობაც" იხმარებოდა (ახლაც იხმარება); ამით ცდილობენ თავიდან აიცილონ „ბრუნვისა" და „ბრუნების" აღრევა. „კანკლედობა" იმავე ძირისად მიაჩნიათ, რომელიც ახლა „კლაკნა" სიტყვაში გვაქვს.

ყველა ბრუნვა ერთი და იმავე ხნოვანობისა არ არის; ქართულში, მაგალითად, ყველაზე ძველი ფორმაციისა მიცემითი და ნათესაობითი ბრუნვაა; შემდეგ მოდის მოქმედებითი და მიმართულებითი; მათზე ახალია მოთხრობითი და ყველაზე ახალი—სახელობითი; სახელობითისა და მოთხრობითის ჩამოყალიბებამდის მათს როლს სახელის ფუძე ასრულებდა.

§ 52 რიცხვი. რიცხვი სახელსაც აქვს და ზმნასაც. ამჟამად განასხვავებენ **მხოლობითსა** და **მრავლობითს** რიცხვს: მხოლობითი—ერთზე მიუთითებს, მრავლობითი—ბევრზე, ყოველ შემთხვევაში აქ ერთზე მეტი იგულისხმება. სადაც „მრავალზე" მითითება გვაქვს, ყველგან მრავლობითი რიცხვი არ არის. „ბევრი საქმე მაქვსო", რომ ვამბობთ, ერთზე მეტი საქმე იგულისხმება, მაგრამ „საქმე" აქ მხოლობითია, „ბევრიც" მხოლობითშია (შდრ. მრავლ. „ბევრნი არიან"), სიმრავლეს ორივე სიტყვა ერთად აღნიშნავს; ასევე გამოთქმაში „ათი წიგნი ვიყიდე"—„წიგნი" მხოლობითშია, სიმრავლეს ორი სიტყვა გამოხატავს; მაგრამ, როცა ვამბობთ,—„საქმეები მაქვს"—აქ სიმრავლე ერთ სიტყვაშია **-ებ-** სუფიქსის საშუალებით გადმოცემული. ამგვარად, მრავლობითი რიცხვია არა ყოველი შემთხვევა, სადაც მრავალ საგანზე მითითება გვაქვს, არამედ მხოლოდ ისეთი შემთხვევა, რომელსაც **სიმრავლე აფიქსით არის გადმოცემული**,—სხვანაირად რომ ვთქვათ, **სიმრავლე მორ-**

---

[1] ქართული „ბრუნვა", „ბრუნება" სომხური გზითაა შემოსული: „ჰოლოვუმნ"-ის თარგმანს წარმოადგენს.

ფოლოგიური საშუალებით უნდა იყოს გამოხატული და არა სინტაქსურად (შესიტყვების გამოყენებით).

ქართულსა, სომხურსა, რუსულსა და სხვ. ამგვარ ენებში მხოლობითს რიცხვს მრავლობითი უპირისპირდება.

ძველად ზოგს ენაში **ორობითი** რიცხვიც (dualis) მოიპოვებოდა:

ძვ. ბერძ.: ჰო ანთროპოს—„ადამიანი"—მხოლობითია

ჰოდჲ ჰანთროპოი—„ადამიანები"—მრავლობითია

ტო ანთრპპო—„ორი ადამიანი"—ორობითს რიცხვს წარმოადგენს. ძვ. ინდური:

ნადი—„მდინარე"—მხოლობ.

ნადჲაჰ—„მდინარეები"—მრავლობ.

ნადჲაუ—„ორი მდინარე"—ორობითი რიცხვის სახელობითია. ვარაუდობენ, რომ ეს ორობითი რიცხვი წყვილად არსებული საგნების აღნიშვნამ წარმოშვაო: ორი თვალი, ორი ყური, ორი ხელი, ორი ფეხი...—ამისათვის საქმაო მასალას იძლევა თითქოს; მაგრამ იქ, სადაც ორობითი რიცხვი იხმარება, ის იხმარება ყოველი ორი საგნის აღსანიშნავად და არა მხოლოდ წყვილ-წყვილად არსებულთათვის. გარდა ამისა ზოგ ენას შერჩენილი აქვს „სამობითი რიცხვიც" (trialis); ბუნებრივი სამეულები ამგვარი რიცხვის გაჩენის დასაბუთებლად ძნელი საპოვნელია. ამიტომ საფუძვლიანად უნდა მივიჩნიოთ იმ მკვლევართა აზრი, რომელნიც ფიქრობენ, რომ **„ორობითი და სამობითი" რიცხვი გარდამავალი საფეხურია წრთიდან მრავლისაკენ**; ერთიდან სიმრავლეზე ერთბაშად გადასვლა განვითარების დაბალ საფეხურზე მდგომი ადამიანის აზროვნებისათვის ძნელზე ძნელი საქმე იყო; ამ გადასვლას აადვილებდენ ეს შუა საფეხურის რიცხვები.

რიცხვის განყენებული შინაარსი რომ კონკრეტული შინაარსის საფუძველზეა წარმოშობილი, ამას რიცხვით სახელთა ანალიზიც მოწმობს: ქართულშიც, რუსულშიც, გერმანულშიც... ათიდან მოყოლებული ოცამდის ყოველი რიცხვი გამოიყვანება ათისთვის ერთის, ორის, სამის, ოთხის, ხუთის... და სხვ. მიმატებით. ამ ენებში რიცხვებს ათამდის დამოუკიდებელი სახელები აქვს: სამი, ოთხი, ხუთი, ექვსი... მაგრამ ზოგ ენაში (მაგ. ტასმანიურში,—ავსტრალიაშია) ასეთი სახელი მხოლოდ ერთისა, ორისა და სამისათვის არსებობს: ოთხი წარმოდგენილია, როგორც სამი პლუს ერთი; ხუთი, როგორც სამი პლუს ერთი და კიდევ ერთი...

აქ აღძრული საკითხის თვალსაზრისით საგულისხმოა პირველი პირის სახელის მრავლობითი: მე—ჩვენ; „ჩვენ" მოლაპარაკის გარდა

შეიძლება შეიცავდეს იმას ან იმათ, ვისაც ელაპარაკებიან: ჩვენ ვმუშაობთ, ისინი არაფერს აკეთებენ: ჩვენ=მე და შენ (|| თქვენ); მაგრამ „ჩვენ“ შეიძლება ნიშნავდეს: „მე და ის (|| ისინი)“: „ჩვენ ვმუშაობთ, თქვენ არაფერს აკეთებთ“. ასე, რომ „ჩვენ“ სახელში პირველ შემთხვევაში შედის მეორე პირი, რომელსაც მიმართავენ, მეორე შემთხვევაში მეორე პირი გამორიცხულია, „ჩვენ“-ში პირველის გარდა მესამე პირი იგულისხმება. ქართული „ჩვენ“, რუსული мы, გერმ. wir, ფრანგ. nous—ამჟამად არ ასხვავებს პირველი პირის ამ ორნაირს მრავლობითს. მაგრამ ზოგს ენაში „ჩვენ“ ორნაირი სახითა გვაქვს; ასე, მაგალ., ჩაჩნურს ენაში პირველი პირის სახელი მრავლობითს რიცხვში იქნება **თხუო**—ჩვენ (მე და ის) და **ვაჲ**—ჩვენ (მე და შენ)... ხუნძურში ამგვარადვე გვაქვს: **ნიე**—ჩვენ (მე და ის) და **ნითლ**—ჩვენ (მე და შენ).

თუ „ჩვენ“ გამორიცხავს მეორე პირს; მას ეწოდება **ექსკლუზივი** (ლათინ. „გამორიცხვითი“), თუ მეორე პირს არ გამორიცხავს, **ინკლუზივს** ეტყვიან („ინკლუზივი“—„ჩარიცხვითი“).

ჩაჩნური „თხუო“ არის ექსკლუზიური „ჩვენ“, „ვაჲ“—ინკლუზიური „ჩვენ“; ასევე ხუნძური „ნიე“—ექსკლუზიურია, „ნითლ“—ინკლუზიური.

სვანურს შემოუნახავს ზენის მრავლობითის პირველს პირში ინკლუზიური და ექსკლუზიური ფორმები. ნაჲ ხუარიდ—ჩვენ (მე და ის) ვართ—ექსკლუზიური ფორმაა. ნაჲ ლარიდ—ჩვენ (მე და შენ) ვართ ინკლუზიური ფორმაა.

ინკლუზიური და ექსკლუზიური მრავლობითის არსებობა კიდევ იმ დებულებას ასაბუთებს, რომ მხოლობითიდან მრავლობითზე გადასვლა გაშუამავლებული იყო კონკრეტული სახის მრავლობითებით; ამ კონკრეტიზაციისაგან თავისუფალი მრავლობითი განვითარების შემდგომი საფეხურია.

§ 53. **პირი**. პირი ზმნას აქვს. პირი სამია: ის პირი, რომელიც ლაპარაკობს—**პირველი** პირი (ვცხოვრობ, ვშრომობ,—მე); ის პირი, რომელსაც ელაპარაკებიან—**მეორე** პირი (ცხოვრობ, შრომობ—შენ); ის პირი, რომლის შესახებაც ლაპარაკობენ—**მესამე** პირი (ცხოვრობს, ლაპარაკობს ის). სამივე პირი მრავლობითშიც გვექნება (ვცხოვრობთ ჩვენ, ცხოვრობთ თქვენ, ცხოვრობენ ისინი), გვექნება ორობითს რიცხვშიც, თუ კი ასეთი რიცხვი ენას გააჩნია.

ჩვეულებრივად ზმნაში აღინიშნება იმ სახელის პირი, რომელიც ზმნაში აღნიშნული მოქმედების წყაროდ არის არის მიჩნეული; ესაა მოქმედი სახელი ანუ სუბიექტი; ზმნაში ჩვეულებრივად სუბიექტის პირი აღინიშნება, მაგრამ ზოგ ენაში (მაგ. ქართულში, სვანურში, ჭანურ-მეგრულში), ზმნაში შეიძლება იყოს აღნიშნული ის პირიც, რომელსაც სუბიექტის მოქმედება ეხება, ე. ი. შეიძლება იყოს აღნიშნული ობიექტის პირიც. ასეთი ზმნის ყოველს ფორმაში ორი პირი იქნება წარმოდგენილი, სუბიექტის პირი და ობიექტის პირი. მხოლოდ სუბიექტის პირია წარმოდგენილი ქართულ ზმნებში: ვცხოვრობ, ვშრომობ, ვიზრდები... ამგვარი ზმნები **ერთპირიანი** ზმნებია. სუბიექტისა და ობიექტის პირია მოცემულია ქართულს ზმნებში: ვაქებ (მე მას), მაქებს (ის მე), გახსენებს (ის შენ), მგზავნის (ის მე)... ასეთი ზმნები **ორპირიანებია**. რუსულში, გერმანულში, ლათინურში, ბერძნულში, სომხურში, თურქულში,—ყველა ზმნა ერთპირიანია. აბხაზურში ზმნა შეიძლება იყოს ერთპირიანიც, ორპირიანიც და სამპირიანიც.

ასეთს შემთხვევაში ზმნაში აღნიშნულია სუბიექტის პირი და ორი ობიექტის პირი: ობიექტის პირი შეიძლება იყოს ერთი ან ორი, სუბიექტისა კი მხოლოდ ერთი იქნება.

ზმნაში შეიძლება იქნეს ნაჩვენები არა პირი, რომელსაც განეკუთვნება მოქმედება, არამედ „სქესი“ (ზუსტად რომ ვთქვათ, კლასი—იხ. ქვემოთ), რომელსაც ესა თუ ის სახელი ეკუთვნის; ასე, მაგალითად, ხუნძურს ენაში პირის მიხედვით ზმნა არ იცვლება: ყველა პირში ზმნა ერთნაირია, თუ კი სახელის „სქესი“ უცვლელია; პირუკუ, ერთი და იმავე პირისათვის სხვადასხვა ფორმა აქვს ზმნას, თუ სახელის კლასი სხვადასხვაა:

დუნ ვაჭუნა—მოვდივარ მე, მამაკაცი (I კლასი)
დუნ ჲაჭუნა—მოვდივარ მე, ქალი (II კლასი)
დუნ ბაჭუნა—მოვდივარ მე, ბავშვი (III კლასი)

საკმარისია დუნ („მე“) შევცვალოთ „მუნ“-ით („შენ“) და იგივე „ვაჭუნა, ჲაჭუნა, ბაჭუნა მუნ“ იქნება „მოდიხარ შენ—მამაკაცი, ქალი, ბავშვი“... ეგევე ხდება ჩაჩნურში, წოვა-თუშურში, ლაკურში და სხვ.

§ 54. **დრო**. განყენებულად თუ ავიღებთ, დრო სამია: აწმყო, ნამყო, მყოფადი. დროსათვის ნიშანდობლივია შეფარდება მოქმედებას შორის და მოქმედების აღნიშვნას შორის: თუ მოქმედება და მისი აღნიშვნა ერთსა და იმავე დროს ხდება,

აწმყო გვექნება: აკეთებს, აშენებს, შრომობს... ავხნავ, ვთესავ, ვებრძვი მიწასა"... თუ მოქმედება წინ უსწრებს მის შესახებ ლაპარაკს, ნამყოს მიიღებთ: აკეთებდა, აშენებდა, შრომობდა... მომიხნავს, დამითესია მიწა... თუ მოქმედებას წინ უსწრებს მის შესახებ ლაპარაკი, მყოფადი გამოვა: გააკეთებს, აიშენებს, იშრომებს... მოვხნავ, დავთესავ...

ეს სამი დრო განყენებულადაა აღებული მოქმედებისა და მის აღმნიშვნელი სიტყვის შეფარდების ნიადაგზე. ამა თუ იმ ენაში ამ სამი დროის კონკრეტიზაციამ შეიძლება მოგვცეს გაცილებით მეტი ერთეულები დროისა; მაგალითად, ახალ ქართულში გვაქვს ერთი აწმყო, ერთი მყოფადი და ოთხი ნამყო: ნამყო უწყვეტი ანუ უსრული: აკეთებდა, აშენებდა, შრომობდა...; ნამყო ძირითადი ანუ ნამყო წყვეტილი (აორისტი): აკეთა, აშენა, იშრომა...; თურმეობითი პირველი: უკეთებია, უშენებია, უშრომია...; თურმეობითი მეორე: ეკეთებინა, ეშენებინა, ეშრომა...

გერმანულში სამი ნამყო დროა, ფრანგულში—ოთხი ნამყო, ლათინურშიაცა და ძველს ბერძნულშიც—ოთხი ნამყო იყო... იმავე გერმანულსა და ფრანგულში ორი მყოფადია, ზოგ კავკასიურ ენაში ათიოდე ალწერითი ფორმა აქვს ნამყო დროს. აწმყოც კი შეიძლება იყოს ერთზე მეტი; ასეა, მაგალითად, ევროპულ ენათაგან ინგლისურში, კავკასიურ ენათაგან, მაგალ., ხუნძურში; აქ გარჩეულია უბრალო აწმყოსაგან ხოლმეობითი აწმყო: დუნ როყოუ **ვუგო**—მე შინ **ვარ**... დუნ როყოუ **ვუკუნა**—მე შინ **ვარ ხოლმე**...

დრო აქვს ზმნას, აგრეთვე ნაზმნარ სახელს, მიმღეობას: მკეთებელი (=ვინც აკეთებს), გაკეთებული (=რაც გაკეთდა, გააკეთეს), გასაკეთებელი (=რაც უნდა გაკეთდეს, გააკეთონ...). როგორც ზმნაში, ისე ნაზმნარ სახელებში (მიმღეობებში) დრო აფიქსებითაა გამოხატული (აკეთებ-დ-ა... უ-კეთებ-ი-ა... ე-კეთებ-ინ-ა...) შეიძლება დრო აღნიშნოს არა აფიქსმაც: გუშინ... შარშან... ძველად... წარსულში... წინეთ—ნამყო დროზე მიუთითებს, მაგრამ აქ დროის შესახებ ლაპარაკი არ შეიძლება,—დროს აქ გადმოგვცემს **მთელი სიტყვა** და არა მორფოლოგიური საშუალება. ეგევე ითქმის ისეთი სიტყვების შესახებ, როგორიცაა: ახლა... ამჟამად... დღეს... ხვალ... ზეგ... გაისად... მომავალში—დროის მიხედვით ეს სიტყვები არ იცვლება: დრო მორფოლოგიური (აფიქსით გამოხატული) და დრო არამორფოლოგიური (სიტყვის ძირეული მასალით გადმოცემული) ისევე უნდა განვასხვაოთ, როგორც მრავლობითი რიცხვი,

მთელი სიტყვის დართვით აღნიშნული, და მრავლობითი რიცხვი, მორფოლოგიური ნიშნით წარმოდგენილი (იხ. ზემოთ § 53).

§ 55. **კილო.** კილოს კატეგორიას საფუძვლად უდევს დამოკიდებულება მოლაპარაკისა ზმნის მნიშვნელობისადმი: შესაძლებელია მოლაპარაკეს ზმნით აღნიშნული პროცესი ფაქტად მიაჩნდეს; მაშინ საქმე გვექნება თხრობითს კილოსთან: აკეთებს, აკეთებდა; გააკეთა, გაუკეთებია... შესაძლებელია, პროცესი ფაქტს არ წარმოადგენდეს, მაგრამ სავალდებულო იყოს შესასრულებლად; ეს იქნება დამახასიათებელი ბრძანებითი კილოსათვის: გააკეთე! გააკეთეთ! ბრძანებითი კილო შეიძლება იყოს უარყოფითი ანუ დამლითი ხასიათისა: ნუ აკეთებ! არ აკეთო! ბრძანებითი კილოს ფორმით შეიძლება გადმოიცეს მოწოდებაც: წავიდეთ! გავაკეთოთ!... თხოვნა-მუდარა: გაიკითხეთ! ერთი შაური მაჩუქეთ! „დამითმე შვილი! არ დამაღნო, არ დამიღუპო ოჯახი ძველი!... ოღონდ ხაჭარა შინ დაითხოვე.. და მერე თუნდა ჩიტის რძე მთხოვე!“ (ამის შესახებ იხ. § 41).

ბრძანებითის კილოში სუბიექტს მოქმედების შესრულება ევალება, ნატვრითს კილოში ეს მოქმედება ან სასურველად არის ცნობილი (ნეტავ კი გააკეთოს... გააკეთებდეს...) ანდა სხვა პირობაზე დამოკიდებული ჩანს (ხედმეტი არ იქნება, რომ გააკეთებდეს... რომ გააკეთოს, კარგი იქნება).

ქართულში მხოლოდ თხრობითი კილოა ფორმებით მდიდარი; აწმყო, მყოფადი, ნამყო უსრული, აორისტი, თურმეობითი პირველი და მეორე — თხრობითი კილოს დროებია; პირობითისა და ნატვრითი კილოსათვის გვაქვს კავშირებითი პირველი, მეორე და მესამე, აგრეთვე ნამყოფადარი ნამყო (დაწერდა, გააკეთებდა, მოიტანდა, ნახავდა...). ძველს ქართულში კავშირებითიც არსებითად თხრობითი კილოს დროს წარმოადგენდა; ასე, რომ კავშირებითის კილოდ ქცევა მეორეული მოვლენაა. ბრძანებითს კილოს საკუთარი ფორმები ქართულში სულ არ გააჩნია: **ყველა** მისი **ფორმა ნასესხებია** აორისტისა, აწმყო-მყოფადისა და კავშირებითი მეორისაგან. სხვა ენებში თხრობითის გარდა სხვა კილოებიც (მაგალ. ნატვრითი, პირობითი...) კარგად არის განვითარებული, სხვა კილოებიც ფორმებით მდიდარია; ასეა, მაგალითად, ფრანგულში, ძვ. ბერძნულში, კავკასიური ენებიდან ხუნძურში... ეს კია, რომ ამ ენებშიც თხრობითი კილო მაინც უფრო მდიდარია ფორმებით.

§ 56. გვარი. ჩვეულებრივად განასხვავებენ სამ გვარს; ესენია: მოქმედებითი, ვნებითი და საშუალო. მოქმედებითი გვარიცა და ვნებითიც გულისხმობს მოქმედის, სუბიექტის გარდა ობიექტსაც: плотник строит дом—дом строится плотником; строит მოქმედებითი გვარისაა; строится –ვნებითი გვარისაა; პირველს შემთხვევაში მთელი პროცესის განხილვისას ამოსავალია სუბიექტი, მეორე შემთხვევაში—ობიექტი; იცვლება განხილვის თვალსაზრისი, პროცესის რეალური შინაარსი კი ერთი და იგივეა; საკანონმდებლო ორგანო **ამუშავებს** კანონს—კანონი **მუშავდება** საკანონმდებლო ორგანოს მიერ—ერთმანეთს უპირდაპირდება მოქმედებითი (ამუშავებს) და ვნებითი (მუშავდება)[1]; მოქმედებითისაგან შეიძლება ვაწარმოოთ ვნებითი და პირუკუ. ამისათვის საჭიროა ზმნას სუბიექტის გარდა ობიექტიც გააჩნდეს. საშუალო ერთპირიან ზმნას (ზის, დგას, წევს... ცხოვრობს, არსებობს...) ობიექტი არ გააჩნია; ამიტომ მისგან ვნებითი არ იწარმოება. ქართულში ყველა გარდამავალი ზმნა აწმყოსა და აორისტის დროთა ჯგუფებში მოქმედებითი გვარისაა: გარდაუვალი ზმნა ან ვნებითი და ან საშუალო გვარისაა; ასეთი ზმნა შეიძლება იყოს ერთპირიანიცა და ორპირიანიც.

§ 57. ძცევა. სუბიექტისა და ობიექტის აღნიშვნის გარდა, ზმნაში შეიძლება ნაჩვენები იყოს კუთვნილებითი ურთიერთობა, რომელიც არსებობს ობიექტსა და სუბიექტს შორის ანდა ობიექტსა და ობიექტს შორის: დავითმა სახლი ა-ი-შენა.., დავითმა პირი და-ი-ბანა: ი ან მის მაჩვენებელია, რომ ობიექტი სუბიექტისთვისაა განკუთვნილი (დავითმა აი'შენა სახლი=დავითმა აა'შენა სახლი თავისთვის) ან იმისა, რომ ობიექტი სუბიექტისაა (დავითმა პირი დაიბანა —აქ პირი დავითისაა)... დავითმა სიმონს სახლი აუშენა... დავითმა სიმონს საათი დაუკარგა. პირველ შემთხვევაში ობიექტი სახლი განკუთვნილია სიმონისთვის: დავითმა სახლი აუშენა სიმონს=დავითმა აა'შენა სახლი სიმონისათვის; მეორე შემთხვევაში ობიექტი „საათი“ სიმონის კუთვნილებას წარმოადგენს (დავითმა სიმონს საათი დაუკარგა=დავითმა დაკარგა სიმონის საათი)... ორსავე მაგალითში

---

[1] ქართულში ვნებითი ჩვეულებრივად ისეთ მოქმედებას აღნიშნავს, რომელიც „თავის თავად მიმდინარეობს“, რეალური სუბიექტი (მოქმედი) აქ დაჩრდილულია: კეთდება, შენდება, იწერება, ინახება, ნადგურდება... ამიტომ მოქმედებითისა და ვნებითის დაპირისპირება ქართულში ისე მკვეთრი არ არის, ამიტომაც ზევით რუსული მაგალითი მოვიყვანეთ საილუსტრაციოდ.

ერთი ობიექტი მეორე ობიექტთან არის გარკვეულს კუთვნილებით ურთიერთობაში.

ეს კუთვნილებითი ურთიერთობა აფიქსით უნდა იქნეს გამოხატული და არა ახალი სიტყვის დართვით, ანდა ზმნის ფუძისეული მასალით.

„ა ი შენა—ა უ შენა" განსხვავდება „ააშენა"-საგან -ი- და -უ- პრეფიქსებით; კუთვნილებას ეს პრეფიქსები გამოხატავენ. -ი- პრეფიქსი გამოხატავს იმას, რომ ობიექტი სუბიექტისაა ან სასუბიექტოა, -უ- პრეფიქსი—იმას, რომ ერთი ობიექტი მეორე ობიექტისაა ან საობიექტოა...

„დავითმა ააშენა სიმონისთვის სახლი" იმასვე ნიშნავს, რაც „დავითმა აუშენა სიმონს სახლი", ოღონდ აქ **-თვის** თანდებულის დართვა აღმოჩნდა ამისათვის საჭირო; ასეევე რუსულსა და სხვა ევროპულს ენებში: Давид построил дом для Симона... ასეთ შემთხვევაში კუთვნილება მორფოლოგიურად, ზმნაში აფიქსის ცვლით, კი არაა გამოხატული, არამედ ახალი, დამხმარე სიტყვის დართვით, ე. ი. **სინტაქსური** საშუალებით.

აგრეთვე წინადადებაში: „დავითმა დალია ერთი ბოთლი ღვინო", ობიექტი რომ სუბიექტისთვისაა განკუთვნილი, ამას „დალია" ზმნის **ფუძე** გამოხატავს და არა აფიქსი. ღვინო, რომ სასუბიექტოდაა განკუთვნილი, ამას **სემასიოლოგიური საშუალება** გამოხატავს (ამის შესახებ იხ. სემოთაც § 41).

სინტაქსური ანდა სემასიოლოგიური საშუალებით გამოხატული კუთვნილება ქცევას არა ქმნის: ქცევა მორფოლოგიური კატეგორიაა.

ზემოთქმულიდან ჩანს, რომ ქცევის კატეგორიისათვის აუცილებელი წინაპირობაა ზმნაში სუბიექტის გარდა ობიექტიც იყოს წარმოდგენილი, სხვანაირად რომ ვთქვათ, ქცევისათვის ორპირიანობაა აუცილებელი, ერთპირიან ზმნებში ქცევის საკითხი არ დაისმის.

§ 58. **სქესი.** სქესის საკითხი მრავალმხრივაა საინტერესო. არის ენები, რომელთათვის სქესის კატეგორია უცხოა; ასეთია, მაგალითად, ქართული (ამჟამად), სომხური... მრავალს ენაში არის სქესი: რუსულში, გერმანულში სამი სქესია: მამრობითი, დედრობითი, საშუალო... человек, стол, камень, воздух... მამრობითი სქესისაა; река, книга, доска, стена... დედრობითს სქესს განეკუთვნება; его, весло, озеро, дерево, пламя, знамя...—საშუალო სქესისად

ითვლება. ეს სახელები სათანადო სქესის მსახღვრელებს დაირთავენ: высокий стол, высокая стена, высокое дерево... ქართულში სამსაე გამოთქმაში „მაღალი" გვექნებოდა: მაღალი მაგიდა, მაღალი კედელი, მაღალი ხე...

დასახელებული რუსული მაგალითები ცხადად გვაჩვენებს, რომ **გრამატიკული** სქესი არ ასახავს **რეალურ** სქესს. მართლაცდა: 1. რეალურად არსებობს მამრობითი და დედრობითი სქესის საგნები; მაგრამ „საშუალო სქესი" ბუნებამ არ იცის; 2. ამიტომ შეიძლებოდა მამრობითისა და დედრობითი სქესის გვერდით „უსქესოთა" ჯგუფი გამოგვეყო, მაგრამ საქმეც ისაა, რომ ამ უსქესო საგნებიდან ზოგი მამრობითს სქესს ეკუთვნის (стол, камень, воздух...), ზოგი— დედრობითს (река, книга, доска, стена)... 3. ერთი და იგივე სიტყვა სხვადასხვა ენაში სხვადასხვა სქესს ეკუთვნის: რუს. книга დედრობითი სქესისაა, გერმ. das Buch—საშუალოსია, ფრანგ. le livre—მამრობითისად ითვლება. ისიც ხდება ხოლმე, რომ რეალურად სქესიანი საგანი სხვადასხვა ენაში სხვადასხვა სქესს განეკუთვნება: რუს. девочка „გოგონა" დედრობითი სქესისაა, გერმ. das Mädchen—საშუალო სქესისაა.

ამისდა კვალობაზე „სქესი" ტერმინი მხოლოდ იქ იქნებოდა მართებული, სადაც ენა მხოლოდ მამრობითსა და დედრობითს განასხვავებს რეალური სქესის მატარებლებთან შეფარდებით, ხოლო ყველა უსქესო საგნებს ცალკე ჯგუფად გამოყოფს... ასეთი რამ იმ ენებშიაც კი არ გვაქვს, სადაც ორი სქესიღაა; მაგ. ფრანგულმა და არაბულმა მხოლოდ მამრობითი და დედრობითი სქესი იცის, მაგრამ უსქესო საგნებიც ამ ორ სქესს უნაწილდება, ასე, რომ აქაც რეალური სქესის ენობრივ გამოხატულებაზე ლაპარაკი უსაბუთო იქნებოდა.

ამგვარად, ზემოთქმულის მიხედვით ის დასკვნა უნდა გაკეთდეს, რომ ე. წ. **სქესი არის საგანთა ერთგვარი კლასიფიკაციის** გამომჟღავნება. საგნების კლასიფიკაცია შეიძლება **სხვადასხვა ენაში სხვადასხვა თვალსაზრისით** მოხდეს; მამრობითი და დედრობითი სქესის გამოყოფა ერთ-ერთი სახის კლასიფიკაციაა, მაგრამ არაა ერთადერთი! აფხაზურში გამოიყოფა ორი ძირითადი კლასი: გონიერთა კლასი (კაცი, ქალი, მამა, დედა, მეზობელი...) და არაგონიერთა კლასი; პირველი იყოფა მამრობით და დედრობით სქესად... ლაკურს ენაში გარჩეულია ოთხი კლასი: 1. გონიერი—მამრობითი სქესისა, (მამა, ძმა, ამხანაგი...); 2. გონიერი—დედრობითი სქესისა (დედა, ქალი, ცოლი...); 3. ცოცხალი, მაგრამ არაგონიერი არსებები, მაგალ.

ცხოველები (მგელი, ლომი, ცხვარი, ქათამი...); 4. ნივთიერებათა სახელები;—ესენი მეტწილად მეოთხე კლასს განეკუთვნებიან (ტალახი, მატყლი, ხორცი, მიწა, ვერცხლი, თითბერი, ტყვია...).

აღსანიშნავია, რომ ზოგიერთი მცენარე მესამე კლასს განეკუთვნება (მაგალ. ვაშლი, ქერი, ჭერამი...), ზოგიც—მეოთხეს (ოსპი, ყვავილი...). ეგევე ითქმის ადამიანის შრომით შექმნილი საგნების შესახებ; მესამე კლასს ეკუთვნის, მაგალითად: დოქი, ლანგარი, ქვაბი, ტომარა, ხიდი... მეოთხე კლასისად ითვლება: წისქვილი, თოკი, ნოხი, ნაჯახი, სადგისი, დანა, მახვილი... „სახლი" მესამე კლასსაც ეკუთვნის და მეოთხესაც...

მრავალ მხრივ საგულისხმოა, რომ „ქალი" გათხოვებამდის მესამე კლასისად მიიჩნევა, გათხოვების შემდეგ—მეორე კლასს განეკუთვნება. ქალიშვილი ამბობს თავის თავზე: ნა **ბ**-ურა (=მე ვარ: **ბ**-მესამე კლასის ნიშანია); გათხოვების შემდეგ: ნა **დ**-ურა (=მე ვარ: **დ**- მეორე კლასის ნიშანია; იხ. П. Услар. Лакский яз. ტფილ. 1890, გვ. 10). ამ უკანასკნელ შემთხვევაში ნათლად გამოჩვევის ის დაფასება, რომელიც საგანს ეძლევა სათანადო ენობრივი კოლექტივის თვალსაზრისით ამა თუ იმ კლასისთვის განკუთვნებისას. ზოგიერთ ენაში ეს **დაფასება** დემონსტრაციულადაა გახაზული სახელის ამა თუ იმ კლასისადმი მიკუთვნებაში; ასე, მაგალ., ჰოტენტოტების ენაში ერთი და იგივე საგანი, ვთქვათ, წყალი, შეიძლება განეკუთვნოს სამ კლასს იმის და მიხედვით, **რანაირ** წყალთან გვაქვს საქმე: დიდი წყალი (მდინარე)—პირველი კლასისაა, სასმელად ანდა სარეცხისათვის ხმარებული წყალი—მეორე კლასისაა, საერთოდ წყალი—მესამე კლასისა.

ე. წ. სქესი შედეგია რაიმე **თვალსაზრისით საგანთა კლასიფიკაციისა**. იქ, სადაც სქესის თვალსაზრისით აჯგუფებდენ სახელებს, საფიქრებელია, რომ ეს კლასიფიკაცია პირველად რეალურად სქესის მქონე საგნებს ეხებოდა და შემდეგღა გავრცელდა სხვა საგნებზედაც-ამიტომ ამჟამად რეალური და გრამატიკული სქესი ერთმანეთს არ ხვდება იმ ენებშიც კი, სადაც მხოლოდ მაძრობითი და დედრობითი სქესია წარმოდგენილი. არას ვამბობთ იმ ენების შესახებ, სადაც სქესის მიხედვით სახელთა გარჩევას ადგილი არა აქვს.

VIII. სინტაქსის მთავარი საკითხები.

§ 59. დამოკიდებულების აღმნიშვნელი აფიქსები და დამოკიდებულება. სიტყვის ანალიზის დასაწყისშივე ნაჩვენები იყო (§19), რომ დამოკიდებულების აღმნიშვნელი აფიქსები აუცილებელია იმის ცხადსაყოფად, თუ რა მიმართებაში იმყოფება სათანადო სიტყვებით აღნიშნული საგნები (თუ სხვა ობიექტური მონაცემები) ერთმანეთთან: „ბუნების დიალექტიკა“ და „დიალექტიკის ბუნება“, „ძმის ამხანაგი“ და „ამხანაგის ძმა“, „დავითს უჭირა სიმონი“ და „დავითი უჭირა სიმონს“ — აი წყვილი გამოთქმების სანიმუშო წყება, სადაც დამოკიდებულების აღმნიშვნელი აფიქსების ცვლა გამოთქმის შინაარსის შებრუნებას იწვევს, გამოთქმას საწინააღმდეგო მნიშვნელობას აძლევს.

დამოკიდებულების აღმნიშვნელი აფიქსები აუცილებელია, მაგრამ ეს სრულებითაც არ ნიშნავს, რომ ყოველგვარი ასეთი აფიქსი ყოველ შემთხვევაში გამოდგება. შევადაროთ: „ძმის ამხანაგი“ და „ძმას ამხანაგი“; ორსავე შემთხვევაში ერთი და იგივე სიტყვებია გამოყენებული; ორსავე შემთხვევაში ამ სიტყვებს დამოკიდებულების აღმნიშვნელი აფიქსები მოეპოება; განსხვავება მათ შორის მაინც ცხადია: პირველ შემთხვევაში („ძმის ამხანაგი“) აფიქსი სწორედ ამ ორი სიტყვის შინაარსს აკავშირებს (ვისი ამხანაგი? „ძმის ამხანაგი“), მეორე შემთხვევაში („ძმას ამხანაგი“) აფიქსი ამ სიტყვათა შინაარსს არ აკავშირებს, პირიქით, ის მიგვითითებს, რომ აქ არ გაგვაჩნია ის სიტყვა, რომელთანაც პირველი სიტყვა შინაარსობლივ არის დაკავშირებული (მაგალ. „ძმას მოუვიდა ამხანაგი“; მოუვიდა ვის? — ძმას; მოუვიდა ვინ? — ამხანაგი).

სქემატურად ეს ორი შემთხვევა ასე შეიძლება წარმოვიდგინოთ:

ძმის — ამხანაგი; (მოუვიდა)

↓ ↓

ძმას ამხანაგი...

შეგვიძლია ავიღოთ მთელი რიგი აფიქსებიანი სახელები: ამხანაგი ამხანაგო ამხანაგმა ამხანაგს... ვთქვათ ისე, როგორც ეს ბრუნების პარადიგმებშია მოცემული,—არავითარი კავშირი მათ შორის არ აღმოჩნდება: დამოკიდებულების აღსანიშნავად აფი-

ქსები გვაქვს, დამოკიდებულება კი არა ჩანს, აქედან დასკვნა: არ ქმარა სიტყვას დამოკიდებულების აღმნიშვნელი აფიქსები ჰქონდეს, საჭიროა ისეთი აფიქსები ჰქონდეს, რომლებიც სათანადო სიტყვებს შინაარსობლივად აკავშირებენ, მოცემული სიტყვებიდან ორგანიზებულ მთლიანობას ქმნიან. **სიტყვათა ასეთ ორგანიზებულ შენაერთს ეწოდება შესიტყვება.** შესიტყვებას შეისწავლის სინტაქსი.

დამოკიდებულების აღმნიშვნელი აფიქსების შემწეობით სიტყვებისაგან შეიძლება მივიღოთ შესიტყვება: „ძმის ამხანაგი" შესიტყვებაა; „ძმა ამხანაგისა", „ამხანაგის ძმა",—შესიტყვებებია; „ძმის ამხანაგი", „ძმად ამხანაგი", „ძმით ამხანაგი", „ძმამ ამხანაგი"—არ არის შესიტყვება; „დავითს უქია სიმონი", „დავითი უქია სიმონს", „დავითს უქიხარ შენ", „დავითს ვუქივარ მე", „დავითმა აქო სიმონი", „დავითი აქო სიმონმა", „დავითი აქებს სიმონს", „დავითს აქებს სიმონი" და მრავალი ასეთი შენაერთი ბუნებრივი ქართული შესიტყვებებია. პირიქით: „დავითმა უქია სიმონს", „დავითს უქია სიმონმა", „დავითმა ვუქივარ სიმონს", „დავითი აქო სიმონის", „დავითად აქო სიმონით" და სხვა ამგვარი ჯგუფები სიტყვებისა შესიტყვება არ არის. შესიტყვება არ არის ქართული ენის მოქმედი სინტაქსურ-სისტემის თვალსაზრისით; ქართული ენის სუსტად მცოდნე უცხოელმა შეიძლება თქვას: „დავითმა აქებს სიმონი" იმ შინაარსის გადმოსაცემად, რომელიც აქვს ჩვენს გამოთქმას „დავითი აქებს სიმონს", მაგრამ ქართული სინტაქსური სისტემის თვალსაზრისით ეს შესიტყვებად არ მიიჩნევა.

§ 60. სინტაქსური დამოკიდებულების სახეები. იმ ორგანიზებული შენაერთის მისაღებად, რომელსაც შესიტყვება ეწოდება, საჭიროა სიტყვათა გარკვეული დამოკიდულება; ცნობილია **დამოკიდებულების სამი სახე: შეთანხმება, მართვა და მირთვა. შეთანხმება** ეწოდება შესიტყვების წევრთა ისეთ **დამოკიდებულებას, როდესაც ერთი სიტყვა იგუებს მეორეს სწორედ იმ ფორმით** (აფიქსით), **რომელიც მას ამ შემთხვევაში გააჩნია:** ამხანაგი მუშაობს—ამხანაგები მუშაობენ; პირველს შესიტყვებაში სახელი „ამხანაგი" მხოლობითს რიცხვშია, ზმნა „მუშაობს" აგრეთვე მხოლობითს რიცხვშია: ზმნა ეთანხმება სახელს რიცხვში; არ შეიძლება ვთქვათ: „ამხანაგი მუშაობენ". მეორე შესიტყვებაში („ამხანაგები მუშაობენ") სახელიც მრავლობითშია და ზმნაც; ზმნა აქაც ეთანხმება რიცხვში სახელს; „ამხანაგები მუშაობს" შესაძლო შესიტყვებაა იმერული კილოსათვის,

მაგრამ უმართებულო შესიტყვება თანამედროვე სალიტერატურო ქართულის თვალსაზრისით[1]. შესიტყვებაში „ბაღში ხეები გახმა“: „ხეები“ მრავლობითშია, „გახმა“ მხოლობითში: ზმნა არ ეთანხმება სახელს რიცხვში.

შეთანხმებას შეიძლება ადგილი ქონდეს სახელსა და სახელს შორის: „ბეჯითი სტუდენტი“, „ბეჯითმა სტუდენტმა“... პირველს შემთხვევაში სახელი „სტუდენტი“ სახელობითშია, ის სახელიც, რომელიც მას განმარტავს („ბეჯითი“) სახელობითშია: „ბეჯითი“ ეთანხმება სახელს „სტუდენტი“ ბრუნვაში. ასევე შესიტყვებაში „ბეჯითმა სტუდენტმა“ შესიტყვების პირველი წევრი („ბეჯითმა“) მოთხრობითს ბრუნვაშია და ეთანხმება შესიტყვების მეორე წევრს („სტუდენტმა“) ბრუნვაში.

მართვა ეწოდება შესიტყვების წევრთა ისეთ **დამოკიდებულებას**, როდესაც **ერთი წევრი მოითხოვს მეორეს ისეთ ფორმაში**, რომელიც **თვით მას ან საერთოდ არ შეიძლება ქონდეს** ანდა, საერთოდ შეიძლება ქონდეს, **მაგრამ მოცემულს შემთხვევაში არ გააჩნია.**

„უნივერსიტეტის წინ ვარაზის ხევია“: ამ შესიტყვების პირველი ორი წევრი ერთმანეთთან გარკვეულს დამოკიდებულებაშია: ვერ ვიტყვით: „უნივერსიტეტს წინ ვარაზის ხევია“ ანდა „უნივერსიტეტმა წინ ვარაზის ხევია“, არც „უნივერსიტეტით წინ ვარაზის ხევია“, არამედ მხოლოდ ასე: „უნივერსიტეტის წინ ვარაზის ხევია“. ამ ორი წევრიდან პირველი („უნივერსიტეტის“)—სახელია, ცვალებადი სიტყვა, მეორე („წინ“) უცვლელი სიტყვაა; ეს უკანასკნელი ყოველგვარ კონტექსტში ამ სახით წარმოგვიდგება; ცხადია, მას ბრუნვა და არც სხვა რაიმე მორფოლოგიური კატეგორია არ გააჩნია; და მაინც ის მოითხოვს, რომ მასზე დამოკიდებული სახელი იყოს ნათესაობითს ბრუნვაში: უნივერსიტეტის წინ, სახლის წინ, ჩემ წინ... უფორმო სიტყვა („წინ“) მართავს სახელს („უნივერსიტეტი“) ბრუნვაში.

სახელი შეიძლება მართოს თანდებულმაც: ვცხოვრობ **ძმას-თან**; არ შეიძლება: ვცხოვრობ ძმისთან[2] ანდა ძმადთან ან ძმითთან: **-თან**

---

[1] „თანამედროვე სალიტერატურო ქართულის თვალსაზრისითო“ იმიტომ ვამბობთ, რომ ძველ ქართულში „ამხანაგები მეშვიდობს“ კანონიერი შესიტყვება იქნებოდა: სინტაქსის ნორმები ისევე ცვალებადია, როგორც ყოველი სხვა ენობრივი ნორმა.

[2] „ძმისა თანა“ შესაძლებელი იყო ძველს ქართულში; ამის ნაშთს წარმოადგენს ახლანდელი მასდარიანი გამოთქმები („ამის ძილებისთანავე“), სადაც ჩვენს „თანა“ და „ვე“-ნაწილაკი.

თანდებული მოითხოვს მიცემითს ბრუნვას ანუ, სხვანაირად რომ ვთქვათ, მართავს სახელს მიცემითის ბრუნვაში. სხვა თანდებულები სხვა ბრუნვებს მართავენ: **-მდის** (‖ მდე) მართავს ვნებითს ბრუნვას (ქალაქამდის—ქალაქადმდის), **-კენ, -თვის**—ნათესაობითს ბრუნვას (სკოლისაკენ, სკოლისათვის...) და სხვა.

უფორმო სიტყვაც, თანდებულიც ჩვენს მაგალითებში სახელისაგან მოითხოვენ ბრუნვას, ე. ი. იმას, რაც მათ არც ამ შემთხვევაში გააჩნიათ და არც საერთოდ შეიძლება ქონდეთ.

ამგვარადვე შესიტყვებაში „ამხანაგი ბუშაობს", „მუშაობს"-მესამე პირის ფორმითაა წარმოდგენილი, თუმცა „ამხანაგი" სახელია და პირის მიხედვით ცვლის უნარს მოკლებულია, მას პირები არ გააჩნია: სახელი („ამხანაგი") მოითხოვს ზმნისაგან გარკვეულ პირს ანუ: მართავს ზმნის პირს.

პირუკუ, შესიტყვებაში: „დავითმა ფანქრით დახატა სიმონის სურათი" ზმნა „დახატა" მოითხოვს სახელს „ფანქრით" შემქმედებითს ბრუნვაში („დახატა" რით?—ფანქრით!); თუმცა ზმნა („დახატა") ბრუნვის მიხედვით არ იცვლება, ბრუნვის ფორმა მას არ გააჩნია. წინა მაგალითში სახელი მართავდა ზმნის პირს, აქ ზმნა მართავს სახელის ბრუნვას.

„პროფესორი სტუდენტის წარმატებით კმაყოფილია"—ამ შესიტყვებაში ორი სახელი („სტუდენტის წარმატებით") ერთმანეთთან გარკვეულს შინაარსობლივს კავშირშია: „სტუდენტის" ამხსნელი სიტყვაა მომდევნო სიტყვისათვის: კმაყოფილია ვისი წარმატებით? „სტუდენტის წარმატებით". პირველი დამოკიდებულია მეორეზე: მეორემ შეიძლება იცვალოს ბრუნვა, პირველი ისევ ნათესაობითში დარჩება—სტუდენტის წარმატება, სტუდენტის წარმატებამ, სტუდენტის წარმატებას, სტუდენტის წარმატებად. რა ბრუნვაშიც არ უნდა იყოს „წარმატება", წინა ამხსნელი სიტყვა („სტუდენტის") ნათესაობითს ბრუნვაში გვექნება: სახელი „წარმატებით" მოითხოვს სახელისაგან „სტუდენტი" ნათესაობითს ბრუნვას; „წარმატება" სახელს შეიძლება ქონდეს ნათესაობითი ბრუნვა, მაგრამ ამ შემთხვევაში არ გააჩნია. „სტუდენტის წარმატების აღრიცხვას პროფესორი აწარმოებს"—ამ შესიტყვებაში ორივე სახელი ნათესაობითს ბრუნვაში აღმოჩნდა, მაგრამ არა იმიტომ, რომ მათ შორის შეთანხმებას აქვს ადგილი, არამედ იმიტომ, რომ „წარმატება" ნათესაობითს ბრუნვაში მოითხოვა „აღრიცხვა"-სიტყვამ: აღრიცხვა—რისა? წარმატებისა... ვისი წარმატებისა? სტუდენტის წარმატებისა: „აღრიცხვა" მოითხოვს ნათესაობითს ბრუნვას „წარმატება"-სიტყვისა-

გან, ეს უკანასკნელიც მოითხოვს ნათესაობითს „სტუდენტ"-სიტყვისაგან. შეიძლება „აღრიცხვა"-სიტყვაც ნათესაობითს ბრუნვაში მოუყვეს, თუ ამას ახალი მმართველი სახელი ან სხვა სიტყვა მოითხოვს: „სტუდენტის წარმატების აღრიცხვის წინ ჩავატარებთ განმეორებას" ანდა „სტუდენტის წარმატების აღრიცხვის ვადები გამოცხადებულია"... აქ „ვადები" მართავს სიტყვას „აღრიცხვის", ეს უკანასკნელი — სიტყვას „წარმატების", ეს კიდევ თავის მხრივ—სიტყვას „სტუდენტის": მივიღეთ მმართველ და მართულ სიტყვათა ჯაჭვი.

როგორც შეთანხმება, ისე მართვა სიტყვათა დამოკიდებულების გარკვეული სახეებია; დამოკიდებულება კი გულისხმობს გაბატონებულსა და დამოკიდებულ სიტყვებს: გაბატონებული სიტყვა ითანხმებს ან მართავს დამოკიდებულს; დამოკიდებული ან უთანხმდება გაბატონებულს ან იმართვის მის მიერ. შესაბამისად გვაქვს: **მათანხმებელი** და **შეთანხმებული, მმართველი** და **მართული** წევრები შესიტყვებისა.

მირთვა არც შეთანხმებაა და არც მართვა; ესაა, თუ შეიძლება ასე ითქვას, **დამოკიდებულების ნოლ-ფორმა**; აქ ერთი სიტყვა უცვლელად „მიერთვის" მეორეს; მაგალითად: „დავითმა უნივერსიტეტი **შარშან** დაამთავრა... სიმონი **ადრე** იწყებს მუშაობას... „შარშან, ადრე" მირთული სიტყვებია; შესიტყვების შინაარსის მიხედვით ისინი უკავშირდებიან ზმნას. (დაამთავრა – როდის?—შარშან... მუშაობას იწყებს როდის? –ადრე. მაგრამ არავითარი გარეგნული გამოხატულება ამ დამოკიდებულებას არ ახასიათებს; ეს გასაგებიცაა: ეს დამოკიდებული სიტყვები უცვლელი (უფორმო) სიტყვებია: მათ არავითარ კონტექსტში არ შეუძლიათ სახე იცვალონ; ამიტომ დამოკიდებულებაში ყოფნა მათ ვერ დაეტყობათ. შესიტყვებაში ყველგან რომ ასეთი „დამოკიდებულება" გვქონდეს, დამოკიდებულებაზე ლაპარაკი ზედმეტი იქნებოდა; მაგრამ მართვისა და შეთანხმების გვერდით ამგვარი „დამოკიდებულების" აღნიშვნაც საჭიროა: როგორც ნოლ-ფორმა რეალურ ფორმებთან შეპირისპირებისას გამოიყოფა, ისე აქაც, ეს ნოლ-დამოკიდებულება მართვა-შეთანხმებასთან შეპირისპირებით აღინიშნება. დამოკიდებულების ეს ნოლ-ფორმა არის მირთვა. მიერთვის უცვლელი (უფორმო) სიტყვა, თანდებულიც; თანდებული ცალკე ვერ მიიღებს მონაწილეობას შესიტყვებაში, ის მის მიერ მართულ სახელს ახლავს: დავითი ცხოვრობს ძმას**თან**... სიმონმა მიიღო წერილი დავით**ის**გან... სტუდენტი ზის სკამ**ზე** მაგიდას**თან** აუდიტორია**ში**... **-თან, -გან, -ზე, -ში** თანდებულები და მათ მიერ მართული სახელები მიერთვიან ზმნას.

რაც უფრო მდიდარია ენა აფიქსებიანი სიტყვებით, მით უფრო დიდია **შეთანხმებისა** და **მართვის** ხვედრითი წონა შესიტყვებაში. რაც უფრო ღარიბია ენა აფიქსებიანი სიტყვებით, მით უფრო დიდია **მირთვის** ხვედრითი წონა შესიტყვებაში.

§ 50. **შესიტყვების აგებულება.** მართვა-შეთანხმება-მირთვის შესახებ ნათქვამი რომ გამოვიყენოთ შესიტყვებაში: მეზობლის სახლის წინ შარშან ხეები გახმა" სიტყვათა ასეთ დამოკიდებულებას ვიპოვით: სახელი (ხეები) მართავს ზმნის (გახმა) პირს; ზმნის რიცხვი სახელის რიცხვს არ ეთანხმება; ზმნას მიერთვის: „შარშან" და „წინ"; „წინ" მართავს სახელს (სახლის); ეს უკანასკნელი მართავს მეორე სახელს (მეზობლის). ამ დამოკიდებულებათა გრაფიკული გამოხატულება ასეთი იქნებოდა:

ხეები—გახმა
წინ შარშან
სახლის
მეზობლის

ასეთია სულ უბრალო შესიტყვების აგებულება. გაცილებით უფრო რთულია დამოკიდებულების ქსელი ისეთ ქართულ შესიტყვებაში, რომელშიაც ორპირიანი ზმნა მონაწილეობს (იხ. ქვემოთ).

ამრიგად: სინტაქსი შეისწავლის შესიტყვებას. შესიტყვების შესწავლა ნიშნავს იმ დამოკიდებულების შესწავლას, რომლის შემწეობითაც აიგება სიტყვათა ორგანიზებული შენაერთი, შესიტყვება. სხვანაირად რომ ვთქვათ, **სინტაქსი შეისწავლის შესიტყვებას, როგორც სიტყვათა ორგანიზებულს შენაერთს, განიხილავს შესიტყვების ყოველ წევრს, როგორც შენაერთის მონაწილეს და ახასიათებს მას იმ როლის მიხედვით, რომელიც მას განეკუთვნება შენაერთის ორგანიზაციაში.**

§ 62. **რას გამოხატავს შესიტყვება?** შესიტყვება ერთზე მეტი სიტყვისაგან შედგება: ერთსიტყვიანი შესიტყვება შინაგან წინააღმდეგობას შეიცავს[1]. შინაარსობლივ თუ განვიხილავთ, შესიტყვება შეიძლება გადმოგვცემდეს სრულს მჯელობას (ანუ, როგორც

[1] განსაკუთრებულია ზმნის პირიანი ფორმა (ცხოვრობს, დგას... გაჭრის, მხატავს...); ამგვარი ცალკე სიტყვა პოტენციალური შესიტყვებაა.

იტყვიან ხოლმე, აზრს) ანდა მსჯელობის (აზრის) ნაწილს და, არც თუ იშვიათად, უაზრობას.

სრულს აზრს გადმოგვცემენ ისეთი შესიტყვებები, როგორიცაა: შარშან მეზობლის სახლის წინ ხეები გახმა... დავითმა აქო სიმონი... საბჭოთა კავშირი აშენებს სოციალიზმს... ფირდოუსი სპარსეთის უდიდესი მწერალია... დედამიწა ტრიალებს მზის გარშემო... და სხვა.

აზრის ნაწილი გადმოცემულია ასეთს შესიტყვებებში: ძმის ამხანაგი... დიალექტიკის ბუნება... პირველი მაისი... „მგზავრის წერილები“... „პალიასტომის ტბა“... „ალსავლის კარებთან“... თესვის კამპანიის წინ... და სხვ. პირველი შესიტყვება აზრის საგანს ალნიშნავს, ლოგიკურ სუბიექტზე მიუთითებს, პრედიკატი კი გვაკლია; შდრ. ძმის ამხანაგი და: ძმის ამხანაგი მოვიდა... დიალექტიკის ბუნება და დიალექტიკის ბუნება გარკვეულია... პირველი მაისი და: პირველი მაისი პროლეტარიატის საერთაშორისო დღესასწაულია... „მგზავრის წერილები“ და „მგზავრის წერილები“ მშვენიერი ნათაა დაწერილი... „პალიასტომის ტბა“ ე. ნინოშვილის მოთხრობაა... „ალსავლის კარებთან“: „ალსავლის კარებთან“ კ. ჰამსუნის პიესის სახელია[1]... უკანასკნელ შესიტყვებაში პრედიკატის ნაწილი შეიძლება ვივარაუდოთ: „თესვის კამპანიის წინ რაიალმასკომმა დიდი მუშაობა გააჩალა“...

შესიტყვება შეიცავს უაზრობას, უაზრო წინადადებას წარმოადგენს: სამკუთხედში ოთხი კუთხეა... სამჯერ ხუთი არის შვიდი... „დამხრჩვალი კატა მიათრევს ტრამვაის ვაგონს... „ჩვენთა მგელთაცა შესჭამენ თქვენი, ინდოთა, თხანია“... „მთვარეს ჰამბურგშიჭაკეთებენ“... Шел высокий человек визенького роста... „Рано утром вечером, поздно на разсвете, баба ехала пешком в раскидной карете; а за нею во всю прыть тихими шагами рак старался переплыть миску с пирогами“... ილია წინასწარმეტყველი ცოცხლად ამაღლდა ზეცად... დედამიწა ხარის რქაზეა მოთავსებული... ჰომიროსი მეთვრამეტე საუკუნის გერმანელი მოღვაწე იყო...

როგორც ფსიქიატრები ალნიშნავენ, ფსიქიკური აშლილობის დროს ავადმყოფები „თითქმის ყოველთვის გრამატიკულად სწორად გაფორმებულ წინადადებაში გამოხატავენ შიზოფრენიულ ასოცია-

---

[1] შესიტყვებები: „პირველი მაისი... მგზავრის წერილები... პალიასტომის ტბა... ალსავლის კარებთან“... შეიძლება პრედიკატის ნაწილადაც ვიგულვოთ, თუ ვინ ცობაა მათ ნაწარმოებების სახელწოდებებად არ დავსახავთ.

ციათა ნაფლეთების უაზრო გროვას"; მაგალითად, ერთი შემლილი ამბობდა: „მე დიოგენის ჩამომავლობისა ვარ იმიტომ, რომ დიოგენი ფარნით ეძებდა ადამიანებს, მე კი ეს მიმაჩნია სისულელედ" (იხ. გურევიჩი და მ. სერეისკი: „ფსიქიატრიის სახელმძღვანელო" — რუს. — 1928 წ., მოსკ.-ლენინგრ., გვ. 289).

შეიძლება უბოლოვადად განვაგრძნოთ მაგალითების მოყვანა — მხატვრულ ნაწარმოებთაგან, ფოლკლორიდან, სარწმუნოებათა ისტორიიდან და სხვა. ეს სრული შესიტყვებებია, გავრცელებული წინადადებები; იმათი თვალსაზრისით, ვისგანაც ეს წინადადებები მომდინარეობს, ისინი გარკვეულ აზრებს შეიცავენ, უაზრო როდი არიან, მაგრამ მთქმელის თვალსაზრისით აზრიანი ობიექტურად უაზრობას წარმოადგენს. ვინც იმ დებულებიდან გამოვა, რომ წინადადება უთუოდ აზრიან შესიტყვებას უნდა წარმოადგენდესო, უნდა გაითვალისწინოს, რომ ურევს გრამატიკას ფორმალურ ლოგიკასთან კი არა, არამედ — მეტი კიდევ — გნოსეოლოგიასთან და **წარმოუდგენელ მოთხოვნილებას აყენებს: შესიტყვების სინტაქსურ გარჩევას წინ უძღოდეს გნოსეოლოგიური ანალიზი და უკანასკნელის საფუძველზე წყდებოდეს საკითხი — წარმოადგენს თუ არა წინადადებას ესა თუ ის შესიტყვება...**

თავის თავად ცხადია, ასეთი ახირებული მოთხოვნილების თვალსაზრისით ხლაპრების ტექსტები სინტაქსური ანალიზისათვის გამოუსადეგარი იქნება: იქ წინადადებას ველარ ვიპოვით... ეს ცოტაა: იმ პრიმიტიულ ხალხთა მეტყველებაში, რომელთა აზროვნებასაც ალოგიკურობა (თუ წინარელოგიკურობა) ახასიათებს, წინადადებები ასე ერთი თუ ალმოჩნდება...

§ 63. სინტაქსი და სტილისტიკა. ყოველგვარი ნორმალური შესიტყვება სათანადო ენის სინტაქსის კანონიერ საგანს წარმოადგენს: მათემატიკურად ზუსტ დებულებას შეიცავს იგი, მეცნიერულად საეჭვო აზრს, საყოველთაოდ ცნობილ შემცთარ დებულებას თუ წარმოუდგენელ უაზრობას — სიტყვათა ორგანიზაციის წესები მათემატიკურს ფორმულაშიც („სამკუთხედის კუთხეთა ჯამი ორ სწორს უდრის") და საყოველთაოდ ცნობილ უაზრობაშიც („დედამიწა ხარის რქაზეა მოთავსებული") ერთნაირია, ამ წესების გასათვალისწინებლად ორივე თანაბრად გამოდგება.

კი, მაგრამ — შესიტყვების შინაარსი? შესიტყვების შინაარსი იმ სამეცნიერო დისციპლინის საგანს წარმოადგენს, რომლიდანაც არის აღებული შესიტყვება: „სამკუთხედის კუთხეთა ჯამი ორ სწორს

ულრის" — ამ შესიტყვების შინაარსი გეომეტრიის საქმეა და არა ენათმეცნიერებისა... ასევე: ნაცარქექიამ ცხრათავიანი დევი გააქცია... ცხენს მოახტა, მარჯვენა ყურიდან უნაგირი გამოიღო, მარცხენიდან მათრახი...— ამგვარ შესიტყვებათა შინაარსს თოლკლორი სწავლობს და სხვა.

არის შინაარსის ერთი მხარე, სახელდობრ, ლოგიკური აგებულება შესიტყვების შინაარსისა—სუბიექტისა და პრედიკატის გამოყოფა—ამის გარკვევა, როგორც თვით სახელწოდებიდან („ლოგიკური აგებულება") ჩანს, ლოგიკის საქმეა[1] და არა ენათმეცნიერებისა.

მაგრამ არის ერთი რამ, რაც ენათმეცნიერებას ეხება და რასაც ვერც ერთი სხვა სამეცნიერო დისციპლინა ვერ იკისრებს: ის მიმართება, რომელიც არსებობს იმას შორის, რაც მთქმელს სურს გადმოსცეს და იმ სიტყვებს შორის, რომლებიც ამ მიზნით მას აქვს ნახმარი; **რამდენად შეეფერება გადმოსაცემ შინაარსს სათანადო სიტყვები? ამ გადმოსაცემი შინაარსის თვალსაზრისით რა მიმართებაშია ერთმანეთთან სიტყვები?** სხვანაირად რომა ვთქვათ, **სიტყვების ურთიერთობა მნიშვნელობის თვალსაზრისით**—აი საკითხი, რომელსაც ენათმეცნიერება გვერდს ვერ აუხვევს, თუ უნდა თავისი ობიექტი ყოველმხრივ გააშუქოს.

სიტყვების ურთიერთობა შესიტყვების აგებულების თვალსაზრისით—სინტაქსის საქმეა; სიტყვების ურთიერთობა მნიშვნელობის თვალსაზრისით, გადმოსაცემი შინაარსის თვალსაზრისით—სტილისტიკის საქმეა. შესაძლებელია შესიტყვება სინტაქსურად სწორად იყოს აგებული, მაგრამ სტილისტიკურად უმართებულო იყოს; პირუკუ: შეიძლება სტილისტიკურად გამართული იყოს შესიტყვება, მაგრამ სინტაქსურ შეცთომებს შეიცავდეს; დასასრულ: შეიძლება სტილისტიკურადაც სწორი იყოს და სინტაქსურადაც ანდა პირუკუ: სტილისტიკურადაც უმართებულო იყოს და სინტაქსურადაც.

„დავითმა შეურაცხყოფა გაუკეთა სიმონს": სიტყვათა ორგანიზაციაა, სინტაქსური მხარე უნაკლოა, სტილისტიკურად—აუტანელია: „შეურაცხყოფა" და „გაუკეთა" მნიშვნელობის მიხედვით ქართულში ერთმანეთს სრულებით არ შეეფერება; შესიტყვებაში „შეურაცხყოფა

---

[1] ეს საქმე ძალიან საჭირო საქმეა, ღანსაკუთრებით სკოლის სინამდვილისათვის. და თუ მას ენის მასწავლებელი კიდებს ხელს, ეს იმიტომ, რომ სკოლაში არც ერთი სხვა საგანი არ მოიპოვება, რომლის მასწავლებელიც ამ საქმეს თავის საქმედ თვლიდეს.

გაუკეთა" სიტყვები ფორმით ერთმანეთს შეეფერება, მნიშვნელობით—არა! ქართულია: „შეურაცხყოფა მიაყენა"...

„მატარებელი გაჩერდა სემაფორზე": სინტაქსური მხარე წესიერია; სტილი უვარგისი: -ზე თანდებული გამოუსადეგარია იმ შინაარსის გადმოსაცემად, რომელიც ამ შესიტყვებას აქვს; უნდა იყოს: „მატარებელი გაჩერდა სემაფორთან".

„დავითმა დაპირდა სიმონს დახმარება", „დავითმა მოუყვა სიმონს ამბავი" სტილისტიკურად გამართული შესიტყვებებია, მაგრამ სინტაქსურად ორივე უმართებულოა,—„დაპირდა", „მოუყვა" გარდაუვალი ზმნებია და ამიტომ უნდა იყოს: „დავითი დაპირდა სიმონს დახმარებას", „დავითი მოუყვა სიმონს ამბავს".

სტილისტიკურს შეცთომას სინტაქსურიც ერთვის ასეთს შესიტყვებაში: „ვარსქენი, გამხეცებული ცოლის ასეთ მოქცევაზე, უხეშად სცემს შუშანიკს"... „გამხეცებული" რით? მოქცევით (და არა „მოქცევაზე"); სცემს დაუზოგავად (და არა „უხეშად": გამხეცებული თუ იყო, ნაზად ცემა არ გამოუვიდოდა!). პირველი შეცთომა სინტაქსურია, მეორე—სტილისტიკური.

§ 64. შესიტყვების აგებულება და შესიტყვების მნიშვნელობა. სინტაქსს თავისი საგანი აქვს, სტილისტიკას—თავისი; სინტაქსური ანალიზი—ერთია, სტილისტიკური—მეორე; მჭიდრო კავშირშია ერთი მეორესთან, მაგრამ მათი ალრევა დაუშვებელია: სწორედ იმიტომაა საჭირო სრულის გარკვეულობით დავიცვათ საზღვრები მათ შორის, რომ მეტად მჭიდროა კავშირი. საზღვრის დაცვა, რა თქმა უნდა, კავშირის გაწყვეტას არ მოასწავებს, არამედ ამ კავშირის ჯეროვნად დაფასებასა და გამოყენებას.

რჩება ერთი პრინციპული საკითხი: უდავოა, რომ არსებობს მჭიდრო კავშირი **აგებულების მიხედვით** სიტყვათა ურთიერთობასა და **მნიშვნელობის მიხედვით** სიტყვათა ურთიერთობას შორის. განა მიზანშეწონილი არ იქნებოდა, ჯერ შეგვესწავლა სიტყვათა ურთიერთობა მათი მნიშვნელობის მიხედვით (რამდენად შეეფერება ერთი სიტყვა მეორეს მნიშვნელობის მიხედვით?) და შემდეგ **ამაზე დაგვეფუძნებინა** სიტყვათა ურთიერთობა აგებულების მიხედვით (რამდენად შეეფერება ერთი სიტყვა მეორეს აგებულების მიხედვით, შეთანხმება-მართვის თვალსაზრისით?). ერთი სიტყვით, ჯერ სტილისტიკის საკითხები მოგვეგვარებინა, შემდეგ ამაზე დაგვემყარებინა სინტაქსურ ამოცანათა გადაწყვეტა.

სტილისტიკით დაწყება, რა თქმა უნდა, პრინციპულის თვალსაზრისით დავასარ იწვევს, თუ პრაქტიკულად ადვილი დასაძლევი აღმოჩნდა. ერთია მხოლოდ: მწვავდება თანამიმდევრობის საკითხი მასალის დალაგებაში მარტივიდან რთულისაკენ გადასვლის თვალსაზრისით. თან ისიც არ შეიძლება დავივიწყოთ, რომ სტილისტიკა ფსიქოლოგიისა და ლოგიკის მიჯნაზე მდებარე დისციპლინაა, სინტაქსი კი წმინდა საენათმეცნიერო დარგია. მაინც ვიმეორებთ: სტილისტიკიდან დაწყება პრინციპის საკითხი კი არ არის, არამედ პრაქტიკული შესაძლებლობისა.

ამას ვერ ვიტყვით მეორე საკითხის შესახებ: შეიძლება თუ არა მნიშვნელობის მიხედვით სიტყვათა ურთიერთობა საფუძვლად დავუდვათ აგებულების მიხედვით სიტყვათა ურთიერთობას? ეს შესაძლებელი იქნება, თუ პირველი განსაზღვრავს მეორეს, თუ **მნიშვნელობის მიხედვით** ერთნაირი ურთიერთობა ყოველთვის და ყველგან **აგებულების მიხედვით** სიტყვათა ერთნაირ ურთიერთობას მოგვცემს. ეს აუცილებელი პირობაა, რომ პირველზე დავამყაროთ მეორე; და **ეს აუცილებელი პირობა არ გაგვაჩნია:**

1. სხვადასხვა ენაში **ერთნაირი მნიშვნელობის** შესიტყვება **სხვადასხვაგვარი აგებულებისაა** და 2. ერთსა და იმავე ენაში **ერთნაირი მნიშვნელობის** შესიტყვება **სხვადასხვაგვარი აგებულებისა** გამოდის გახვითარების **სხვადასხვა პერიოდში.**

უაფიქსო ენებში, როგორც ვიცით, შესიტყვებაში არც მართვას აქვს ადგილი და არც შეთანხმებას, მაგრამ თვით აფიქსიან ენებშიც ერთი და იმავე მნიშვნელობის შესიტყვება ერთი და იმავე აგებულებისა ჩვეულებრივ არ არის: „დავითი სთხოვს სიმონს“ და „Давид просит Симона“ ერთი და იმავე მნიშვნელობისაა, მაგრამ სხვადასხვაგვარი აგებულებისა; სინტაქსური ურთიერთობა ქვემოთ იქნება განხილული, აქ მხოლოდ ის აღვნიშნოთ, რომ „სიმონს“ მიცემითია, „Симона“—ბრალდებითი... ასევე: დავითი ხშირად ხვდება სიმონს და Давид часто встречается с Симоном განსხვავებულია აგებულების მიხედვით: სიმონს მიცემითია; მისი რუსული შესატყვისი „Симону“ კი არ არის, არამედ „с Симоном,“ მოქმედებითი ბრუნვა, თანდებულიანი.

შევადაროთ ქართული: „დავითი აქებს სიმონს“, „დავითმა აქო სიმონი“, „დავითს უქია სიმონი“ და სათანადო რუსული შესიტყვებები: Давид хвалит Симона, Давид похвалил Симона, Давид, оказывается, похвалил Симона. ბრუნვათა სხვაობა ამ თავითვე შესამჩნევია ისევე, როგორც ზევით; ამაზე არ შევჩერდებით; მე-

სამე რუსულ შესიტყვებას ჩართული სიტყვა (оказывается) დაჭირდა, რომ ქართული გამოთქმა გადმოეცა; ამ მხრივაც ხხოლოდ ამის აღნიშვნით დავკმაყოფილდეთ და გავაანალიზოთ შესიტყვებათა აგებულება რუსულში და ქართულში.

Давид хвалит Симона: Давид სახელი მართავს ზმნის (хвалит) პირს და ითანხმებს რიცხვს; хвалит თავის მხრივ მართავს სახელის (Симона) ბრუნვას. პირველი სახელი, ზმნის მმართველი სახელი, ესაა **ქვემდებარე**; ზმნა, რომელსაც მართავს და ითანხმებს ქვემდებარე, არის **შემასმენელი**; ზმნის მიერ მართული სახელი (Симона) არის **დამატება**. სქემატურად ეს ასე შეიძლება გამოვსახოთ:

Давид
↓
хвалит
↓
Симона.

როგორია მდგომარეობა ქართულს შესიტყვებებში? პირველი, რაც ყურადღებას იქცევს, ესაა სახელთა ბრუნვის ცვლა: დავითი აქებს—დავითმა აქო—დავითს უქია... აქებს სიმონს—აქო სიმონი... სახელთა ბრუნვის ცვლა გამოიწვია ზმნამ: აქებს—აქო—უქია... სხვაგვარი ზმნა რომ აგვეღო, ამ ცვლილებას ადგილი არ ექნებოდა: დავითი იზრდება, დავითი გაიზარდა, დავითი გაზრდილა ანდა: დავითი ემალება სიმონს, დავითი დაემალა სიმონს, დავითი დამალულა სიმონს...

სახელთა ბრუნვის ცვლა დამოკიდებულია ზმნაზე, სხვანაირად რომა ვთქვათ, გარდამავალი ზმნა (აქებს) მართავს სახელთა ბრუნვებს.

თავის მხრივ სახელები მართავენ ზმნის პირს: დავითი აქებს, შენ აქებ, მე ვაქებ... აქებს სიმონს, გაქებს შენ, მაქებს მე. ზმნა ორპირიანია და ორივე სახელის პირი ზმნაში წარმოდგენილია ან რეალურად („დავითი“ -ს სუფიქსით) ან პოტენციალურად (სახელი „სიმონს“).

რიცხვის მხრივ კი ორივე სახელს თანაბარი სინტაქსური ძალა არ გააჩნია: ისინი აქებენ მას: „ისინი“ ითანხმებს ზმნას მრავლობითში; დავითი (ის) აქებს მათ: „მათ.“ არ ითანხმებს ზმნას მრავლობითს რიცხვში.

ამგვარად: შესიტყვებაში „დავითი აქებს სიმონს“ ორივე სახელის ბრუნვას მართავს ზმნა; ორივე სახელი მართავს ზმნის პირს; ერთი სახელი (დავითი) ითანხმებს ზმნას მრავლობითში, მეორე (სი-

მონს)—არა. რუსულთან შედარებით სიტყვათა დამოკიდებულება აქ შეუდარებლივ რთულია; ზმნა შესიტყვების დედაბოძია; მასში იყრის თავს სინტაქსური დამოკიდებულების ძაფები. ზმნასთან შედარებით სახელთა როლი მეორეხარისხოვანია; ორი სახელიდან პირველის (დავითი) სინტაქსური როლი უფრო დიდია, ვიდემ მეორისა (სიმონს).

საგულისხმო ისაა, რომ მხოლოდ მმართველი ან მხოლოდ მართული წევრი ამ ქართულს შესიტყვებაში არ მოიპოვება: მმართველი ერთი ნიშნის მიხედვით მეორე ნიშნის მიხედვით მართულია **იმავე სიტყვის მიმართ:** ზმნა მართავს სახელის ბრუნვას, მაგრამ მისი პირი და რიცხვი დამოკიდებულია სახელზე და პირუკუ.

აქედან დასკვნა: ამგვარ ქართულ შესიტყვებაში არსებულ სინტაქსურ დამოკიდებულებას მართვა-ცნება ვერ გამოხატავს; აქ საქმე გვაქვს ურთიერთ მართვა-შეთანხმებასთან, კოორდინაციასთან[1]. ზმნა—ძირითადი კოორდინატია, როგორც კოორდინაციის ცენტრი; სახელებიც კოორდინატებს წარმოადგენენ: ერთი მათგანი (დავითი)—დიდი კოორდინატია (მას ქვემდებარის ადგილი უჭირავს); იგი მართავს ზმნის პირს და ითანხმებს მას მრავლობითში; მეორე სახელი (სიმონს)—მცირე კოორდინატია (იგი დამატების ადგილას გვევლინება): იგი მართავს ზმნის პირს, მაგრამ არ ითანხმებს ზმნას მრავლობითში.

კოორდინაცია და კოორდინატები: ძირითადი, დიდი, მცირე—აი რას იძლევა ამგვარი ქართული შესიტყვების აგებულების ანალიზი[2].

სქემატურად კოორდინაციის პროცესი ასე შეიძლება გამოვსახოთ:

აქებს
↓ ↑ ↑ ↓
დავითი სიმონს

შეიძლება ტერმინი კოორდინაცია (შეწყობა ერთმანეთთან, თანალაგება...) და კოორდინატები ჯეროვნად ვერ გამოხატავდეს ქართული შესიტყვების სინტაქსურ მექანიზმს; ამ ტერმინოლოგიურ მხარეს აქ ჩვენთვის არავითარი მნიშვნელობა არა აქვს: თავი და თავია

---

[1] კოორდინაცია ლათინური სიტყვაა; ნიშნავს „თანაწყობას", „თანალაგებას", ერთმანეთთან „შეწყობას"

[2] დაწვრილებით ამის შესახებ იხ. ავტორისავე: „მარტივი წინადადების პრობლემა ქართულში: I, 1928, გვ. 261 და შემდ. და „რა თავისებურებები ახასიათებს ქართული ენის აგებულებას?" კულტურ. აღმშენებლ. 1930, № 7/8, გვ. 705—41.

ამ ტერმინით აღნიშნული ცნების შინაარსი, მისი თავისებურება—**რთული სინტაქსური ურთიერთობა საურთიერთო მართვისა**—სახელებისა ზმნის მიერ და ზმნისა იმავე სახელების მიერ. სინტაქსური მექანიზმის ეს სირთულე ქართულს შესიტყვებაში შემთხვევითი არ არის; იგი შინაგანის აუცილებლობით გამომდინარეობს იმ დიდმნიშვნელოვანი მორფოლოგიური ფაქტიდან, რომ ქართულში მოიპოება **ორპირიანი ზმნა**, კერძოდ, ორპირიანი **გარდამავალი** ზმნა: **ზმნის ორპირიანობა მორფოლოგიაში იძლევა კოორდინაციას სინტაქსში.**

რუსულისა და ქართული შესიტყვების სინტაქსური მექანიზმის სხვაობის თვალსაჩინო სურათს წარმოადგენს სათანადო სქემათა შედარება:

Давид ↓ хвалит ↓ Симона

აქებს ↓ ↑ ↑ ↓ დავითი სიმონს

მნიშვნელობის მხრივ სიტყვათა ურთიერთობა ქართულსა და რუსულს შესიტყვებაში ერთნაირია: მაქებარია დავითი, ქების საგანია—სიმონი...

აგებულების მხრივ სიტყვათა ურთიერთობა ქართულს შესიტყვებაში არსებითად სხვაგვარია, ვინემ რუსულში; გარეგნულადაც ეს თვალში გვეცემა: სახელთა ბრუნვა რუსულს შესიტყვებაში ყველა დროში იგივეა, რაც აწმყოში (Давид хвалит, похвалил, похвалит), ქართულში კი სახელების ბრუნვა ცვალებადია აწმყოსთან შედარებით ნამყო ძირითადში (აქო დავითმა სიმონი) და თურმეობითს პირველში (უქია დავითს სიმონი) [1].

საერთოდ, მართვის მხრივ სხვადასხვა ენის შესიტყვებებს დიდი სხვაობა ემჩნევათ. შეთანხმების ხაზით სხვაობა მინიმალურია; ასე მაგალითად, „ახალი წიგნი“ და „новая книга“—ორივეში წინა წევრი, ეთანხმება მომდევნოს; მიზეზი: ის ურთიერთობაა, რომელიც ამ ორი სიტყვის მნიშვნელობას შორის არსებობს: „ახალი“ განმარტავს სიტყვას წიგნი, აღნიშნავს რა მის ერთ-ერთ თვისებას; თვისების აღმნიშვნელი სიტყვა ეთანხმება საგნის აღმნიშვნელ სიტყვას,—ასეა ქართულში, ასევეა—რუსულში. მაგრამ საკმარისია ავიღოთ შესიტყვება „კოხტა წიგნი“ „изящная книга“ რომ სხვაო-

---

[1] ნამყო ძირითადის კონსტრუქცია დროთა მთელ მეორე ჯგუფზე ვრცელდება, თურმეობითი პირველისა—დროთა მთელ მესამე ჯგუფზე.

ბამ იჩინოს თავი: კოხტა წიგნმა, კოხტა წიგნს, კოხტა წიგნით...— **изящная книга, изящной книги, изящною книгою**; რუსული **изящная** ყველა ბრუნვაში ეთანხმება **книга**-ს, ქართულში სახელობითის გარდა შეთანხმება არსად ჩანს, მსაზღვრელი ცვლილებებს არ განიცდის; მართალია, თუ რიგს შევუცვლით მსაზღვრელსა და საზღვრულს, ქართული და რუსული შესიტყვება ერთნაირი აგებულებისა აღმოჩნდება (წიგნი კოხტა, წიგნმა კოხტამ, წიგნსა კოხტას...), მაგრამ ახალი ქართულისათვის ასეთი წყობა არ არის ჩვეულებრივი და მისი გამოყენების არე შეზღუდულია. ძალაში რჩება დებულება, რომ ამ შემთხვევაში **მსაზღვრელსა და საზღვრულს შორის არ არის ისეთი სინტაქსური ურთიერთობა, როგორიცაა რუსულ მსაზღვრელსა და საზღვრულს შორის: მნიშვნელობის მხრივ ერთნაირმა ურთიერთობამ ვერც აქ უზრუნველყო აგებულების მხრივ ერთნაირობა სხვადასხვა ენაში.**

მაგრამ აღსანიშნავი აქ სხვა რამეცაა; თვით ქართულში მსაზღვრელსა და საზღვრულს შორის სინტაქსური ურთიერთობა ყოველთვის ერთნაირი არ იყო. ძველს ქართულში მსაზღვრელი ყოველთვის ეთანხმებოდა საზღვრულს; „კოხტა წიგნი“ რომ ძველებურად დავაბრუნოთ, გვექნება: „კოხტა წიგნი, კოხტა**მან** წიგნმან, კოხტა**სა** წიგნსა, კოხტა**დ** წიგნა**დ** და სხვა.

დასკვნა: **მნიშვნელობის მხრივ ერთნაირმა ურთიერთობამ ერთი ენის განვითარების პროცესშიც ვერ უზრუნველყო შესიტყვებათა ერთნაირი აგებულება.**

მნიშვნელობის მხრივ ერთნაირი ურთიერთობა **სხვადასხვა ენაში** რომ ვერ უზრუნველყოფდა სიტყვათა ერთნაირს ურთიერთობას, ეს იმ თავითვეც შეგვეძლო დაგვესკვნა იმ **მარტივი, მაგრამ ძირითადი მნიშვნელობის ფაქტიდან,** რომ **ურთიერთობის აღნიშვნის საშუალებები სხვადასხვა ენაში განსხვავებულია** (იხ. ენათა მორფოლოგიური კლასიფიკაცია), **თუმცა სიტყვით გადმოსაცემი ობიექტური ვითარება ერთნაირია...**

მნიშვნელობის მხრივ ერთნაირი ურთიერთობა **ერთსა და იმავე** ენაში რომ ვერ უზრუნველყოფდა სიტყვათა ერთნაირს ურთიერთობას, ესეც აპრიორი შეგვეძლო გამოგვეყვანა იმ დებულებიდან, რომ ენობრივი სისტემის ყოველი მხარე,—და, მაშასადამე, სინტაქსიც,—ცვალებადია. **მნიშვნელობის მხრივ არსებული ურთიერთობა ვერა წყვეტს შესიტყვების აგებულების საკითხს, სტილისტიკური კატეგორიები ვერ დაედება საფუძვლად სინტაქსურ კატეგორიებს,**—უკანასკნელთა ანალიზი საკუთარს **საზომს საჭიროებს.**

მნიშვნელობის კატეგორიებზე დაყრდნობა აქ იმავე შედეგებს მოგვცემდა, რასაც იძლევა სემასიოლოგიური პრინციპი მეტყველების ნაწილთა კლასიფიკაციაში.

§ 65. სინტაქსის სხვაგვარი გაგება. სინტაქსის აქ წარმოდგენილი გაგება შედარებით ახალია; მისთვის დამახასიათებელი მთავარი მომენტები წარმოდგენილია ჯონ რისის წიგნში: „რა არის სინტაქსი“ (1894). ჯ. რისის შეხედულებასთან შედარებით სხვაობაც საგრძნობია, მაგრამ ამის დეტალური გარკვევა აქ უადგილო იქნებოდა.

მოიპოება სინტაქსის საგნისა და მეთოდის სხვაგვარი გაგებაც. ზოგადად მათი მიმოხილვა მიუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს მით უფრო, რომ სინტაქსის პრობლემატიკა უაღრესად რთულია და შედარებით ნაკლებად შესწავლილი.

ამ მხრივ სინტაქსის ორი სხვადასხვაგვარი განსაზღვრებაა განსახილველი. ერთი მათგანის მიხედვით **სინტაქსი არის მოძღვრება სიტყვის კლასებისა და სიტყვის ფორმების** მნიშვნელობის შესახებ, მეორის თანახმად—**სინტაქსი არის მოძღვრება წინადადების** შესახებ. [1]

შეხედულება, რომ სინტაქსი შეისწავლის სიტყვათა კლასებისა და სიტყვათა ფორმების მნიშვნელობას, წამოაყენა სლავური ენების მკვლევარმა მიკლოშიჩმა; მისი „სლავური ენების შედარებითი გრამატიკის“. მეოთხე ტომის—„სინტაქსის“—(1872წ.) პირველსავე თავში ნათქვამია: „გრამატიკის ის ნაწილი, რომელმაც უნდა განიხილოს სიტყვათა კლასებისა და სიტყვათა ფორმების მნიშვნელობა, არის სინტაქსი. სინტაქსი ამისდა მიხედვით განიყოფება ორ ნაწილად, რომელთაგანაც პირველის საგანია სიტყვათა კლასების, მეორისა კი—სიტყვათა ფორმების მნიშვნელობა“. სიტყვათა კლასებში მიკლოშიჩი გულისხმობს მეტყველების ნაწილებს და სინტაქსის პირველს ნაწილში იხილავს: 1. არსებით სახელს; 2. ზედსართავ სა-

---

[1] საკმაოდ ხშირად სინტაქსში განიხილავენ ფორმათა (მაგ. ბრუნვათა) მნიშვნელობასაც და წინადადებასაც; ასეთი სინტაქსი სრულებითაც არ ასაბუთებს, რატომ სწავლობს ის სწორედ ამ საგნებს და ამ თვალსაზრისით. რამდენადაც ასეთ შემთხვევაში დასაბუთებულ შეხედულებასთან არა გვაქვს საქმე, ცალკე მიმდინარეობად მისი გამოყოფა არ იქნებოდა გამართლებული; არას ვამბობთ აგრეთვე უკანასკნელ ხანებში ობიექტური იდეალიზმის უდიდესი წარმომადგენლის ფილოსოფოს ედმ. ჰუსერლის ზეგავლენით წამოწყებულ ორიგინალურ ცდაზე პოლიგისა (1925.), რომელსაც სინტაქსი მიაჩნია მოძღვრებად მნიშვნელობათა შესახებ—„მნიშვნელობის“ სრულიად თავისებური გაგებით: ეს შეხედულება ჯერ საპროგრამო მსჯელობის ფარგლებს არ გასცილებია.

ხელს—მის სქესსა და რიცხვს; 3. რიცხვითს სახელს; 4. ნაცვალსახელს; 5. ზმნისართს; 6. კავშირსა და 7. ზმნას—მნიშვნელობის მიხედვით, რა თქმა უნდა! სინტაქსის მეორე ნაწილი მოგვითხრობს სიტყვათა ფორმების მნიშვნელობათა შესახებ; ეს ფორმებია: სახელთა ბრუნვები; პირი, რიცხვი, დრო და კილო ზმნათა; ამათ მნიშვნელობათა ანალიზს უნდება მეორე ნაწილი. გაკვრით, ამა თუ იმ მნიშვნელობასთან დაკავშირებით მიკლოშიჩი შენიშნავს, მაგალ.: „ეს არის სუბიექტი, რომელსაც ლოგიკის [სათანადო] ცნებისაგან განსხვავებით გრამატიკული შეიძლება ვუწოდოთ"; ასევე: „პრედიკატს, რამდენადაც ზმნა პრედიკატს გამოხატავს, ეწოდება გრამატიკული პრედიკატი". მაგრამ ეს ცნებები ისევე, როგორც წინადადება-ცნება (მაგალ., უსუბიექტო წინადადებათა შესახებ მსჯელობისას) ამოტივტივდება ხოლმე აქა-იქ იმდენად,რამდენადაც მნიშვნელობათა ანალიზისას, მკვლევარი გვერდს ვერ უხვევს ამ ტერმინებს—და მხოლოდ!

ვერვინ უარყოფს, რომ მიკლოშიჩის შეხედულებას ერთგვარი თანამიმდევრობა და შინაგანი ძთლიანობა ახასიათებს: ფონეტიკა ბგერებს შეისწავლის, ცალკე სიტყვათა შედგენილობასა და ფორმას მორფოლოგია არკვევს, ამავე ცალკე სიტყვათა მნიშვნელობათ სინტაქსი იძიებს. სინტაქსი მორფოლოგიისაგან საგნის მიხედვით კი არ განირჩევა, არამედ მხოლოდ თვალსაზრისით; საგანი ორივესათვის ერთია—ცალკე სიტყვა: მის ფორმას მორფოლოგია სწავლობს, მნიშვნელობას—სინტაქსი.

კითხვა იბადება: რაღა უნდა აკეთოს სემასიოლოგიამ, რომელიც გასული საუკუნის მეორმოცე წლებიდან (1839 წ. რაიზიგის მიერ) ცალკე საენათმეცნიერო დისციპლინად იქნა გამოყოფილი და რომელსაც მნიშვნელობათა კვლევა დაესახა მიზნად? რა მიმართებაში იმყოფება ეს სემასიოლოგია სინტაქსთან, რომელიც აგრეთვე სიტყვის მნიშვნელობას სწავლობს? ამ კითხვაზე პასუხი არა ჩანს. გარკვეული პასუხი კი აუცილებელია, თუ გვინდა ნათელი იყოს ენათმეცნიერების სხვადასხვა დარგებს შორის არსებული ურთიერთობა. გარდა ამისა: მიკლოშიჩს განუხილველი რჩება ის ურთიერთობა, რომელიც სიტყვებს შორის არსებობს, რომელიც ცალკე სიტყვათაგან ქმნის მწყობრ ერთეულს, შესიტყვებას, და რომელიც სინტაქსის საგნად იყო მიჩნეული სრულიად საფუძვლიანად ჯერ კიდევ აპოლონიოს დისკოლოს მიერ (მეორე საუკუნეში ჩვენი წელთაღრიცხვისა). ამ სპეციფიკური სინტაქსური სინამდვილის უყურადღებოდ დატოვება ისეთი ნაკლია, რომელსაც ვერ დაფარავს ზემოხსენებული ღირსება მიკლოშიჩის შეხედულებისა.

მიქლოშიჩის გაგება ყველაზე ნაკლებად არის გავრცელებული. როგორც ვიცით, ეს არ ითქმის მეორე შეხედულების შესახებ, რომელიც სინტაქსს თქლის მოძღვრებად წინადადების შესახებ.

პირველი საკითხი, რომელიც ამ გაგების ნიადაგზე წამოიჭრება, არის წინადადების განსაზღვრის საკითხი: რა არის წინადადება? შევხედებით ორნაირ პასუხს. ერთი ასეთია: წინადადება არის აზრი გამოთქმული ბგერით ან წერით. და შემდეგ: საგანი, რომლის შესახებაც ლაპარაკია წინადადებაში, არის ქვემდებარე; ის, რაც ქვემდებარის შესახებ არის ნათქვამი, შემასმენელია.

ეს გაგება პრიმიტიულია; ის არც კი ამჩნევს, რომ „აზრი", „საგანი" გრამატიკის შესწავლის ობიექტი ვერ იქნება, არ ამჩნევს, რომ წარმოდგენილი განსაზღვრება ქვემდებარისა სიტყვა-სიტყვით იმეორებს სუბიექტის განსაზღვრებას ტრადიციული ფორმალური ლოგიკის მიხედვით, ხოლო შემასმენლის განსაზღვრება იმავე ფორმალური ლოგიკის პრედიკატის განსაზღვრებაა. ამგვარად, ზემოხსენებული ქვემდებარე და შემასმენელი სინტაქსურ და, საერთოდ, გრამატიკულ ცნებას არ წარმოადგენს: უნდა მოეცათ სინტაქსური ცნებები, მათ ნაცვლად მოცემულია ფორმალური ლოგიკის ცნებები. სინტაქსური ცნებებისა და ფორმალური ლოგიკის ცნებების ერთმანეთში აღრევა მივიღეთ ქვემდებარისა და შემასმენლის განსაზღვრისას. ეს აუტანელი გაუგებრობაა; ეს გაუგებრობა მწვერვალს აღწევს წინადადების განსაზღვრებაში: „წინადადება არის აზრი"... დაახლოებით ეს იმას უდრის, ვინმემ რომ თქვას: „მუხა არის ცხოველი" (რომელსაც რკო ასხიაო):—ე. ი. აქ დაშვებულია უხეში შეცთომა განსაზღვრების წესების თვალსაზრისით: უახლოეს გვარად (genus proximum-ად) წინადადებისათვის მიჩნეულია აზრი.

ასეთია პრიმიტიული გაგება წინადადებისა, ქვემდებარისა და შემასმენლისა. მოიპოება ამავე ცნებათა განსაზღვრება ამავე თვალსაზრისით, ოღონდ უფრო ფრთხილი: იგი თავს აღწევს პრიმიტიული გაგების უხეშ შეცთომებს. ის არ ამბობს „წინადადება არის აზრიო", არამედ „წინადადება არის სიტყვა ან სიტყვათა შეერთება, რომელიც აზრს გამოხატავსო". ასევე: ქვემდებარე არის სიტყვა, რომელიც აღნიშნავს იმ საგანს, რომლის შესახებაცაა ლაპარაკი". „შემასმენელი არის სიტყვა, რომელიც აღნიშნავს, თუ რა არის ნათქვამი ქვემდებარის შესახებ".

ერთი სიტყვით, ამ გაგების დამცველმა იცის, რომ აზრისა და მისი ნაწილების შესწავლა ლოგიკისა და ფსიქოლოგიის საქმეა და არა სინტაქსისა. რომ წინადადება სიტყვაა ან სიტყვათა შე-

ერთება, ქვემდებარეცა და შემასმენელიც აგრეთვე მხოლოდ სიტყვებია. ოღონდ იმის გარკვევა, რანაირი სიტყვა (თუ სიტყვათა შეერთება) არის წინადადება,—ხდება ლოგიკის ცნებების საშუალებით: თუ აზრს გამოხატავს, არის წინადადება, თუ არადა—არა. აზრი ასეთ შემთხვევაში მსჯელობის, ლოგიკის ცნების, მაგივრობას ეწევა. თუ წინადადება აზრის გამომხატველი სიტყვაა (თუ სიტყვათა შეერთება), წინადადების ნაწილებიც,—ქვემდებარე, შემასმენელი,—აზრის (მსჯელობის) ნაწილების,—სუბიექტის, პრედიკატის,—გამოხატულება უნდა იყოს. ესე იგი: მსჯელობა (ფორმალური ლოგიკის ცნება) და მისი ნაწილები არის დასაყრდენი წინადადებისა და მისი ნაწილების განსაზღვრისათვის. ორიენტაცია ლოგიკის ცნებებზე დამახასიათებელია ასეთი შეხედულებისათვის. მარტივია მეთოდიც: გამოიხატება თუ არა აქა თუ იმ სიტყვაში (თუ სიტყვათა შეერთებაში) „აზრი“? ამით ირკვევა, გვაქვს თუ არა წინადადება; რომელი სიტყვა გამოხატავს მსჯელობის საგანს? ამ გზით ვეძებთ ქვემდებარეს; რომელი სიტყვა გვაჩვენებს, რა არის ნათქვამი ქვემდებარის შესახებ? ამით წყდება შემასმენლის საკითხი.

ზოგიერთი გარემოების გათვალისწინება გაგვირკვევს, რამდენად გამოსადეგია ეს მეთოდი წინადადებისა და მისი ნაწილების დასადგენად და რამდენად მიზანშეწონილია ლოგიკის ცნებებზე დაყრდნობით ხსენებული გრამატიკული ცნებების განსაზღვრა:

1. არის წინადადებათა რიგი (ე. წ. კითხვითი, ბრძანებითი, ნატვრითი წინადადებები), რომელნიც მსჯელობას არ გამოხატავენ და, მაშასადამე, ზემოხსენებული შეხედულების თანახმად, თუ თანამიმდევრობას დავიცავთ, წინადადებებად არ მიიჩნევიან.

2. ჩვეულებრივია ისეთი წინადადებები, რომლებშიც ქვემდებარისა და შემასმენლის გარდა, სხვა ნაწილებიც მოიპოება; ესენია: ქვემდებარისა და შემასმენლის ამხსნელი სიტყვები, აგრეთვე ამხსნელი სიტყვების ამხსნელი სიტყვები (ე. წ. დამატება, განსაზღვრება, გარემოების სიტყვები); ქვემდებარე, ვთქვათ, მსჯელობის სუბიექტს ასახიშნავს, შემასმენელი—პრედიკატს; რაღაა მსჯელობაში ამხსნელი სიტყვების (დამატების, განსაზღვრების, გარემოების) შესაფერი? რას გამოხატავენ წინადადების ეს ნაწილები? რაზე დაყრდნობით უნდა განესაზღვროთ ისინი? მსჯელობა, რამდენი სიტყვითაც არ იყოს იგი გადმოცემული, ყოველთვის ორ ნაწილად იშლება: სუბიექტად და პრედიკატად; თითოეული ამათგანი შეიძლება შეიცავდეს ორსა და მეტ სიტყვას; დამატებისა, განსაზღვრებისა და გარემოებისათვის მსჯელობას არაფერი გააჩნია. მაშასადამე, მსჯელობის ნაწილებზე

დაყრდნობით წინადადების ეს ნაწილები არ შეიძლება იქნეს განსაზღვრული.

3. ზემოხსენებული წესით თვით ქვემდებარეის ძიებაც ხშირად გასაჭირში ჩაგვაგდებს; ავიღოთ, მაგალ., შესიტყვება: „ქეთო ბოსწონს ანდროს“. რომელი სიტყვაა აქ ქვემდებარე? „ის, რომელიც აღნიშნავს მსჯელობის საგანს, ის რომლის შესახებაც არის ლაპარაკი-“ო, გვეტყვიან. რომლის შესახებაა ლაპარაკი?—ქეთოს შესახებ, რომ იგი მოსწონს ანდროს თუ—ანდროს შესახებ, რომ მას მოსწონს ქეთო? ორივე ვარაუდი თანაბრად საფუძვლიანი იქნება, თუ ინტონაციასა და სახელთა ბრუნვას არ მივმართავთ (მათ კი ვერ მივმართავთ: ეს პრინციპის შეცვლა იქნებოდა); ამ ორი სახელიდან ვერც ერთს ვერ მივანიჭებთ უპირატესობას; ორივეს გამოცხადება ქვემდებარედ კიდევ არ შეიძლება: ორი ქვემდებარე მხოლოდ შერთულ წინადადებებში შეიძლება გვქონდეს, აქ კი მარტივი გავრცელებული წინადადებაა, თუ ინტონაციას მოვიშველიებთ, მდგომარეობა უფრო გართულდება: „**ქეთო** მოსწონს ანდროს“ (ქეთო და არა მარო!), ლაპარაკი ყოფილა ქეთოს შესახებ, ქეთოა, მაშ, ქვემდებარე: „ქეთო მოსწონს **ანდროს**“ (ანდროს და არა სიკოს!): უდავოა, რომ აქ ანდროს შესახებ ლაპარაკობენ—ქეთო მოსწონსო: ანდრო იქნება ქვემდებარე. შეიძლება ძლიერი ინტონაცია მოხვდეს ზმნას „მოსწონს“: „ქეთო **მოსწონს** ანდროს“ (მოსწონს და არა სძულს!): აქ ლაპარაკია იმის შესახებ, რომ „მოსწონს“; რა საბუთითაც ქვემდებარედ მივიჩნიეთ „ქეთო“ და „ანდროს“, იმავე საბუთით ეს სიტყვა („მოსწონს“) უნდა გამოვაცხადოთ ქვემდებარედ,—ზმნა გამოგვივა ქვემდებარე, რაც დაუშვებელია ყოველგვარი თვალსაზრისით...

რას მოწმობს ყოველივე ეს? მხოლოდ იმას, რომ როცა წინადადებას სწავლობენ ზემოხსენებული თვალსაზრისით (რის შესახებაა ლაპარაკი? რაა ნათქვამი?) წინადადების სინტაქსური აგებულება, სიტყვათა ორგანიზაციის ბუნება კი არ ირკვევა, არამედ სხვა რაღაც, რაც სიტყვათა ორგანიზაციის გასათვალისწინებლად არ გამოდგება: სიტყვათა ორგანიზაცია, წინადადების აგებულება ზემოხსენებულს მაგალითში არ შეცვლილა, სიტყვათა დაფასება კი სამჯერ შეიცვალა.

ლოგიკაზე ორიენტაციით სინტაქსის საკითხი ვერ მოგვარდება. ეს ადრევე შენიშნეს: ჰ. შტაინთალმა ცნობილს ნაშრომში („გრამატიკა, ლოგიკა, ფსიქოლოგია“, 1855 წ.) საბოლოოდ დაამარცხა წინადადების ის ლოგიცისტური თეორია, რომელიც ოცდაათიოდე წლის წინეთ კ. ბეკერმა წამოაყენა; ამ დროიდან იწყება ახალი

გზის ძიება; ორიენტაცია ლოგიკაზე შეცვალა ორიენტაციამ ფსიქოლოგიაზე: ლოგიკური ცნების ადგილი დაიჭირა ფსიქოლოგიის ცნებამ. წინადადება აღიარებულ იქნა ფსიქოლოგიური მსჯელობის გამოხატულებად; ქვემდებარე და შემასმენელი ე. წ. ფსიქოლოგიური სუბიექტისა და ფსიქოლოგიური პრედიკატის ნიადაგზე უნდა განესაზღვრათ. მაგრამ ეს უფრო ძნელი და უიმედო საქმე აღმოჩნდა.

ყველა ლოგიკოსს მსჯელობა ერთგვარად არ ესმის; მიმდინარეობათა შორის არსებითი განსხვავებაა; ლოგიკის მოიმედე სინტაქსი ლოგიკოსთა შინაურ უთანხმოებას ყურადღებას არ აქცევდა და მხოლოდ ერთს გაგებას მიმართავდა, სახელდობრ, ფორმალურ ლოგიკაში წარმოდგენილ გაგებას, თუმცა ეს უკანასკნელი ყველაზე ნაკლებ საფუძვლიანი იყო. მსჯელობა-ცნების საკითხში ფსიქოლოგიის სხვადასხვა მიმართულებას შორის გაცილებით მეტი განსხვავებაა, ვინემ ამას ლოგიკაში აქვს ადგილი ამავე ცნების განსაზღვრებისას. ამასთან დაკავშირებით საკითხი განსაკუთრებით გართულდა სწორედ იმიტომ, რომ თითქმის ყველა ძირითადი მიმართულება აისახა წინადადების განსაზღვრებაში. შედეგი ნათელია: არის (და შეიძლება იყოს) იმდენნაირი განსაზღვრება წინადადებისა, რამდენნაირი გაგებაც მსჯელობისა მოიპოება ფსიქოლოგიაში. საილუსტრაციოდ ორს მაგალითს დავასახელებთ. ჰ. პაული ამბობს: წინადადება ისეთი ენობრივი გამოხატულებაა, რომელიც მიგვითითებს, რომ (მეტყველისა და მსმენელის ცნობიერებაში) ადგილი ქონდა **წარმოდგენათა შეკავშირებას**, ვ. ვუნდტი კი გვეუბნება: „წინადადება არის ისეთი ენობრივი გამოხატულება, რომელიც გადმოგვცემს, რომ (მეტყველის ცნობიერებაში) ადგილი ქონდა მთლიანი წარმოდგენის **დაშლას** მის შემადგენელ ნაწილებად“-ო. წინადადების საზომად ერთს შემთხვევაში წარმოდგენათა **შეკავშირება** მიჩნეული, მეორეში, პირუკუ,—მთლიანი წარმოდგენის **დაშლა**. ასეთ პირობებში წინადადების პრობლემა, რა თქმა უნდა, დადებითად ვერ გადაწყდება.

რაც შეეხება წინადადების ნაწილებს, ამხსნელი სიტყვები (დამატება, განსაზღვრება, გარემოება) ამ ნიადაგზე არც შეიძლება იქნეს განსაზღვრული; ქვემდებარისა და შემასმენლის განსაზღვრა ფსიქოლოგიურ სუბიექტსა და პრედიკატზე დაყრდნობით უცილობლად იძლევა ისეთ შედეგებს, როგორიც ზემოთ მივიღეთ წინადადების („ქეთო მოსწონს ანდროს“) ანალიზისას ინტონაციისადმი აპელაციით.

ლოგიკაზე ორიენტაცია (სინტაქსში და, საერთოდ გრამატიკაში) ლოგიციზმად იწოდება, ფსიქოლოგიაზე ორიენტაცია—ფსიქოლოგიზმად.

აქვე უნდა განვიხილოთ ერთი შეხედულება, რომელიც სინტაქსის საგნად აგრეთვე წინადადებას თვლის, მაგრამ ცდილობს წინადადება დაახასიათოს მხოლოდ ენობრივი ნიშნებით. მხედველობაში გვაქვს ცნობილი ინდოევროპეისტის მ. დელბრიუკის შეხედულება. სხვათა შორის, იგი წინადადების ასეთ განსაზღვრებასაც იძლევა: „წინადადება ფორმის თვალსაზრისით არის ის, რაც ორ პაუზას შორის არის მოქცეული ანუ... დანაწევრებულს მეტყველებაში წარმოდგენილი ექსპირაციული ერთიანობა, რომლის ფარგლებშიც აღგილი აქვს უფრო ძლიერისა და უფრო სუსტი ხმის აწევის ცვლას“ („შედარებითი სინტაქსი ინდ.-ევრ. ენათა“, III). როგორც აქედან ჩანს, დელბრიუკი იმას კი არ აქცევს ყურადღებას, **რა** გადმოიცემა (მსჯელობა, აზრი...), არამედ იმას, თუ როგორ და რით დახასიათდება გადმომცემი ენობრივი საშუალება. უეჭველია, ეს განსაზღვრება ენობრივ ნიშნებზე მიუთითებს, მაგრამ სინტაქსური განსაზღვრება არ არის: ცნებები—პაუზა, ექსპირაცია (ე. ი. ამოსუნთქვა), ხმის აწევა, რომელთა საშუალებითაც დაახასიათა ბ. დელბრიუკმა წინადადება, **ფონეტიკური ცნებებია**. სიტყვათა ორგანიზაციის, შესიტყვების აგებულების დასახასიათებლად ისინი ვერ გამოდგება. მეტი კიდევ: ამგვარ გაგებას რომ მივყვეთ, წინადადებაში ცალკე სიტყვებსაც ვერ გამოვყოფთ; მათ ნაცვლად ტაქტები გვექნება; ტაქტებისა და სიტყვათა ფარგლები ურთიერთს მხოლოდ შემთხვევით თუ შეხვდება. ამიტომაც ბუნებრივია, თუ ბ. დელბრიუკმა ვერ მოგვცა ამავე პრინციპზე აგებული განსაზღვრება წინადადების ნაწილთა, მათი განსაზღვრისას ბ. დელბრიუკი სხვადასხვა პრინციპს ემყარება: შემასმენელი განსაზღვრული აქვს, როგორც პრედიკატი ლოგიკაში („პრედიკატი არის ის, რაც ქვემდებარის შესახებ არის ნათქვამი“), ქვემდებარე კი დახასიათებულია ნაწილობრივ მორფოლოგიურად, ნაწილობრივ—აზრის მიხედვით („ქვემდებარე არის არსობითი სახელი, რომელიც დასმულია სახელობითს ბრუნვაში და წარმოადგენს თქმის ცენტრალურ პუნქტს“), დამატების განსაზღვრება კი „ყოველდღიური ლოგიკის“ ცნებებშია მოცემული („დამატება ის საგანია, რომელსაც უშუალოდ ეხება მოქმედება ხმნისა“). ამგვარად ბ. დელბრიუკის განსაზღვრებებს თანამიმდევრობა და შინაგანი მთლიანობა არ ახასიათებს; დასაბუთებულად ბ. დელბრიუკის გაგება ვერ მიიჩნევა.

იმ მიმდინარეობისათვის, რომელიც სინტაქსის საგნად წინადადებას თვლის, დამახასიათებელია არა ბ. დელბრიუკის გაგება, არამედ ლოგიცისტებისა და ფსიქოლოგისტებისა. ამ უკანასკნელთათვის მეორეხარისხოვანია—რისაგან შედგება წინა-

დადება, ერთი სიტყვისა თუ შესიტყვებისაგან, როგორია სიტყვათა დაკავშირება, ორგანიზაცია შესიტყვებისა,—მათთვის გადამწყვეტი მნიშვნელობისაა—**რა ელინიშნება**, რა ფსიქოლოგიური დალოგიკური ღირებულება აქვს ენობრივ ფაქტს, წინადადებად წოდებულს. რა თქმა უნდა, შესიტყვების დასახასიათებლად, მისი ბუნების გამოსარკვევად ეს ისევე მართებულია, როგორც მართებული იქნებოდა მეტრის დახასიათება, როგორც სიგრძის საზომისა, იმის მიხედვით, თუ რას იწონის ის მასალა, რომლისაგანაც მეტრი არის გაკეთებული. მართლაცდა, ერთი და იგივე აზრი (მსჯელობა) ჩვენ შეგვიძლია გამოვთქვათ სხვადასხვა ენაზე, მაგრამ ეს სრულებითაც არ ნიშნავს, რომ ერთნაირი თვისებისა იქნება ამ ენებში ნახმარი სიტყვები, ერთნაირი იქნება ის კავშირი, რომელიც ამ სიტყვებს შორის არსებობს. სინტაქსი, რომელიც ამ თვალსაზრისით შეისწავლის წინადადებას, ვერც კი შენიშნავს იმ თავისებურებებს, რომლებიც სხვადასხვა ენის წინადადებას ახასიათებს. ეს—ერთი (ამის შესახებ უფრო დაწვრილებით იხ. §§ 62, 63 და განსაკუთრ. 64); მეორე, არანაკლებ მნიშვნელოვანი ზოგადი ნაკლი შემდეგში მდგომარეობს: წინადადება შეიძლება წარმოადგენდეს შესიტყვებასაც (სიტყვათა შენაერთს) და ცალკე სიტყვასაც. მაშასადამე, სინტაქსის საგანი შეიძლება აღმოჩნდეს, როგორც სიტყვათა შენაერთი, ისე ცალკე სიტყვაც. ამ უკანასკნელს შემთხვევაში სინტაქსის საგანი და მორფოლოგიის საგანი ერთი და იგივე აღმოჩნდება, სხვანაირად რომ ვთქვათ, თუ სინტაქსის საგნად წინადადება იქნება გამოცხადებული, შეუძლებელი გახდება გავმიჯნოთ შესასწავლი საგნის მხრივ მორფოლოგია და სინტაქსი.[1]

---

[1] სინტაქსისა და კერძოდ, წინადადების საკითხში არსებულ მიმდინარეობათა ანალიზი იხ. ზემოხსენებ. ნარკვევში: „მარტივ წინადადების პრობლემა ქართულში: I. ქვემდებარე-დამატების საკითხი ძველს ქართულში“, ტფილისი. 1928 წ., გვ. 1—133.

IX. სემასიოლოგიისა და ეტიმოლოგიის ძირითადი საკითხები.

§ 66. რა არის სიტყვის მნიშვნელობა? სემასიოლოგია ანუ სემანტიკა შეიძლება იქნეს ნახმარი ფართო და ვიწრო გაგებით. ფართო გაგებით „სემასიოლოგია“ იქნებოდა მეცნიერული გრამატიკის ყველა დარგი ფონეტიკის გამოკლებით: მორფოლოგიაც, სინტაქსიც, სტილისტიკაცა და ეტიმოლოგიაც შესასწავლი ობიექტის ფუნქციის გათვალისწინებას გულისხმობს.

სემასიოლოგია ვიწრო გაგებით სიტყვის ფუძის მნიშვნელობას სწავლობს. ენათმეცნიერებაში სემასიოლოგიის ასეთი გაგებაა ჩვეულებრივი.

რა არის სიტყვის მნიშვნელობა? „ის წარმოდგენა, რომელიც უკავშირდება ამა თუ იმ სიტყვას“—ასეთია გაგება, რომელიც სულ ბოლო ხანებამდის გაბატონებული იყო. 1925 წელს გამოსულს რუსულ „Литературная Энциклопедия“-ში ვკითხულობთ: „სიტყვის მნიშვნელობა—ესაა ის ცნებები, რომლებიც ასოციაციურად უკავშირდება... წარმოდგენას გარკვეული ბგერისა ანდა ბგერათა შენაერთისა, რომელიც სიტყვას შეადგენს“[1]. ამგვარად, ერთის მხრივ, ბგერათა კომპლექსი გვაქვს (სიტყვა, მაგალ. „ცხენი“) და, მეორე მხრივ, ცნება თუ წარმოდგენა სათანადო საგნის შესახებ, ამ შემთხვევაში ცხენის შესახებ. ეს უკანასკნელი იქნება ამ სიტყვის მნიშვნელობა.

ასეთი გაგება სიტყვის მნიშვნელობისა არ არის სწორი. ის რომ სწორი ყოფილიყო: 1. ყველა მოლაპარაკეს ერთნაირი „წარმოდგენები“ უნდა ქონოდა სიტყვის ხმარებისას; 2. სიტყვის მნიშვნელობის ცვლა მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნებოდა შესაძლებელი, თუ ეს „წარმოდგენები“ შეიცვლებოდა; 3. გამოთქმის (შესიტყვების) მნიშვნელობა უნდა ყოფილიყო შემადგენელ სიტყვათა მნიშვნელობის ჯამი და 4. სემასიოლოგია, როგორც მოძღვრება წარმოდგენათა (თუ ცნებათა) შესახებ, ფსიქოლოგიის (თუ ლოგიკის) ნაწილი იქნებოდა და არა ენათმეცნიერების დარგი.

---

[1] ცნება აქ ნახმარია, როგორც აზრის საგანი; საბოლოო ანგარიშში იგივე წარმოდგენა იგულისხმება. ბგერათა წარმოდგენის შესახებ აქ მეტი სიზუსტის მიზნითაა ლაპარაკი.

აზროვნების ფსიქოლოგიიდან ცნობილია, რომ სიტყვის გაგებისას სრულებით არ არის აუცილებელი სხვადასხვა პირს ერთნაირი წარმოდგენა თუ სხვა სახის განცდა ქონდეს; ექსპერიმენტულად დადასტურებულია, რომ ზოგჯერ არავითარი საგნობრივი წარმოდგენა არ მოიპოება და სიტყვა მაინც გასაგებია. ვთქვათ, ქართულის მცოდნე პირებს გავაგონეთ სიტყვა „ცაცხვი"; სიტყვა მათთვის გასაგებია; ვეკითხებით: რა წარმოუდგა მათ, როცა ეს სიტყვა გაიგონეს და გაიგეს, რასაც ის აღნიშნავს. შეიძლება ერთს თვალწინ დაუდგეს ის ცაცხვი, რომელიც მის ეზოში დგას, მეორეს—მცენარის მხოლოდ კონტურებმა გაუელვოს; მესამეს შეიძლება არავითარი საგნობრივი წარმოდგენა არ ალმოაჩნდეს: სიტყვა „ცაცხვი"-ლა წარმოუდგეს დაბეჭდილი ან დაწერილი... სავსებით ერთი და იგივე წარმოდგენები ამგვარ შემთხვევაში იშვიათი გამონაკლისის სახით თუ შეგვხვდება; ჩვეულებრივად კი სიტყვასთან დაკავშირებული წარმოდგენები თუ სხვა სახეები ნაირ-ნაირია სხვადასხვა პირთან; აქ მნიშვნელობა აქვს იმას, თუ რა ფსიქოლოგიურ ტიპს ეკუთვნის ესა თუ ის პირი რეპრეზენტაციის თვალსაზრისით, როგორია ინდივიდუალური გამოცდილება და სხვა; ერთი და იმავე სიტყვის შესაბამისად ერთსა და იმავე პირს სხვადასხვა დროს სხვადასხვაგვარი წარმოდგენები[1] შეიძლება ალმოაჩნდეს.

სიტყვის მნიშვნელობას რომ ეს წარმოდგენები ქმნიდეს, სიტყვის მნიშვნელობა უაღრესად დაუდეგარი მოვლენა იქნებოდა და რაც მთავარია, ერთმანეთის გაგება სრულიად შეუძლებელი გახდებოდა. ენა გაუგებრობის წყარო იქნებოდა და არა გაგებინების საშუალება[2].

ცნობილია, რომ სიტყვის მნიშვნელობა იცვლება: „მეცნიერი" ალნიშნავდა „ნაცნობს", ახლა აღნიშნავს „სწავლულს", „მკვლევარს"; „საყდარი" ალნიშნავდა „ტახტს" (მეფეთა და მღვდელ-მთავართა), ახლა აღნიშნავს „სამღვდელთმსახურო შენობას" (ქრისტიანთა); „ცხედარი" ალნიშნავდა საწოლს (ტახტს), ახლა „მიცვალებულის გვამს" ნიშნავს...

თუ სიტყვის მნიშვნელობა სიტყვასთან დაკავშირებული წარმოდგენაა, სიტყვის მნიშვნელობის ცვლა ამ წარმოდგენის შეცვლას უნდა მოასწავებდეს: „ნაცნობის" წარმოდგენა შეიცვალა „სწავლუ-

---

[1] ვხმარობთ ამ სიტყვას ზოგადის მნიშვნელობით.

[2] ერთმანეთის გაგება ზოგჯერ ბრყოლდება, მაგრამ ამას სხვა მიზეზი აქვს (იხ. ქვემ.).

ლის" წარმოდგენით, ტახტის წარმოდგენა—„შენობის" წარმოდგენად გარდაიქმნა, „საწოლის წარმოდგენა"—„მიცვალებულისად" იქცა...

ყველას კარგად მოხსენდება, რომ ეს ასე არ-არის: მნიშვნელობის ცვლისას ერთი წარმოდგენა მეორედ არ გადაქცეულა: ტახტის წარმოდგენაც გვქონდა და შენობისაც, საწოლისაც და მიცვალებულისაც. ეს წარმოდგენები გვქონდა და დაგვრჩა; ამ მხრივ ცვლილებას ადგილი არა ქონია. იცვალა სხვა რამ, სახელდობრ მიმართება, რომელიც სიტყვასა და ამ წარმოდგენებს (ზუსტად რომ ვთქვათ, ამ წარმოდგენებთან დაკავშირებულ ობიექტურ მონაცემებს) შორის არსებობდა: **თუ წინეთ „ცხედარი" მიუთითებდა საწოლზე, ახლა მიუთითებს—მიცვალებულზე.** აი ეს მითითება შეიცვალა და არა წარმოდგენები. მნიშვნელობა—აი ეს მითითებაა... ცვლა მას შეეხება. გრაფიკულად რომ გამოვხატოთ, ასეთ სქემას მივიღებთ:

ცხედარი

↓ ↓

საწოლი მიცვალებული (გვამი).

ძველს ქართულში ეს სიტყვა ერთს ობიექტურს მონაცემზე მიუთითებდა, ახალში—სხვაზე მიუთითებს: სიტყვამ იცვალა მნიშვნელობა, ერთის ნიშანი იყო, სხვა მონაცემის ნიშნად იქცა.

ავიღოთ ორი გამოთქმა: „საქართველოს დედაქალაქი", „ამიერ-კავკასიის პოლიტიკური ცენტრი"... მეორეში არც ერთი სიტყვა არ არის, რომელთაგანაც პირველი გამოთქმა შედგება. ამ გამოთქმებში შემავალი სიტყვები ცალკე სულ სხვადასხვა მნიშვნელობისანი არიან, სულ სხვადასხვა წარმოდგენებს იწვევენ; ორივე გამოთქმა კი ერთი და იმავე მნიშვნელობისაა: „საქართველოს დედაქალაქი"-ო რომ ვამბობთ, ტფილისი იგულისხმება, „ამიერ-კავკასიის პოლიტიკური ცენტრიც" იმასვე ნიშნავს, ისევ ტფილისზე მიუთითებს. მაშასადამე: **მნიშვნელობისათვის საყრდენი ობიექტური ვითარებაა, რეალური სინამდვილის ფაქტი** და **არა წარმოდგენები**, რომლებიც შეიძლება გვქონდეს და შეიძლება არც გვქონდეს ანდა სხვადასხვა სახისა ქონდეს სხვადასხვა პირს ერთი და იმავე სიტყვის შესაბამისად. სიტყვის მნიშვნელობა რომ წარმოდგენაში მდგომარეობდეს, გაუგებარი იქნებოდა, როგორ შეიძლება ერთი და იგივე მნიშვნელობა ქონდეს ორს გამოთქმას, რომლის შემადგენელი სიტყვები სულ სხვადასხვა წარმოდგენას იწვევენ (თუ კი გამოიწვევენ).

წარმოდგენათა შესწავლა ენათმეცნიერების საგანი რომ ვერ იქნება, ეს თავის თავად ცხადია. წარმოდგენათა შესწავლა ფსიქოლოგიის საქმეა; თუ წარმოდგენათა ნაცვლად ცნებებს ვივარაუდებთ, მათი შესწავლა პირველ ყოვლისა ლოგიკის საგანი იქნებოდა.

გავრცელებული გაგების კრიტიკული განხილვა საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ 1. **სიტყვის მნიშვნელობა** მდგომარეობს **მითითებაში** გარკვეულ **ობიექტურ მონაცემზე;** 2. ეს **ობიექტური მონაცემია** (საგანი, თვისება, მოქმედება თუ სხვა რამ მოვლენა ობიექტური სინამდვილისა)[1] სიტყვისათვის **საორიენტაციო, სიტყვის მნიშვნელობა მას ემყარება, მის მიხედვით იზომება და განისაზღვრება.** 3. ეს **ობიექტური მონაცემი სხვადასხვაგვარად შეიძლება იყოს განცდილი:** აკუსტიკური თუ ოპტიკური საგნობრივი წარმოდგენის სახით ანდა სათანადო სიტყვის აკუსტიკური, ოპტიკური თუ მოტორული წარმოდგენის სახით... შესაძლოა ამათი კომბინაციაც. შესაძლოა, არავითარი გარკვეული წარმოდგენა არ გააჩნდეს სათანადო პირს და სიტყვამ პირდაპირ მიუთითოს საგანზე გაგონებისთანავე. ერთი სიტყვით: **სიტყვის თანმხლები წარმოდგენები სათანადო ობიექტური მონაცემის რეპროდუქციის საშუალებაა;** მნიშვნელობას ეს წარმოდგენები კი არ გამოხატავენ, არამედ **მითითება ობიექტურ მონაცემზე.**

მხოლოდ ამის საფუძველზეა შესაძლებელი ერთმანეთის გაგება: სწორად გვესმის სხვისი ნათქვამი, რამდენადაც ჩვენც იგივე ობიექტური მონაცემი გვაქვს მხედველობაში, რაზედაც მთქმელის მიერ ხმარებული სიტყვები მიუთითებდა, და სრულებით არ არის საჭირო მთქმელსა და მსმენელს ერთი და იგივე წარმოდგენები აღეძრას თქმულთან დაკავშირებით.

გაგებინება სრული არ არის, მეტ-ნაკლებ გაუგებრობას ადგილი აქვს იმდენად, რამდენადაც ერთმანეთს არ ხვდება ის, რაზედაც მთქმელის სიტყვები მიუთითებენ და ის, რაც მსმენელის მიერ იქნა ნავარაუდევი.

როცა ნათქვამი კონკრეტულ სინამდვილეს ეხება, გაგებინება უფრო ადვილიცაა და სრულიც: მთქმელიცა და მსმენელიც ერთსა და იმავე ობიექტურ მონაცემს გულვობს; როცა საუბრის საგანი განყენებული კატეგორიაა, შესატყვისი ობიექტური ვითარების ზუსტად ერთგვარად გათვალისწინება გაცილებით უ ფ რ ო ძ ნ ე ლ ი ა, გაუ-

[1] გრძნობებიც ასეთს ობიექტურ სინამდვილეს განეკუთვნება, რადგანაც ისინი ფსიქიკური რეალობის ფაქტებს წარმოადგენენ.

გებრობაც უფრო ადვილად და ხშირად წარმოიშვება ხოლმე.

§ 67. რეალური კონტექსტი და სიტყვის მნიშვნელობა. რომ მნიშვნელობისათვის ობიექტური მონაცემია საყრდენი, ამას დემონსტრაციულად ცხადყოფს ისეთი შემთხვევები, სადაც რეალური კონტექსტი და სათანადო სიტყვიერი გამოთქმა ერთმანეთს არ შეეფერება. ასე, მაგალითად: ყველასათვის ცნობილია, რომ ქართული სიტყვა „მობრძანდით“ ამჟამად პატივისცემის წარმოდგენას უნდა გულისხმობდეს, მაგრამ, როცა მილიციელი ტრამვაიზე შემხტარ მოქალაქეს შესძახებს: „ჩამობრძანდით, მოქალაქე!“ ანდა „წამობრძანდით მილიციაშიო“, ყოველივე ეჭვს გარეშეა, რომ ეს სიტყვები პატივისცემას არ გამოხატავენ... აგრეთვე ყველას მოხსენდება, რომ თვით მისალმების სიტყვა „გამარჯობა“ შეიძლება ზოგჯერ პირდაპირ შეურაცხმყოფელი აღმოჩნდეს იმისათვის, ვისაც მას ეუბნებიან: რეალური ვითარება, ამ შემთხვევაში დამოკიდებულება იმისა, ვინც ამას ლაპარაკობს, იმ პირისადმი, ვისაც ესალმებიან,—ამის ერთადერთი მიზეზია.

ამავე მოვლენას ააშკარავებს ანდაზური თქმა: „მე ქორწილში წავჩანჩალდები, შენ წისქვილში წაბრძანდიო“. რეალური ვითარების მიხედვით წისქვილში მიმავალია, რომ მიჩანჩალებს, „წაბრძანება“ კი ქორწილში მიმავალს შეფერის; შეუფერებელი სიტყვების ხმარება საქმის ვითარებას სრულებით არ ცვლის, პირიქით, დემონსტრაციულად გახაზავს იმას, რაც სინამდვილეში ხდება. „ჩანჩალის“ წარმოდგენამ ვერ აქცია ქორწილში წასვლა სამძიმო საქმედ, ვერც „წაბრძანების“ წარმოდგენამ გახადა წისქვილში წასვლა სასიამოვნოდ: წარმოდგენა ვერ ქმნის სიტყვის მნიშვნელობას.

ისეთი სიტყვების ხმარება, რომლებიც საგნისათვის შეუფერებელია, სრულიად საწინააღმდეგო შედეგს იძლევა, და ამიტომაც ამ საშუალებას მიმართავენ ხოლმე გარკვეული ეფექტის მისაღებად, რომელიც ირონიისა და სატირისთვის არის დამახასიათებელი.

„**კარგი** რამ იყო თავად თათქარიძის სახლ-კარი!“... ამ წინადადებაზე თუ შევჩერდებით, გვეგონება, რომ ლ. თათქარიძის სახლ-კარი მართლაც მოსაწონი რამ ყოფილა; მაგრამ როცა ავტორი ამ სახლ-კარს აგვიწერს, ნათელი ხდება, რას ნიშნავდა ეს „კარგი“; ამ სიტყვის ხმარებას მიზნად აქვს უფრო მკვეთრად გვაგრძნობინოს კონტრასტი, რომელიც ხმარებული სიტყვით გამოწვეულ წარმოდ-

გენასა და იმ სურათს შორის არსებობს, რომელსაც ლუარსაბის „ციხე-დარბაზი" წარმოადგენს...

„ჩვენისთანა **ბედნიერი** განა არის სადმე ერი?!"—კითხულობს ავტორი ლექსისა „რა ვაკეთეთ, რას ვშვრებოდით?" იმის ებიკური ჩამოთვლა, რასაც მამა-პაპები მეცხრამეტე საუკუნის მანძილზე აკეთებდენ, გვაჩვენებს, რომ „ბედნიერი" აქ „უბედურს" ნიშნავს: სიტყვის მნიშვნელობა ობიექტური ვითარებით იზომება და არა წარმოდგენებით.

„**მოვკვდი** ამდენი სიარულით!" ლაპარაკობს დაქანცული ადამიანი: ცხადია, რომ მომკვდარიყო, ამას ველარ იტყოდა. „ეს უმაგალითოა!" „საშინელებაა!" „წარმოუდგენელია!"—ხშირად იტყვიან ხოლმე ძალიან ჩვეულებრივის, ადვილად წარმოსადგენისა და ყოველდღიური მოვლენის შესახებ. მიზანი მარტივია: მეტი ეფექტის მოხდენა. შედეგი საწინააღმდეგო: ობიექტური ვითარება არ ამართლებს მოლოდინს. სათანადო მოვლენა ახდენს მით უფრო ნაკლებ შთაბეჭდილებას, რაც უფრო მეტი იყო მოლოდინი. **თუ სიტყვების ასე შეუფერებლად ხმარება ჩვეულებრივია, სიტყვა ხუნდება:** „საშინელი" უკვე ალარ არის „საშინელი" და „წარმოუდგენელი" ძალიან ჩვეულებრივის აღმნიშვნელი ხდება.

რეალური კონტექსტი, ობიექტური ვითარება წყვეტს ყოველთვის სიტყვის მნიშვნელობის საკითხს; ეს დებულება იძლევა გასაღებს ისეთი მოვლენებისა, როგორიცაა ირონია, სარკაზმი, ელიფსი, მეტონიმია, სიტყვის მნიშვნელობის გაფართოება თუ დავიწროება...[1] დაწვრილებით ამაზე აქ ვერ შევჩერდებით; აღვნიშნავთ მხოლოდ ორიოდე ფაქტს.

„უნივერსიტეტში მივდივარ!"—ვუპასუხებთ კითხვაზე: „სად მიდიხარ!"

რომელ უნივერსიტეტში,—რეალური კონტექსტიდანაა ცხადი. არავის მოუვა თავში ამხანაგის შეკითხვაზე უპასუხოს: „ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მივდივარო!" ასევე, ტფილისელი მასწავლებელი როცა ამხანაგს ელაპარაკება „კომისარიატში ვიყავიო", აქ განათლების კომისარიატია რეალური კონტექსტით ნავარაუდევი, ხოლო მილიციელთა საუბარში ეგევე სიტყვა „კომისარიატი" სამილიციო უბნის კომისარიატს აღნიშნავს.

---

[1] ე. წ. ევფემიზმის მოვლენებიცა და ანდაზებიც იძლევა საუცხოვო მასალას იმის დასადასტურებლად, რომ მნიშვნელობის საკითხს წყვეტს რეალური კონტექსტი, ობიექტური ვითარება. ამაზე—სპეციალურ წეოილში გვექნება ლაპარაკი.

რეალური კონტექსტის შესაბამისად ერთსა და იმავე სიტყვას სხვადასხვა გამოთქმაში სხვადასხვა მნიშვნელობა აქვს: „ბაფხული ბორჯომში გავატარე“: „ბორჯომი“ აქ კურორტის სახელწოდებაა: 2. „დამალევინე ბორჯომი!“—„ბორჯომი“ ბორჯომის სამკურნალო წყალს აღნიშნავს; იმავითად თუ ვინმე იტყვის: „დამალევინე ბორჯომის წყალიო“,—„წყალი“ ხედმეტია, რაკი ბორჯომისა მხოლოდ წყალსა სმენ; [1]. 3. „ბორჯომმა დაიგვიანა!“—აქ „ბორჯომი“ ბორჯომის მატარებელს ნიშნავს; „ეს მატარებელი გადის ბორჯომის ჩიხიდან“ აქაც „ბორჯომის ჩიხი“ ბორჯომის მატარებლის დასაყენებელ ჩიხს ნიშნავს ტფილისის სადგურზე (და არა ბორჯომში).

სხვადასხვა გამოთქმებში სიტყვის მნიშვნელობის ცვლის ნიმუშები იქნებოდა: **სადგური**: ელექტროსადგური; რკინის გზის სადგური... **ოპერაცია**: სამხედრო ოპერაცია (=საომარი მოქმედება); ავადმყოფს გაუკეთეს ოპერაცია (=ქირურგიული მკურნალობა); **კაბინეტი**: მინისტრთა კაბინეტი (=მინისტრებისაგან შემდგარი მთავრობა); ფიზიკის კაბინეტი; ქბილის ექიმის კაბინეტი... **თვალი**: ადამიანი თვალით ხედავს... ურმის თვალი... პატიოსანი თვალი (=ძვირფასი ქვა); ქვეყნის თვალი... **ხელი**: ადამიანს ორი ხელი აქვს... ამ ბავშვს კარგი ხელი აქვს (ე. ი. ლამაზად წერს)... ღვინოს ხელი აქვს (ე. ი. სუნი დაკრავს)... დავითი სიმონის მარჯვენა ხელია... **კითხულობს**: დავითი წიგნს კითხულობს... დავითი ლექციას კითხულობს... დავითი ექიმის მისამართს კითხულობს...

§ 68. სიტყვის პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობა.

სიტყვა შეიძლება იქნეს ნახმარი პირდაპირი, და არაპირდაპირი, გადატანითი, მნიშვნელობით; პირდაპირი მნიშვნელობა სიტყვის ჩვეულებრივი, ძირითადი მნიშვნელობაა, არაპირდაპირი, გადატანითი მნიშვნელობა ამა თუ იმ კონტექსტთან არის დაკავშირებული. ჩვენს ზემოხსენებულს მაგალითებში „თვალი“-სიტყვის ჩვეულებრივი, ძირითადი მნიშვნელობაა პირველ გამოთქმაში მოცემული („ადამიანი თვალით ხედავს“); სხვა გამოთქმებში (ურმის თვალი, პატიოსანი თვალი, ქვეყნის თვალი) არაპირდაპირ, გადატანითს მნიშვნელობასთან გვაქვს საქმე; ეგევე ითქმის „ხელის“ შესახებაც... ბორჯომი-სიტყვა ძირითადი, ჩვეულებრივი მნიშვნელობით არის ნახმარი, როცა კურორტს

---

[1] სრულიად არავინ იტყვის „დამალევინე ბორჯომის სამკურნალო წყალიო“. ეს სიზუსტე ხედმეტია და სტილისტიკურად გაუმართლებელი ყოველდღიურ სიტყვახმარებაში.

ალნიშნავს („ზაფხული გაეატარე ბორჯომში"), გადატანითს მნიშვნელობას იძლევა ის გამოთქმები, სადაც ეს სიტყვა წყალს ალნიშნავს („დამალევინე ბორჯომი") ანდა მატარებელს გულისხმობს („ბორჯომმა დაიგვიანა").

§ 69. სიტყვის მნიშვნელობის გაფართოება და დავიწროება. სიტყვის მნიშვნელობა დროთა ვითარებაში შეიძლება გაფართოვდეს ანდა დავიწროვდეს. სიტყვა „ლიმონათი" ალნიშნავდა ლიმნის წვნით შეზავებულ გასაგრილებელ სასმელს; ამჟამად ლიმონათის მომხმარებელი პირველ ყოვლისა იმას კითხულობს, თუ „რისია ლიმონათი?" ლიმონათი შეიძლება იყოს მსხლისა თუ სხვა ხილისა; „ლიმონათი" ნიშნავდა „ლიმნის" წვნით შეზავებულ წყალს, ახლა ნიშნავს საერთოდ ხილის წვნით შეზავებულ წყალს: სიტყვის მნიშვნელობა გაფართოვდა. „მელანი" ბერძნული სიტყვაა („მელანოს") და შავს ნიშნავს [1]. ცხადია, თავდაპირველად ეს სიტყვა მხოლოდ „შავ მელანს" ალნიშნავდა; ამჟამად—მელანი ეწოდება კალმით წერისას გამოყენებულ სითხეს, რომელიც შეიძლება იყოს შავიც, წითელიც, ლურჯიცა თუ სხვაფერი. აქაც სიტყვის მნიშვნელობა გაფართოვდა.. ხშირია ისეთი შემთხვევა, როცა ადამიანის საკუთარი სახელი ზოგად სახელად იქცევა ხოლმე სათანადო სიტყვის მნიშვნელობის გაფართოების შედეგად. ამის საყოველთაოდ ცნობილი მაგალითებია: ბოიკოტი, ჰულიგანი; ორივე სიტყვაში ინგლისელთა გვარებია მოცემული: ბოიკოტი Boy Cott კაპიტანი იყო, რომელსაც პირველად „ბოიკოტი გამოუცხადეს" (ე. ი. მოექცნენ ისე, როგორც ეს ამ სიტყვის მნიშვნელობითაა ნავარაუდევი); ჰულიგანი (Hooligan) ინგლისში მეთვრამეტე საუკუნეში ბოროტმოქმედებათა ჩადენით ცნობილი ოჯახის გვარია... ამჟამად, ბოიკოტი ადამიანს არ ალნიშნავს, საზოგადოებრივი ზემოქმედების გარკვეული საშუალებაა, ჰულიგანს კიდევ საზოგადოებრივი წესრიგის უხეშად დამრღვევ, თავზე ხელაღებულ მოქალაქეს უწოდებენ.

ბოიკოტისა და ჰულიგანის ერთგვარ ანალოგიას წარმოადგენს ჩვენებური „კვაჭი"; როცა ამბობენ, „ეს კაცი ნამდვილი კვაჭიაო" კვაჭი კვაჭანტირაძე კი არ იგულისხმება, არამედ, საერთოდ, გამოჭნილი კაცი...

სიტყვის მნიშვნელობის დავიწროების საილუსტრაციოდ დავასახელებთ შემდეგს შემთხვევებს. „დავითი პარტიაში შევიდა"; „პარ-

---

[1]. რუსული чернила იმავე ბერძნულ სიტყვის თარგმანს წარმოადგენს.

ტია“ აქ ნიშნავს კომუნისტურს პარტიას და არა საერთოდ, „პარტიას“, ისევე, როგორც პარტიული (ანუ, რაც უფრო სწორია: პარტიელი) ნიშნავს კომუნისტური პარტიის წევრს; „პარტია“-სიტყვის მნიშვნელობა დავიწროვდა; წინეთ ეს სიტყვა აღნიშნავდა ყოველგვარ პარტიას, ახლა იგი აღნიშნავს ერთს გარკვეულს პარტიას, კომუნისტურ პარტიას. ეს გასაგებიცაა, თუ მოვიგონებთ, რომ საბჭოთა კავშირში სხვა პარტიები არ არსებობს. სამუალო საუკუნეებში „გრამატიკა“ ნიშნავდა ლათინური ენის გრამატიკას; ამ სიტყვის მნიშვნელობა დავიწროვდა. სიტყვა „კოლექტივი“ პირვანდელი მნიშვნელობის მიხედვით ერთი მოსაქმეობის ადამიანთა შენაერთს გულისხმობდა, ახლა როცა ვამბობთ: „დავითი კოლექტივში შევიდაო“ საბჭოთა-სამეურნეო არტელი გვაქვს მხედველობაში პირველ ყოვლისა: „კოლექტივ“-სიტყვის მნიშვნელობა ვიწროვდება. „მაგარი სასმელების ხმარება აკრძალულია“: აქ სასმელების პირვანდელი მნიშვნელობა დავიწროებულია... სიტყვა „ჯოგი“ აღმოსავლეთ საქართველოში „ცხენის“ გუნდს ნიშნავს, დასავლეთ საქართველოში, საერთოდ, შინაური ცხოველის ყოველგვარ გუნდს: ცხვრის ფარაც ჯოგია, და ხარიც ჯოგი: სიტყვა „ჯოგის“ მნიშვნელობა აღმოსავლეთ საქართველოში უფრო ვიწროა, დასავლეთ საქართველოში—უფრო ფართო.

დავიწროებული მნიშვნელობა ყოველთვის უფრო კონკრეტულია, უფრო ფართო მნიშვნელობა კი უფრო ზოგადია. მნიშვნელობის გაფართოება-დავიწროებისათვის რეალური კონტექსტის როლი თავის თავად ცხადია.

§ 70. **ისტორიული სემასიოლოგია და სტატიკური (აღწერითი) სემასიოლოგია ანუ ლექსიკოლოგია.** სიტყვის მნიშვნელობის შესწავლისას შესაძლებელია მიზნად დავისახოთ იმის გათვალისწინება, როგორი იყო ამა თუ იმ სიტყვის მნიშვნელობა და როგორ იცვალა ის; ეს იქნებოდა მნიშვნელობის განვითარების შესწავლა, მნიშვნელობის ისტორიული შესწავლა; სიტყვის მნიშვნელობის ამგვარი შესწავლა **ისტორიულ სემასიოლოგიას** მოგვცემდა. ჩვეულებრივად სემასიოლოგიის სახელწოდებით სწორედ ეს აღინიშნება. მაგრამ ბუნებრივი იქნებოდა და აუცილებელიც,—პირველ ყოვლისა თვით ამგვარი ისტორიული შესწავლისათვის,—გაგვერკვია ამა თუ იმ ენის განვითარების ამა თუ იმ პერიოდში ხმარებულ სიტყვათა მნიშვნელობა. ამგვარი შესწავლა ნიშნავს, როგორც სიტყვათა ძირითადი მნიშვნელობის შესწავლას, ისე ჩვეულებრივად ხმარებულ გამოთქმებში მნიშვნელობის ცვლის გათვალისწინებას (მაგალითები იხ.

ზემოთ); ეს ცოტაა: საჭიროა შესწავლილ იქნეს ის მნიშვნელობებიც, რომლებიც ამა თუ იმ სიტყვას დიალექტებში აქვს; „ჯოგის“ შესახებ უკვე ვთქვით, რომ ის აღმოსავლეთ საქართველოში სხვა მნიშვნელობისაა და დასავლეთ საქართველოში კიდევ სხვა მნიშვნელობისა; ამგვარი მაგალითები ხშირია: „ბაწარი“ დასავლეთ საქართველოში თოკს უდრის, აღმოსავლეთ საქართველოში კი „თოკი“ და „ბაწარი“ მკვეთრად განსხვავებულია; ბაწრისას წინდებს ქსოვენ, თოკით ხარ-კამეჩს აბამენ... „ბაწრის წინდა“ დასავლელის განცვიფრებას იწვევს ისევე, როგორც აღმოსავლელს სასაცილოდ არ ყოფნის, „ბაწრით ხარის დაბმა“ რომ ესმის.

„კლიტე“ დასავლეთ საქართველოში „გასაღებს“ ნიშნავს, აღმოსავლეთ საქართველოში — „ბოქლომს“... „ლოგინი“ აღმოსავლეთ საქართველოში „სარეცელს“ აღნიშნავს,— იმას, რასაც დასავლეთ საქართველოში „ქვეშაგებს“ ეტყვიან (ე. ი. ლეიბი, საბანი)... „ლოგინი“ კი დასავლეთ საქართველოში „საწოლს“, „ტახტს“ ნიშნავს.

გარკვეულ პერიოდში ხმარებულ სიტყვათა მნიშვნელობის სრულად აღნუსხვა მოგვცემს ენის ლექსიკას (სიტყვათა მარაგს): **აღწერითი ანუ სტატიკური სემასიოლოგია სხვა არაფერია, თუ არ იგივე ლექსიკოლოგია**, ე ი. მოძღვრება ენის ლექსიკური მარაგის შესახებ, და ყოველგვარ მეთოდოლოგიურ საფუძველს მოკლებულია ლექსიკის მოწყვეტა სემასიოლოგიისაგან და ენათმეცნიერების ფარგლებს გარეთ გატანა. ისტორიული ლექსიკონი ამა თუ იმ ენისა იგივე ისტორიული სემასიოლოგიაა, სტატიკური ლექსიკონი—ამა თუ იმ პერიოდის აღწერითი, სტატიკური სემასიოლოგიაა.

დიალექტებში მოცემული სიტყვათა მნიშვნელობა დიალექტოლოგიურ ლექსიკონში იქნება აღნუსხული; დიალექტოლოგიური ლექსიკონი შეიძლება იყოს სტატიკურიც და ისტორიულიც.

მართალია, სემასიოლოგია მნიშვნელობის რაობისა და ცვლის პრინციპების რკვევას გულისხმობს, მაგრამ ამ შემთხვევაში მისი მდგომარეობა არაფრით განსხვავდება სხვა ენათმეცნიერული დარგების მდგომარეობისაგან: ფონეტიკაც სწავლობს ბგერის რაობასა და მისი ცვლის პირობებს, მორფოლოგიის ძირითადი საკითხია ფორმისა და ფორმების სახეობათა საკითხი და სხვა, მაგრამ ფონეტიკაც, მორფოლოგიაც ემყარება კონკრეტულ ენათა კონკრეტული ბგერებისა და ფორმების შესწავლას, სტატიკურსა თუ ისტორიულს; ასევე აუცილებელი და ბუნებრივია, რომ სემასიოლოგია, როგორც მნიშვნელობის რაობისა და ცვლის პრინციპების შემსწავლელი დარგი, კონკრეტიზაციას პოვებდეს სათანადო ენის სტატიკურსა და ისტორიულს ლე-

ქსიკონში. ლექსიკის სახით კონკრეტული ენის სემასიოლოგია გვაქვს, სულ ერთია, იქნება ეს უკანასკნელი ისტორიული თუ აღწერითი.

§ 71. სემასიოლოგია და სტილისტიკა. სიტყვის ანალიზთან დაკავშირებით აღნიშნული გექონდა, რომ სიტყვას შესაძლოა გარკვეული ემოციური იერი თან ახლდეს (§§ 13, 24); იქ მოყვანილ მაგალითებს შეიძლება ზოგიერთი სხვაც დაეურთოთ. სიტყვა „გამოცდა“ სკოლის სინამდვილეში და სიტყვა „ექსკურსია“ იმავე გარემოში ემოციურად მკვეთრად დაფერილი სიტყვებია: „გამოცდა“ უსიამოვნების გრძნობებს იწვევს მაშინაც კი, როცა გამოსაცდელი მას მომზადებული ხვდება (არც გამომცდელისთვისაა ეს პროცედურა სასიამოვნო!); სიტყვა, „ექსკურსია“, პირუკუ, სასიამოვნო განცდებს იწვევს: მინდორ-ველების სილამაზე და მზიურობა მოსავს თითქოს ამ სიტყვას...

ამგვარი განცდები ამ სიტყვებით აღნიშნული ობიექტური ვითარების გამოძახილია. აქ ობიექტური ვითაროებაა განსხვავებული. ავიღოთ ერთის შეხედვით ერთი და იმავე მნიშვნელობის მქონე სიტყვები: „გარდაიცვალა“, „მოკვდა“, „თქვენი ჰირი წაიღო“ _ჩაძაღლდა“... ობიექტური მომენტის მიხედვით მათ შორის სხვაობა არ არის: ოთხსავე შემთხვევაში მიცვალებულზეა ლაპარაკი; განსხვავებულია დამოკიდებულება მოლაპარაკისა ამ მიცვალებულისადმი: პირველ შემთხვევაში ეს დამოკიდებულება პატივისცემას გამოხატავს: მოლვაწეებზე თუ სხვა პატივსაცემ პირთა შესახებ იტყვიან ხოლმე—„გარდაიცვალაო“; მეორე შემთხვევაში ასეთი დამოკიდებულება არა ჩანს, თუმცა ვერც უპატივცემლობას დავწამებთ იმას, ვინც გულგრილად აღნიშნავს „მოკვდაო“; მესამე შემთხვევაში გამოთქმა—„თქვენი ჰირი წაიღო“--ცხადად გვაჩვენებს, რომ მთქმელს სრულებითაც არ აწუხებს მომხდარი ამბავი, შეიძლება არაფერი ქონდა მომხდარის საწინააღმდეგო; უკანასკნელს შემთხვევაში („ჩაძაღლდა“) მთქმელი გვეუბნება, რომ ის, ვინც მოკვდა, „ძაღლი“ იყო: ასეთია მისი დამოკიდებულება გარდაცვლილისადმი.

სავსებით ასეთივე ემოციური ვარიაციები გვექნება გამოთქმებში „დავითი მობრძანდა,– მოვიდა,—მოჩანჩალდა,—მოეთრია“...

ყველა ამ შემთხვევაში მთქმელის განცდები, მისი დამოკიდებულება სიტყვაში აღნიშნულ ობიექტისადმი სიტყვის მნიშვნელობის ინგრედიენტია, მისი შემადგენელი ნაწილია; ეს გრძნობითი იერი წინა შემთხვევებშიაც („გამოცდა“, „ექსკურსია“) იყო; როგორც აქ, ისე იქაც

ეს გრძნობითი იერი მთქმელის განცდებიდან, ობიექტისადმი მისი დამოკიდებულებიდან მომდინარეობს.

ეს დამოკიდებულება უკანასკნელს მაგალითებში („გარდაიცვალა", „მოკვდა", „თქვენი ჰირი წაიღო", „ჩაძაღლდა") ინდივიდუალური, კერძო ხასიათისაა: ერთი და იმავე პირის შესახებ ლაპარაკისას ერთმა შეიძლება თქვას „გარდაიცვალაო", მეორემ—მოკვდაო, მესამეს—„თქვენი ჰირი წაიღოო", მეოთხემ—„ჩაძაღლდაო"—იმისდა მიხედვით, თუ ვინ როგორ უყურებდა მიცვალებულს. მაგრამ ეს დამოკიდებულება კლასობრივი თვალსაზრისის გამოვლენას შეიძლება წარმოადგენდეს, მთქმელი გარკვეული კლასის შეხედულებას უკუფენდეს: „ებრაელი"-ცა და „ჟიდ"-იც (რუს.) ერთი და იმავე ეროვნების ადამიანის აღსანიშნავად შეიძლება შეგეხვედეს; მაგრამ „ჟიდ"-ი შავრაზმელის სიტყვათა მარაგს ეკუთვნის, შაერაზმელის თვალსაზრისს გამოხატავს. ასევე, რომელიმე „ინგუში", „ყაბარდოელი", „ლეკი" „ქართველი", „სომეხი" საბჭოთა კონსტიტუციის თვალსაზრისით „ეროვნებაა", დიდმპყრობელური რუსეთისათვის კი „ინოროდეცი" იყო; ამ სიტყვაში ეროვნული უთანასწოროების მთელი პროგრამა ჩანს: მეფის რუსეთისათვის ველიკოროსი იყო ეროვნება, გაბატონებული ერი; სხვა ყველა იყო „ინოროდეცი", ე. ი, არაველიკოროსი და, მაშასადამე, იმ უფლებებს მოკლებული, რომლებიც ველიკოროსს გააჩნდა.

ასეთივე სხვაობაა სიტყვებში: „მალოროსი" და „უკრაინელი", „მალოროსია" და „უკრაინა"... „მალოროსია" და „მალოროსი" დიდმპყრობელური რუსეთის მჩაგვრელი ეროვნული პოლიტიკის უკუფენაა: „ველიკოროსია"-ს („დიდ რუსეთს") უპირდაპირებდენ „მალოროსია"-ს („მცირე რუსეთს")...

ამიტომაა, რომ ამჟამად უკრაინელს ეროვნულ შეურაცხყოფად მიაჩნია, ვინმემ რომ „მალოროსი" დაუძახოს. ამიტომვეა, რომ საბჭოთა კავშირისათვის უცხოა „მალოროსია", „მალოროსი". ეროვნებათა განმათავისუფლებელმა ოქტომბერმა სამუდამოდ აღკვეთა დიდმპყრობელური პოლიტიკის უკუმფენი ტერმინები „მალოროსია", „მალოროსი".

აღსანიშნავ ობიექტისადმი მთქმელის (სუბიექტის) დამოკიდებულება და აქედან გამომდინარე გრძნობითი იერი, რომელიც სიტყვას თან ახლავს, სტილისთვისაა დამახასიათებელი; სტილს სტილისტიკა შეისწავლის; მაგრამ გრძნობითი იერი ხომ სიტყვის მნიშვნელობის ინგრედიენტია, სიტყვის მნიშვნელობას ხომ სემასიოლოგია სწავლობს! მაშასადამე: **სიტყვის მნიშვნელობის შესწავლისას სემა-**

სიოლოგიისა და სტილისტიკის გათიშვა პრინციპში შეუძლებელია, ფაქტიურად კი მხოლოდ იქაა მოსახერხებელი, სადაც სიტყვა ამ გრძნობითი იერისაგან თავისუფალია. რამდენადაც სტილისათვის ლექსიკა და სიტყვის მნიშვნელობის სუბიექტური მომენტი (გრძნობითი იერი) არის დამახასიათებელი, იმდენად სტილისტიკა და სემასიოლოგია ერთმანეთს უმჭიდროესად უკავშირდება.

§ 72. არსებობს თუ არა ნამდვილი სინონიმები? ყოველ ენაში მრავლად ვპოულობთ ისეთ სიტყვებს, რომელთაც თითქოს ერთი და იგივე მნიშვნელობა აქვთ. მათ სინონიმებს უწოდებენ. მხნე, გულადი, მამაცი... ლამაზი, კოხტა, მშვენიერი... ძლიერი, ღონიერი... ძალი, ღონე... მეუღლე, ცოლი... მოწაფე, მოსწავლე... ებრაელი, ურია... საპატიმრო, გამასწორებელი სახლი... თითქოს ერთნაირი მნიშვნელობის სიტყვებია ცალკე ჯგუფებში თავმოყრილი... და მაინც იგივეობაზე ლაპარაკი არ შეიძლება.

„საპატიმრო" და „გამასწორებელი სახლი"... „ურია" და „ებრაელი" ერთი და იგივე არ არის: „გამასწორებელი სახლი" გამოხატავს საბჭოთა კანონმდებლობის თვალსაზრისს: ეს დასჯის იარაღი კი არ არის, არამედ გასწორების საშუალება; „საპატიმრო" „დამწყვდევის" მომენტის მიხედვით ახასიათებს სათანადო ობიექტურ მონაცემს: საპატიმრო=სადაც პატიმრებია მოთავსებული. ამგვარად, ამ ორ სახელში სახელმდებლის სხვადასხვა თვალსაზრისია ალნიშნული. „ებრაელისაგან" განსხვავებით „ურია" ეროვნებაზე კი არ მიუთითებს, არამედ სარწმუნოებრივი თვალსაზრისით ახასიათებს სათანადო პირს. აქაც მთქმელთა თვალსაზრისების სხვაობა ჩანს სიტყვებში. მსგავს მდგომარეობას ვამჩნევთ „მეუღლეშიაც": ცხოვრების ერთ უღელში შებმის მომენტია აქ ამოსავალი და ამით აიხსნება ის პატივსაცემობა, რომელიც ამ სიტყვას მეორე სიტყვისაგან („ცოლი") განასხვავებს.

„ძალი, ღონე... ძლიერი, ღონიერი... კოხტა, ლამაზი, მშვენიერი... მოწაფე, მოსწავლე... აქ მთქმელის თვალსაზრისთა სხვაობას ვერ ვიპოვით, მაგრამ თვით ობიექტური მონაცემის სხვადასხვა მომენტია წინ წამოწეული და სიტყვის მნიშვნელობისათვის ამოსავლად გამოყენებული; ამას ეჭვს გარეშე ხდის ის უბრალო ფაქტი, რომ ერთი მეორის ადგილას სხვა სიტყვებთან მათი ხმარება შეუძლებელია: „უმაღლესი სასწავლებლის **მოსწავლე**" შეგვიძლია ვთქვათ, მაგრამ ვერ ვიტყვით: „უმაღლესი სასწავლებლის მოწაფეს": „მოსწავლე" უფრო ზოგადი, ფართო მნიშვნელობისაა, „მოწაფე" კი უფრო ვი-

წრო მნიშვნელობისა: მას „მასწავლებელი“ უპირისპირდება—„მოწაფე და მასწავლებელი“.

„მტერს ჯარმა ძლიერი წინააღმდეგობა გაუწია“—კარგია, მაგრამ ალარაფრად იყარგება, რომ ვთქვათ—„ლონიერი წინააღმდეგობა გაუწიათ“. ასევე ამბობენ: „დავითმა მშვენიერი გამოკვლევა დაწერაო“, მაგრამ არავინ იტყვის: „დავითმა კოხტა გამოკვლევა დაწერაო“ ანდა „ლამაზი გამოკვლევა დაწერაო.“ მართალია, შეგვიძლია ვიხმაროთ: „დავითი კოხტად იცვამს“, „დავითი ლამაზად იცვამს,“ „დავითი მშვენიერად იცვამს“. მაგრამ ამ გამოთქმებში გარკვევით ჩანს, რომ ერთი და იგივე ეს არ არის: შეიძლება „კოხტად ვიცვამდეთ“, მაგრამ „მშვენიერი“ არ გამოვჩდეს. აგრეთვე ერთი და იგივე არ არის: „მხნე მოხუცი“ და „გულადი მოხუცი“; გაცილებით უფრო ახლოსაა ერთმანეთთან: „გულადი მეომარი“ და „მამაცი მეომარი.“ მაგრამ სრულ იგივეობაზე ლაპარაკი არც აქ შეიძლება: ერთს შემთხვევაში „მამაკაცურს“ თვისებებს ვიგულვებთ, მეორეში—„გამბედაობას“, ეს სტილის ჭიმიურ სასწორზე ერთმანეთს არ უდრის. ცხადია, ორი სავსებით ერთნაირი მნიშვნელობის მქონე სიტყვა არ არსებობს, ნამდვილი სინონიმები ფიქციაა: რაიმე გვარი განსხვავება არ შეიძლება არ იყოს ან იმის გამო, რომ ერთი და იმავე საგნის დასახელებისას **ამოსავალია სხვადასხვა მომენტი** ანდა იმის გამო, რომ **განსხვავებულია სუბიექტის დამოკიდებულება სიტყვაში ასნიშნული ობიექტური მონაცემისადმი.**

§ 73. **ნაწარმოები ფუძე.** სემასიოლოგია ფუძის მნიშვნელობას შეისწავლის; ფუძე შეიძლება იყოს მარტივი, შედგენილი და რთული (§ 21). მარტივს ფუძეს, როგორც ვიცით, სხვანაირად ძირი ეწოდება (კარ-, ხე-, რკო-); მასში აფიქსის გამოყოფა არ შეიძლება ე. ი. მარტივი ფუძე არ დაიშლება[1]. შედგენილ ფუძეში,—როგორც ავრეთვე აღნიშნული გვაქვს,—შედის მარტივი ფუძე და ფუძის საწარმოებელი აფიქსი (ცხენ-ოსან-, მე-ბაღ-ე-, სა-სადილ-ო...) ფუძის საწარმოებელი აფიქსი მნიშვნელობის მცვლელია; ეს არა ერთხელ ყოფილა ზევით აღნიშნული. **ნაწარმოები ფუძის მნიშვნელობა დამოკიდებულია, როგორც იმ ფუძეზე, რომელსაც საწარმოებელი აფიქსი დაერთვის, ისე იმ აფიქსზედაც, რომელიც ფუძეს დაერ-**

[1] ჩვენ აღნიშნული გვაქვს (იხ. § 33), რომ ამჟამად მარტივი ფუძე შეიძლება ისტორიულად შედგენილი იყოს; ფუძის დაშლისას ისტორიული პერსპექტივა უნდა დავიცვათ.

თვის. ამ მარტივი, მაგრამ ძირითადი პრინციპიდან კი გამომდინარეობს, რომ:

1. ერთნაირი საწარმოებელი სუფიქსის გამოყენებისას სხვადასხვა ფუძესთან შეიძლება მნიშვნელობის ერთნაირი ცვლა არ მივიღოთ: ვაჟკაც—ვაჟკაცობა, დღე—დღეობა, სახლ—სახლობა, ოდენ-ოდენობა,—მოსალოდნელი განყენებული თვისება აქ მხოლოდ პირველს მაგალითში გვაქვს, სხვა შემთხვევაში განყენებული თვისება არა გვაქვს... მხოლოდ გრამატიკულ კატეგორიათა წარმოებისას გვაძლევს ერთ და იმავე საწარმოებელი აფიქსის ხმარება ერთსა და იმავე შედეგს: სახლ-ებ, ბაღ-ებ, ქალაქ-ებ... **-ებ** ყველგან მხოლობითის ფუძეს მრავლობითად აქცევს; ვაკეთებ-დ-, ვაშენებ-დ-, ვამთავრებ-დ-: **-დ-** ყველგან ნამყო უსრულს აწარმოებს აწმყოს ფუძისაგან...

2. ერთნაირი მნიშვნელობითი ცვლილების გამოსაწვევად სხვადასხვაგვარ ფუძესთან სხვადასხვაგვარი საწარმოებელი აფიქსები იხმარება: ასე, მაგალითად, ქართულში უარყოფითი მნიშვნელობის მისაღებად გვაქვს **-უ-** და **არა**: ქუდიანი—უქუდო, ფულიანი—უფულო, ნაყოფიერი—უნაყოფო, თავიანი—უთავო, გზიანი—უგზო... აშენებული—აუშენებელი, გაკეთებული—გაუკეთებელი, დაწერილი—დაუწერელი, მაგრამ: მალალი—არამაღალი, დაბალი—არადაბალი, გრძელი—არაგრძელი... **უ**-ს თავისი ადგილი აქვს და **არა**-ს თავისი. განყენებითი თვისების საწარმოებლად ქართული ხმარობს **სი—ე (სი—ო)** და **-ება (-ობა)** აფიქსებს იმისდა მიხედვით, რანაირი ფუძეა საწარმოებლად ალებული: ლამაზი—სილამაზე, მახინჯი—სიმახინჯე, წითელი—სიწითლე, მაგარი—სიმაგრე, რბილი—სილბო, თბილი—სითბო..., მაგრამ: ნაყოფიერი—ნაყოფიერება, წესიერი—წესიერება, ბედნიერი—ბედნიერება, დაუდევარი—დაუდევრობა, უყურადღებო—უყურადღებობა, უფულო—უფულობა და სხვ.

§ 74. ფუძეთა საწარმოებელი აფიქსები და კლასობრივი თვალსაზრისი. აფიქსები, მათ შორის ფუძის საწარმოებელი აფიქსებიც, კლასობრივად მაქსიმალურად ნეიტრალური მონაცემია ენაში (§ 13); ეს იმიტომ, რომ ისინი მეტყველის თვალსაზრისს, ამ შემთხვევაში კლასობრივ თვალსაზრისს, არ გამოხატავენ; მაგრამ თუ ამის შესაძლებლობა აღმოჩნდა, აფიქსსაც შეუძლია კლასობრივი დამოკიდებულება გარკვეული მოვლენისადმი გამოამჟღავნოს. ასეთ შემთხვევას წარმოგვიდგენს კნინობითობის აფიქსები, როცა ისინი ადამიანთა სახელებს ერთვიან; დაითი—დათია, დათიკელა... ნიკოლოზ, ნიკო—ნიკოია, პეტრე—პეტრეია, პეტრიკელა...

კნინობითობა ხშირად მოფერებითის მნიშვნელობით იხმარება: დათა, თამრიკო, ვასო, თედო, ქეთინო... ისიც ცნობილია, რომ ერთი წრის ადამიანთა სიტყვახმარებაში „დათიაც“ არ გამოხატავს კლასობრივ დამოკიდებულებას: „დათია, კაცო, აქ მო!“ მიმართავს მას პეტრეია. მაგრამ უდაოა ერთი რამ: როცა ადამიანის ოფიციალურ სახელად დასტურდება „დათია, პეტრეია, ნიკოია“... და მაგგვარები, ეს ცხადი ნიშანია იმისა, რომ ამ სახელის მატარებელი სათანადოდ არის დახასიათებული, და ეს საზოგადოებრივი კვალიფიკაცია ცხადყოფს, რომ ის არ ეკუთვნის გაბატონებულ წრეს: ისტორიამ არ იცის არც ერთი შემთხვევა, რომ! რომელსამე ქვეყანაში რომელიმე მეფეს რქმეოდეს „ნიკოია“, „პეტრეია“, „დათია“, „ივანია“: მათი საზოგადოებრივი მდგომარეობა უზრუნველყოფდა მათ სახელებს ასეთი სუფიქსების დართვისაგან. და ეს ნიშნავს: ასეთი სუფიქსების დართვა ადამიანთა ოფიციალური სახელებისათვის თითქმის ყოველთვის ამ სახელის მატარებლის სოციალურ კვალიფიკაციას წარმოადგენს.

შემთხვევითი არაა, რომ ისეთ ისტორიულ ძეგლებში, როგორიცაა, მაგალითად, „ბეგრების განწესება“, დაბეგრილი პირების სახელები ჩვეულებრივად კნინობითობის სუფიქსებს დაირთავს, გამონაკლისს სახით თუა უამსუფიქსო სახელი; საზოგადოებრივად დაჩაგრულს სახელიც გაჭირვებული ერქვა. აი მცირე ნიმუში: „მართებს სეხნიელა წივწივაძეს ბეგარა 6 კუახი ღომი და 20 კოკა ღვინო; მართებს კაციელა წივწივაძეს 1 კუახი ღომი, 3 კოკა ღვინო; მართებს გიორგელა წინწივაძეს 2 კუახი ღომი, 6 კოკა ღვინო; მართებს გაბრიელა ბაზიარს კუახნახევარი ღომი, 6 კოკა ღვინო; მართებს დავითელა წინწივაძეს 6 კუახი ღომი, 17 კოკა ღვინო; მართებს კიდევ გაბრიელა წინწივაძეს 6 კუახი ღომი, 15 კოკა ღვინო; მართებს მამკაცა წინწივაძეს 6 კუახი ღომი და 6 კოკა ღვინო... ასევე მოყვება შემდეგ: „მართებს ჭოლოფუა ლაითაძეს... ბაური ხუცეს... ივანია წინწივაძეს... ყუაჩას... პეტრე ბახტაძეს... გაბრიელ ბახტაძეს... სვმონა ბახტაძეს... ივანა ბახტაძეს... გიორგობა ბახტაძეს... გიორგი ხუკეს.. მატიელისშვილს გიორგელას... გიორგელა ყვცარიძეს... მოგელა ბახტაძეს... სვმონელა ბახტაძეს... ბარძღია ბახტაძეს... გიორგი ყვფრაძეს... ბახუტას... დათვა მაღლაკელიძეს. ახალკოჩა ბახტაძეს... ივანე ჩხეკელს... ნიკოლოზ ხუცეს... დავითა ხუხულისშვილს... ივანა ყუფარიძეს... გიორგი კოტიშაძეს... კაცია მაღლაკელიძეს... კაციელა ბახტაძეს...“ (ამოღებულია ს. კაკაბაძის: „დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთებიდან“, წიგნი

II, 1921 წ., ტფილ. სახელმწ. უნივერს. გამოცემა, გვ. 127: „ძუძლთა გუჯართაგან დიდად შემცირებული და მოკლებული ლომის დ ლვნის ბეგრები ხონის წ-ის გიორგის შეწირულთა გლეხთა").

33 სახელიდან 23 კნინობითს სუფიქსს დაირთავს ანდა უუძეა კნინობითი!

§ 75. **რთული უუძე (კომპოზიტი).** რთული უუძე ანუ კომპოზიტი შედგება ერთზე მეტი უუძისაგან, ჩვეულებრივ ორისა, იშვიათად სამი უუძისაგან; შესაძლებელია კომპოზიტი ორი სიტყვისაგან (და არა უუძისაგან!) წარმომდგარიც აღმოჩნდეს. კომპოზიტში შემავალი უუძეებიდან შეიძლება ორივე მარტივი იყოს: და-ძმა, სახლ-კარ-ი, ცოლ-შვილ-ი, გზა-კვალ-ი. შეიძლება ერთი მარტივი იყოს, მეორე ნაწარმოები: თავ-აშვებულ-ი, გულ-მოსულ-ი, ქართლ-კახეთ-ი, საწერ-კალამი... შესაძლოა ორივე ნაწარმოები იყოს: დედულ-მამულ-ი, საქმელ-სასმელ-ი, ყოფა-ცხოვრება, სარჩო-საბადებელი...

ძველი ინდოელი გრამატიკოსები განასხვავებდენ კომპოზიტების რამდენიმე ტიპს; ესენია: 1. ე. წ. **დვანდვა** (composita copulativa **შეერთებითი კომპოზიტები**): სახლ-კარი, ცოლ-შვილი, ქართლ-კახეთი, საქმელ სასმელი... კომპოზიტის მნიშვნელობა შემადგენელ უუძეთა მნიშვნელობის ჯამს წარმოადგენს: ცოლ-შვილი: ცოლი და შვილი; ქართლ-კახეთი: ქართლი და კახეთი; საქმელ-სასმელი: საქმელი და სასმელი... 2. **ტატპურუშა** (composita determinativa, **განსაზღვრებითი კომპოზიტები**); აქ ან პირველი წევრი უდრის რომელსამე ბრუნვას (ციხისძირი, ციხისთავი, ქინძისთავი)—ესაა საკუთრივ ტატპურუშა, ანდა წინა წევრი ზედსართავი ან ზმნისართია და განსაზღვრავს ბოლო წევრს (მარტორქა)—ესაა კარმადჰარაჲა; ანდა წინა წევრი რიცხვითი სახელია (სამყურა, ასფურცელა)—ესაა დვიგუ. 3. **ბაჰუვრიჰი** (composita possessiva, **კუთვნილებითი კომპოზიტები**) მქონეს აღნიშნავენ და ზედსართაული მნიშვნელობით იხმარებიან (ლურჯთვალება); 4. **ავჲაიბჰავა** (composita adverbialia **ზმნისართოვანი კომპოზიტები**): მათი პირველი წევრი უცვლელი სიტყვაა, უკანასკნელი არსებითი სახელი (მარადჟამს, მუდამდღე...) [1]

ქართული კომპოზიტების დიდი უმეტესობა ან შეერთებითი კომპოზიტის ტიპს წარმოგვიდგენს (ცოლ-შვილი, სახლ-კარი...), ანდა განმარტებითისას; ამ უკანასკნელში ჩვეულებრივ მსაზღვრელი მოს-

---

[1] კომპოზიტების შესახებ ცნობები მოგვყავს პროფ. გ. ახვლედიანის სახელმძღვანელოდან: „სანსკრიტი" ტფილ. 1920, გვ. 78-81.

დევს საზღვრულს: სულ მოკლე, თავაშვებული, გზააბნეული, ფერწასული, ზნედაცემული, ყურებაცქვეტილი, ხმალამოწვდილი და სხვ.

ხშირია ნაწესაობითი ბრუნვის შემცველი კომპოზიტებიც.

ორი პრინციპული ხასიათის საკითხს უნდა შევეხოთ **ნაწარმოებ ფუძეებთან** და **კომპოზიტებთან** დაკავშირებით.

ნაწარმოები ფუძის ძირითადი საკითხია თვით ამგვარი **ფუძის რაობა.** ნაწარმოებ ფუძეში შედის მარტივი ფუძე და ერთი ან რამდენიმე საწარმოებელი სუფიქსი (ცხენ-ოსან... კაც-ობ-რ-ი-ობ-ა...). ამგვარად, ფუძის შიგნით არის მოქცეული ისეთი მასალაც, რომელიც ფუძის ბუნებას პრინციპში ეწინააღმდეგება: საწარმოებელი აფიქსი. საწარმოებელი აფიქსი ისევე, როგორც ყოველი სხვა აფიქსი, მოკლებულია შესაძლებლობას ცალკე, ფუძესთან კავშირის გარეშე, რამე ალნიშნოს: ამიტომაა ის აფიქსი და არა ფუძე. ფუძის ფარგლებში მოქცევა აფიქსისა ცვლის საწარმოებელი ფუძის მნიშვნელობას და ქმნის ახალს მნიშვნელობას. აქ განსაკუთრებით საინტერესო ისაა, რომ ნაწარმოებ ფუძეში წარმოდგენილია წინადელი ფუძე, მაგრამ წინადელი მნიშვნელობა კი არა აქვს, არამედ საწარმოებელ სუფიქსთან ერთად ახალს მნიშვნელობას იძლევა: „ქუდ-იან" ალარაა „ქუდი", თუმცა „ქუდ" ამ ფუძეშიც არის, არამედ ვიღაც, რომელსაც ქუდის ქონა ახასიათებს... „ცხენ-ოსან" ადამიანია და არა ცხენი, თუმცა „ცხენ" ფუძე აქაც დაცული გვაქვს. **ფუძეთა წარმოება სიტყვის მნიშვნელობის ერთბაშად, სიმულტანური ცვლის საუცხოო მაგალითებს იძლევა.** თუნდაც ამიტომ არის კანონიერი ეს პროცესები სემასიოლოგიას განეკუთვნოს, სემასიოლოგიამ მათ განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს.

კომპოზიტების ხაზით პრინციპული ხასიათი ეძლევა კომპოზიტის დამოკიდებულებას, ერთის მხრით, ერთფუძიან სიტყვასთან, მეორე მხრით, შესიტყვებასთან. პირველი—ერთობ მარტივი ამოცანაა: კომპოზიტიც ერთი სიტყვაა იმისდა მიუხედავად, ერთი თუ მეტი ფუძეა მასში წარმოდგენილი; ორი თუ სამი ფუძე ერთ სიტყვადაა გაფორმებული, ერთს მორფოლოგიურ ოდენობას წარმოადგენს; ამას ეევმიუტანელს ხდის მისი როლი შესიტყვებაში: ქართლ-კახეთი, ქართლ-კახეთმა, ქართლ-კახეთს... იბრუნვის, როგორც ერთი სიტყვა; „სპარსეთმა ქართლ-კახეთი აიკლო"—ამ გამოთქმაში ერთ ობიექტად არის წარმოდგენილი ეს კომპოზიტი. „შეშინებული გარბის" და „თავქუდმოგლეჯილი გარბის"—ორივე შესიტყვება ორწევრიანია, ორი სიტყვისაგან შედგება.

უფრო რთულია კომპოზიტის დამოკიდებულების გარკვევა შესიტყვებასთან, სახელდობრ. იმ შემთხვევებში, როცა კომპოზიტი ორი ფუძისაგან კი არა, ორი სიტყვისაგან არის შემდგარი: ციხისთავი... ქინძისთავი... თავისუფლება... ციხისძირი... ჯარისკაცი... ცოლის ძმა... ყველაში მონაწილეობს ორი სრული, გაფორმებული სიტყვა,— ერთი ნათესაობითსა და მეორე სახელობითს ბრუნვაში. მაგრამ ეს ორი სიტყვა ერთ რთულ სიტყვად შედუღებულა; ზოგგან ეს პროცესი დამთავრებულია და ამჟამად გვეჩოთირება კიდეც შემადგენელ ნაწილთა მნიშვნელობის გამოცოცხლება; ასე, მაგალ., „თავისუფლებაში“: „თავსა“ და „უფლებაზე“ არვინ ფიქრობს, როცა ამჟამად ამ სიტყვას ხმარობს, მაგრამ „ჯარისკაც“-ში, „ცოლის ძმა“-ში ორი ერთეულის არსებობა ახლაც ნათლად იგრძნობა, და რაკი პირველი ნაწილი გაფორმებული სიტყვაა, კომპოზიტობის საკითხი აქ რთულდება. ამას მართლწერაც გვაგრძნობინებს: „ცოლის ძმა“ შეიძლება ერთად დაწერილიც შეგვხვდეს და ცალ-ცალკე, ორ სიტყვად დაწერილიცა. შეიძლებოდა კომპოზიტად ქცევის გამოსაცნობი ერთი საზომი მოგვეგონებინა: შემადგენელ ნაწილთა გათიშვა გადასმის ან შიგ სხვა სიტყვის ჩართვით. სადაც შესიტყვება კომპოზიტად არის უკვე ქცეული, გათიშვა შეუძლებელი ხდება: კომპოზიტის მნიშვნელობა იშლება; სადაც გათიშვა დაუბრკოლებლივ მიმდინარეობს, შესიტყვება გვაქვს და არა ერთი რთული სიტყვა, კომპოზიტი; სადაც გადასმა შესაძლებელია, მაგრამ სახოთიროა, იქ გაკომპოზიტების პროცესი დამთავრებული არაა: გარდამავალ მდგომარეობასთან გვაქვს საქმე. შდრ.: „მეზობლის სახლი“ და „სახლი მეზობლისა“ თანაბრად შეიძლება; ასევე შეიძლება: „მეზობლის ახალი სახლი“... „ცოლის ძმა“—„ძმა ცოლისა“ სახოთიროა, თუმც შეუძლებელი არაა; გვაქვს „ჯარისკაცი“, „მამაცი ჯარისკაცი“, მაგრამ შეუძლებელია:—„ჯარის მამაცი კაცი“ ანდა: „კაცი ჯარისა“... შდრ. აგრეთვე: „თავისუფლება“—„უფლება თავისა“, „ციხისძირი“—„ძირი ციხისა.“ [1]

---

[1] ამიტომ შეცთომაა, როცა კომპოზიტად მიაჩნიათ (გ. როხენი.) ჭარგელური ენების მსაზღვრელ-საზღვრული, როშელთაგან მსაზღვრული წინ უსწრებს საზღვრულს და ბრუნების დროს არ იცვლება (ლრმა მდინარე, სასიამოვნო ამბავი...). მეგრულსა და ჭანურში წინდასმული მსაზღვრელი არასოდეს არ იცვლება, მაგრამ საკმარისია რიგი შევცვალოთ, რომ მსაზღვრელი დაირთავს ბრუნვებს. ეგევე ხდება ქართულშიც.

§ 76. საბჭოური კომპოზიტები. რთულ მრავალსიტყვიან სახელწოდებათა გამარტივების მიზნით რევოლუციის შემდეგ ფართო გასაქანი მიეცა გამოთქმათა შემოკლებას: სახკომსაბჭო, განსახკომი, სახელგამი, აღმასკომი, ცეკა, რემედასი, ზაჰესი, რიონჰესი, ფეროშენი და სხვ. და სხვ. ზოგი ამათგანი ლამის არის, „საკუთარ სახელებად" იქცეს; აღმასკომი, სახელგამი, ზაჰესი, რიონჰესი—ყველას არც შეუძლია ამოშიფროს, როგორც „აღმასრულებელი კომიტეტი", „სახელმწიფო გამომცემლობა", „ზემო-ავჭალის ჰიდრო-ელექტრო სადგური" და სხვ.; ამგვარი სრული გამოთქმები ჩვეულებრივ მარტივ სახელებადაა ქცეული, ისეა შეჩვეული კაცი ამ შემოკლებულ გამოთქმებს.

ეს შემოკლებები თავისი ბუნებით კომპოზიტებია, ოღონდ თავისებური: კომპოზიტი ორ- და მეტ-ფუძიანი სიტყვაა, აქაც ორი და ჩვეულებრივად გაცილებით მეტი ერთეული მონაწილეობს, მაგრამ ეს ერთეულები ყოველთვის ფუძეს როდი წარმოადგენენ: შეიძლება ფუძე ან ფუძეები გვქონდეს, მაგრამ ჩვეულებრივად მხოლოდ ფუძის ნაწილია ანდა აფიქსი ან კიდევ მხოლოდ ერთი ბგერა; ისიც ხდება, რომ გამოთქმის მონაწილე ყველა სიტყვა არ ჩანს კომპოზიტში, მხოლოდ ყველაზე მნიშვნელოვანი წევრებია წარმოდგენილი, მეტადრე მრავალსიტყვიან გამოთქმებში (მაგალ. კავშირტრანსი=სრულიად საკავშირო სატრანსპორტო გაერთიანება; პროფსაბჭო=პროფესიულ კავშირთა საბჭო).

შემოკლებულ კომპოზიტთა მთავარი ტიპებია: 1. კომპოზიტი, რომელშიაც ყველა შემადგენელი ნაწილი შემოკლებულია და მხოლოდ უკანასკნელი წევრია სრული სიტყვა: კომპარტია (=კომუნისტური პარტია), კომკავშირი (=ახალგაზრდათა ლენინური კომუნისტური კავშირი), სამტრესტი (=საბჭოთა მეურნეობების ტრესტი), პროფკავშირი (=პროფესიული კავშირი), სახკომსაბჭო (=სახალხო კომისართა საბჭო); 2. კომპოზიტი, რომელშიაც პირველი წევრი ფუძეა, სხვა კი—ფუძის ნაწილი: გლეხკორი (=გლეხ-კორესპონდენტი), მუშკორი (=მუშა-კორესპოდენტი), რიონჰესი (=რიონის ჰიდრო ელექტრო-სადგური); 3. კომპოზიტი, რომელშიაც ყველა შემადგენელი ნაწილი შემოკლებულია: ადგილკომი (=ადგილობრივი კომიტეტი), რაიკომი(=კ. პ. რაიონული კომიტეტი), განსახკომი (=განათლების სახალხო კომისარიატი), ჯანსახკომი (=ჯანმთელობის სახალხო კომისარიატი); 4. კომპოზიტი, რომელშიაც შემადგენელ ნაწილთა თავკიდური ბგერებია წარმოდგენილი: სმუსი (=სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭო), ზაჰესი (=ზემო-ავჭალის ჰიდრო ელექტრო სადგური),

აწჰესი (=აჭარისწყლის ელექტრო სადგური), ცაკი (=ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი)... 5. კომპოზიტი, რომელშიაც ფუძის ნაწილი და თავკიდური ბგერებია შეერთებული: რემედასი (=რევოლუციის მებრძოლთა დამხმარე საზოგადოება), აბჰესი (=აბაშის ჰიდრო-ელექტრო-სადგური)... 6. ცალკე დგას საყოველთაოდ გავრცელებული კომპოზიტები: ცეკა, ტეკა; აქ შეერთებულია დასაწყისი ასოების ლათინური სახელწოდებანი: ცენტრალური კომიტეტი—ცეკა, ტფილისის კომიტეტი—ტეკა.[1]

§ 77. ეტიმოლოგია და სიტყვის ისტორია. სიტყვის ანალიზთან დაკავშირებით ნაჩვენები იყო, რომ: 1. ეტიმოლოგია სასკოლო გრამატიკებში ნიშნავდა მოძღვრებას ცალკე სიტყვის შესახებ (მეტყველების ნაწილები, სახელთა ბრუნება, ზმნათა უღვლილება, სიტყვაწარმოება); 2. ენათმეცნიერებაში კი ეტიმოლოგია ნიშნავს სიტყვის ფუძეში ჩაქსოვილი წარმოდგენის ამოშიფრვას ანდა, სხვანაირად რომ ვთქვათ, იმ დახასიათების მიგნებას, რომლის საფუძველზე საგანს (თუ სხვა ობიექტურ მონაცემს) სახელი დაერქვა: (ა)თორმეტი=10+2; რვეული=რეიანი; გაფითრდა=ფითრის ფერი დაედო...

გავრცელებულია შეხედულება, რომლის თანახმადაც სიტყვის ეტიმოლოგიის დაძებნა მის ისტორიულ შესწავლას ნიშნავს: სადაურია სიტყვა, საკუთარი თუ ნასესხები, რას აღნიშნავდა იგი განვითარების სხვადასხვა პერიოდში და როგორ იცვალა მისი გარეგნობა დროთა ვითარებაში—აი საკითხთა წყება, რომელთა გაშუქება სიტყვის ეტიმოლოგიას უდრის. უდავოა, რომ სიტყვის წარმომავლობის გარკვევა, ბგერათა შედგენილობისა და მნიშვნელობის ცვლის გათვალისწინება მრავალ შემთხვევაში სიტყვის ეტიმოლოგიის გასაღებს იძლევა, მაგრამ საკვლევით შესაძლებელია ვიცოდეთ სიტყვის ისტორია, მაგრამ არ ვიცოდეთ მისი ეტიმოლოგია: ქართ. „ძმა"—საუკუნეთა განმავლობაში იმასვე აღნიშნავდა, რასაც ახლა აღნიშნავს; არც მისი გარეგნობა ცვლილა; მეგრულთან და ჭანურთან შედარება საშუალებას გვაძლევს ამ სიტყვის ისტორიის წინა საფეხურებიც გავარკვიოთ: ცხადი ხდება, რომ ეს სიტყვა „ძამ-ან"-ის სახეს ატარებდა. მაგრამ გაირკვა თუ არა ამ სიტყვის ეტიმოლოგია? არა, არ გარკვეულა:

[1] შემოკლებულ კომპოზიტთა დაჯგუფება მოცემული აქვს ვ. თოფურიას დაუსწრ. პედინსტიტუტის მსმენელთათვის შედგენილ ქართული ენის III/IV განაკვეთში, ტფილ., 1933 გვ. 10—12; აქ ეს სქემა ოდნავ შეცვლილია.

ხარა ჩანს, რად ეწოდა ძმას „ძამან"! **სიტყვის ისტორიის დადგენა ჯერ კიდევ არ ნიშნავს სიტყვის ეტიმოლოგიის გამორკვევას.**

მეორე მხრით, შესაძლებელია ისტორიის გარეშეც დაეადგინოთ სიტყვის ეტიმოლოგია; მე მხედველობაში არ მაქვს ისეთი შემთხვევები, როცა სხვადასხვა ენის მასალის შედარებას მივყავართ სიტყვის ეტიმოლოგიასთან: ამის ცნობილი მაგალითია „ნახშირ"-ის ეტიმოლოგია. სვანურ **შიხ-ე**-სთან ამ სიტყვის ძირის შედარებამ ცხადყო, რომ „წვის" წარმოდგენაა ამ სიტყვაში ჩამარხული: ნახშირი (=ნაშხირი)=ნაწვი[1]. ამგვარი შემთხვევები იმიტომ არ ჩიოლება მხედველობაში, რომ აქ შედარება მოვლენის განვითარების **წარსულში** ჩახედვას შესაძლებელს ხდის, ე. ი. შედარება ისტორიის საქმეს აკეთებს. ისტორიის გარეშე ეტიმოლოგიას შეიძლება ვწვდეთ მარტივი ანალიზის საშუალებით: თავისუფლება=უფლება თავისა, ერთმანეთი=ერთმან ერთი, რვეული=რვ+ეული, სამ-ეული, ოთხ-ეული, ათ-ეულის მიმსგავსებით. ამგვარად: **სიტყვის ისტორია ყოველთვის არ იძლევა სიტყვის ეტიმოლოგიას; მეორე მხრით, ისტორიის დაუხმარებლადაც შეიძლება გაირკვეს სიტყვის ეტიმოლოგია.** ამიტომ არ იქნებოდა სწორი თანასწორობის ნიშანი დაგვესვა სიტყვის ისტორიასა და ეტიმოლოგიას შორის.

შეუძლებელია მოცემულ იქნეს სიტყვის სწორი ეტიმოლოგია სიტყვის სწორი ანალიზის გარეშე: უნდა ვიცოდეთ, რა არის სიტყვის მარტივი ფუძე და რა წარმოადგენს აფიქსებს. ცნობილია, რომ აფიქსები შეიძლება შეეზარდოს ფუძეს, შესაძლოა აფიქსისა თუ მარტივი ფუძის შემადგენლობამ ფონეტიკური პროცესების წყალობით განიცადოს ცვლილება—ან დაეკარგოს ბგერა, ანდა ჩაერთოს ახალი: განსაკუთრებით ადვილდება ეს მას შემდეგ, რაც „ჩაქრება" ფუძეში ჩაქსოვილი წარმოდგენა და მანამდის ცოცხალი სახის შემცველი ფუძე უტყვ პირობით ნიშნად იქცევა (§ 25)... ვიმეორებთ, სიტყვის სწორი ანალიზის გარეშე ეტიმოლოგიის საკითხის სწორად გადაჭრა შეუძლებელია; ეს თავის თავად ცხადი გახდება, თუ მოვიგონებთ, რომ ეტიმოლოგია **სიტყვის მარტივ ფუძეში ჩაქსოვილ წარმოდგენას ეძიებს, ფუძის გამოყოფა კი სიტყვის სწორ ანალიზზეა დამოკიდებული. ჩვეულებრივად სიტყვის ბგერითს შემადგენლობაში მომხდარ ცვლილებათა ზუსტი აღრიცხვა სიტყვის სწორი ანალიზის წინაპირობაა.** ეს დიდად უწყობს ხელს უტყვი ფუძის ამოტყვეველებას. აი სულ უბრალო მაგალითები: „რბილი" მი-

[1] ეს გარკვეული აქვს ვარ. თოფურიას.

ღებულია „ლბილი"-საგან და, მაშასადამე, ლბობის წარმოდგენა უდევს მას საფუძვლად: რბილი=დალბობილი... „თაყვანისცემა" მიღებულია „თავ-ყანის-ცემა"-საგან და ნიშნავს: „მიწაზე თავის ცემას"... „წარღვნა" მიღებულია „წყალ-რღვნა"-საგან და „წყლით რღვევას, განადგურებას" მოასწავებს... „ცხინვალი" მიღებულია „ქრცხილვანი"-საგან და „ქრცხილნარს" ნიშნავს. გვარი „მეუნარგია" მიღებულია „მეუნაგრია"-საგან[1] და ხელობის აღმნიშვნელ „მეუნაგრე"-ზე მიუთითებს. ასევე: „კვიცარიძე" მომდინარეობს „ყვიცარიძისაგან" და „ყვიციანიძეს" უდრის (იხ. § 74): ყვიციანი—ყვითელ ფერიანი.

მაგრამ თუ სიტყვის ბგერითს შემადგენლობაში მომხდარი ცვლილება გათვალისწინებული არ არის, სიტყვის სწორი ანალიზი მხოლოდ შემთხვევით შეიძლება იყოს სწორი. რამდენად სახიფათო მდგომარეობაში იმყოფება ასეთ შემთხვევაში მკვლევარი, ცხადი გახდება შემდეგი მაგალითიდან; ტფილისში ვარაზის ხევისა და ვერეს შესართავთან არის „ფიქრის გორა"; თითქოს ნათელია ამ სახელწოდების ეტიმოლოგია, და მაინც... ეს იყო „ფეიქრის გორა"; პირველ სიტყვას გამოაკლდა „ე" და „ფეიქარი" იქცა „ფიქრად"...

§ 78. „ხალხური ეტიმოლოგია". სიტყვის ანალიზის გარეშე სიტყვის უშუალო გააზრებით ნაპოვნი ეტიმოლოგია იწოდება ხალხურ ეტიმოლოგიად. ამის ნიმუში მრავლად გვხვდება ყველგან: თითქმის ყოველი გეოგრაფიული სახელწოდების გააზრებას ცდილობს მოხალისე ეტიმოლოგი, და აი საყოველთაოდ ცნობილი ნიმუშები: სამტრედია=სამი ტრედი ა(რის); თელავი=სომხ. თე ლავ ე („თუ კარგია"!); რაჭა=რა ჭა?! (ნაჭერალიდან გადაიხედა ვილაცამ და რაჭას როცა დახედა, წამოიძახა: „ეს რა ჭა ყოფილაო?!"); იორი=იორა, ერთი იყო და ორად იქცაო (ვახუშტი), ე. ი. ალაბანს შეერთოო... და სხვ. და სხვ. რა შუაში იყო სამი მტრედი, ან რატომ უნდა ეთქვა სომეხს თელავზე „თუ კარგიაო" ან როგორ გახდა კითხვითი წინადადება რაჭის სახელი ან რატომ უნდა ეფიქრათ იორზე, „ორად" იქცაო იმის მიხედვით, რომ ის შემდეგ ალაბანს ერთვის?! ეს ხალხურ ეტიმოლოგიას არ აწუხებს, და დაუბრკოლებლად აახრიანებს ის სიტყვას და არ ერიდება—სახელში ზმნა თუ იპოვა (იორა=ორად იქნა) ანდა, თუ მთელი წინადადება ამოიკითხა!.. რა არის ამ სახელთა ფუძე, რაა—აფიქსი, ამას ის არ კითხულობს.

---

[1] გვხვდება საბუთებში.

ხალხური ეტიმოლოგიისაგან არაფრით განსხვავდებოდა წინარემეცნიერული ეტიმოლოგიური ვარჯიში ძველი დროისა თუ საშუალო საუკუნეებისა ვიდრე მეცხრამეტე საუკუნის მეორმოცე წლებამდის. ეს თავისუფალი ვარჯიში, რა თქმა უნდა, **სიტყვის ანალიზის გარეშე** ცდილობდა სიტყვის გააზრებას, და თუ ამისთვის რაიმე ბგერა სიტყვაში ეღობებოდა, ეტიმოლოგისტი უყოყმანოდ აცხადებდა: ეს ბგერა ამა და ამ ბგერისაგან არის მიღებულიო. ამგვარი თავისუფალი ვარჯიშობის შესახებ შენიშნა ვოლტერმა გესლიანად: „ეტიმოლოგისტებისათვის სიტყვის ხმოვნები სრულიად არაფერს ნიშნავენ, თანხმოვნები კი—ძალიან ცოტა რამესო"...

X. სტილისტიკა, როგორც ენათმეცნიერების დარგი.

§ 79. სტილის რაობისათვის. სტილის საკითხი აქტუალური საკითხია ბელოვნების ყველა დარგისათვის (მხატვრობისა, ხუროთმოძღვრებისა, ქანდაკებისათვის...). პირველხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს მას ენისთვისაც. სტილისტიკა აქ ჩამოყალიბდა პირველად რიტორიკის სახით. ამჟამად სტილისტიკა პოეტიკის ერთ-ერთი დარგია; ენათმეცნიერებაში კი მხოლოდ ბოლო ხანებში (წეცხრამეტე საუკუნის დამლევიდან დაწყებული) მახვილდება ყურადღება სტილისტიკაზე, როგორც ენათმეცნიერული შესწავლის ობიექტზე; მაგრამ მისი ადგილი ენათმეცნიერების სხვა დარგებს შორის გარკვეული ჯერ კიდევ არ არის.

ამიტომაც აქ მხოლოდ ზოგადად შეიძლება მოვხაზოთ ის არე, რომელიც სტილისტიკის პრობლემებს შეეფეროება ენათმეცნიერულს ნააზრევში და დავსვათ ძირითადი საკითხები.

ყოველი ენობრივი ფაქტი, იქნება ეს წინადადება თუ სიტყვა, რაღაცაზე მიუთითებს, რაღაცას აღნიშნავს. ამისდა მიხედვით ყოველი ენობრივი ფაქტი გულისხმობს გ ა დ მ ო ს ა ც ე მ შინაარსსა და ს ა თ ა ნ ა დ ო გ ა დ მ ო მ ც ე მ საშუალებას. გადმოსაცემი შინაარსი ეს არის მეტყველის ცნობიერებაში გადამტყდარი ო ბ ი ე ქ ტ უ რ ი ვ ი თ ა რ ე ბ ა: მოვლენა, რომელსაც ადგილი აქვს ბუნებაში, ადამიანთა საზოგადოებაში, ადამიანის ცხოვრებაში; გადმომცემი საშუალება ესაა ე ნ ო ბ რ ი ვ ი ფ ა ქ ტ ი, ამ ობიექტური ვითარების აღსანიშნავად გამოყენებული. **გადმოსაცემი შინაარსისა (სათქმელისა) და გადმომცემი ენობრივი საშუალების (თქმულის) ურთიერთობა**—ესაა სტილისტიკის ძირითადი პრობლემა. სხვანაირად რომ ვთქვათ, **სტილისტიკა შეისწავლის ენობრივ საშუალებებს მათს მიმართებაში გადმოსაცემ შინაარსთან.**

„კარგი რამ იყო თავად თათქარიძის სახლ-კარი!" ამ სახლ-კარის აღწერა გვაჩვენებს, თუ რას ნიშნავს აქ „კარგი". იგივე შინაარსი შეიძლებოდა გადმოგვეცა სხვაგვარად: „ვერაფერი სანახაობა იყო თავად თათქარიძის სახლ-კარი!" ანდა: „უნუგეშო სურათს წარმოადგენდა თავად თათქარიძის სახლ-კარი!" ანდა: „დაქვეითებისა და დაცემის განსახიერება იყო თავად თათქარიძის სახლ-კარი"! ავტორ-

მა უველაზე მიზანშეწონილად ცნო მარტივად ეთქვა „კარგი რამ იყო“-ო და ამით გამოეხატა თავისი დამოკიდებულება ამ სახლ-კარისა და მის პატრონისადმი... იმ შინაარსის გადმოსაცემად ეს გზა ერთად ერთი არ იყო.

ობიექტური ვითარება ერთი და იგივეა; მისი ენობრივი გამოხატულება—სხვადასხვაგვარია. სხვადასხვაგვარი გადმოცემა ან იქიდან წარმოდგება, რომ ობიექტური მონაცემის სხვადასხვა მომენტია ამოსავალი ანდა იქიდან, რომ ამ ობიექტური მონაცემისადმი მთქმელის სხვადასხვაგვარი სუბიექტური დამოკიდებულებაა უკუფენილი ენობრივს გამოხატულებაში. ასე იქნება თუ ისე, ეს სხვადასხვაგვაროვნება ქმნის სტილს, მას შეისწავლის სტილისტიკა...

ამის მიხედვით შეიძლება გაირკვეს, რა განსხვავებაა სტილისტიკას შორის პოეტიკისა და ენათმეცნიერების გაგებით. პოეტიკური სტილისტიკა შეისწავლის **მხატვრული ნაწარმოების ენას, როგორც მხატვრული შინაარსის გამოვლინების საშუალებას**; მისი საგანია **პოეტური ენის ექსპრესიული ფუნქცია**. სტილისტიკა ენათმეცნიერული გაგებით განიხილავს **არაპოეტურ მეტყველებას, ყოველდღიურ სასაუბრო თუ მეცნიერულ ნაწარმოებთა ენას**, რამდენადაც ეს ენა საოანადო **შინაარსის გამოხატულების საშუალებაა**. პოეტური ენა მას აინტერესებს იმდენად, რამდენადაც პოეტიკური სემანტიკისა (სემასიოლოგიისა) და სინტაქსის პროცესები საერთოდ **სემასიოლოგიისა და სინტაქსის კანონზომიერებათა თავისებურ გამოვლენას წარმოადგენენ** (იხ. §§ 67, 68, 69, 71, 72). გარდა ამისა ენათმეცნიერულმა სტილისტიკამ უნდა მოგვცეს ამა თუ იმ **ენის დახასიათება იმ შესაძლებლობათა მიხედვით, რომლებიც მას გააჩნია, როგორც გამომხატველობითს საშუალებას,—მოკლედ, ამა თუ იმ ენის ექსპრესიული პოტენცია საგანია** სტილისტიკისა, როგორც ენათმეცნიერული დარგისა. კონკრეტულად ეს გულისხმობს იმის გარკვევას: რამდენად მარჯვეა თუ ის ენა კონკრეტული და განყენებული აზროვნებისათვის; რა ახასიათებს მას—თავისუფალი თუ სავალდებულო სიტყვათა რიგი; პასიური კონსტრუქციები ემარჯვება მას თუ აქტიური, პარატაქსი (წინადადებათა შეწყობა) თუ ჰიპოტაქსი (მთავარისა და დამოკიდებული წინადადების გამოყენება), მარტივი წინადადება თუ რთული პერიოდები და სხვ. მორფოლოგია და სინტაქსი სათანადო ენაში არსებულ მოვლენებს აანალიზებენ, სტილისტიკა ამ მოვლენათა ექსპრესიულ (გამომხატველობითს) შესაძლებლობას არკვევს.

იდეალური სტილი საუკეთესო შეუღარდებაა სათქმელსა (გადმოსაცემ შინაარსსა) და თქმულს (გადმომცემ ენობრივ საშუალებას) შორის. ეს „საუკეთესო" მეცნიერული ნაწარმოების ენაში მეტყველების კლასიკურ სიმარტივესა და ახრის სიცხადეს ნიშნავს. მხატვრულ შემოქმედებაში კი ეს „საუკეთესო" თავისებურად ესმის თითქმის ყოველ ლიტერატურულ სკოლას, მაგრამ ყველასათვის საერთოა ძირითადი მიზანი: სიტყვის ექსპრესიული მაქსიმუმამდე მიღება; ამის შესაბამისად პოეტიკური სტილისტიკის შინაარსს ქმნის: პოეტიკური ლექსიკის (არქაიზმები, ნეოლოგიზმები, პროზაიზმები...), პოეტიკური სემასიოლოგიის (მეტაფორები, მეტონიმიები, ეპითეტები...), პოეტიკური სინტაქსის (სიტყვათა წყობა, მარტივი წინადადებები თუ რთული პერიოდები...) საკითხები; ბოლო ხანებში განსაკუთრებით გამახვილდა ყურადღება ბგერითი აღქაზმულობის (ბგერითი ინსტრუმენტალობის) საკითხებზე (როგორ ბგერს სიტყვა...).

§ 80. ე. წ. ობიექტური სტილი. არამხატვრული მეტყველების სტილი სიტყვის ბგეროვას ნაკლებ ყურადღებას აქცევს; ძირითადია ნათქვამის სიზუსტე[1]. ამ ხრივ პირველ რიგში დგას პრაქტიკული საკითხი **სტილისტიკური მინიმუმისა**. ესეხება, როგორც მარტივ, ისე რთულ წინადადებას. როგორც ერთში, ისე მეორეში **სტილისტიკური მინიმუმის დარღვევა** იმაში მდგომარეობს, რომ **გადმოსაცემი შინაარსის თვალსაზრისით, მნიშვნელობის მიხედვით, გამოთქმაში ნახმარი სიტყვები ერთმანეთს არ შეეფერება.**

ორიოდე მაგალითი: „პალიასტომის ტბის" მთავარი **აქტიორია ივანე**"; „აქტიორი" სიტყვა აქ უადგილოა: იგი არ შეეფერება თვისი მნიშვნელობით ივანეს; ივანე მოთხრობის მოქმედი პირია, აქტიორი კი „სცენაზე მოქმედ პირს" ნიშნავს... „მამა და შვილი შთანთქა **ალელვებულმა ტალღებმა**", „ალელვებული" შეიძლება იყოს ზღვა, ტბა... და არა ტალღა; ტალღა ღელვის შედეგია; ამიტომ ვერ ვიტყვით, „ალელვებულიო". აქაც მსაზღვრელი და საზღვრული ერთმანეთს არ შეეფერება მნიშვნელობის მიხედვით... „გამგეობამ **განახორციელა** მთელი რიგი **ნაბიჯები**"; განხორციელება შეიძლება მიზნისა, „ნაბიჯებზე" ითქმის „გადადგაო". აქაც ორი სიტყვა მნიშვნელობის მიხედვით ერთმანეთს არ ეგუება.

---

[1] ძველი საბერძნეთის რიტორიკის ერთი მიმდინარეობა (ე. წ. ატიკური), გამოთქმის სიმარტივესა და თქმულის სიზუსტეს ითხოვდა, მეორე კი (ე. წ. აზიური) მაღალფარდოვან ზედსიტყვაობას იცავდა.

„ასეთ პირობებში წარმოება **თავს ვერ გაართმევს ჩამორჩენილობას**"; „თავს ვერ გაართმევს" წესიერი ქართული გამოთქმაა, მაგრამ აქ არ ვარგა: „ჩამორჩენილობას" არ ეგუება. უნდა ყოფილიყო: „ჩამორჩენილობას თავს ვერ დააღწევს".

სტილისტიკური მინიმუმის დარღვევას იწვევს პლეონასტური მოვლენებიც: „**გახარებული** და **აღტაცებული** დავბრუნდი შინ"... „უნდა დაიძებნოს ამ მოვლენის **სათანადო და შესაფერი** ფორმები"... „და"-თი შეერთებული სიტყვები აქ შინაარსობლივად გამთლიანებული არ ჰრის: „აღტაცებული" შეუძლებელია ყოფილიყო მოწყენილი; „სათანადო" თუა, „შესაფერიც" იქნება. გადმოსაცემი აზრის თვალსაზრისით ერთ-ერთი ამ სიტყვათაგანი ზედმეტია; ორივესთვის ადგილი არ რჩება, თუ მათ მნიშვნელობას გაეწევა ანგარიში.

დამხმარე სიტყვათა მნიშვნელობა მხოლოდ შესიტყვებაშია ცხადი. „ერთად იკრიბება შვიდი **ანუ** ათი თემი"... „მეც ამ მშვენიერი ბუნებისათვის თვალი ვერ მომეშორებინა **და** თანდათან შეუმჩნეველად გადიოდა დრო"... „სიმონა არის პატიოსანი მშრომელი გლეხი და **აგრეთვე** მას ახასიათებს თავმოყვარეობა"... **ანუ, და, აგრეთვე** აქ უადგილოდ არის ნახმარი. „შვიდი" და „ათი" ერთმანეთს არ უდრის; უნდა იყოს: შვიდი ან ათი... შეუძლებელია შევაერთოთ და-კავშირით ისეთი შინაარსის შესიტყვებები, რომელთა აზრი ერთმანეთთან არავითარ კავშირში არ იმყოფება[1].

რ თ უ ლ ი წ ი ნ ა დ ა დ ე ბ ი ს ა გ ე ბ ი ს ა ს სტილისტიკის მინიმუმი არ არის უზრუნველყოფილი ისეთ შემთხვევებში, როგორიცაა: „და ამ სიტყვასთან მიჰყო ხელი პირის ბანას **ფაცა-ფუცით, რომელმაც** მაშინვე ჩაიცო ტანთ და გამოჭანდა კარებისაკენ" (საქ. მოამბე 1863 წ. ტ. III, გვ. 22)... „წაივლო სიკაბასით თმებში ხელი ბაგა-ბუგით და გამოვარდა თავშიშველა გარეთ, **რომელიც** დეეშვა სირბილით მუხრანიანთ ხიდისაკენ" (იქვე, გვ. 24)... „ოთხმა სალდათმა დიდის გაჭივრებით ძლივს გამოასვენეს გოშპიტლიდამ ერთი მიცვალებული უბრალო კუბოთი და წაიღეს **სასაფლაოსკენ, რომელსაც** მიუძღოდა მხოლოდ ერთი ღვდელი, შემოსილი შავი ოლრითა და ფილონით" (იქვე); ანდა კიდევ: „ფშავი ცნობილია ჩვენში ვაჟა-ფშაველას სახე-

---

[1] ამიტომ მხატვრულს ნაწარმოებში და- კავშირის ასეთი უადგილო ხმარება საგანგებო სტილისტიკურ ეფექტს იძლევა: „ხვალ პირველი მაისია და მე ამელამ არ მეძინება" (ჭოლა ლომთათიძე). და-თი შეერთება ამ ორი გამოთქმისა გვაგრძნობინებს, რომ რალაც კავშირი აქვს იმ ფაქტს, რომ „ხვალ პირველი მაისია" იმ ფაქტთან, რომ მე „ამელამ არ მეძინება". ამით ავტორმა მკითხველს მარკვეული განწყობა შეუქმნა შემდგომი ამბების ასათვისებლად.

ლით, რომელიც ამ კუთხეში დაიბადა"... ყველასათვის ცხადია, რომ „ფაცა-ფუცი ტანთ ვერ ჩაიცვამდა და კარებისაკენ ვერ გამოქანდებოდა", ისიც ცხადია, რომ მღვდელი „სასაფლაოს ვერ წაუძღვებოდა" ანდა „სახელი კუთხეში არ დაიბადებოდა"... ამგვარი გამოთქმები გაგებინების საშუალებად კიდევ გამოდგება, მკითხველი თუ მსმენელი მიხვდება, რასაც ეხება საქმე, მაგრამ პირველ მომენტში, როცა ამგვარი გამოთქმები გვესმის, ჩნდება ისეთ სიტყვათა კავშირი, რომლებიც მნიშვნელობით ერთმანეთს არ შეეფერებიან, და ამასთან არის დაკავშირებული ის უხერხულობის გრძნობა, ამგვარი სტილის ნიმუშების მოსმენასთან რომ არის დაკავშირებული.

შესაძლოა შესიტყვება აზრს ზუსტად გადმოგვცემდეს, მაგრამ სტილი მაინც საჩოთირო იყოს: „ნინოშვილი **პირველი** პროლეტარული მწერალია. იგი **პირველად** შეეხო გლეხთა მდგომარეობას"... „პირველი"-ს განმეორება სტილისტიკურად უხეიროა. ყურადღებას აქ ის იქცევს, რომ ერთ წინადადებაში ხმარებული სიტყვა გვხვდავს მეორე წინადადების აგებისას: **მთელი ნაწყვეტი, მთელი თავი და მთელი ნაწარმოებიც კი სტილისტიკურად ერთ მთლიან ერთეულად შეიძლება მოგვევლინოს,** რამდენადაც ერთი მთლიანი ნაარსის,—ობიექტური მონაცემის,—გადმომცემ საშუალებას წარმოადგენს.

ზემოთქმულის მიხედვით ამა თუ იმ კონკრეტული ენის მასალის სტილისტიკური შესწავლა გულისხმობს:

1. შესიტყვების (კერძოდ, მარტივი თუ რთული წინადადების) მონაწილე სიტყვათა ურთიერთობის გარკვევას მნიშვნელობის თვალსაზრისით; თუ სინტაქსი შესიტყვების აგებულებას არკვევს, სტილისტიკა შესიტყვების ფუნქციებს შეისწავლის; საორიენტაციოა გადმოსაცემი შინაარსი; იგი განსაზღვრავს იმ მიზანს, რომელიც შესიტყვებას, როგორც გადმომცემ საშუალებას, უნდა ჰქონდეს.

მჭიდრო კავშირი არსებობს ამ მხრივ სტილისტიკასა და სემასიოლოგიას შორის; აღწერითი სემასიოლოგია ამა თუ იმ ენისა. მის ლექსიკონს იძლევა; ამა თუ იმ ენის სტილისტიკურმა შესწავლამ პირველ ყოვლისა უნდა მოგვცეს ამ ენის **ბუნებრივი გამოთქმების** ინდექსი.

2. დამხმარე სიტყვათა მნიშვნელობის გათვალისწინებაც სტილისტიკის საგანია.

3. სათანადო ენის ექსპრესიულ შესაძლებლობათა შესწავლაც (მაგალ. მორფოლოგიის ხაზით) სტილისტიკის ამოცანას შეადგენს.

§ 81. ე. წ. სუბიექტური სტილი. ყოველივე ეს ობიექტური სტილისტიკის შინაარსს ქმნის; ობიექტური სტილისტიკა სტილისტიკურ მინიმუმის ფარგლებს არ სცილდება; სუბიექტური სტილისტიკა პირველ ყოვლისა სიტყვის ემოციურ იერს ემყარება (ამ მხრივ სტილისტიკასა და სემასიოლოგიას შორის არსებული ურთიერთობის შესახებ იხ. § 71). ობიექტური სტილისტიკის ნორმათა ფარგლებში სუბიექტური სტილისტიკა ააშკარავებს იმ ამოურწყავ შესაძლებლობათ, რომლის საფუძველია გადმოსაცემ შინაარსისადმი მეტყველის დამოკიდებულება, გადმოსაცემი შინაარსის სხვადასხვა თვალსაზრისით დახასიათება... არა თუ ორი მწერლის სტილი არ არის ერთი და იგივე ორი მათემატიკური ნაწარმოების ავტორის „ენაც“ განსხვავებულია ხოლმე; ყოველდღიურ მეტყველებაშიაც ცალკე პირთა სტილი ისევე განირჩევა ერთმანეთისაგან, როგორც სიარული, ხმის ტემბრი და ნაწერის ხელი.

„სტილი ეს თვით ადამიანია“—ეს თქმა ბიუფონს მიეწერება; ბიუფონის ნამდვილი სიტყვები: „სტილი თვით ადამიანისაგან მოდისო“, გაცილებით უფრო ზუსტად აღნიშნავს იმ ძირითად აზრს, რომ სტილი ადამიანის აზროვნებას ახასიათებს,—კერძოდ, სტილში გარკვეულ გამოვლენას პოულობს მეტყველის კლასობრივი დამოკიდებულება გადმოსაცემ შინაარსისადმი; მოვლენის აღსანიშნავად კლასობრივ თვალსაზრისის შესაფერი სიტყვების შერჩევა, სიტყვათა მნიშვნელობის შემოსვა გარკვეული ემოციური იერით – აი ორი საშუალება ამ კლასობრივი თვალსაზრისის სტილში აღბეჭდვისათვის. ყოველი ემოციური იერი, რა თქმა უნდა, კლასობრივი თვალსაზრისის უკუფენა არ არის; ყოველი სტილისტური ვარიაცია კლასობრივს არ წარმოადგენს, მაგრამ ყოველთვის ახასიათებს მოლაპარაკის ცნობიერებას, რომელშიაც გადატეხილი ობიექტური ვითარება თავისებურად წარმოგვიდგება საამისოდ გამოყენებულ სიტყვიერ სამოსში.

აღსანიშნავია ისიც, რომ სუბიექტური სტილის შეცვლა ისევე ძნელია, როგორც აზროვნების ტიპის გამოცვლა. არც სწავლა-განათლებაზეა სტილი დამოკიდებული. ამის კლასიკური მაგალითია ილია ჭავჭავაძის მოხევისა („მგზავრის წერილები“) და გლახა ჯრიაშვილის („სცენები გლეხთა განთავისუფლების დროიდან“) სტილი. მოხევის ნათელი აზრი მკვეთრ გამოთქმებშია ჩამოსხმული; არც ერთი ზედმეტი სიტყვა: მოხევე ფორმულებით ლაპარაკობს; აი თუნდაც ქირაზე სიარულის შესახებ მისი სიტყვები: „ვშაულობთ, ჯიბეჩი არ რჩების... ჭამადი-სმადი არაა სახლჩი, ნაშოვერ დუქანჩი მიდის“... ანდა ბარის უპირატესობათა შესახებ მისი რეპლიკა: „ჭინ უწყის,

იქაითაც საჭირ-ბოროტოია დარჩენა; ადგილი ჰხაშმობს. იქაველ კაცს ფერი არა აქვნ. აქაველ ჯანმრთელნი არიან. ცარგვლის გამჩენმა განაგო: იქაით—მაძღრობა, აქაით—სიმრთელე!".

მოხევის ლაპიდარულ სტილს უპირდაპირდება გლახა ჭრიაშვილის უგზო-უკვლო მრავალმეტყველება; მოვიგონოთ საჩივრის „წინასიტყვაობა": „ისე დალაგებით მოგახსენებ, შენი ჭირიმე, სიჩქარით, შენი ჭირიმე, თქვენც კარგად მოგეხსენება, სოფელი არვის მოუჭამია, მოსამართლე ხელმწიფის ყურია, უნდა ყველაფერი თავიდამ ბოლომდინ გაგაგებინო. თუ წყალი სათავეშივე აიმღვრა, ბოლომდინ მღვრიედ ივლის; ამიტომაც მინდა ისევ თავიდამ დალაგებით მოგახსენო იმიტომ, რომ კარგად დალაგებით დაწყობილი თავიდამვე საქმე ბოლომდინ ანკარა წყაროსავით გავა. ეს თქვენ უფრო კარგად მოგეხსენებათ, თორემ მენა ამაებისა რა მეცოდინება? ერთი რეგვენი გლეხკაცი ვარ, ჩემს დღეში სამართლის კარი არც კი დამინახავს, რაფერია: წითელია თუ შავი? იქნება თეთრიც იყოს! ვინ იცის? მენა ის თვალითაც არ მინახავს. მაღალი ღმერთის ღმთის რისხვა და თქვენი ღმთის-რისხვა არა მაქვს, მართალს მოგახსენებ. აი ამიტომაც მინდა თავიდამ დავიწყო. ისე სჯობია, თავიდამვე დალაგებით მოგახსენო. **პაპაჩემი აზნაური გხლებიათ**—ეს დიდი ხნის ამბავი გახლავს—**ნუგზარ ერისთვის დროსაო**, თუ გაგიგონიათ, სისხლის წვიმების დროსაო. ასე ამბობენ, თქვენი ღმთის რისხვა არა მაქვს, თორემ მენა იმ დროებისა რა მეცოდინება, დიდი ხნის კაცი როდი ვარ! მართალია, წვერ-ულვაშში ჭალარა გამომრევია, მაგრამ მაგარი ესაა, რომ დიდი ხნისა არა ვარ. ასე კი ნუ მხედამთ, რომ გავთეთრებულვარ. ჯაფამ გამტეხა, შენი ჭირიმე, ჯაფამ! რაც მენა ბატონის ბეგარაში ოფლი მიღვრია, სულ რომ ერთად მოვკრიბო, ზღვა იქნება, თქვენი ღმთის რისხვა არა მაქვს, თორემ რა გამტეხდა აგრე მალე. მენა ბევრი ვიყო, ბევრი ვიყო, სულ ბევრი ვიყო... რალა სიტყვა გაგიგრძელო, გაგიგრძელდეს სიცოცხლე, იმ დღეს ჩვენ სოფელში, რომ ბრძანდებოდი, აი, პატარა საყდარი არ გახლავთ, აი ხალხი რომ მოაგროვე და ხელმწიფის სიტყვა რომ გამოგვიცხადე, აი იქაც, ჩვენებიანთ წინა—ის საყდარი სულ არ იქნება ხუთი წლით ჩემზე წინ აშენებული; მას აქეთ რა ხანი უნდა იყოს გასული? ჩოტკის კაცი მალე მტერი მოგიკვდეს, მალე მაგას გამოიცნობდა და იტყოდა: მაგდონი არაფერი ხანიაო გასული, მაგრამ მაგარი ესაა, რომ კაცმა შემომხედოს ასის წლისა ვეგონები. ჯაფამ და ბატონის სამსახურმა აგრე იცის, თორემ არც ისე ხნიერი ვარ. სულ აკი მოგახსენე, ის საყდარი ხუთის წლით ჩემზე წინ არის აშენებული მეთქი.

მენა ეხლა ასე რომ მოგახსენებთ, საყდარი მეთქი, საყდარი ხომ საყდარია, თქვენ ეს უფრო კარგად მოგეხსენებათ, მაგრამ მაგარი ესაა, რომ ხორციელი ადამიანი სულ სხვა არის, ასე რომ... ეჰ, რაღა სიტყვა გაგიგრძელო, გაგიგრძელდეს სიცოცხლე, მაინც და მაინც ადამიანი სულ სხვა არის, თუნდ ეგეც არ იყოს, მაინც ხომ საყდარი ქვა და კირია, ადამიანი სულ სხვა არის, ასე რომ...“

ამდენი ილაპარაკა გლახა ჭრიაშვილმა და საჩივარი მაინც **ვერ დაიწყო**, დაახლოებითაც ვერ დაუახლოვდა საკითხს: ისლა მოასწრო ეთქვა, რომ პაპა მისი, აზნაური იყო ნუგზარ ერისთვის დროს, მაგრამ ეს დრო მას არ ახსოვს, რადგანაც... არც ისე დიდი ხნის არის... რამდენი ხნისაა თითონ, ესეც ვერ გაარკვია და ბოლოს იმ დებულებით გაათავა, რომ „საყდარი ქვა და კირია, ადამიანი კი სულ სხვა არის“... საჩივრის წინასიტყვაობიდან მთელი დანარჩენი ნაწილი საჩივრის მოთხრობის მეთოდოლოგიამ და სხვა, სრულიად უცხო საკითხების „ანალიზმა“ წაიღო (რაფერისაა სამართლის კარი; როგორ აბერებს ჯაფა და ბატონის სამსახური კაცს; შეიძლება თუ არა მას ნუგზარ ერისთვის დროის ამბები ხსომებოდა, რა განსხვავებაა ხორციელ ადამიანსა და საყდარს შორის...) და ეს იმიტომ, რომ სიტყვას კი არ წარმართავს აზრი, არამედ პირუკუ, აზრი სიტყვის ტყვე გამხდარა და მონა-მორჩილად მიყვება მას. **არავითარი ხერხემალი ამ აზრს არ გააჩნია;** ამიტომ არ ხერხდება აზრის განაწევრება; ამიტომ „გააბა ჭრიაშვილმა ფეიქრის ქსელივით“ და თავს ვერ ართმევს, ვერ ათავებს; **ბუნდოვანია აზრი** და **უთავბოლო სიტყვა** ...და, საზოგადოდ „მეტყველების კულტურა“ სუსტობს იქ, სადაც „აზროვნების კულტურა“ მოიკოჭლებს და, მაშასადამე „მეტყველების კულტურისათვის“ ბრძოლა „აზროვნების კულტურისათვის“ ბრძოლის გარეშე წარმოუდგენელია.

XI. ენათმეცნიერების ადგილი სხვა მეცნიერებათა შორის.

§ 82. ენათმეცნიერება, როგორც სოციოლოგიური დისციპლინა. ენათმეცნიერება ენას შეისწავლის. ენა გარკვეული სოციალური ერთეულის (ენობრივი კოლექტივის) საჭიროებას ემსახურება: ურთიერთობის იარაღს, გაგებინების საშუალებას წარმოადგენს. ამიტომ ენათმეცნიერება სოციოლოგიური მეცნიერებაა; ენათმეცნიერება განეკუთვნება იმ მეცნიერებათა წყებას,[1] რომელთა შესასწავლი საგანი ადამიანთა საზოგადოებაა ანდა საზოგადოებრივ სინამდვილეში წარმოქმნილი მოვლენა.

ენათმეცნიერების საგანი, ენა, ჩვენ განვმარტეთ, როგორც გაგებინების საშუალება, ურთიერთობის იარაღი, და ამის მიხედვით ენის შემსწავლელი მეცნიერება სოციოლოგიურ მეცნიერებათა წყებაში მოვაქციეთ. მაგრამ ენას სხვა ფუნქციაც აქვს: ექსპრესიული, გამომხატველობითი ფუნქცია; იგი მეტყველის აზრთა და გრძნობათა გამოვლენის საშუალებასაც წარმოადგენს. შეუძლიათ მეტიც გვითხრან: გაგებინების შესახებ ლაპარაკი შეუძლებელი იქნებოდა, თუ გასაგებინებელი მასალა არ გვექნებოდა; მეტყველი მსმენელს აგებინებს იმას, რაც მისი ცნობიერებიდან მოდის (აზრს, გრძნობას); ამათი გადმომცემი საშუალებაა ენა უპირველეს ყოვლისაო. ამაზე უნდა ითქვას: ენა გაგებინების საშუალება რომ არ ყოფილიყო, აზრთა და გრძნობათა გამომხატველ საშუალებად ვერ იქცეოდა; მარტო მყოფ ადამიანს თავის განცდათა გამოსახატავ საშუალებად ენა არ დასჭირდებოდა (ამისთვის მას უსიტყვო სიმღერაც ეყოფოდა). ამიტომ **გამომხატველობითი ფუნქცია** გაგებინების ფუნქციის წინაშე უპირატესობით ვერ ისარგებლებს, იგი **თავის არსებობის წინაპირობად გაგებინების ფუნქციას ვარაუდობს**. გაგებინების ფუნქცია მეტყველის გარდა მსმენელს გულისხმობს. ინდივიდში მიმდინარე პროცესი მეტყველებისა სოციალური მიზანდასახულობისაა, ენის შემსწავლელი მეცნიერებაც სოციოლოგიურ დისციპლინათა წყებას განეკუთვნება.

---

[1] ეს მეცნიერებებია: ისტორია, ეთნოლოგია, ლიტერატურისმცოდნეობა, ფსიქოლოგია...

ენათმეცნიერება სოციოლოგიურ მეცნიერებათა წრეში დარჩებოდა, თუნდაც რომ ენისათვის გამომხატველობითი ფუნქცია გაგვეხადა ამოსავლად და აი რატომ. ენათმეცნიერება, როგორც ადამიანის აზრთა და გრძნობათა გამომხატველ საშუალებათა შემსწავლელი მეცნიერება ფსიქოლოგიას დაემყარებოდა; მაგრამ ფსიქოლოგია თვითონ საჭიროებს უფრო ზოგად ბაზას და ეს ბაზაა საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების კანონზომიერებათა მეცნიერება, ისტორიული მატერიალიზმი.

ისტორიულად ფსიქოლოგიის გარდა ბუნებისმეტყველებაც ყოფილა ენათმეცნიერებისათვის საორიენტაციო: ენათმეცნიერება საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა წრეშიც მოუქცევიათ. აქაც ენათმეცნიერების საგნის, ენის, რაობის გაგება იყო გადამწყვეტი მნიშვნელობისა: ენა მიაჩნდათ ორგანიზმად; როგორც ყოველი ორგანიზმი, ენაც იბადება, იზრდება, ვითარდება და კვდებაო, დაასკვნიდენ. ორგანიზმის განვითარების კანონზომიერებაც, ცხადია, ბუნებისმეტყველური უნდა ყოფილიყო. ამგვარი გაგების სასარგებლოდ თითქოს ის ფაქტიც ლაპარაკობდა, რომ ბგერათა განვითარება „ფიზიკური და ფიზიოლოგიური კანონების“ საფუძველზე მიმდინარეობდა. ენათმეცნიერების ბუნებისმეტყველური ხასიათის ყველაზე ენერგიული დამცველი ავგ. შლაიხერი იყო (XIX ს. მესამოცე წლები).

ასეთი გაგება არ არის სწორი; ბგერათა განვითარება რომ მხოლოდ ფიზიკური და ფიზიოლოგიური პროცესებით განისაზღვრებოდეს, **ფონეტიკური კანონი უნივერსალური იქნებოდა; შეგვეძლებოდა გვეთქვა: ესა და ეს ბგერა საერთოდ გადადის ამა და ამ ბგერაში**; ფონეტიკა კი პირდაპირ ამბობს: **ამა და ამ ენის ესა და ეს ბგერა ამა და ამ პირობებში სათანადო ენის განვითარების გარკვეულ პერიოდში იცვლება ამგვარად**; ფონეტიკური კანონი სოციალურად შეზღუდულია, ისტორიულად შემოფარგლულია.

რაც შეეხება ორგანიზმად ენის მიჩნევას, უდაოა, რომ ენა ცალკეული ფაქტების გროვას კი არ წარმოადგენს, არამედ სიმრავლეთა მოწესრიგებული მთლიანობის სახეს იღებს; მაგრამ ეს მთლიანობა არ არის ორგანიზმის ერთიანობა, არამედ სისტემის გამოვლენა: **ენა სისტემაა და არა ორგანიზმი.** ეს სისტემა ვითარდება, იცვლება, შეიძლება სხვა სისტემაში აირიოს, შესაძლებელია მოიშალოს კიდეც, ე. ი. მოკვდეს, თუ სათანადო ენა ხმარებიდან გამოვიდა, მაგრამ ეს მხოლოდ **შესაძლებლობაა.** ორგანიზმი კი **უცილობლად** უნდა დაბერდეს და მოკვდეს. ეს უცილობელი „დაბერება და სიკვდილი“ ენას არ უწერია. ორგანიზმად ენის გამოცხადება შეცთომაა.

ენათმეცნიერება ამჟამად ბუნებისმეტყველურ მეცნიერებად დღევიათად თუ ვისმე მიაჩნია.

§ 83. ენათმეცნიერება და მოსაზღვრე მეცნიერებანი. ენობრივი ფაქტის უჩვეულო სირთულე იმის საწინდარია, რომ ამ ფაქტის ყოველმხრივი შესწავლა მთელ რიგ მოსაზღვრე მეცნიერებასთან კავშირშიღა შეიძლება განხორციელდეს: 1. ენა გაგებინების საშუალებაა საზოგადოებრივი ადამიანისათვის; სათანადო საზოგადოების ყოფა-ცხოვრება, კულტურა და ზნე-ჩვეულება მეტყველებაში უკუიფინება; ამ საზოგადოების განვითარება არ შეიძლება არ დაეტყოს ენას; ენობრივი ფაქტის, როგორც კულტურულ-ისტორიული სინამდვილის მოვლენის გაგება, ენათმეცნიერებას აკავშირებს ისტორიასთან ამ სიტყვის ფართო მნიშვნელობით (იგულისხმება: პოლიტიკური ისტორია, მატერიალური კულტურის ისტორია, ეთნოგრაფია, კულტურის ისტორია...)... 2. ენა გამომხატველობითი საშუალებაა მეტყველისათვის; აზროვნებისა და მეტყველების პროცესობრივი ურთიერთობა ამასთან დაკავშირებული საკითხებით შინაგანის აუცილებლობით იწვევს ენათმეცნიერების კავშირს ფილოსოფიურ დისციპლინებთან, როგორიცაა, ზოგადი ფსიქოლოგია, კერძოდ აზროვნების ფსიქოლოგია, ეთნოფსიქოლოგია, ლოგიკა, ესთეტიკა... 3. ენობრივი ფაქტი ბგერებისაგან შედგება და აკუსტიკურად აღიქმება (ანდა თვალით დასანახ მოძრაობებს წარმოადგენს: ყრუ-მუმიკის ენა); ბგერითი მეტყველების შესწავლა შეუძლებელია იმ მასალის მეცნიერული ანალიზის გარეშე, რომლისაგან სიტყვა შედგება; ეს მასალა ბგერაა; ბგერათა წარმოება სამეტყველო ორგანოების მიერ განსაზღვრავს კავშირს ფიზიოლოგიასთან, ბგერათა მოსმენას კი მივყავართ აკუსტიკასთან, ე. ი. ფონეტიკის ხაზით ფიზიოლოგიასა და ფიზიკასთან მყარდება კავშირი.

ეს კავშირი ცალმხრივი იქნებოდა, ენათმეცნიერება რომ თავის მხრივ ამ მეცნიერებათა პრობლემატიკის გასაშუქებლად არაფერს იძლეოდეს. ენათმეცნიერება უდიდეს დახმარებას უწევს ისტორიას, აზროვნების ფსიქოლოგიას, ფილოსოფიას... მედიცინაც კი ფართოდ იყენებს მეტყველების აშლილობის მოვლენებს თავისი მიზნებისათვის. ამ დახმარების საილუსტრაციოდ სულ უბრალო ფაქტი შეიძლება დავასახელოთ: ამჟამად მეგრულში ვხვდებით გამოთქმას: „მუთუნი ათასი ქესა მარჩილით ვა ქიმინუ"; ეს ნიშნავს „არაფრის გულისათვის არა ქნა" ანდა „არას დიდებით არა ქნა", სიტყვა-სიტყვით რომ გადმოვთარგმნოთ, მივიღებთ: „არავითარი ათასი ქისა მარ-

ჩილისათვის არ ქნა“ ე. ი. „რამდენი ათასი ქისა მარჩილიც არ ვაძლიე, მაინც არ ქნა“. „მარჩილი“ ისტორიულად ცნობილი ფულის ერთეულია; ეს იყო ვერცხლის ფული, სამი აბაზის ღირებულებისა; ხმარებაში იყო დასავლეთ საქართველოში მეთექვსმეტე საუკუნის პირველი ნახევრიდან. [1] ამჟამად მარჩილი მეგრელისათვის სრულებით უცნობია; მაგრამ მეგრულ მეტყველებაში შენახული გამოთქმა („ქისა მარჩილი“) მარჩილის, როგორც ფულის ერთეულის არსებობის უტყუარი მოწმეა; და მოწმის ჩვენება ერთად ერთი ჩვენება იქნებოდა, ისტორიულ წყაროებში „მარჩილის“ არსებობის დამადასტურებელი სხვა ცნობები რომ არ შენახულიყო.

[1] იხ. ივ. ჯავახიშვილი: ისტორიის მიხანი, წყაროები და მეთოდები წიწათ და ეხლა; ნაკვ. III: ქართული საფას-საზომთა მცოდნეობა“.. ტფილ., 1925, გვ. 24.

XII. ენათმეცნიერების გამოყენებითი მნიშვნელობა.

§ 84. ენათმეცნიერება და სოციალისტური მშენებლობის პრაქტიკა. ენათმეცნიერება რთული თეორიული დისციპლინაა; ენის მეცნიერული შესწავლა ამ ენაზე მოლაპარაკე ადამიანთა აზროვნებისა და კულტურის განვითარებას იძლევა. აქედან ცხადია ის **დიდი ზოგადი საგანმანათლებლო მნიშვნელობა**, რომელიც ენათმეცნიერების შესწავლას აქვს. მაგრამ ენათმეცნიერების მნიშვნელობა ამით არ ამოიწურება. თანამედროვე კულტურული მშენებლობის მთელ რიგ პრაქტიკულ ამოცანათა ჯეროვანი გადაჭრა ენათმეცნიერების დახმარების გარეშე შეუძლებელია. ამ მხრივ უმთავრესია:

1. **სალიტერატურო ენის განვითარების გეგმიანი ხელმძღვანელობა.** სალიტერატურო ენა კულტურული წინსვლის უძლიერესი იარაღია, და როგორც ასეთი, საჭიროა ის იყოს მაქსიმალურად მარჯვე და მოქნილი. სალიტერატურო ენა ისევე, როგორც ენა, საერთოდ, ვითარდება; მაგრამ მისი განვითარება ნაწილობრივ მაინც ხელოვნურ პირობებშია ჩაყენებული; და ეს იმიტომ, რომ სალიტერატურო ენას კონტროლი ეწევა; ვერც ერთი ახალი მოვლენა ფონეტიკურ-მორფოლოგიურ-სინტაქსური ხასიათისა ვერ დამკვიდრდება სალიტერატურო ენაში შეუმჩნევლად; ახალი მოვლენა სანქციას საჭიროებს; სანქციას მოვლენის დაფასება უძღვის წინ, და აქ სიტყვა ენათმეცნიერულ ანალიზს ეკუთვნის: რა ნიადაგზე წარმოიშვა ეს ახალი მოვლენა? რა მიმართებაშია ის იმავე რიგის სხვა მოვლენებთან ენაში? რამდენად ეგუება ეს ახალი მოვლენა ენის განვითარების ძირითად ტენდენციებს? მხოლოდ ამ კითხვებზე პასუხის გაცემის შემდეგ შეიძლება გარკვეული დასკვნა გამოვიტანოთ ახალი მოვლენის შესახებ ანდა მოცილე მოვლენათაგან ზოგიერთის (თუ ყველას) დატოვების საკითხი გადავწყვიტოთ. ენათმეცნიერული ანალიზის გარეშე ამგვარი საკითხების გადაჭრა სუბიექტივიზმს უხსნის გზას და ფართო გასაქანს აძლევს ნაირ-ნაირ შეხედულებებს, რომელთაგან ყოველი გაიძახის „ჩემი სჯობსო" და რომელთაც საერთო ისღა აქვთ, რომ ყველანი ობიექტურ საყრდენს მოკლებული არიან.

სალიტერატურო ენის განვითარებისათვის გეგმიანი ხელმძღვანელობის გაწევის საკითხი ყველა სალიტერატურო ენას ეხება; განსაკუთრებული მნიშვნელობა მას იქ აქვს, სადაც ან ორთოგრაფიის საკითხები დგას მწვავედ (მაგ., რუსული, ორთოგრაფიული რეფორმის გატარებამდის მეტადრე) ანდა მორფოლოგიურ-სინტაქსური ნორმებია მერყევი (მაგალ., თანამედროვე ქართულში).

2. **სამწერლო ენის ჩამოყალიბება უმწერლო ენისათვის.** პირველ რიგში აქ ანბანის საკითხი დგას; რამდენი ასოა საჭირო? ამაზე კითხვის გაცემა შეუძლებელი იქნება, თუ არ ვიცით, რამდენი ძირითადი ბგერა (ფონემა) გვაქვს სათანადო ენაში და როგორია მათი კლასიფიკაცია [1]. ეჰვს გარეშეა, აქ პირველ ყოვლისა ფონეტიკოსის სიტყვაა საჭირო. ანბანის საკითხის გადაწყვეტის შემდეგ პირველ რიგში მორფოლოგიისა და სინტაქსის საკითხები დგება, შემდეგ მოდის ლექსიკური დაბრკოლებანი. სამწერლო ენის ჩამოყალიბება უდიდესი სიძნელეების წინაშე დგება, თუ სათანადო ზეპირი ენა მეცნიერულად შესწავლილი არაა, არაა გარკვეული მისი ფონეტიკა, მორფოლოგია-სინტაქსი და არაა შესწავლილი ძირითადი ლექსიკური მარაგი.

3. **მეცნიერული ტერმინოლოგიის შექმნა.** ამა თუ იმ სამეცნიერო დარგის ტერმინოლოგია თანდათანობით -ივსება იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ ყალიბდება ახალი ცნებები; ახალი ცნებები მეცნიერული აზროვნების წინსვლის გამოხატულებაა. ამრიგად, ტერმინოლოგიური მუშაობა შეუწყვეტლივ წარმოებს ყველა ენაზე და იწარმოებს მომავალშიაც. ტერმინის შექმნა ნიშნავს ახალი ცნებისათვის ახალი სიტყვის შექმნას ანდა ძველის გამოყენებას: ელექტრობა, მაგნიტიზმი, ატომი, მოლეკული, ინფრა-წითელი და ულტრაიისფერი სხივები, რადიუმი, პროტონი, ნეიტრონი და მრავალი სხვა ფიზიკისა და ქიმიის განვითარებამ შექმნა უკანასკნელი ორი საუკუნის განმავლობაში; მათგან ისეთი ტერმინები, როგორიცაა: ნეიტრონი, პოზიტრონი, პროტონი სულ რამდენიმე წლის ამბავია.

ტერმინოლოგიის საქმის მოგვარება ენათმეცნიერების დარგთაგან ლექსიკასა და სიტყვაწარმოებას (სემასიოლოგიას) აწვება მთლიანად: რა სიტყვა იქნეს შერჩეული: უკვე არსებული თუ ახალი? სა-

---

[1]. კავკასიურ ენათა (აბხაზურის, ადიღეურის, ყაბარდოულის, ჩაჩნურის, ინგუშურის და დაღისტნის ენების) ანბანთა ლათინიზაცია მდიდარ მასალას გვაძლევს ფონეტიკის როლის გასათვალისწინებლად ანბანის ჩამოყალიბებისას.

კუთარი ლექსიკიდან თუ უცხოური? საკუთარი ლექსიკური მარაგის გამოყენება აუცილებელია, თუ გვინდა სპეციალური ტერმინებით გადმოცემული მეცნიერული შინაარსი ადვილი მისაწვდომი გავხადოთ მშრომელთა ფართო მასებისათვის; ამას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ამჟამად, როდესაც აუდიტორიები აივსო ისეთი სოციალური ფენების წარმომადგენლებით, რომელთაც წინათ ოცნებობაც არ შეეძლოთ უმაღლესი სწავლის შესახებ; ამგვარად, მშობლიური ენის ლექსიკის ფართოდ გამოყენებას სამეცნიერო ტერმინოლოგიაში მოითხოვს მშრომელი მასების უშუალო ინტერესები. მაგრამ შეუძლებელია რომელსამე ენაში აღმოჩნდეს ყველა ის სიტყვა, რომელიც კი არის საჭირო სხვადასხვა მეცნიერული დარგის ცნებათა გამოსახატავად. ცხადზე უცხადესია, საკუთარი სიტყვებით აქ ფონს გასვლა მავნე უტოპია იქნებოდა; თუ რომელიმე ტერმინი საერთაშორისო ტერმინს წარმოადგენს, მისი თარგმნა იმავე ფართო მასების კულტურული წინსვლის თვალსაზრისით გაუმართლებელი იქნებოდა: ასეთი სიტყვების თარგმნით იქმნება ხელოვნური დაბრკოლება სხვა ენებზე არსებული კულტურული საგანძურის შესწავლა-გამოყენებისათვის. არც ენის ინტერესი მოითხოვს ამგვარი სიტყვების თარგმნას: საერთაშორისო ხასიათის მქონე ტერმინების სესხება მხოლოდ ამდიდრებს მსესხებელ ენას და არავითარ შემთხვევაში არ ასუსტებს მას.

სატერმინოლოგიო მუშაობის პროცესში ენათმეცნიერებას განსაკუთრებით დიდი პასუხისმგებლობა აწევს იქ, სადაც მშობლიურ ენაზე პირველად ყალიბდება სხვადასხვა დარგის მეცნიერული ლიტერატურა (ასეა, მაგალ., ჩვენში, სომხეთში, აზერბეიჯანში, უკრაინაში...).

4. მიზანშეწონილი **სტენოგრაფიული სისტემის გამომუშავება** ამა თუ იმ ენისათვის შეუძლებელია ამ ენის აფიქსების, დამხმარე სიტყვებისა და ტიპურ, ხშირად ხმარებულ გამოთქმათა გათვალისწინების გარეშე. აქაც ენათმეცნიერება ჩვენი სინამდვილის აქტუალური საკითხის მიზანშეწონილად მოგვარებაში იღებს მონაწილეობას, რამდენადაც უკანასკნელ ხანებში სტენოგრაფია ფართოდ არის გამოყენებული და სტენოგრაფიის უნიტარული სისტემის გამომუშავება დღის წესრიგში დგას.

პირთა სახელების საძიებელი

ალავერდოვი კ. 198
ასკოლი 96
აპოლონიოს დისკოლო 151
ახვლედიანი გ., პროფ. 51,174
ბეკერი კ. 154,216,217
ბიუფონი 187
ბლოხი ი. 31
ბოდუენ-დე-კურტენე 94
ბოგოროდიცკი 94
ბორკი ფ. 109
ბოპი ფ. 74,98,105,216,217
ბროსე მარი 105
ბუქსტორფი 95
გრეი 8
გრიმი 216,217
დანილოვი გ. 198
დებორინი ა. 231
დეკარტე 9
დელბიუკი მ. 156
დელიჩი 96
დიონისე თრაკიელი 112,115
დიურინგი 216
დიცი 216,217
დრექსელი ა. 109
ენგელსი ფრ. 14,15,16,31,34,35, 200, 203, 205, 206, 203, 209, 211, 212, 214, 216, 217,218, 219,220,221,225,230,231.
ვინკლერი ჰ. 108
ვუნდტი ვ. 155,206,207
ზამენჰოფი ლ. 9.
თოფურია ვ. 178
იესპერსენი ო. 9
იერქსი 14
კაკაბაძე ს. 173
კალგრენი, 86
კამბონი 8
კასტელი 95
კელერი ვ. 14
კერდუ პ. 94
კლემანსო 9
კლუგე თ. 109
ლევი-ბრიული 207,208
ლენინი 11,12,197,229
ლომტევი ტ. 198
ლუდოლფი 95
მაინჰოფი 109
მარი ნ. აკად. 10,12,33,74,92,94, 106, 107, 108, 208, 209,210, 222,227
მარქსი კ. 15,16,35,36,199,200, 203, 211, 212, 215, 217,220, 231,232
მეიე ა. 10,213
მელერი (H. Möller) 96
მესერშმიდტი ლ. 109
მეშჩანინოვი ი. აკად. 100,101,102
მიკლოშიჩი 150,151,152
მილი ჯ. სტ. 8
მისტელი 103
მიულერი მაქს 13,86,105
მიულერი ფრ. 105,106,107,110
ნაარე ლ. 17,206
ოსიანიკო—კულიკოვსკი დ. 207

ოპერტი 95
ოშტირი ჯ. 108
პაული ჰ. 155
პედერსენი 96
პეშკოვსკი ა. 121
პორციგი 150
რაიზიგი 151
რაუმერი 96
რისი ჯ. 150
როზენი გ. 176
როულინსონი 95
საზონოვა ე. 10
სტალინი ი. 11,12,225,228,230
ტომსენი 10
ტრომბეტი ა. 96,108,109
ტუკი ჰორნ 74
ულენბეკი 96
უსლარი პ. 134
ფონ-დერ-გაბელენცი გ. 108
ფოსლერი კ. 202
ფონ-შტრალენბერგი ი. 96
ფრიდრიხი ი. 109
ქრისტიანი ვ. 109
შამპოლიონი 95
შანიძე ა. პროფ. 103
შლაიხერი აგგ. 84,85,86,97,98,191
შლეგელი აგგ. 83,84
შლეგელი ფრ. 83,86
შლეიერი ი. 9
შმელერი 219
შორი რ. 198
შრედერი 95
შპიგელი 105
შტაინთალი ჰ. 103,157
შტალდერი 219
შულგინი ვ. 23,24
შულტენსი 95
შუხარდტი 10,108
ცაგარელი ალ. პროფ. 106
წერეთელი მ. 109
ჯავახიშვილი ივ. პროფ. 193
ჯონსი ვილიამი 94
ჰაიზე 216,217
ჰაუპტი 95
ჰელმჰოლცი 8
ჰინქსი 95
ჰიუზინგი გ. 109
ჰოლტინგერი 95
ჰომელი 95
ჰუმბოლდტი ვ. 84,85
ჰუსერლი ედმ. 150

კორექტურულ შეცთომათა გასწორება:[1]

გვ.	არის	უნდა იყოს:
35 სათაურში	დარგებ	დარგები
59 17 ზევ.	ენათმეცნიერების	(ენათმეცნიერების
61 2 ქვ.	ალნიშვნელი	ალმნიშვნელი
79 10 ქვ.	стены	стены
97 2 ქვ.	სატემ“	„სატემ“
128 2 ზევ.	არის	
130 11 ზევ.	დამალნო	დამალონო
131 8 ზევ.	საკანომდებლო	საკანონმდებლო
131 9 ქვ.	საკანომდებლო	საკანონმდებლო
132 1 ქვ.	неор.	неро
140 5 ზევ.	§ 50	§ 61

[1] გვერდის ალმნიშვნელ ციფრს მოსდევს სტრიქონის ალმნიშვნელი

Н. 31.455



Проф. А. Чикобава

ОБЩЕЕ ЯЗЫКОЗНАНИЕ

1

Продолжение

Издательство Государственного Университета
Тифлис 1935